

საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული
ჟურნალი „იურისტი“

International Scientific-Practical Referenced Journal

Международный Реферированный Научно-Практический
Журнал-„Юрист“

ISSN 2449-2701

იურისტი – Lawyer

№7

თბილისი – Tbilisi
2019

საერთაშორისო რეფერინგბადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „იურისტი“ დაფუძნებულია საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მიერ.

International Referral Scientific-Practical Journal "Lawyer" is founded by both Georgian Academy of Law Sciences and Faculty of Law and International Relations of Georgian Technical University



ჟურნალი გამოცემულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის
მხარდაჭერით

ჟურნალი გამოდის წელიწადში ოთხჯერ, იურიდიული მისამართი:

თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №75,

ფაქტობრივი მისამართი: კოსტავას №77 სტუ, მე-6 კორპუსი.

ოთახი 903 ა, ტ.: +995 99940 114

ელ-ფოსტა: Law.academy@mail.ru

The journal is published four times in a year.

Address: Tbilisi, Vazha-Pshavela Avenue, №75 Actusi Address: Tbilisi, Kostava street, №77, STU,
6 block Room 903 a, T., 599 940 114

E-mail: Law.academy@mail.ru

ISSN 9772449270009

© ავტორები

© სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

უურნალ „იურისტი“-ს მთავარი რედაქტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შოთა ფაფიაშვილი.

რედაქტორის მოადგილე პროფესორი - **ჯემალ გაბელია.**

სარედაქციო კოლეგია

- ლევან ალექსიძე** - პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;
- ჯონი ხეცურიანი** - პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;
- არჩილ ფრანგიშვილი** - პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;
- შოთა ფაფიაშვილი** - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (თავმჯდომარე);
- ჯემალ გახოვიძე** - პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპიკერი;
- ირაკლი გაბისონია** - პროფესორი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტის დეკანი;
- ლადო ჭანტურია** - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ელჩი გერმანიაში;
- ზაზა რუხაძე** - პროფესორი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დეკანი;
- ჯემალ გაბელია** - პროფესორი, სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
- გენადი ხობრიაკოვი** - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი – მოსკოვი;
- მიხეილ მამნიაშვილი** – პროფესორი;
- ნიკოლა ბელიაევი** - პროფესორი, სანკტ-პეტერბურგი;
- იანეს გრანცი** - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ლუბლიანას უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი (სლოვენია). საპატიო დოქტორი (პუატიე, საფრანგეთი)
- ჰანს იორგ ალბრეხტი** - გერმანიის მსოფლიო საერთაშორისო სისხლის სამართლის მაქს პლანკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;
- პეტერ იურგენ გრაფი** - გერმანიის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის სენატის თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი;
- რომან შენგელია** - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
- ვეფხვია გვარამია** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
- ივანე ჯაგოდიშვილი** - სტუ-ს საინჟინრო ეკონომიკის მედიატექნოლოგიების და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
- გივი ლობჟანიძე** - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
- შენგელი ფიცხელაური** - პროფესორი; გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი.
- ლალი ფაფიაშვილი** - პროფესორი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე;
- ელიკო წიკლაური-ლამიხი** - პროფესორი – გერმანია.

Executive Managing Editor, Doctor of Law Science, Professor – Shota Papiashvili
Managing Editor. Professor –Jemal Gabelia

Editorial Board

Levan Aleksidze – Academician; Editorial Board, Academy of National Sciences of Georgia
Joni Khetsuriani – Academician; Editorial Board, Academy of National Sciences of Georgia
Archil Prangishvili – Professor, Rector of GTU, Academiein of National Science of Georgia;
Shota Papiashvili- Doctor of Law Science, Professor. (Chairman)
Jemal Gakhokidze – Professor, Speaker of Georgian Technical University, General;
Irakli Gabisonia – Professor, Dean of Law and International Relations Faculty in Georgian Technical University;
Lado Tchanturia – Professor, Tbilisi State University, Ambassador of Georgia in Germany;
Zaza Rukhadze – Professor, Dean of Georgian-American University;
Genadi Khokhriakov – Professor, PhD of cLaw - Moscow
Mikheil Mamniashvili – Professor;
Jemal gabela- Professor, Deputy Dean of Law and International Relations in Faculty Georgian Technical University;
Nikola Believi – Professor. St. Petersburg;
Janez kranjc - Doctor of legal Sciences, dr.h.c.)(polotiers, France)Full Professor of The University of Ljubljana Faculty of law;
Hans Jorg Albrekht - Director of the Max Planck Institute of German Criminal Law, Professor;
Peter Jurgen Graf-German Supreme Court Deputy Chairperson of the Senate, Professor;
Roman Shengelia- Doctor of Law Science, Professor;
Vepkhvia Gvaramia – Professor, Sokhumi State University, Dean of Juridical Faculty
Ivane Jagodnishvili – Dean of Engineering economy, Media an social Sciences Faculty, Doctor of Philology, Professor;
Givi Lobzhanidze – Doctor of Law Science, Professor;
Shengeli Pitskhelauri – Professor, Guram Tavartkiladze's University, Dean of Juridical Faculty;
Lali Papiashvili – Professor, Deputy Chairman of Georgian Constitutional Court;
Eliko Tsiklauri-Lamikhi - Professor, Germany.

სარჩევი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების
ფაკულტეტი 3 წლისაა!

9

ქართული იურიდიული აზროვნება 2018 წლამდე და მის შემდეგ

11

სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „სამართლიანობის ფილოსოფია და თანამედროვეობის ფარგლებში“

1. ირაკლი გაბისონია, ალექსანდრე ტალიაშვილი, სალომე ხიზანიშვილ 20
სამართლიანობის ორი ტრადიციის კვალდაკვალ
2. ირაკლი გაბისონია, ალექსანდრე ტალიაშვილი, სალომე ხიზანიშვილი 24
სამართლიანობის გაგება ჯონ ლოკის ფილოსოფიაში

სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „საინჟინრო სამართლის ფარგლებში“

1. ირაკლი გაბისონია, თეიმურაზ ბეჟოშვილი 33
„ტექნოლოგიური უსაფრთხოების ნორმები- ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების სამართლებრივი
რეგულირება სამშენებლო სამართალში“

სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „მტკიცების (მტკიცებულებათა შეგროვების, საპროცესო დამაგრების შემოწმებისა და შეფასების) აქტუალური პრობლემების“ ფარგლებში

1. ირაკლი გაბისონია, ჯემალ გაბელია..... 39
მტკიცებულებითი საქმიანობის როლი და დანიშნულება სისხლის სამართლის პროცესში
2. ლევან ქობულაშვილი 52
ექსპერტის დასკვნა, როგორც მტკიცებულება

სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „საერთაშორისო სასამართლო საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის“ ფარგლებში

1. ედიშერ გვენეტაძე, ელენე ჩალაძე..... 66
სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო საერთაშორისო ურთიერთობების
შემადგენელი ნაწილი
2. ჯემალ გაბელია, ელენე ჩალაძე 71
უდანაშაულობის პრეზუმფცია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის და სასამართლო
პრაქტიკის ანალიზის მიხედვით

სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „მედიასამართლის“ ფარგლებში

| | |
|--|----|
| 1. Иордани Габриэль, Нана Гомиашвили..... | 79 |
| Межрегиональный и международный правовой аспекты | |

Сафарова Азиза Абубакировна Сафарова Азиза Абубакировна

| | |
|---|----|
| 1. Оценка гончарных изделий..... | 86 |
| Сафарова Азиза Абубакировна | |
| Анализ современных тенденций в определении компенсации морального вреда | |

Сафарова Азиза Абубакировна

| | |
|---|----|
| 1. Екатерина Нинуа, Каролина Осипова | 92 |
| Анализ современных тенденций в определении компенсации морального вреда | |

Сафарова Азиза Абубакировна, Сафарова Азиза Абубакировна

| | |
|---|-----|
| 1. Нана Гомиашвили | 96 |
| Сафарова Азиза Абубакировна | |
| Анализ современных тенденций в определении компенсации морального вреда | |
| 2. Иордани Габриэль..... | 101 |
| Сафарова Азиза Абубакировна | |
| Анализ современных тенденций в определении компенсации морального вреда | |
| 3. Бехтира Абубакировна..... | 105 |
| Сафарова Азиза Абубакировна | |
| Анализ современных тенденций в определении компенсации морального вреда | |
| 4. Мамука Гогуашвили..... | 109 |
| Сафарова Азиза Абубакировна | |
| Анализ современных тенденций в определении компенсации морального вреда | |

Чечетова Азиза Абубакировна, Чечетова Азиза Абубакировна

| | |
|---|-----|
| 1. Жанна Романовна..... | 122 |
| Сафарова Азиза Абубакировна | |
| Анализ современных тенденций в определении компенсации морального вреда | |
| 2. Наталья Маркела..... | 126 |
| Сафарова Азиза Абубакировна | |
| Анализ современных тенденций в определении компенсации морального вреда | |

Contents

| | | |
|--|-------|----|
| Faculty of Law and International Relations of Georgian Technical University is 3 Years Old | | 9 |
| Georgian legal thinking before and after 2018 | | 11 |
| | | |
| Scientific-research project "Philosophy of Justice" within the framework of modernity | | |
| 1. Irakli Gabisonia, Aleksandre Taliashvili, Salome Khizanishvili..... | 20 | |
| Following the two traditions of justice | | |
| 2. Irakli Gabisonia, Salome Khizanishvili, Aleksandre Taliashvili | 24 | |
| Understanding Justice in John Locke's Philosophy | | |
| | | |
| In the framework of the research project "Engineering Law" | | |
| 1. Irakli Gabisonia, Teimuraz Bezhoshvili | 33 | |
| "Technological Safety Norms- Legal regulation of the operation facility in Construction law " | | |
| | | |
| Scientific-research project within the framework of "The current problems of Evidence (Collecting evidence, the procedure for testing and evaluation) | | |
| 1. Irakli Gabisonia, Jemal Gabelia..... | 39 | |
| The Role and Purpose of Evidence Activities in Criminal Procedure | | |
| 2. Levan Kobulashvili..... | 52 | |
| Expert conclusion as evidence | | |
| | | |
| Within the framework of the research project "International Court in International Relations System" | | |
| 1. Edisher Gvenetadze, Elene Chaladze..... | 66 | |
| International Criminal Court as Part of international relations | | |

| | |
|---------------------------------------|----|
| 2. Jemal Gabelia, Elene Chaladze..... | 71 |
|---------------------------------------|----|

Presumption of innocence according to the analysis of European Convention on Human Rights and court practice

Within the framework of the research project "Media Law"

| | |
|---------------------------------------|----|
| 1. Irakli Gabisonia, Nana Lomaia..... | 79 |
|---------------------------------------|----|

The media- Comparative analysis of Georgian and Foreign legislation

International political and legal aspects

| | |
|--------------------------|----|
| 1. Ioseb Gogashvili..... | 86 |
|--------------------------|----|

International Terrorism and Terrorist Threats

Civil Law

| | |
|---|----|
| 1. Ekaterina Ninua, Karolina Osipova..... | 92 |
|---|----|

Analysis of modern trends in the determination of compensation for moral damage

Criminal Law, Criminal proceedings

| | |
|---------------------|----|
| 1. Nana Lomaia..... | 96 |
|---------------------|----|

Legal Regulation of defamation according to Georgian and foreign legislation

| | |
|--------------------------|-----|
| 2. Irakli Abashidze..... | 101 |
|--------------------------|-----|

The correctness and shortcomings of some legislative amendments in criminal proceedings

| | |
|---------------------------|-----|
| 3. Besik Khaburzania..... | 105 |
|---------------------------|-----|

Some problems of Victimization in the criminal proceedings.

| | |
|-------------------------|-----|
| 4. Mamuka Egutidze..... | 109 |
|-------------------------|-----|

Violation of the legal regime in the Occupied Territories

General theoretical, historical issues

| | |
|-------------------------|-----|
| 1. Jano Tsulukidze..... | 122 |
|-------------------------|-----|

Some Legal political aspects of Georgian history

| | |
|--|-----|
| 2. Natela Maisuradze, Tea Kvabziridze..... | 126 |
|--|-----|

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი 3 წლისაა!

2016 წლის 25 მაისს ბიზნესინჟინერინგის ფაკულტეტის რეორგანიზაციის საფუძველზე ჩამოყალიბდა თვისობრივად ახალი, მაგრამ შინაარსობრივად დიდი წარსულის მქონე სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი. ეს შესანიშნავი შანსი გახდა ფაკულტეტი ევროპული დონის გამხდარიყო. პირველი და მთავარი, დამტკიცდა არაერთი სამეცნიერო პროექტი, პროფესორ-მასწავლებლების მიეცათ შესაძლებლობა დაწყოთ აქტიური სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. დღეს ფაკულტეტზე 35-მდე სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევა ხორციელდება, რომელშიც მონაწილეობენ როგორც პროფესორ-მასწავლებლები ასევე სტუდენტები, მათ შორის დოქტორანტები და მაგისტრები. შედეგებმა არ დააყოვნა და სამ წელიწადში ათეულობით სახელმძღვანელო, მონოგრაფიაა გამოცემული და კიდევ უფრო მეტი სამეცნიერო სტატია გამოქვეყნდა. ამ პერიოდში თხუთმეტამდე სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ჩატარდა უცხოელი და ქართველი პროფესორების მონაწილეობით, მუდმივად ეწყობა სტუდენტური კონფერენცია, ვორქშოფები, ტრენინგები და სხვა აქტივობები.

მიმდინარეობს ინტერდისციპლინარული პროექტები: საინჟინრო სამართალი, საგამოძიებო სამართალი, განათლების სამართალი, „ბლოკჩეინის ტექნოლოგიების გამოყენების სამართლებრივი ასპექტები ელექტრონულ მმართველობაში (E-government), სპორტის სამართალი, კულტურის სამართალი, „საქართველოს კანონმდებლობის პარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნების შესაბამისად“, „გენდერული თანასწორობა და დისკრიმინაცია: პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები“, „საერთაშორისო სამართლებრივი სისტემები და ადგილობრივი თვითმმართველობა“ მთარგმნელობითი პროექტი „საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები“ „საქართველოს კონსტიტუციური განვითარების პოლიტიკურ-სამართლებრივი და ისტორიული ასპექტები“, „საქართველო საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო სამართლის სისტემაში“ და სხვა. თითოეული მათგანი ძალიან მნიშვნელოვანია.

ფაკულტეტი გვერდში უდგას სტუდენტებს, აფინანსებს მათ საერთაშორისო ღონისძიებებს: კონფერენციებს, მოდელირებებს, იმიტირებულ პროცესებს და სხვას. სტუდენტთა ჯგუფები ფაკულტეტის დაფინანსებით იმყოფებოდნენ საფრანგეთში, იტალიაში, ჰოლანდიაში, გერმანიასა და სხვა ქვეყნებში. ფაკულტეტს ხშირად სტუმრობენ უცხოელი პროფესორები, რომლებიც ატარებენ ტრენინგებს, მონაწილეობენ საგაზაფხულო სკოლების აქტივობებში, გამოცდილებას უზიარებენ ქართველ კოლეგებსა და ა.შ. დეკანის ინიციატივით ფაკულტეტზე დაწესებულია საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდია, რომელსაც ყოველწლიურად 4 სტუდენტი მოიპოვებს, ასევე, ფუნქციონირებს პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა დახმარების პროგრამა. ფაკულტეტი აფინანსებს წარმატებულ და სოციალურად დაუცველ სტუდენტებს.

ეს მოკლე ჩამონათვალი გახლავთ, რითაც ფაკულტეტს შეუძლია იამაყოს და თავი მოიწონოს სამეცნიერო თუ აკადემიური საზოგადოების წინაშე, წინ უფრო დიდი გეგმებია: იწყება საინჟინრო სამართალის სწავლება, ეს უპრეცენდენტი მიდგომაა ამიერკავკასიაში, ვინაიდან, საუბარია ისეთი სასწავლო დისციპლინის შექმნაზე, რომელიც იმაზე მეტად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის, ვიდრე შეგვიძლია ეს გავიაზროთ. უცხოეთის უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარების მიზნით პროექტის ხელმძღვანელები და წევრები მივლინებით იმყოფებოდნენ ავსტრალიის

წამყვან უნივერსიტეტებში, სადაც ბაკალავრებსა და მაგისტრებს ინჟინერიურისტის კვალიფიკაციას ანიჭებენ.

სამწლიანი, მაგრამ ბევრის მთქმელი და დამტევი შედეგები ფაკულტეტის ხელმძღვანელის სამართლის დოქტორ, პროფესორ ირაკლი გაბისონიას და ჯემალ გაბელიას დიდი ძალიხმევისა და არაჩვეულებრივი მენეჯერული თვისებების შედეგია. სწორედ მისი ახლებური ხედვითა და მიდგომებით ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს აქვს შესაძლებლობა წარმოჩინდეს, მიიღოს საერთაშორისო დონის კონფერენციებში მონაწილეობა და სიამაყით წარადგინოს ფაკულტეტი.

ფაკულტეტი დიდი გამოწვევების წინაშე დგას, საჭიროა მეტი პროფესიონალი, კვალიფიციური კადრის აღზრდა. დღეს, ამაყები ვართ იმით, თუ რა შედეგსაც მიაღწია ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობათა მიმართულებამ, ხვალ უფრო დიდი იქნება ამ მიმართულების კურსდამთავრებულთა წვლილი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ დიპლომატიურ საქმიანობაში.

ეს დასაწყისია!

ულევი წარმატებისკენ გზა დავულოცოთ კოლეგებს!

საქართველოს იურიდიულ

მეცნიერებათა აკადემია

ქართული იურიდიული აზროვნება

2018 წლამდე და მის შემდეგ

შოთა ფაფიაშვილი

პროფესორი

საქართველოს, რომელსაც სახელმწიფო და საზოგადოებრივი განვითარების 25 საუკუნეზე მეტი წელის ისტორია აქვს და, რომელმაც სხვა სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, მონათმფლობელური წყობის გარეშე განვლო ყველა საზოგადოებრივ – ეკონომიკური ფორმაცია [თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებაც] და თმურ–გვაროვნული წყობილებიდან პირდაპირ ფეოდალურ წყობაში გადაინაცვლა. აქედან კი, ხანმოკლე დროით, ჯერ გადავიდა კაპიტალისტურ – ბურჟუაზიულ და შემდეგ სოციალისტურ წყობაზე. დღესდღეობით იგი კვლავ დაუბრუნდა ბურჟუაზიული წყობის ეკონომიკურ ფორმაციას.

სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის ესოდენ დიდი ისტორიის მქონე სახელმწიფო, ცხადია, ვერ იარსებებდა, ვერ გაუძლებდა დაუნდობელ მოვლენათა ქარცეცხლს და საზოგადოებრიობის განვითარების ცალკეულ ეტაპზე, ვერ შექმნიდა საკანონმდებლო მნიშვნელობის მქონე აქტებს პროგრესიულად მოაზროვნე იურისტების გარეშე. იურისტებისა, რომლებიც იმ დროს „მერჯულებად“ იწოდებოდნენ.

დღემდე შემორჩენილი სამართლებრივი აქტებიდან აღსანიშნავია ბეჭა – აღბუღასა და ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი, რომელიც ისტორიკოსთა აზრით შედგენილია მეცხრე – მეათე საუკუნეში. აგრეთვე 17–18 საუკუნეებში მოღვაწე ვახტანგ მეექვსისა და ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწე ვახუშტი ბაგრატიონის სამართლის წიგნი, რომელიც ყურადღებას იპყრობს არა მარტო სამართლის ცალკეული ნორმების დახვეწილობით, არამედ იმითაც, რომ მასში სხვა სამართლებრივ შეხედულებებთან ერთად საკმაოდ კარგადაა აღწერილი მოსამართლისათვის დამახასიათებელი ის უნარ–ჩევები, რომლითაც ის უნდა განსხვავდებოდეს სხვა პირებისაგან. კერძოდ, მასში ნათელად მოშენიში: მოსამართლე უნდა იყოს კანონის მიმდევარი, მისი განუხრელი დამცველი, ღმერთის მოშენიში, უქრთამო და სამართლიანი, ისეთი, რომელიც არც დედის, არც მამის, არც მმისა და არც ბატონის ხათრით არ გაამრუდებს სამართალს და არ დაჩაგრავს მართალ კაცს.

ქართული სამართლებრივი კულტურისა და ქართველი იურისტების დამსახურება იყო ისიც, რომ საქართველოში თავიდანვე მიექცა ყურადღება სისხლის სმართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლების შესწავლას და პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა კანონით დაგენილ ასაკს მიუღწეველ პირებს და ფსიქიკურად დაავადებულებს, მაშინ, როცა ზოგიერთ სახელმწიფოში დასჯას ექვემდებარებოდა არა მარტო მცირეწლოვანი ბავშვები და ფსიქიურად დაავადებული პირები, არამედ ცხოველები და უსულო საგნებიც.

მაგალითად, ცნობილია, რომ თხა, რომელიც რქებით ბავშვს დაეჯახა და სხეულის დაზიანება მიაყენა, გაასამართლეს და ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს. ეკლესიის საკმაოდ დიდი მოცულობის ზარს კი ყური ჩამოატეხეს და ისიც ციმბირში გადასახლეს იმის გამო, რომ მან დროულად არ დარეკა ზარი და ხალხს არ შეატყობინებინა მტრის შემოსევა. შემდეგში ეს უნიკალური „მრავალტანჯული“ უმძიმესი ზარი „რეაბილიტირებული“ იქნა და მოსკოვში, კრემლის ეზოში

დაიდო ბინა, როგორც ისტორიული შემთხვევის განსაკუთრებული საგანი, დამთვალიერებელთა დიდ ინტერესს იწვევდა.

ქართული სამართლებრივი აზროვნებისა და სასამართლო პრაქტიკისათვის კი მსგავსი რამ საერთოდ უცნობია. ადრინდელი ეპოქის კანონმდებლობითა და სასამართლო პრაქტიკით არა მარტო უსულო საგნები და ცხოველები არ ისჯებოდა, არამედ ფსიქიურად დაავადებული და მცირებლოვანი ბავშვებიც არ ისჯებოდნენ. რაც შეეხება ქალის პატივსა და ღირსებას და ძალადობრივად მასთან სქესობრივი კავშირის დამყარებას იგი კანონით საკმაოდ მკაცრად ისჯებოდა.

ცნობილია, რომ ადრე, ზოგიერთ სახელმწიფოში, მამაკაცი იმდენად იყო გაბატონებული ქალზე, რომ მას შეეძლო თავისი ცოლი გაექირავებინა ან დაეგირავებინა მასთან სქესობრივი კავშირის დამყარების უფლების მინიჭებით. ქართული სამართლებრივი აზროვნებითა და კანონმდებლობით კი ასეთი რამ არამც თუ წარმოუდგენელი იყო, არამედ მკაცრადაც ისჯებოდა ცოლის ქმრისადმი ღალატი. ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნში მითითებული იყო იმაზეც, თუ ქმარი შეასწრებს თავის ცოლთან მოძალადეს და მოკლავს, მეფეც რომ იყოს ამისათვის იგი პასუხს არ აგებსო.

ქართული სამართლის ძეგლებით ასევე მკაცრად იყო დაცული ქალის უფლებები და ამ მხრივ იგი მამაკაცთან იყო გათანაბრებული. ქალთა ემანსიპიკაციის ეს დიდი პრობლემა განსაკუთრებით მაღალ დონეზე იყო საქართველოში დაყენებული და გადაწყვეტილი 11–12 საუკუნეებში, როცა სამეფო ვაზირთა საბჭოს წინაშე მეფედ ასარჩევად ქალი – თამარი იყო წარდგენილი, ვაზირთა საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი თამარის გამეფებას და ქალის მამაკაცთან გათანაბრება შემდეგი სიტყვებით გამოხატეს: „ლეკვი ლომისა სწორია, მუ იყოს, თუნდა ხვადია“.

საინტერესოა ვიცოდეთ ისიც, რომ ადრინდელი ეპოქის იურისტთა აზროვნებასა და ქართულ სამართლის ძეგლებში გატარებული იყო ისეთი პროგრესული მოსაზრებები სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, როგორიცაა სიმთვრალეში დანაშაულის ჩადენის დამამძიმებელ გარემოებად მიჩნევა, მაშინ, როცა იგი უკანასკნელ პერიოდამდე ზოგიერთი სახელმწიფოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით შემამსუდუქებელ გარემოებად იყო მიჩნეული.

ამასთან დაკავშირებით ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის ერთერთ მუხლში პირდაპირ მითითებული იყო: „თუ კი იცის, რომ ღვინოში აჩქარებული არის, რატომ დალევს იმდენს, რომ ამგვარ საქმეს აქნევინებს“—.

ამრიგად, ქართული სამართლის ისეთი ძეგლები, როგორიცაა: 9–12 საუკუნეების ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტები; 14-ე საუკუნის 30 –იან წლებში შედგენილი გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დება; 13–14 საუკუნეების ბექა – აღბუღას სამართლის წიგნი და 18 საუკუნის დასწყისში შედგენილი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნი მაღალი ქართული სამართლებრივი კულტურის მაჩვენებელია და მიუთითებს იმაზე, რომ ქართული საზოგადოებრივი აზრის, საზოგადოებრივი წყობისა და სამართლებრივი ასპექტები, სამართლებრივი კულტურის დახვეწასა და განვითარებაში წარუშლელ კვალს ტოვებდნენ იმ დროისათვის განსწავლული იურისტები. ყოველივე ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში იურიდიული მეცნიერების განვითარებას საკმაოდ რთული და ხანგრძლივი ისტორია აქვს. და, რომ ჯერ კიდევ 11 საუკუნეში ექვთიმე მთაწმინდელმა ბერძნულიდან თარგმნა „მცირე სჯულის კანონი“ და თავის განმარტებაში ჩამოაყალიბა იმდროისათვის საკმაოდ პროგრესული შეხედულებები ბრალის შესახებ. 11–12 საუკუნეებში კი არსენ იყალთოელმა თარგმნა „დიდი სჯულის კანონი“. მის მიერვე იქნა შედგენილი პირველი ქართული იურიდიული ტერმინოლოგია.

დასავლეთ ევროპის სამართლებრივი იდეები იქნა ასახული 18–19 საუკუნეების მიჯნაზე შედგენილ ქართული სამართლის კანონპროექტებში. კერძოდ: იოანე ბატონიშვილის „სჯულდებისა“ და დავით ბატონიშვილის „სამართლის წიგნებში“.

ქართული სამართლებრივი კულტურის ამაღლებისა და ქართული იურიდიული აზროვნების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ამავე პერიოდში მოღვაწე ისეთმა თვალსაჩინო ქართველმა იურისტებმა, როგორებიც იყვნენ: ნიკო ნიკოლაძე, არჩილ ჯორჯაძე და დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე და სხვები.

აქვე რამოდენიმე სიტყვით მინდა შევჩერდე იმ გარემო ვითარებაზე, რომრომშიც ყალიბდებოდა და ვითარდებოდა ქართული იურიდიული აზროვნება და კანონმდებლობა ასი წლის წინ და მის შემდეგ დღემდე.

საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით ყოველთვის იპყრობდა უცხო ქვეყნების ყურადღებას და ცდილობდნენ მის დაპყრობას. მაგრამ, მისი სრული დამორჩილება ვერცერთმა სახელმწიფომ ვერ შეძლო. ვერ მიაღწიეს უცხო ქვეყნებიდან მრავალრიცხოვანი ჯარების შემოსევებით გაწამებული ქართველი ხალხისა და საქართველოს სახელმწიფოს მიწიდან აღვა. იგი ყოველთვის იკრებდა ძალას, თანდათანობით ძლიერდებოდა და მისი არსებობის განვითარების ისტორიაში პერიოდულად ჩნდება საქართველოს ძლიერების ამსახველი მშვიდობიანობის ოქროს ხანა. დრო, როცა მეთერთმეტე საუკუნის მიწურულში და მეთორმეტე საუკუნის დასაწყისში საქართველოს მეფემ დავით აღმაშენებელმა განდევნა საქართველოში შემოჭრილი და დამკვიდრებული დამპყრობი არაბები, სპარსელები, სელჯუკები და მუსულმანები.

დავით აღმაშენებლის მეფობის შემდგომი ღირსეული გამგრძელებელი თამარის მეფობის დროს [1124 – 1243] საქართველოს ტერიტორია შავი ზღვიდან [სოჭიდან] კასპიის ზღვამდე იყო გადაჭიმული და თამარ მეფემ ტრაპიზონში ჩამოყალიბებული იმპერიის სათავეში თავისი ახლო ნათესავი დააყენა. ეს იყო დრო, როცა საქართველოს არა მარტო გელათისა და იყალთოს აკადემიები, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოებში: – საბერძნეთში, ბულგარეთში, სირიაში, პალესტინასა და კონსტანტინოპოლიში დაარსებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიები და ჩვენი ქრისტიანული სარწმუნოების ამსახველი ეკლესიები ამშვენებდნენ.

საქართველოს პქონდა უმძიმესი დღეებიც, როცა თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ, ქვეყნის შიგნით, ურჩი და მოდალატე თავადების ურთიერთ ქიშპობის, გაუტანლობისა და ბრძოლების წყალობით, თანდათანობით დაიშალა ერთიანი მძლავრი საქართველო და დაიწყო საქართველოში თათარ – მონღოლების, თურქებისა და სპარსელების შემოსევა. ცნობილია, რომ მარტო 1616 წელს შახ აბაზის კახეთში შემოსევის დროს ბრძოლაში 230 ათასზე მეტი დაიღუპა, ასი ათასზე მეტი ქართველი კი სპარსეთში ტყვედ წაიყვანეს. ამასთან საქართველოს მოსახლეობას მოულოდნელად ყოველი მხრიდან ესხმოდნენ თავს, იტაცებდნენ ახალგაზრდა ქალ–ვაჟებს და საზღვარგარეთ მონებად ყიდდნენ. მაგრამ, საქართველოს მეფეებს ასეთი მძიმე განსაცდელის დროსაც არ უღალატია თავისი ხალხისათვის და ბრძოლის გარეშე მტრისათვის საჯიჯგნად საქართველოს სახელმწიფო და ხალხი არ გადაუცია.

საქართველომ გაუძლო თურქ – მონღოლთა, არაბთა და სპარსელთა ცალკეულ შემოსევებს ისე, რომ სახელმწიფოს კაპიტულაცია არ მოუხდენია და ქართული დროშა მტრის წინაშე არ დაუხრია. 1801 წელს რუსეთთან დადებული ხელშეკრულების შემდეგ კი საქართველომ მოტყუებითა და ცბიერული ხრიკებით თანდათანობით დაკარგა თავისი სახელმწიფოებრიობა და რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ გუბერნიად იქცა.

ამაყი ქართველი ხალხი ვერ ეგუებოდა რუსეთის შემადგენლობაში თავის კოლონიურ მდგომარეობას და საქართველოს ცალკეულ რეგიონებში რუსეთის ხელისუფლებისა და მისი

ჩინოვნიკების წინააღმდეგ გამუდმებით ეწყობოდა გამოსვლები და აჯანყებები. მაგრამ, ამაოდ შემდეგ პირველი მსოფლიო ომის დროს რუსეთსა და საქართველოში სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის გაჩანაგებას მოჰყვა რა ხელისუფლების წინააღმდეგ გაღატაკებული ხალხის მასების მომრავლებული გამოსვლები – აჯანყებები და მთელი რუსეთის იმპერიის რევოლუციურ ცეცხლში გახვევა,

საქართველოს ცალკეულ რეგიონებშიც გახშირდა აჯანყებები და რევოლუციური კერების გაღვივებამ, რუსეთის პოლიტიკური ნების დახმარებით, საქართველო პირველად გამოცხადდა დამოუკიდებელ, დემოკრატიულ რესპუბლიკად და ბურჟუაზიულ–მენშევიკური მთავრობის ხელმძღვანელობით დაიწყო პირველი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობა. უმოკლეს დროში საქართველოს პირვრლი კონსტიტუციაც იქნა მიღებული, რომელმაც მართალია დიდხანს ვერ იარსება, მაგრამ გარკვეული წარუშლელი კვალი დატოვა და საფუძვლად დაედო მეორედ, საბჭოთა კავშირიდან გამოსული, თავისუფლება მოპოვებული საქართველოს დამოუკიდებელი, დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის შემუშავებას.

მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლების მიერ საგარეო და საშინაო ფუნქციების არასწორად და მოუქნელად წარმართვის შედეგად, საქართველოს დამოუკიდებელმა სახელმწიფომ სამ წელზე მეტხანს ვერ იარსება.

დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ხელშეკრულება გააფორმა თურქეთთან და გერმანიასთან და საქართველოში შემოყვანილი იქნა თურქულ – გერმანული არმია, რომელიც შემდეგ შეცვალეს ანგლო – ამერიკულმა და ფრანგმა კოლონიზატორებმა. დადებული ხელშეკრულებით მათ გადაეცათ საქართველოს ტერიტორიის ნაწილი, მათ შორის ბათუმი და აჭარის ჩრდილოეთის ნაწილი.

დამოუკიდებელი საქართველოს ბურჟუაზიულ – მენშევიკურ მთავრობასა და სახელმწიფოს შიდა აშლილობას დაემატა გარეშე მტერთა მომენტალური თავდასხმები. მეზობელი სახელმწიფოებიდან საქართველოს წინააღმდეგ პირველმა აღმართა ხელი სომხეთის არმიამ, გადმოლახა საქართველოს საზღვარი და ცდილობდა თბილისში შემოჭრას, მაგრამ საქართველოს სამხედრო პატრიოტულმა ძალებმა უკუაგდეს მათი შემოტევა და სომხეთის დედაქალაქ – ერევნამდე მისდიეს. არც სხვა სახელმწიფოები იყვნენ გულგრილნი და ცდილობდნენ ბათუმისა და მთელი აჭარის ხელში ჩაგდებას. ამას დაემატა რუსეთში დამყარებული საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქართველოში სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით მეთერთმეტე არმიის შემოტევა, რომელმაც შეძლო ქართული მენშევიკური მთავრობის ჯარის ნაწილების დამარცხება, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება და საქართველო შეყვანილი იქნა საბჭოურ ამიერკავკასიის ფედერაციის შემადგენლობაში.

ჯერ კიდევ მეთერთმეტე არმიის მიერ საქართველოს ჯარების სრულ დამარცხებამდე, იმდროინდელმა საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ამოიღო საქართველოში არსებული მთელი ქონება, მატერიალური სიმდიდრე, მათ შორის ხელოვნების უნიკალური, ისტორიული სამუზეიმო ორიგინალური ნამუშევრები, დატვირთა გემები, მიატოვა ბრძოლების ცეცხლის აღში გახვეული საქართველო და თავის მოკავშირე ფრანგ–გერმანელ არმიასთან ერთად, მთავრობის მთელი შემადგენლობა გაემგზავრა საფრანგეთში და იქ დაბინავდნენ, გაანიავეს საქართველოდან წაღებული სახელმწიფოს ქონება და გააგრძელეს თავიაანთი თავადური უდრტვინველო ცხოვრება. და, თუ არა მათთან მყოფი ერთი დიდი პატრიოტი ექვთიმე თაყაიშვილის თავდადებული საქმიანობა საქართველოდან წაღებული ხელოვნების მთელი ეროვნული განძეულიც საფრანგეთის ბაზრის კუთვნილებად იქცეოდა

საქართველოს მენშევიკური მთავრობის ესოდენ უნიათო ხელმძღვანელობით საქართველოში წარმოებულ ბრძოლებს ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

ზოგიერთი მკვლევარი საქართველოს მენშევიკური მთავრობის ესეთ ქმედებას ამართლებს, ხოტბას ასხამს და მათ პატრიოტ მამულიშვილებად მოიხსენიებს. მე კი, როგორც იურისტი, ვიტყვი რომ მათი ესეთი ქმედება ხალხისა და ერის დალატის ტოლფასია. ესეთი რამ განსაცდელში მყოფ საქართველოს არც ერთ მეფესა და ხელისუფლებას არ უკადრებია. მსგავსი რამ თვით იმავე წლებში მომხდარი რევოლუციის გამარჯვებით გაწამებულმა რუსეთის მეფე – იმპერატორმაც კი არ იკადრა.

1921 წლის 16 მარტს რუსეთსა და თურქეთს შორის დადებული ხელშეკრულებით თურქეთმა უარი თქვა ბათუმისა და აჭარის ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილზე.

ცნობილია, რომ ადრე, სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებამდე საქართველოში არ არსებობდა უმაღლესი სასწავლებელი და ჩვენი თანამემამულენი განათლების მისაღებად ევროპისა და რუსეთის სხვადასხვა ქალაქში მიემგზავრებოდნენ. ეს წესი ვრცელდებოდა იურისტებზეც და იურიდიული განათლების მისაღებად საქართველოდან მიემგზავრებოდნენ საფრანგეთში, გერმანიაში, სანკტ-პეტერბურგში, ოდესაში, ხარკოვში ან სხვაგან.

მაგალითად, დიდიმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, ილია ჭავჭავაძემ თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1857 წელს სწავლა გააგრძელა სანკტ-პეტერბურგის იურიდიულ ფაკულტეტზე და იქიდან დაბრუნდა საქართველოში 1861 წელს. ცხადია, ილია ჭავჭავაძემდეც გვყვადა კარგი იურისტები, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოში, როგორც ავლნიშნეთ, ვერ შეიქმნებოდა ისეთი დიდ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები, როგორიცაა 10–11 საუკუნის ბექა – აღბუღასა და ბაგრატ [მეოთის] კურაპალატის სამართლებრივი აქტები და კანონები, რომელთა შემუშავება მეზოდმეტე – მეთვრამეტე საუკუნეებში მოღვაწე ვახტან მექესისა და ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწე ვახუშტი ბაგრატიონის სახელებთანაა დაკავშირებული. როგორც ავლნიშნეთ, ასევე, ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნეში ექვთიმე მთაწმინდელმა ბერძნულიდან თარგმნა „მცირე სჯულის კანონი“ და თავის განმარტებაში ჩამოაყალიბა საკუთარი პროგრესული შეხედულება ბრალის შესახებ. 11–12 საუკუნეებში კი არსენ იყალთოელმა თაგმნა „დიდი სჯულის კანონი“ და მის მიერვე იქნა შემუშავებული პირველი ქართული იურიდიული ტერმინოლოგია. 18–19 საუკუნის მიჯნაზე იქნა შედგენილი იოანე ბატონიშვილის „სჯულდების“ და დავით ბატონიშვილის „სამართალი“–ს წიგნები.

ქათული იურიდიული აზროვნების განვითარება – ჩამოყალიბებაში ასევე დიდი წვლილი შეიტანეს იმავე პერიოდში მოღვაწე ისეთმა ქართველმა იურისტებმა, როგორებიც იყვნენ: ნიკო ნიკოლაძე, არჩილ ჯორჯაძე, ილია ჭავჭავაძე და სხვ.

1918 წლის იანვარში დაარსდ თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტი, რომლის სოციალ-ეკონომიკურ ფაკულტეტთან ერთად დაიწყო იურიდიული კადრების მომზადება. შემდეგ ამ ფაკულტეტს ცალკე გამოეყო იურიდიული ფაკულტეტი და იგი უნივერსიტეტის არსებობის მუდმივი თანმამგზავრი გახდა..

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გარკვეულად შეიზღუდა ქართველი მეცნიერ იურისტების აქტიურობა კანონშემოქმედებით საქმიანობაში და მათ მიერ მომზადებულ კანონმდებლობას აშკარად ეტყობოდა რუსული კანონმდებლობის გავლენა. ზოგიერთ სახის კანონ=პროექტი კი პირდაპირ გადმოღებული იყო რუსეთის კანონებიდან. მოგვიანებით შეიქმნა საბჭოთა კავშირის ერთიანი საკავშირო კანონები. ასეთი მდგომარეობის მიუხედავად ქართველი მეცნიერ იურისტები დ პრაქტიკოსები ყოველმხრივ ცდილობდნენ ჩვენთან მოქმედი კანონებისათვის შეენარჩუნებინათ ქართული სული და ჩვენი ქართული ეროვნულ-ტრადიციული ნიშან– თვისებები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე შემდეგ თანდათანობის შეიქმნა მრავალი სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტი და დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებელი. უნივერსიტეტში, სამეცნიერო–პედაგოგიური საქმიანობასთან ერთად წარმოებდა დიდი სმეცნიერო – კვლევითი მუშაობა. სწორედ ამ სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ბაზაზე შექმნა 1935 წელს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილიალი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. შემდეგ კი იქვე 1941 წლის 10 თებერვალს ჩამოყალიბდა საქართველოლოს მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც ამშვენებდა მსოფლიოს მასშტაბური დონის მრავალი აკადემიკოსი. დღეს ეს აკადემია არსებობს „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია“-ს სახელწოდებით, რომელშიც მუშაობენ მსოფლიოში აღიარებული სხვადასხვა დარგის დიდი მეცნიერ – მკვლევარი აკადემიკოსები.

სახელმწიფო უნივერსიტეტის შემდეგ საქართველოში ინსტიტუტებიდან ყველაზე ადრე – 1921 წელს დაარსდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, რომელშიც ჩამოყალიბდა საამშენებლო, ელექტროტექნიკური, სამთო, ქიმიურტექნოლოგიური, მსუბჟი მრეწველობის, მექანიკური და მეტალურგიული ფაკულტეტები. ამ ფართო მასშტაბური სპეციალობების ინსტიტუტმა 1951 წლამდე, როგორც ეს მოხსენიებული იყო სპეციალურ ლიტერატურაში, ქვეყნას მოუმზადა 9500 –ზე მეტი მაღალკვალიფიციური ინჟინერი და იგი დაჯილდოვდა საბჭოთა კავშირის წითელი დროშის ორდენით.

რაც შეეხება დღევანდელ საქართველოს დამოუკიდებელი, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს პოლიტიკურ – ეკონომიკურ მდგომარეობას, ადრინდელთან შედარებით არც ეხლაა უკეთესი – სახარბიელო მდგომარეობა. ამიტომ საჭიროა საქართველოს მთავრობამ და სახელმწიფო ხელისუფლებამ მეტი გონიერება გამოიჩინონ, პოლიტიკოსებმა შეწყვიტონ ურთიერთ ქიშპობა, ხელისუფლებისათვის გამუდმებული ბრძოლა და სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა ორგანოებმა სწორი თანმიმდევრობით განახორციელონ სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ფუნქციები; სამართლდამცავმა ორგანოებმაც თავიანთი რთული საქმიანობა განხორციელონ მეტი პროფესიულიცოდნითა და ეროვნული პატრიოტული სულისკვეთებით; საქართველოს პარლამენტმა ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე უფრო დახვეწილი კანონები მიიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, არა მარტო ვერ შევძლებთ ამჟამინდელი დაკარგული ტერიტორიული მთლიანობის აღდგნას, არამედ შეიძლება მთელი ჩვენი წინაპრების სისხლით მორწყული, ღვთის მიერ ნაბობარი ეს უმშვენიერესი ბუნება და უმდიდრესი მიწა – წყალი, დადებითი ტრადიციული ადათ – წესებით შემკული ქართველი ხალხი, აქ დასახლებული, უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელ – მდიდარ ბიზნესმენთა ბატონობის ქვეშ აღმოჩნდეს და თვითონაც ჩვენი სარწმუნოებისა და ეროვნული ღირებულებების შემლახავი პროპაგანდისტი გახდეს. საჭიროა დაუყონებლივ აიკრძალოს უცხო ქვეყნის წარმომადგენლებზე ქართული მიწისა და მისი წიაღისეული სიმდიდრის გასხვისება [გაჩუქება, გაყიდვა, განვადება, იჯარით გადაცემა]. ამასთან საჭიროა სხვა სახელმწიფოების მსგავსად, ჩვენთანაც გართულდეს საქართველოს მოქალაქეობის მიღების წესი და ერთიანი ძალით ვიზროლოთ ქვეყნისა და ხალხის მომავალი კეთილდღეობისა და ქვეყნებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობისათვის.

საჭიროა ჩვენს ნიჭიერ, განათლებულ, ჯერ კიდევ შემორჩენილი პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდილ, სწორად და გაბედულად მოაზროვნე ახალგაზრდობას გაუხსნათ ფართო გზა ხელისუფლებისაკენ და შეცდომების თავიდან ასაცილებლად კონსულტანტებად ან მრჩევლებად მიუჩინოთ დიდი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პროფესიონალები.

აქვე მინდა რამოდენიმე სიტყვით შევჩერდე და ზოგად ასპექტებში წარმოვაჩნო საქართველოში იურიდიული განათლების მიმდინარეობის ზოგიერთ საკითხი და სამეცნიერო – პედაგოგიურ საქმიანობაში მოღვაწე წინა და მომდევნო თაობების ავტორიტეტული პროფესორ – მასწავლებლების

კეთილშობილური საქმიანობა, იურიდიული კადრების მომზადებისა და მათი დასაქმების წესი და სხვ.

საქართველოში იურიდიული განათლების მიღების შესაძლებლობა გახდა სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნისთანავე სოციალ – ეკონომიურ ფაკულტეტთან ერთად. ცოტა მოგვიანებით კი ცალკე ჩამოყალიბდა იურიდიული ფაკულტეტი, რომელიც მთელ საქართველოს რესპუბლიკაში იყო იურიდიული კადრების მომზადების ერთადერთი კერა გასული საუკუნის მიწურულამდე.

იურიდიულ ფაკულტეტზე პირველ ხანებში ლექციების კურსს საქართველოს სამართლის ისტორიაში კითხულობდა უშუალოდ თვითონ დიდი ივანე ჭავახიშვილი, რომელმაც მეცნიერების ამ დარგში შექმნა მრავალი საინტერესო ფუნდამენტური ნაშრომი.

უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ლექციების კურსს ფილოსოფიაში კითხულობდა აგრეთვე დიდი მეცნიერი – მკვლევარი, აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე.

ჩემი ძვირფასი მასწავლებლები განსაკუთრებული სიყვარულითა და მოკრძალებული პატივისცემით იხსენიებდნენ აგრეთვე ადრინდელ პერიოდში იურიდიულ ფაკულტეტზე მოღვაწე, მოსკოვიდან მოწვეულ დიდ პრაქტიკოს იურისტს ლუარსაბ ანდრონიკაშვილს, რომელიც კითხულობდა ლექციების კურსს სამართლის თეორიასა და სისხლის სამართალში. ასევე დიდი პატივისცემით მოიხსენიებდნენ იროდიონ სურგულაძეს, ფილიპე გოგიჩაიშვილსა და ნანეიშვილს.

აქვე არ შეიძლება რამოდენიმე სიტყვით არ მოვიხსენიო მეოცე საუკუნის ერთ – ერთი დიდი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ – კორესპონდენტი, მოსკოვის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი ვიქტორ ჩხიკვაძე, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის საბჭოთა კავშირში დემოკრატიის განვითარებასა და იურიდილ მეცნიერებათა კადრების მომზადებაში.

პირადად ჩემი და ჩემი თაობის იურისტებისა და მეცნიერი მკვლევარი იურისტების ჩამოყალიბებაში უდაოდ დიდი ღვაწლი მიუძღვით ჩვენს ძვირფას იურისტ პროფესორ – მასწავლებლებს: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსებს: პროფესორ ისიდორე დოლიძეს, პროფესორ ლევან ალექსიძესა და პროფესორ სერგო ჯორბენაძეს; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ–კორესონდენტებს: პროფესორ გივი ინწკირველსა და ჩემი სადიპლომო ნაშრომის ხელმძღვანელს პროფესორ თინათინ წერეთელს; პროფესორებს: – ალექსანდრე ვაჩევიშვილს, ბექან ხარაზიშვილ–ხორნაბუჯალს, ბორის ფურცხვანიძეს, ივანე სურგულაძეს, ევგენი ნეიძეს, ნიკო ლომსაძეს, გრიგოლ ერემოვს, გივი ჟვანიასა და სხვ.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში სწავლის დროს, სტუდენტი ვაჟები სამხედრო მომზადებასაც გადიოდნენ და დამთავრების შემდეგ ენიჭებოდათ ოფიცრის წოდება. მეორე კურსის სტუდენტები ერთ თვიან გასაცნობ პრაქტიკას გადიოდნენ სამართალდამცავ ორგანოებში. თეორიული კურსის დამთავრების შემდეგ კი მეხუთე კურსზე სამი თვით გადიოდნენ სავალდებულო საწარმოო პრაქტიკას სამართალდამცავ ორგანოებში. თეორიული კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტი მუშაობდა სადიპლომო ნაშრომზე და მას იცავდა კათედრის სხდომაზე. შემდეგ მისი დაცვები გადატანილი იქნა სახელმწიფო საგამოცდო კომისიაზე. გარდა სადიპლომო ნაშრომისა, კურსდამთავრებული გამოცდას აბარებდა ორ საგანმზ. გამოცდების დამთავრების შემდეგ ხდებოდა დღის სწავლების სტუდენტთა სამუშაოზე განაწილება შრომის მოწყობის სახელმწიფო კომისიის მიერ.

დღისა და საღამოს სწავლების განყოფილებაზე სწავლის ხანგრძლივობა იყო ხუთი წელი. დაუსწრებელ განყოფილებაზე კი ექვსი წელი. ყველა სასწავლო საგანში შედგენილი პროგრამა დაბეჭდილი და დამტკიცებული იყო განათლების სამინისტროს მიერ.

ფაკულტეტს გააჩნდა რამოდენიმე კათედრა რომელზეც თანამშრომლობდნენ პროფესორ–მასწავლებლები ცალკეული დისციპლინების მიხედვით. კათედრებზე იქმნებოდა სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სასწავლო მეთოდური მითითებები და პროგრამები. კათედრები იყო ის ძირითადი მამოძრავებელი ბირთვი, რომელთა მეშვეობითაც დეკანატი ახორციელებდა სამეცნიერო – პედაგოგიურ და სტუდენტთა აღმზრდელობით საქმიანობას და ყოველივე ამით ხელს უწყობდა ფაკულტეტის საერთო საქმიანობის წარმოჩინებას. ამიტომ, მიმაჩნია, რომ კათედრების გაუქმება არასწორი იყო და იგი დროულად უნდა იქნას აღდგენილი.

გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებოდა სამეცნიერო კადრების მომზადებაც, კათედრა წყვეტდა საკითხს მასში შემავალ რომელ საგანში იყო საჭირო ასპირანტის მომზადება და იმის მიხედვით აცხადებდა კონკურს, რომელშიც მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდა წარჩინებით კურს– დამთავრებულსა და სპეციალობით ორი წლის მუშაობის სტაჟის მქონე პიროვნებას. ასპირანტურაში ჩაირიცხებოდა ის ვინც მისაღებ გამოცდებს წარმატებით ჩააბარებდა და კონკურსში გაიმარჯვებდა.

ასპირანტს ევალებოდა საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებილ საგნებში გამოცდა უფრო ფართო მოცულობით ჩაებარებინა კომისიის წინაშე. ამასთან ასპირანტს ევალებოდა სადისერტაციო თემის ძირითადი საკითხები გამოექვეყნებინა ორ ან მეტ სამეცნიერო ნაშრომში. სრულყოფილი სახით მოემზადებინა სადისერტაციო ნაშრომი, გაეფორმებინა დადგენილი წესით და ავტორეფერატთან ერთად დასაცავად წარედგინა სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარესთან, ან საბჭოს სწავლულ მდივანთან.

სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობასა და თავმჯდომარეს ამტკიცებდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საატესტაციო კომისია. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ მხოლოდ მეცნიერებათა დოქტორები. პროფესორის სამეცნიერო წოდება ენიჭებოდა მხოლოდ მეცნიერებათა დოქტორს და მას ამტკიცებდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საატესტაციო კომიტეტი. თუ სამეცნიერო საბჭო, რომელიმე დავაწლომოსილ მეცნიერბის კანდიდატს სადოქტორო დისერტაციის დაცვის გარეშე მიანიჭებდა პროფესორის წოდებას, მას მაინც არ ეძლეოდა პროფესორის სრული ხელფასი. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი 1991 წლიდან დისერტაციის დაცვის პროცესი გამარტივდა და დისერტანტს საძიებო ხარისხი ენიჭება სადისერტაციო სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დისერტაციის დაცვის მომენტიდან.

ამჟამად კიდევ უფრო გაფართოვდა ქართველი სტუდენტების ამერიკისა და ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში მივლინებები და იქ ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში სწავლება ან სტაჟირებაზე გავლა. ამასთან აქტიურ მონა– წილეობას იღებენ საერთაშორისო სამეცნიერო კონერენციებში და სხვ.

ყოველივე ეს, ცხადია, კარგია მაგრამ განათლების ამ სისტემასაც აქვს მთელი რიგი ნაკლოვანი მხარეები, რაც უპირველესად გამოიხატება სასწავლო პროგრამების სიჭრელეში. სათანადო ყურადღება არ ექვევა იურიდიული ფაკულტეტის ძირითადი, ფუნდამენტური საგნების საფუძვლიან შესწავლას. მაგალითად, სისხლის სამართალი მხოლოდ ორი სემესტრი ისწავლება. სისხლის საპროცესო სამართალი კი მხოლოდ ერთი სემესტრი, თუმცა ამჟამად ზოგიერთ უმაღლეს სასაწავლებელში ორსემესტრიანი გახდა. კრიმინალისტიკის საგანი კი ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში საერთოდ არ ისწავლება, ზოგან იგი გადატანილია მხოლოდ არჩევით საგნად შემცირებული საათების რაოდენობით მხოლოდ ერთი სემესტრი, ისიც მხოლოდ სისხლის

სამართლის სპეციალობით მოსწავლე სტუდენტებთან. მაშინ, როცა კრიმინალისტიკის საგანის ცოდნა ესაჭიროვება ყველა იურისტს. ამიტომ ადრე კრიმინალისტიკა ისწავლებოდა სამი სემესტრი 370 საათის რაოდენობით.

ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია სპეციალობის მიხედვით გააფართოვოს სასწავლო საგანთა წრე. არაერთხელ მითქვამს და კვლავ ვიმეორებს: არაფერი დაშავდება თუ კიდევ უფრო გავაფართოვებთ იურიდიულ სწავლებას და მას სხვა დარგის სპეციალისტებისათვისაც ხელმისაწვდომს გავხდით და პროგრამით გათვალისწინებული საგნებისა და საკითხების შემდეგ მათ ძირითად სპეციალობასთან ერთად იურისტის სპეციალობასაც მივანიჭებთ. მაგალითად, ინჟინერ – იურისტი, ქიმიკო – იურისტი, ფიზიკოს – იურისტი და სხვ.

ამ მხრივ უდაოდ კარგი და მისაბაძია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სასწავლო პროგრამა, რომელშიც ცალკე დამოუკიდებელ დისციპლინებადაა შეტანილი საინჟინრო სამართალი, საამშენებლო სამართალი, საგამოძიებო და საპროკურორო სამართალი და სხვ.

. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ აյ კრიმინალისტიკის საუკეთესო ლაბორატორიაა, სასწავლო პროგრამით კრიმინალისტიკის საგანის სწავლება არასრულყოფილი სახითაა გათვალისწინებული და მაგისტრებთან კრიმინალისტიკის კერძო ნაწილი: – ცალკეული სახის დანაშაულთა გამოძიების, გახსნისა და თავიდან აცილების მეთოდიკის საკითხები საერთოდ არ ისწავლება..

ვფიქრობ, არსებითად დასახვეწია თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა, რომლითაც თითქმის უარყოფლია საქართველოში მეცნიერების, ხელოვნების, ისტორიის, ეროვნულ–პატრიოტული მოვლენებისა და მიღწევების წარმოჩინება, პოზიტიური იდეოლოგიისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის პრობლემები და სხვ..

რეზიუმე

ნაშრომში განხილული, გამოკვლეული და ზოგად ასპექტებში წარმოჩენილია ქართული იურიდიული აზროვნების, კანონმდებლობის განვითარებისა და იურიდიული კადრების მომზადების საკითხები 2018 წლამდე და მის შემდეგ – დღემდე.

Resume

The study has examined, researched and presented general aspects of Georgian legal thinking, Legislation development and trainings of Legal staff before and after 2018 - up to now.

1. სამართლიანობის ორი ტრადიციის კვალდაკვალ

ირაკლი გაბისონია
პროფესორი
ალექსანდრე ტალიაშვილი
პროფესორი
სალომე ხიზანიშვილი
პროფესორი

არისტოტელემ სამართლიანობაზე მსჯელობისას მრავალმხრივ საყურადღებო განაცხადი გააკეთა. აი, რას წერს იგი: „მხოლოდ ის სახელმწიფო წყობა, რომელსაც მხედველობაში აქვს სამართლიანობის შესაბამისად საერთო სარგებლობა, არის სწორი, ხოლოის, რომელსაც მხოლოდ მმართველთა სიკეთე აქვს მიზნად, მცდარია და სწორიდან გადახრაა. ამგვარი აგებულია ბატონობის საწყისებზე. სახელმწიფო კი თავისუფალ ადამიანთა ურთიერთობაა“¹

ფილოსოფოსი სამართლიანობას წარმოადგენს ადამიანთა შორის ურთიერთობებისა და სოციალური წესრიგის ზნეობრივ ფაქტორად. სამართლიანობა უმაღლესი სათნოებაა, კანონისშესაბამისი. სოციალურ სფეროში კანონის დაცვის გარანტი სახელმწიფოა. იგი იღებს ლეგიტიმურ ვალდებულებას, დაარეგულიროს თავისუფალ ადამიანთა ურთიერთობებიდა საზოგადოების ცხოვრებაში წესრიგი დაამკიდროს. სამართლიანობის პრინციპების რეალურ ცხოვრებაში დამკიდრება სახელმწიფოებრიობის იდეალია.

ციცერონმა დიდი წინამორბედის აზრი სპეციფიკური ნიშნით შეავსო. საკუთარი თვალსაზრისი (როგორც უკვე აღვნიშნეთ), მან ადამიანთა ეთიკური და სამართლებრივი თანასწორობის ფუნდამენტურ იდეას დააფუძნა, რომლის წინაშე ადამიანი უფრო მეტად ვალდებულია, მაგრამ უფლებამოსილიც, საკუთარი სამოქალაქო სტატუსი თავად განსაზღვროს.

აღნიშნული ასპექტების გამოკვეთით ციცერონის მოძღვრება ანტიკურობის პოლიტიკური ეთიკიდან სამართლის ეთიკაზე გადასვლის ერთგვარი ხიდი აღმოჩნდა. აქ ჩაეყარა (სტოიკოსებთანერთად) საფუძველია ხალ ჰერაკლიტური კულტურას, რომელიც ანტიკური კოსმოცენტრისტული პარადიგმიდან აღორძინების ეპოქაში ანთროპოცენტრისტულ პარადიგმაზე გადასვლით გამოიხატა და რომელმაც მომდევნო ეპოქების პოლიტიკურ-სამართლებრივ ცხოვრებაში არსობრივი ცვლილებები გამოიწვია.

წარმოდგენილმა ცვლილებებმა თავისებური ასახვა პოვა სამართლიანობის ბუნებისა და საგნის განსხვავებულ შეფასებებში, რომლებიც ანტიკურობიდან აღორძინების ეპოქაზე გავლითორი განსხვავებული ტრადიციის სახით გამოიკვეთა. „ზოგადი სამართლიანობის პირველგანხილულ მოდელს შეგვიძლია ვუწოდოთ კომპერატიულ-ჰილისტური (პლატონი, არისტოტელე, ჰეგელი, მარქსი), ... მეორემოდელს - კონფლიქტურ-ინდივიდუალისტური (ჰობსი, ლოკი, კანტიდასხვ.)“²

რასაკვირველია, მათარსებობას განსხვავებული საზოგადოებრივი პრაქტიკა განაპირობებს.

სამართლიანობის პირველი ტრადიცია, ე.წ. კოოპერატიულ-ჰილისტური, ანტიკურობის პირმშოა. მისი სრულიანალიზი წინაკვლევებში ვრცლად წარმოვადგინეთ (პლატონისა და არისტოტელეს მოძღვრებათა შეფასებისას).

¹ არისტოტელე, პოლიტიკა, ნაწ. 2,ძვ. ბერმბ. თარგმნა, შესავ. წერილი და განმარტებები დაურთოთ ამარ კუკავამ, თბილისი, 1996. გვ. 56.

² ЭТИЧЕСКАЯ МЫСЛЬ. Выпуск 2. Российская Академия Наук, Институт философии. Москва, 2001. წყარო: <http://imperialcommiss.livejournal.com/999543.html>

ამ კონკრეტულ შემთხვევაში მასზე ვსაუბრობთ, როგორც სამართლიანობის მეორე ტრადიციის წარმოშობის წინაპირობაზე. რასაკვირველია, ისტორიული ცვლილებების ფონზე და სამართლიანობის ბუნებისა და საგნის ცვლილების გათვალისწინებით.

გაირკვა, რომ პირველი ტრადიცია სახელწიფოს უნივერსალურ მნიშვნელობას - კოოპერაციის იდეას ეფუძნება.

კოოპერატიულ-ჰილისტური მოდელის მიხედვით, სახელმწიფო და საზოგადოება გაგებულია ადამიანთა კეთილშობილურიცხოვრების ადგილსამყოფლად, ურთიერთობების საუკეთესო ფორმად, სადაც პიროვნებას შეუძლია სრულყოფილების მიღწევა (შრომის დანაწილების პრინციპით), საკუთარი თავის რეალიზაცია, ადამიანური ევდემონიის სივრცეში საკუთარი შემოქმედებითი ძალების გაშლა-განვითარება, ბუნებრივი მდგომარეობიდან ზნეობრივად სრულყოფილ, კეთილშობილ პიროვნებამდე ამაღლება. საბოლოო აზრით, სახელმწიფოებრივი სიკეთე მაღლა დგას ცალკეული ინდივიდის სიკეთეზე.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფო წარმოდგენილიაროგორც განხორციელებული გონება, როგორც ადამიანური გონების საგნობრივი გამოხატულება (ანტიკურობაში ამ თვალსაზრისს იცავენ პლატონი, არისტოტელე და ციცერონი); შესაბამისად, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეთიკური ჰიპოსტრასირება საგნობრივი სამართლიანობის სახით, ადგილსპოულობს სამართლიან პიროვნებაში, ინდივიდუალურ კეთილშობილებაში, მისზნებრივ სიმყარესა და პატიოსნებაში. სამართლიანი პიროვნების ძირითადი და სპეციფიკური თვისება მოვალეობის შესრულებაა როგორც სახელმწიფოს, ასევე, მეორე ადამიანის მიმართ. აღნიშნული ინტერპრეტაციით სამართლიანობის ბუნებისა და საგნის კვლევ ამორალური ფილოსოფიის საგანია. სამართლიანობის მეორე ტრადიციას რულყოფილად „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ კონცეფციებში განხორციელდა; ისეყრდნობა ადამიანის ბუნებითი მდგომარეობის - თანასწორობის - ჰიპოთეზას; ხოლო ადამიანთა ბუნებითი თანასწორობა ინტერპრეტირდება როგორც თავისუფლება. ეს კი წინააღმდეგობებს აჩენს, ვინაიდან ადამიანთა საყოველთაო თანასწორობისა და თავისუფლების მოთხოვნა ქმნის საყოველთაო ანარქიას. უსაზღვრო თავისუფლების ფლობით ინდივიდები ერთმანეთთან ტოტალური საშიშროების წინაშე, განუწყვეტილ კონფლიქტებში აღმოჩნდებიან და, ერთი შეხედვით, ამაღლებული მოთხოვნა „ყველაფრის უფლებისა“ საბოლოოდ უფლებების არ არსებობას იწვევს.¹

ბუნებრივია, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ასეთი ვითარება ქაოსს მოასწავალი კი სახელმწიფოა, რომელიც ახდენს ინდივიდთა უფლება-მოვალეობების სწორად გადანაწილებას, რაც მათ უსაფრთხოების გარანტიებს უქმნის. შესაბამისად, „ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოები ვისამართლიანობა ინდივიდთა კეთილდღეობითი ზომება. ზნეობრივად სანქცირებული საზოგადოებრივი მიზანი ხდება, ბენტამის სიტყვებით რომ ვთქვათ, მოაქვს „მეტი ბედნიერება მეტი ადამიანისათვის“. მეორე ტრადიციის მიხედვით, სამართლიანობა სამართალს ემთხვევა და ის სოციალურ მეცნიერებათა საგანია. რა საერთო დაგანმასხვავებელი ნიშნები აქვს სამართლიანობის ორ ტრადიციას?

ორივე ტრადიციის მიხედვით, სამართლიანობა გაგებულია როგორც მოთხოვნების ინსტუციონალიზებული ერთიანობა, კოდიფიცირებული, ობიექტური პრინციპი, რომელიც სუბიექტის მიერ სახელმწიფოებრივად დადგენილი ნორმების აღიარებასა და მისადმი დაქვემდებარებას ითვალისწინებს.

გარდა ამისა, ორივე ტრადიციის მიხედვით, სამართლიანობა სამართალშიც და მორალშიც თანასწორობას ემთხვევა, თუმცა მისი გაგება განსხვავებულია. თანასწორობა ზნეობრივი (ეთიკური) მნიშვნელობით სრულყოფილ საყოველთა „კუთვნილებაა“. მამინ, როდესაც სამართლებრივი სამართლიანობა არითმეტიკული თანასწორობით იზომება და საზოგადოების პრაქტიკულ ცხოვრებაში დავის მთავარი საგანია. უთანასწორობას ქმნის სოციალური სივრცე, ხოლო უთანასწორობის ლეგიტიმაციას - „დამფუძნებლები“; ამას შედეგად მოსდევს არასამართლებრივი სტრუქტურების წარმოშობა. აქ ჩნდება გადაუჭრელი „პრობლემაც - თანასწორობისა და უთანასწორობის შეთავსება, რომლის გადაწყვეტის

¹ ЭТИЧЕСКАЯ МЫСЛЬ. Выпуск 2. Российская Академия Наук, Институт философии. Москва, 2001. Редактор: <http://imperialcommiss.livejournal.com/999543.html>

უჩვეულო სირთულე საზოგადოებრივი აღშფოთების ძირითადი წყაროა და რომელიც სამართლიანობისათვის ბრძოლის დროშით მიმდინარეობს“.¹

გამოდის, რომ სამართლიანობის ორივე მოდელი გარკვეულწილად ნაკლოვანია. კოოპერატიულ-ჰილი-სტურის „ძირითადი ნაკლი ისაა, რომ მას არა აქვს პასუხი კითხვაზე - ვინ აწესებს და ვინ არის სამართლიანობის სუბიექტი“, ხოლო მეორემოდელის ძირითადი ნაკლიისაა, რომგონიერი, თავისუფალი ინდივიდი, რომელიც სინამდვილეში ისტორიის განვითარების პროდუქტი და მისი შედეგია, ამ შემთხვევაში ისტორიისწინაპირობისხარისხითგანიხილება“.²

სამართლიანობის პირველი ანტიკური ტრადიცია, (მხედველობაში გვაქვს სამართლიანობის არისტოტელესეული გაგება) სამართლიანობის ყველა მომდევნო თეორიული კონსტრუქციის საფუძველი გახდა, მათშორის, მეორე ტრადიციისაც, რომელსაც ეწოდება „ხელშეკრულების თეორია“, (თ.ჰობსი, ჯ.ლოკი, ჟ.ჟ.რუსო. ი.კანტი), რომლის განხილვა-შეფასება ჩვენი კვლევის მიზანია, თუმცა, ვიდრე კონკრეტულად ამ კუთხით გავაგრძელებდეთ მსჯელობას, ლოგიკურია ვისაუბროთ შუა საუკუნეების ფილოსოფიურ ტრადიციებზე, რომელთაც თავისებური წვლილი შეიტანეს აღორძინების ეპოქის მომზადებაში ჰუმანისტური პრინციპების საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელების მოთხოვნით. ამას ჩვენი კვლევის მომდევნო ნაწილში წარმოვადგენთ.

სამართლიანობისათვის ბრძოლა ეპოქალური ცვლილებების ფონზე და თანასწორობისა და თავისუფლების იდეის განხორციელების მოთხოვნით მიმდინარეობს, ხოლო ნებისმიერი სამართალსუბიექტის (ეს იქნება ცალკეული ინდივიდი, კონკრეტული ქვეყანა, განვითარებული თუ განვითარებადი საზოგადოება) სახელმწიფოებრივი ცხოვრება მის მიერ სამართლიანობის განხორციელებისა და დაცვის ნიშნულით იზომება; განსაკუთრებით იმ „წილის“ დადგენით, რაც მას აქვს საზოგადოებრივი სიკეთეების გადანაწილებაში ამ სიტყვის ფართო და ვიწრო გაგებით. დღევანდელი გადასახედიდან, გლობალური სამყაროს ჩამოყალიბების პირისპირ, ეს პროცესი გაცილებით მძიმე ფორმებს იღებს, როცა არნახულად იზრდება ქონებრივი უთანასწორობა როგორც ცალკეულ ადამიანთა, ასევე, ერებსა და ქვეყნებს შორის.

ჩვენი მსჯელობის ფაქტობრივი მაგალითი საქართველო და მისი თანამედროვე მდგომარეობაა, ნიმუში იმისა, თუ რამდენად მვირად უღირს და მვირად უჯდება ქვეყანასა თუ ერს სამართლიანობის მოპოვება, თუნდაც ეს პროცესი მიმდინარეობდეს საერთაშორისო სამართლის არსებობის პირობებში და მისი მოქმედების ფარგლებში, კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ სამართლიანობის მოპოვების სიმებულებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. რეალობაა ისიც, რომ სამართლიანობის დამკვიდრება საზოგადოებრივი ცხოვრების როგორც დიდ, ასევე, პატარა მონაკვეთზე თანამედროვე ადამიანმა დაბალანსებულ სამყაროში იცხოვროს.

დღესდღეობით სამართლიანობის დაცვა საერთაშორისო სამართლის მყარი მექანიზმების შექმნისა და გააქტიურების საფუძველზე მიმდინარეობს, ხოლო თვით ეს პროცესი უწყვეტი და შეუქცევადია. შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვა სამართლის ნებისმიერი სუბიექტის მიერ ხდება არა მხოლოდ სასურველი და აუცილებელი ნორმა (საერთაშორისო მშვიდობისათვის ბრძოლაში), არამედ, უპირველეს ყოვლისა, საიმისო მოვალეობა, რომ თანამედროვე ადამიანმა დაბალანსებულ სამყაროში იცხოვროს.

XXI საუკუნის გადასახედიდან, მსოფლიო ისტორია და განახლებული, განვითარებული სახელმწიფოებრივი ცხოვრების ტრადიციებია მისი დასტურია.

ჩვენი კვლევის მიზანი აღნიშნულ ტრადიციებთან ზიარების მაღალი მოთხოვნაა, იდეა -დანარჩენ ცივილიზებულ სამყაროსთან საქართველოს დაკავშირება.

სამართლიანობის საკითხთა ჩვენ მიერ წარმოდგენილი ნუსხაც ამ მოტივით იმენს ცენტრალურ მნიშვნელობას; ამავემიზნითი ქმნება წინამდებარე ნაშრომი. ის ორიენტირებულია ქართულ სახელმწიფოში

¹ წყარო:<https://iphlib.ru/greenstone3/library/collection/newphilenc/document/HASH9f5facde7eb2c0a 9b05ef>.

² იქვე

სამართლებრივი კულტურის განვითარებაზე, რომელიც გულისხმობს ქვეყანაში საზოგადოებრივად აუცილებელი მყარი ზნეობრივ-სამართლებრივი მექანიზმების შექმნას და პრაქტიკულ ცხოვრებაში მათ ჩართვა-გააქტიურებას; და, რაც მთავარია, სამართლიანობის პრინციპების დაცვის მოთხოვნითა და მის საფუძველზე დანარჩენმსოფლიოსთანერთად საქართველოში სამართლიანი თანაცხოვრებისათვის ხელის შეწყობას.

რეზიუმე

სამართლიანობის ორი ტრადიციის განხილვისას, ერთი მხრივ, აქცენტი კეთდება სამართლიანობის არსზე, მისი ბუნებისა და საგნის კვლევაზე, ხოლო, მეორე მხრივ, პიროვნებისა და სახელმწიფოს როლზე, მათი მოქმედების ზნეობრივ-სამართლებრივ მასშტაბებზე.

პირველი, ე.წ. კოოპერატიულ-ჰილისტური (პლატონი, არისტოტელე, ჰეგელი, მარქსი) მოდელის მიხედვით, სახელმწიფო უპირველესი არსია. სახელმწიფოებრივი სიკეთე ცალკეული ინდივიდის სიკეთეზე უპირატესია.

საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეთიკური ჰიპოსტაზირება ხორციელდება ინდივიდში, სამართლიანობის, როგორც უმაღლესი სათნოების, საფუძველზე.

თუმცა სამართლიანობის აღნიშნული მოდელი, რომელიც ადამიანთა შორის ბუნებითი უთანასწორობის თეზას ეყრდნობა, რეალურ ცხოვრებაში სამართლიანობის განხორციელების მყარ გარანტიებს ვერ გვთავაზობს.

სამართლიანობის მეორე ტრადიციაც გარკვეულწილად ნაკლოვანია. კონფლიქტურ-ინდივიდუალისტური ტრადიციის მიხედვით, თავისუფალი ინდივიდი, როგორც ისტორიისსამართალმემკვიდრე, ისტორიის წინაპირობისა და არა მისი შედეგის სახით განიხილება.

სამართლიანობის ორივე მოდელი (მეტ-ნაკლები აქტივობით) ნებისმიერ სახელმწიფოებრივ რეალობაში მოქმედებს და მის თავისებურებებს განსაზღვრავს.

R E S U M E

When discussing two traditions of justice, it is focused, on the one hand, on the essence of justice, on research of its nature and subject, and on the other hand on the role of a person and a state and moral-legal scales of their action.

According to the first, so-called cooperative-holistic (Plato, Aristotle, Hegel, Marx), model the state is the first essence. State goodness is prior to goodness of separate individuals.

Ethical hypostation of the society and of the state is implemented in an individual on the basis of justice as the highest virtue.

However, the mentioned model of justice, which is based on the thesis of natural inequality between people, offers no solid guarantees of implementation of justice in real life.

The second tradition of justice is defective to a certain extent. According to conflict-individualist tradition a free individual is considered as a legal successor of history, as precondition of history and not as its result. Both models of justice, with more or less activity, works in any state reality and determines its peculiarities.

2. სამართლიანობის გაგება ჯონ ლოკის ფილოსოფიაში

ირაკლი გაბისონია
პროფესორი
ალექსანდრე ტალიაშვილი
პროფესორი
სალომე ხიზანიშვილი
პროფესორი

ინგლისური ფილოსოფიის მეორე დიდმა წარმომადგენელმა ჯონ ლოკმა (1632-1704) კონვენციონალიზმი პოზიტიური შინაარსით შეავსო. ლიბერალისტული დოქტრინა ფილოსოფოსს გადმოცემული აქვს ძირითად შრომაში “ორი ტრაქტატი მმართველობაზე”. სამართლიანობის ცნებასა და მის საგნობრივ ბუნებას იგი აანალიზებს ლიბერალური პოლიტიკური შეხედულებების ფონზე.

მკვლევართა უმრავლესობა ჯონ ლოკის პოლიტიკური ფილოსოფიის თავისებურებებს თომას ჰობსის პოლიტიკური კონცეფციის პარალელურად იხილავს, რაც ლოგიკურია. ჯერ ერთი, ლოკი საკუთარ შეხედულებებს სწორედ ჰობსის საწინააღმდეგოდ ავთარებს, და, მეორეც, ლოკი საღი აზრის პოზიციიდან მის დაცვას ცდილობს. საქმე ეხება სერ რობერტ ფილმერის მიერ ჰობსის საზოგადოებრივ ხელშეკრულებაზე დამყარებული სახელმწიფოს თეორიის კრიტიკასა (მან ამ მიზნით გამოაქვეყნა საკუთარი ნაწარმოები – “პატრიარქი”) და ლოკის მიერ ჰობსის თვალსაზრისის პოზიტიურ განვითარებას. ფილმერი მონარქიული პოლიტიკური სისტემის მომხრეა, იცავს მეფეთა ღვთაებრივი წარმოშობის იდეას. ჰობსის პოლიტიკურ თეორიაში პრიორიტეტული ხელშეკრულებების საკითხია, რომელიც ეფუძნება ადამიანთა შორის თანასწორობისა და თავისუფლების მოთხოვნების ორმხრივ აღიარებას. მას ჯონ ლოკი პოზიტიური კუთხით ავითარებს, თუმცა, მიუწედავად აზრთა თანხვედრისა, ჰობსისა და ლოკის მოძღვრებებს შორის პრინციპული განსხვავებები იკვეთება. ეს სამართლიანობის საკითხის გაგებასაც ეხება.

თომას ჰობსის სამართლიანობას ავტორიტარიზმის სულისკვეთება მსჭალავს. ჯონ ლოკი სხვა გზით მიდის; სამართლიანობას ინდივიდუალური უფლებების კიდევ უფრო გაზრდისა და დაცვის მოტივით ლიბერალურ სულს შთაბერავს (თომას ჰობსთან სამართლიანობის ლიბერალური სული მხოლოდ ნაწილობრივ შეიმჩნევა) და ჰობიტიკაში ამკვიდრებს. სამართლიანობის განმსაზღვრელ ფაქტორებს - თავისუფლებასა და თანასწორობას - სამართალსა და კანონზე აფუძნებს და მასზე საზოგადოების ძალაუფლებას ავრცელებს.¹

ლოკის ჰობიტიკური ფილოსოფიის ქვაკუთხედი ლიბერალურ-კონსტიტუციური პრინციპია. სამართლიანობის საკითხიც ამ სიბრტყეზე განიხილება, თუმცა „რეკონსტრუქცია იმისა, თუ

როგორ განსაზღვრავს ლოკი სამართლიანობას, - მარტივი ამოცანა სულაც არ არის“,¹-წერს უკრაინელი ფილოსოფოსი დ.ი. კირიუხინი და ამის მიზეზებზე მსჯელობს; ამასთანავე, იგი გვთავაზობს ლოკის ფილოსოფიით დაინტერესებული ზოგიერთი მკვლევრის თვალსაზრისს, რასაც ჩვენც ვიზიარებთ.

თავად დ.ი. კირიუხინი არ ეთანხმება გავრცელებულ აზრს, რომ ჰობსი ტოტალიტარიზმის მემკვიდრეა (რასაკვირველია, ჯონ ლოკი, - ლიბერალიზმისა). „ლევიათანის“ ავტორის მიმართ ასეთი მიდგომა მოაზროვნეს რადიკალურად და გადამეტებულად მიაჩნია; მთავარ არგუმენტად მოაზროვნეს თავად ჰობსის მოძღვრება მოყავს, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ძალაუფლების სამართლებრივი და თავისუფალ და თანასწორ ინდივიდთა შორის ურთიერთობების ნორმატიული რეგულაციის პრობლემები, რაც, ჰობიტიკური ანთროპოლოგიის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია. ბრიტანეთის აკადემიის წევრი პ. ლასლეტი ფიქრობს, რომ ლოკისა და ჰობსის იდეური სიახლოვე იმის არგუმენტებსაც იძლევა, რომ ორ ინგლისელ ფილოსოფოსს შორის დაპირისპირება „ერთი პარტიის

¹ ციტ. კიрюхин დ.ი. ПОНИМАНИЕ СПРАВЕДЛИВОСТИ ДЖОННОМ ЛОККОМ. გვ.84. წყარო: <https://cyberleninka.ru/article/n/ponimanie-spravedlivosti-dzhonom-lokkom>.

ჩარჩოში“ განვიხილოთ, თუმცა „თანაპარტიელობა“ საღი აზრის პოზიციიდან მათ მსოფლმხედველობრივ დაპირისპირებას არ გამორიცხავს, რაც ლოგიკურია და რაც სინამდვილეში ასეც მოხდა. გონებით რაციონალისტსა და რწმენით მეტაფიზიკოს ლოკს (რომელიც მიიჩნევს, რომ ზებუნებრივი წესრიგი ან ჭეშმარიტების ღვთაებრივი გამოცხადების ნამდვილობა გონების საპირისპირო კი არ არის, არამედ გონებაზე მაღლა დგას) „თანაპარტიელის“ წინაადმდევ კონტრარგუმენტები აქვს. იგი „ლევიათანის“ ავტორს, უწინარეს ყოვლისა, უტილიტარიზმის გამოვლინებებს უწუნებს იმ აზრით, რომ თითქოს ეთიკურ ნორმებს კონვენციური საფუძველი და ძალა არა აქვს; რომ ბუნებითი კანონების მნიშვნელობა თითქოს მხოლოდ ადამიანის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფამდე, ანუ უტილიტარულ სარგებლამდე, დადის.

ლოკის არგუმენტი ასეთია: „თუ ბუნებითი კანონი მხოლოდ თვითშენახვას გულისხმობს, მაშინ სიკეთე არა იმდენად მოვალეობაა, რამდენადაც სარგებელი (convenience), და ზნეობრივი იქნება მხოლოდ ის, რაც სასარგებლოა (useful), ხოლო ამ შემთხვევაში ბუნებითი

კანონის დაცვა მოვალეობა ან აუცილებლობა კი არ ხდება, არამედ პირდაპირ იქნება დამოკიდებული სარგებელზე (excedency)¹, რომელსაც ადამიანმა საკუთარი ცხოვრება უნდა მიაკუთვნოს; მაგრამ, რადგანაც სარგებელი თავისთავად ვალდებულებითი ნორმა არ არის, ლოკის მტკიცებით, თვითონ ბუნებითი კანონი კარგავს კანონის თვისებას, მისი დაცვა რომ აუცილებლობად განიხილებოდეს.

ლოკი თავის წინამორბედს სხვა პოზიციითაც შორდება. ჰობისისათვის საკვანძო მნიშვნელობისაა სახელმწიფო ძალაუფლების საკითხი, მაშინ, როდესაც ლოკთან მეტ დატვირთვას სოციალური ურთიერთობები იძენს, რომელთა შორის უმთავრესი სამართლიანობის საკითხია.

ვიდრე კონკრეტულად სამართლიანობის ცნების შინაარსის ლოკისულ ინტერპრეტაციას გავაანალიზებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ვისაუბროთ იმ ფაქტორებზე, რომლებიც ლოკის მოძღვრებაში სამართლიანობის ბუნებისა და მისი საგნის გაგების სირთულეებს წარმოაჩენენ. მიგვაჩნია: ამისი მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, თვითონ სამართლიანობის საკითხის მრავალმხრივობა; მეორე, - ფილოსოფოსის ნამრობების არასრული მოცულობა. ლოკის მთავარი ნაშრომი „ორი ტრაქტატი მმართველობაზე“ ფრაგმენტებისაგან შედგება, რომლებიც სხვადასხვა დროს იწერებოდა და ჩვენამდე არასრული სახით მოაღწია. ამ სირთულეების გამოა, რომ ჩიკაგოს უნივერსიტეტის სამართლისა და ეთიკის პროფესორი მართა ნუსბეტი ლოკის საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიას „აუტანელს“ უწიდებს, ვინაიდან, მისი აზრით, „ის შეიცავს სხვადასხვაგვარ ელემენტებს. უკიდურესად ძნელია, ისინი ერთ მთლიან სურათად შეაკონტინუ“², ხოლო იაპონელი ფილოსოფოსი კიიმში შიმოკავა, მართალია, ცდილობს ლოკის სამართლიანობის თეორია ერთიანობად განიხილოს, მაგრამ მაინც იმ აზრამდე მიდის, რომ „სამართლიანობის ლოკისული კონცეფცია გაუგებარია“.³

კირიუხინი შენიშნავს, რომ, „როგორც ჩანს, ნაშრომის ნაწილი ავტორის სიცოცხლეშივე დაიკარგა“, თორემ მეტ საშუალებას მოგვცემდა სამართლიანობის საკითხზე მსჯელობისათვისო.

საკუთარ აზრს კირიუხინი ასეთნაირად აფიქსირებს: „თ.ჰობისის მსგავსად, ლოკი ნაშრომის („გამოკვლევა ადამიანის გონების შესახებ“), მეოთხე წიგნში სამართლიანობას განიხილავს მოქალაქეობრივ-პოლიტიკურ პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში და მასში ხედავს ეთიკის მიზანს, რომელიც, მისი აზრით, მიმართულია ადამიანური მოქმედების წესების მოსამებნად, რომლებიც ბედნიერებამდე მიგვიყვანენ“.⁴

მიუხედავად აღნიშნულისა, უნდა ითქვას: სამართლიანობის ლოკისული გაგება ჰობისის ფილოსოფიის ზეგავლენით ჩამოყალიბდა, მაგრამ სამართლიანობის ლოკისული გაგება რადიკალურად განსხვავდება

¹ Кирюхин Д.И. ПОНИМАНИЕ СПРАВЕДЛИВОСТИ ДЖОННОМ ЛОККОМ. გვ. 83. წყარო:

<https://cyberleninka.ru/article/n/ponimanie-spravedlivosti-dzhonom-lokkom>.

² ციტ. Кирюхин Д.И. ПОНИМАНИЕ СПРАВЕДЛИВОСТИ ДЖОННОМ ЛОККОМ. გვ.84. წყარო:

<https://cyberleninka.ru/article/n/ponimanie-spravedlivosti-dzhonom-lokkom>.

³ იქვე, გვ.83.

⁴ იქვე, გვ.83.

ჰობსისეულისაგან, რაც ეფუძნება მათ მიერ თანასწორობისა და თავისუფლების, ამასთანავე, „ბუნებრივი მდგომარეობის“ (როგორც „ხელშეკრულების თეორიაში“ ერთ-ერთი მთავარი ცნების) განსხვავებულ ინტერპრეტაციას. ამასთანავე, ვიზიარებთ ლოკის მოძღვრების იმ მკვლევართა (მაგალითად, ვ. ნუოვოს) თვალსაზრისს, რომლებიც ინგლისელი ფილოსოფოსის ნააზრევის უმთავრეს თავისებურებად მის რელიგიურობას ასახელებს და რაც მას მკვეთრად განასხვავებს ჰობსისაგან. ლოკი, რომელსაც შემეცნების საკითხებისადმი რაციონალისტური მიდგომები აქვს, ადამიანის არსისა და ცხოვრების საზრისის გაგებაში მეტაფიზიკოსად რჩება. განვიხილოთ საკითხი საგნობრივად.

ლოკი, ჰობსის მსგავსად (და განსხვავებით ანტიკური და შუა საუკუნეების აზროვნებისაგან), „მეფეთა საღვთო უფლების“ ტრადიციულ თეორიას არ ეთანხმება და პოლიტიკურ წესრიგს ადამიანის ბუნებით უფლებებზე აფუძნებს. ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა. მეორე მხრივ, მისი შეხედულებები ეყრდნობა შუა საუკუნეების მთავარ წარმოდგენას საზოგადოებაზე როგორც ადამიანთა მორალურ გაერთიანებაზე, თანაც ღვთის წინაშე მათ თანასწორობას ამტკიცებს. ეს მიდგომა ლოკისა და ჰობსის შეხედულებების (რომელიც ადამიანთა თანასწორობას კონფლიქტების წყაროდ აღიარებს), წყალგამყოფია, ხოლო, მეორე მხრივ, დამაკავშირებელი ხიდია კანტის მოძღვრებასთან, რომელიც ადამიანის ბუნებით მდგომარეობას ზნეობრივი კატეგორიების საფუძველზე ხსნის.

....ყველა ადამიანი შექმნილია ყოვლადძლიერი და უსასრულოდ ბრძენი შემოქმედის მიერ;

ისინი, ყველანი, მსახურნი უმაღლესი მფლობელისა, სამყაროში მისი ბრძანებითა და მისი საქმით არიან წარმოგზავნილნი და წარმოადგენენ იმის კუთვნილებას, რომელმაც ისინი შექმნა...¹ -წერს ლოკი ქრისტიანული ტრადიციების სრული შესაბამისობით. აღნიშნულის თაობაზე სამართლიანად შენიშვნას ბ.გ.კაპუსტინი: „ლოკის კონცეფციაში მეტად ძლიერია კლასიკური და შუა საუკუნეების მორალურ-პოლიტიკური აზროვნების ელემენტები, სადაც, როგორც ცნობილია, ბუნებითი კანონი ინდივიდუალურ უფლებებს წინ უძღვის და მათ შინაარსს განსაზღვრავს. ჰობსთან პირიქით, „ბუნებითი უფლებები“ წინ უძღვის „ბუნებით კანონებს“, რომელთა პრაქტიკული განხორციელება ლევიათანის სახელმწიფოს წყალობით ხორციელდება”.²

ღმერთის არსებობის თემას ლოკი ადამიანისათვის უმნიშვნელოვანესად მიიჩნევს. ცნობილია, რომ იგი ახალ ფილოსოფიაში დეიზმის ერთ-ერთ ფუძემდებელია. იგი უარყოფს თანმობილი იდეების ცნობიერებაში არსებობის შესაძლებლობას. მისი მტკიცებით, თუ ჩვენს სულში რაიმეს იდეაა თანმობილი, ეს უსათუოდ ღმერთის იდეა უნდა იყოს. მაგრამ, ვთქვათ, მოგზაურები იმასაც ამტკიცებენ, რომ ზოგ ხალხს საერთოდ არა აქვს ასეთი იდეა, ოღონდ იმავე ლოგიკით გამოდის, რომ არც ზნეობრივი პრინციპებია თანმობილი (ამის საბუთად იგი მიუთითებს, მაგ., კანიბალების არსებობაზე). უფრო მეტიც, შესაძლებელია დავუშვათ, რომ ღმერთის იდეა არა მარტო თანმობილი არ არის, არამედ, თავისთავად, არც აუცილებელია, რასაკვირველია, თუ არ ჩავუდრმავდებით სამყაროს რაობისა და ჩვენი არსებობის საზრისის საკითხს, მაგრამ, ინტერესის გაღვივების შემთხვევაში, რაც ადამიანის მიერ სამყაროს მრავალფეროვან, მიზანშეწონილ აგებულებაზე ფიქრსა და მისი კანონზომიერების ცნობას უკავშირდება, ფილოსოფოსის რწმუნებით, პროცესი აუცილებლობით მიგვიყანს ღვთის აღიარებამდე.³ შესაბამისად, ჩვენს ცნობიერებაში ღმერთის იდეაც აუცილებლად გაჩნდება. გასაგებია, რომ ლოკის „ბუნებრივი რელიგია“ ზენაარის შესახებ ოფიციალურ საკლესიო წარმოდგენას (პიროვნული ნების მქონე ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე კეთილი არსება)

არ ემთხვევა, მაგრამ ეს მაინც ღმერთის არსებობის ტრადიციული, კოსმოლოგიური დასაბუთების ვარიანტია, რომელიც, გ.თევზაძის თქმით, „მის მიერ ემპირისტული პრინციპების „დალატზე“

¹ ციტ. Кирюхин Д.И. ПОНИМАНИЕ СПРАВЕДЛИВОСТИ ДЖОННОМ ЛОККОМ. გვ.83. წყარო:

<https://cyberleninka.ru/article/n/ponimanie-spravedlivosti-dzhonom-lokkom>

² Локк Дж. Два трактата о правлении. Кн. II. Гл. 2 // Локк Дж. Два трактата о правлении : пер. с англ. ; ред. и сост., автор вступ.статьи и примеч. А. Л. Субботин. М. : «Канон+» РООИ «Реабилитация», 2009. გვ. 219.

³ Капустин Б.Г. Джон Локк // Очерки истории западноевропейского либерализма (XVII–XIX вв.). М. : ИФРАН, 2004. გვ.. 24.

მიუთითებს“. „ლოკი ღმერთის ცნების აღიარებას აუცილებლად მიიჩნევს და ათეისტების არსებობის უფლებაც არ მიაჩნია დასაშვებად. ამდენად, იგი არც ემპირიზმის ფარგლებში რჩებოდა და თავად გადიოდა დასაბუთებადის ფარგლებს გარეთ, ანუ თავად უშვებდა იმ შეცდომას, რომლის დაშვებისგანაც თავისი ძირითადი შრომის დასაწყისში მკითხველის დაცვა სურდა“.¹

რასაკვირველია, ლოკის „შეცდომა“ უკავშირდება არა იმდენად ემპირისტული პრინციპების „ღალატს“, რამდენადაც ადამიანური გონების შეზღუდულ შესაძლებლობებში დარწმუნებულობასა და, რაც მთავარია, ფილოსოფოსის შინაგან რელიგიურობას, რომელიც განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება მის მიერ ,ბუნებითი მდგომარეობის“ არსის გადმოცემისას.

ლოკის მტკიცებით, ადამიანის „სიცოცხლე, ჯანმრთელობა, თავისუფლება და საკუთრება“ „ბუნებითი მდგომარეობის“ უმთავრესი ატრიბუტებია, ადამიანური არსებობის ხელშეუხებელი „სიმდიდრეა“, რომლის ხელყოფის უფლება ადამიანს სხვასა და საკუთარ თავთან მიმართებითაც კი არა აქვს (თუ თავად მას კონკრეტული საფრთხე არ ემუქრება), ვინაიდან ის ღმერთის მიერაა გაჩენილი. ჩვენ ვნახეთ, რომ ჰობსთან ასეთი შეზღუდვის დაწესება მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია, რელიგიურ და ზნეობრივ ნორმებსაც სახელმწიფოს კონტექსტში ეძლევა ძალა და დანიშნულება; ლოკთან რელიგია და მორალი ლოგიკურად წინ უსწრებს სახელმწიფოს; ქცევის ზნეობრივი ნორმები რელიგიაზე დაყრდნობით იძენენ მოქმედების ძალას. სიცოცხლე ადამიანებს ღმერთისგან გვაქვს ბოძებული, მაშასადამე, მისი ხელყოფის უფლება არ გვაქვს, - ასეთია მეტაფიზიკოსი ლოკის მტკიცება.

სამართლიანად შენიშნავს დ.ი. კირიუხინი: „ტრანსცენდენტული საფუძველი, რომელსაც ეთიკური და სამართლებრივი ნორმები აქვს, ლოკის მოძღვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს უნივერსალიზმსა და ბუნებითი კანონების აბსოლუტურ ხასიათს... და მეორე, სწორედ ამ დასაბუთებითა შესაძლებელი ადამიანურ

არსებათა ერთობის დაფუძნება კონვენციურ პრინციპებზე, რასაც ლოკი ბუნებით მდგომარეობას უწოდებს“.²

საგულისხმოა ერთი მომენტიც. სამართლიანობის ლოკისული გაგება ეყრდნობა რიჩარდ ჰუკერის* მოძღვრებას, რომელიც წარმოგვიდგენს ბუნებითი მდგომარეობისა და საზოგადოებრივი ხელშეკრულების არსის ჰობსისაგან განსხვავებულ გაგებას.

„სამართლიანობა მთავარი ბუნებითი კანონი და დამაკავშირებელი საფუძველია“,³ წერს ლოკი ნაშრომში - ესეი „გამოკვლევა ბუნების კანონებზე“.

ლოკს ადამიანის არსება ინდივიდის სურვილებსა თუ ინტერესებზე არ დაჰყავს, განსხვავებით ჰობსისგან, ვისთანაც ინდივიდთა თანასწორობის აზრით გაგებული ბუნებითი მდგომარეობა უფრო მეტად კონფლიქტების წყარო (რესურსების მითვისების მიზნით), ვიდრე ადამიანთა მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძველი. ლოკის მიერ გაგებული ბუნებითი მდგომარეობის „შემადგენელი ატრიბუტები“ - თანასწორობა, თავისუფლება და საკუთრება და მათი ხელშეუხებლობა, როგორც ბუნებითი კანონების გამოხატულება - საყოველთაოდ მიღებული მორალური ვალდებულებების რანგში განიხილება.

ფილოსოფოსი სამართლიანობაზე საუბრობს ბუნებითი სამართლის არსებობის დაშვებიდან გამოდინარე. სწორად შენიშნავს ლოკის ფილოსოფიით დაინტერესებული ქართველი მკვლევარი მ.ბიჭა-შვილი: „ბუნებითი სამართალი ლოკისათვის რაღაც რეალურია და არა მკვლევრის ხელთ არსებული

¹ გ.თევზაბე, ახალი დროის ფილოსოფიის ისტორია, თბილისი, 2009. წყარო: <http://www.academia.edu/28370685/>.

² .Кириухин Д.И. ПОНИМАНИЕ СПРАВЕДЛИВОСТИ ДЖОННОМ ЛОККОМ. გვ.86. წყარო:

<https://cyberleninka.ru/article/n/ponimanie-spravedlivosti-dzhonom-lokkom>. შენიშვნა*: რიჩარდ ჰუკერი (1554-1600) - ცნობილი ინგლისელი თეოლოგი და სამართალმცოდნე, რვატომიანი ნაშრომის — “The Laws of Ecclesiastical Polity” — ავტორი, რომელიც თავის გამოკვლევაში ცდილობდა გაეტარებინა აზრი სახელმწიფოს ხელშეკრულებით საფუძველზე წარმომობისა და სამეცნ ხელისუფლების კანონით შეზღუდვის საჭიროების შესახებ.

³ Locke J. Essays on the Law of Nature//Locke J. Political Essays /ed. by M. Goldie. Cambridge: Cambridge University Press, 2002. გვ. 110. წყარო: <https://cyberleninka.ru/article/n/ponimanie-spravedlivosti-dzhonom-lokkom>.

ხელსაყრელი კონსტრუქცია, რომელიც გაგვიიოლებს მოვლენების ახსნას¹. სამართლიანობა ბუნებითი სამართლის არსობრივი გამოვლენაა, რომელიც ადამიანის ცხოვრებაში „დროისა და სივრცისგან“ დამოუკიდებლად (როგორც შინაგანი არსის მქონე) ზნეობრივ პრინციპებთან თანაარსებობითა და მათთან შესაბამისობით იძენს მნიშვნელობას, როგორც ვალდებულება, ვალდებულება იმისა, ადამიანმა დაიცვას როგორც თავისი, ასევე სხვისი თავისუფლება და საკუთრება. ფილოსოფოსი მასთან დაკავშირებულად განიხილავს თანასწორობის, თავისუფლებისა და უფლებების ცნებებს, რომლებიც სზოგადოებრივი ხელშეკრულების შინაარსში საკვანძო მნიშვნელობისაა. „ბუნებითი თავისუფლება ნიშნავს არაფერთან იყო დაკავშირებული, გარდა ბუნების კანონთან“² - შენიშნავს იგი და გვარწმუნებს: „ადამიანის თავისუფლება, მოიქცეს საკუთარი ნებით, იმას ეფუძნება, რომ ის გონებას ფლობს, რომლის საშუალებითაც შეუძლია კანონის შესწავლა, კანონისა, რომლის მიხედვითაც საკუთარი თავი უნდა მართოს“³ ლოკის მტკიცებით, ბუნებითი კანონის გამოხატულებაა თავად ადამიანის გონება. ის ორიენტირებულია ბუნებითი კანონების დაცვაზე, ხოლო მისგან გადახვევა ადამიანს ცდომილებაში აგდებს. ინგლისელი ფილოსოფოსი გონების, როგორც ბუნებითი კანონის ძირითადი გამოხატულების, საფუძველზე განიხილავს ადამიანის ბუნებითი მდგომარეობის ზნეობრივ და სამართლებრივ ასპექტებს.

ჰობსისაგან განსხვავებით, ლოკი დაბეჯითებით გვარწმუნებს, რომ „ადამიანებს გვაკავშირებს არა დასჯის შიში, არამედ რაციონალური წარმოდგენები წესიერებაზე“⁴. მას მხედველობაში აქვს ინდივიდის გონიერება, მის მიერ ბუნებითი კანონის გაგების შესაძლებლობა და ზნეობრივი და სამართლებრივი ხასიათის ვითარება, როგორც ბუნებრივი მდგომარეობის გამოხატულება. „თუ ბუნებითი კანონი აუცილებელია თუნდაც ზოგიერთთათვის, -გვარწმუნებს ფილოსოფოსი,- მაშინ, ცხადია, ასეთივე უფლებით ის აუცილებელი უნდა იყოს ყველასათვის, რადგანაც ყველასათვის ერთნაირი საფუძველია აუცილებლობა, ისევე, როგორც ყველასათვის ერთნაირია შემეცნების უნარი და მათი ბუნება“⁴.

ლოკის მოძღვრებაში ადამიანთა შორის ზნეობრივი თანხმობა წინ უძღვის მათ შორის მოქალაქეობრივი და პოლიტიკური ხელშეკრულების დადებას, რომლის საფუძველში ჩადებულია უინივერსალური რაციონალური პრინციპები. მათ შორის სამართლიანობის პრინციპი უმთავრესია. ეს პოზიცია ლოკს კარდინალურად განასხვავებს ჰობსისაგან, რომლისთვისაც სამართლიანობის რეალიზაცია მოქალაქეობრივ-პოლიტიკური ურთიერთობების პრინციპების განსაზღვრის მიზნით შესაძლებელია მხოლოდ ხელშეკრულების დასრულების შემდეგ. ინგლისელი ფილოსოფოსის თვალსაზრისი კანტის პოლიტიკურ ფილოსოფიას დაედო საფუძვლად.

ლოკი ადამიანის თავისუფლების ორ განსხვავებულ შინაარსზე საუბრობს: ბუნებით (ამ აზრით, პიროვნულ) და საზოგადოებაში მის თავისუფლებაზე. ამ მიმართებით სამართლიანობის ცნებას ახალი მნიშვნელობა ენიჭება. ერთი მხრივ, ის, უწინარეს ყოვლისა, უკავშირდება ადამიანის, როგორც ზნეობრივი არსების, გაგებას, ხოლო, მეორე მხრივ, ორიენტირებულია სახელმწიფო ხელისუფლების, როგორც მთავარი კანონშემოქმედის, როლის გამოკვეთაზე. სახელმწიფო სისტემის არსებობის პირობებში საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ კანონების ჩამოყალიბებისა და მისადმი პიროვნების დაქვემდებარების (როგორც მისი თავისუფლების გარანტის) აუცილებლობის მიზნით ინგლისელ ფილოსოფოსს საზოგადოებისა და სახელწიფოს ურთიერთობის ახალი საზღვრები გაპყავს; ამ საზღვრებში ათავსებს სამართლიანობის საკითხსაც. პოლიტიკურ ვითარებაში სამართლიანობის გარანტი კანონმდებლობა და პოლიტიკური და სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუტებია. ლოკის პოლიტიკურ შეხედულებებზე

¹ მამუკა ბიჭაშვილი, ჯონ ლოკის ტრაქტატი მმართველობის შესახებ, წიგნიდან „პოლიტიკური თეორია“, თბილისი, 2006, წყარო: <https://burusi.wordpress.com/2013/07/27/locke-2/>

² Локк Дж. Два трактата о правлении. Кн. II. Гл. 2 // Локк Дж. Два трактата о правлении : пер. с англ. ; ред. и сост., автор вступ.статьи и примеч. А. Л. Субботин. М.: «Канон+» РООИ «Реабилитация», 2009. გვ. 292

³ იქვე, გვ.297

⁴ Locke J. Essays on the Law of Nature//Locke J. Political Essays /ed. by M. Goldie. Cambridge: Cambridge University Press, 2002. გვ. 125. ციტ. წყარო: <https://cyberleninka.ru/article/n/ponimanie-spravedlivosti-dzhonom-lokkom>

დაყრდნობით რ.ჰარისონი წერს: „სახელმწიფოსაგან მეტი სამართლიანობით მივიღეთ უკეთესი სამართლიანობა“,¹ ვინაიდან მას ხელს უწყობს მოქალაქეთა თანხმობით დამტკიცებული ხელისუფლება.

ლოკი სამართლიანობასთან მიმართებით „პიროვნებასა და სხვის ქონებასთან კანონის შესაბამისობით მოპყრობის“ აუცილებლობაზეც მსჯელობს. ამ კუთხით იგი აქცენტს აკეთებს დოპოლიტიკულური და პოლიტიკური საზოგადოების განსხვავებაზე, რაც გამოიხატება სამართლიანობის განხორციელების ინსტიტუციონალიზებული მექანიზმების არსებობა-არარსებობით.

მართალია, ფილოსოფოსი დარწმუნებით საუბრობს სამართლიანობის რაციონალური პრინციპებისა თუ სამართლიანობა-უსამართლობის ზნეობრივი კრიტერიუმების არსებობაზე, რომელიც „ჩვენს სულში წარმოადგენს განვითარებული გონებისა და სერიოზული გააზრების პროდუქტს“, მაგრამ იმასაც აღნიშნავს, რომ ეს ყველაფერი მაინც ვერ ქმნის იმის გარანტიას, რომ თითოეული ინდივიდი თავისი ქცევების განხორციელებისას გონებით იხელმძღვანელებს; რაკიდა ბუნებით მდგომარეობაში ვნებები გონებას სჭარბობს, ინდივიდი კარგავს ობიექტურობას და საკუთარ უფლებასა და ძალაუფლებას სხვაზე იძულებით ავრცელებს. ამის შედეგად კი იკარგება სამართლიანობის განხორციელების გარანტიები (ინდივიდს კანონის ნორმების მიყოლას რომ ავალდებულებს); იქნება არეულობისა და უკმაყოფილების ვითარება. რა არის გამოსავალი?

ბუნებრივ ვითარებაში არსებული სიძნეების გადასაწყვეტად და სამართლიანობის განსახორციელებლად ლოკი აქცენტს აკეთებს სამი მირითადი ფაქტორის არსებობის აუცილებლობაზე. ესენია:

1. დაწესებული, განსაზღვრული და ცნობილი კანონის არსებობა, რომელიც „შეცნობილი და დაშვებული იქნებოდა საერთო თანხმობით სამართლიანობისა და უსამართლობის ნორმების ხარისხით“;²

2. მცოდნე და მიუკერძოებელი სასამართლო, რომელიც „უფლებამოსილი იქნებოდა გადაეჭრა ყველა სიძნელე დაწესებულ კანონთა შესაბამისად“;³

3. მალა, რომელსაც „შეეძლებოდა განემტკიცებინა და მხარი დაეჭირა სამართლიანი განაჩენისათვის და მიეყვანა ის აღსრულებამდე“.⁴

ანუ, ვინაიდან და რადგანაც, ადამიანთა ცხოვრებაში სამართლიანობა მეტ დაცვას საჭიროებს (ვიდრე ადამიანის ნება და ტალანტია), „რა გასაკვირია, რომ ღმერთმა დააწესა სამოქალაქო მმართველობა ადამიანთა თვითნებობის შესაზღუდავად“,⁵-შენიშნავს ლოკი.

და ბოლოს, „ლოკის სამართლიანობის თეორიის გასაღებს საკუთრების ცნება წარმოადგენს“,- სამართლიანად დასძენს დ.ი. კირიუხინი და კ. შიმოკავას შეფასებას იმოწმებს, რომელიც ლოკის თეორიას „საკუთრებაზე დაფუძნებულ სამართლიანობის თეორიას“ უწოდებს იმის გათვალისწინებით, რაზეც თვითონ ლოკის მოძღვრება საუბრობს. ინგლისელი ფილოსოფოსი არაერთგან იმეორებს: „სადაც არაა

¹ Harrison R. Hobbes, Locke, and Confusion's Masterpiece An Examination of Seventeenth-Century Political Pilosophy. Cambridge: Cambridge University Press, 2002. გვ. 200.

² Локк Дж. Два трактата о правлении. Кн. II. Гл. IX. С. 302.2 // Локк Дж. пер. с англ. ; ред. и сост., автор вступ. статьи и примеч. А. Л. Субботин. М. : «Канон+» РООИ «Реабилитация», 2009. С.302.

http://mosgu.ru/nauchnaya/publications/2011/monographs/Kanarsh_Social_Justice_2011.pdf.

³ Локк Дж. Два трактата о правлении. Кн. II. Гл. IX. С. 302.2 // Локк Дж. пер. с англ. ; ред. и сост., автор вступ. статьи и примеч. А. Л. Субботин. М. : «Канон+» РООИ «Реабилитация», 2009. С.302.

http://mosgu.ru/nauchnaya/publications/2011/monographs/Kanarsh_Social_Justice_2011.pdf.

⁴ Локк Дж. Два трактата о правлении. Кн. II. Гл. IX. С. 302.2 // Локк Дж. пер. с англ. ; ред. и сост., автор вступ. статьи и примеч. А. Л. Субботин. М. : «Канон+» РООИ «Реабилитация», 2009. С.302.

http://mosgu.ru/nauchnaya/publications/2011/monographs/Kanarsh_Social_Justice_2011.pdf

⁵ წყარო: <https://burusi.wordpress.com/2013/07/27/locke-2/>.

საკუთრება, იქ არც სამართლიანობაა¹, ან კიდევ: „სამოქალაქო საზოგადოების მთავარი მიზანი საკუთრების შენარჩუნებაა“².

წარმოდგენილი თვალსაზრისით, ლოკი სამართლიანობის საგნის კვლევას პოლიტიკურ სივრცეში ათავსებს. ამ იდეას ეფუძნება ლოკის პოლიტიკური საზოგადოების მთავარი ამოცანა - საკუთრებაზე ადამიანის ფუნდამენტური უფლების დაცვის მოთხოვნა, რაც თავის თავში მოიცავს სიცოცხლის, თავისუფლებისა და ქონების უფლებას, რომლებიც „სამართლიანად ეკუთვნის თითოეულ ადამიანს და გაუსხვისებელია“³.

ცხადია: სამართლიანობის ლოკისეული გაგება პატრიმონიალიზმის გავლენებისაგან თავისუფალია რომელშიც სამართლიანად ითვლება არა კანონის, არამედ ადამიანის მმართველობა.ვინც არ უნდა იყოს მფლობელი კანონშემოქმედებითი ან უმაღლესი ძალაუფლებისა ნებისმიერ სახელმწიფოში, - გვარწმუნებს ფილოსოფოსი, - ის ვალდებულია მართოს დაწესებული მუდმივი კანონებით, ხალხის მიერ წარმოთქმული და ხალხისათვის ცნობილი, და არა იმპროვიზებული ბრძანებების გზით...⁴. ამ განაცხადით ფილოსოფოსი აქცენტს აკეთებს სამართლებრივი კონსტიტუციური სახელმწიფო მოდელის უპირატესობაზე, რომელშიც ძალაუფლების განმსაზღვრელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მოთხოვნა და საერთო სიკეთე. ლოკს საერთო სიკეთე ესმის როგორც ინდივიდუალურობის, პიროვნულობის, თავისუფლებისა და საკუთრების დაცვა, რაც პოლიტიკური საზოგადოების მიზანსა და სოციალური ერთობის მყარ გარანტს წარმოადგენს, ხოლო მისი განხორციელების მთავარი პირობა სამართლიანობაა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენც იმ თვალსაზრისს ვიზირებთ, რომელიც მიიჩნევს, რომ ლოკის სახელმწიფო პოლიტიკის იდეალი (დაფუძნებული სამართლიანობის პრინციპებზე), ქონებრივი რესურსების თანაბარი განაწილება (განაწილების პრობლემა მას სამართლიანობის გარეთ გააქვს და ქველმოქმედების მოვალეობის ფუნქციას აკისრებს) ან ამ გზით თანასწორობის უზრუნველყოფა კი არ არის, არამედ საკუთრების დაცვა და ამ საკუთრების გამოყენებისათვის პირობების შექმნა. გარდა ამისა, ლოკის მოძღვრებაში საკუთრების დაცვა ინდივიდის პარტიკულარული ინტერესების რეალიზაციაზე კი არ არის გათვლილი (როგორც ეს იყო ჰობსთან), არამედ საერთო საზოგადოებრივ სიკეთეზე, რომელიც პოლიტიკური და სასამართლო ხელისუფლების ძალის გამოყენების ლეგიტიმურობის (და სამართლიანობის) კრიტერიუმი ხდება. სხვა შემთხვევაში (მაგალითად, საერთო სიკეთის არასწორად განკარგვისას), ხელისუფლების მოქმედება თანასწორ და თავისუფალ ადამიანებს შორის დადებული ხელშეკრულების დარღვევაა, რაც, თავის მხრივ, ქმნის იმის წინაპირობას, რომ მისი შეცვლა დასაშვებად ჩაითვალოს, თუნდაც იძულების გზით. სამართლიანად წერს გ.ი. კანარში: ლოკთან საზოგადოებრივი ხელშეკრულების მიზანი „ძალისა და ძალაუფლების ერთიანი ცენტრის შექმნაა, რომელიც თავის თავზე აიღებს ადამიანთა შორის ურთიერთობის

დარეგულირების ფუნქციას“⁵. ამ აზრით, ლოკი ჰობსის „თანაპარტიელია“. ლოკის „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ თეორიას დიდი შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. ფილოსოფოსი მის მნიშვნელობას, თუ შეიძლება ასე ითქვას, საკუთარი „მსიფლმხედველობრივი ზრდის“ პოზიციიდან და ეტაპობრივად ასეთნაირად წარმოადგენს. ხელშეკრულება, როგორც ადამიანთა საერთო ნების გამოხატულება, ორიენტირებულია: 1. საკუთრების (საერთო და კერძო) დაცვაზე; 2. სასამართლოს ქმედითუნარიანობაზე, (საზოგადოებისათვის ჩამოაყალიბოს მუდმივი წესები; 3) ხელისუფლების დანაწილებაზე; 4) უმრავლესობის მმართველობაზე; 5) მმართველისა და მმართველობის ფორმების არჩევითობაზე.

¹ Locke J. An Essay Concerning Human Understanding. London: T. Tegg and Son, 1836. 566 p.

² წყარო: <https://burusi.wordpress.com/2013/07/27/locke-2/>.

² Locke J. An Essay Concerning Human Understanding. London: T. Tegg and Son, 1836. 566 p.

² წყარო: <https://burusi.wordpress.com/2013/07/27/locke-2/>.

³ წყარო: http://mosgu.ru/nauchnaya/publications/2011/monographs/Kanarsh_Social_Justice.2011.pdf.

⁴ Локк Дж. Два трактата о правлении. Кн. II. Гл. IX. С. 305.

http://mosgu.ru/nauchnaya/publications/2011/monographs/Kanarsh_Social_Justice_2011.pdf.

⁵ Канарш Г. Ю.. СОЦИАЛЬНАЯ СПРАВЕДЛИВОСТЬ: ФИЛОСОФСКИЕ КОНЦЕПЦИИ И РОССИЙСКАЯ СИТУАЦИЯ. Издательство Московского гуманитарного университета, 2011, с.35.

ჰობსისა და ლოკის მოძღვრებათა განხილვის საფუძველზე, სამართლიანობის კონცეფციასთან დაკავშირებით, საერთო დასკვნები იკვეთება. საამისოდ გთავაზობთ გ.ი.კანარშის, სამართლიანობის საკითხით დაინტერესებული მკვლევრის, შეფასებებს (რომელსაც ჩვენც ვიზიარებთ):

1. სამართლიანობა განისაზღვრება უფლებისა და არა სიკეთის ტერმინებით. შესაბამისად, ინდივიდის უფლება - როგორც ბუნებითი, პირველადია, ხოლო ამ უფლების უზრუნველყოფა სახელმწიფოს მთავარი ამოცანაა. ლოკის განაცხადი სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლებაზე ლიბერალური კონცეფციის კლასიკურ ფორმულასა და თანამედროვე ლიბერალიზმის პოლიტიკურ კრედოს წარმოადგენს;
2. სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განმსაზღვრელია ინდივიდუალური თანასწორობის ცნება (ეგალიტარიზმი); ეთიკური თანასწორობა, რომელსაც საფუძვლად უდევს ქრისტიანული მორალი, ლიბერალური თეორიის დაფუძნების წინაპირობა;
3. უფლებების თანასწორობა, როგორც სამართლიანობის საფუძველი, გამორიცხავს ერთი ადამიანის ბატონობის შესაძლებლობას მეორეზე; ძლაუფლების განხორციელების ერთადერთი ლეგიტიმური ფორმაა ხალხის მმართველის დელეგირებული უფლება, რომელიც გარკვეულწილად თვითნებურად, მაგრამ მაინც გასაგები და ყველასათვის ცნობილი კანონის საფუძველზე მართავს;
4. მართვის ერთადერთი შესაძლებელი და მისაღები ფორმა სამართლებრივ-კონსტიტუციური სახელმწიფოა, ხოლო ნებისმიერი პოლიტიკური საქმიანობის საბოლოო ინსტანციას ხალხი (საერთო სიკეთის უფლებამოსილებით) წარმოადგენს, რომელიც სოციალურ სივრცეს საზოგადოებრივი ხელშეკრულების საშუალებით ქმნის;
5. ღრმა შინაარსობრივი ტრანსფორმაციის წყალობით სამართლიანობის ცნება (ლიბერალურ კონტექსტში) საკუთრივ პოლიტიკურ ცნებად გარდაიქმნება და იღებს იმ მნიშვნელობას, რომელიც მას ანტიკურობაში ჰქონდა. საგნობრივი სფერო სამართლიანობისა - არა იმდენად ძლაუფლება, რამდენადაც უფლებაა, რაიც განსაზღვრავს ინდივიდების ერთმანეთსა და სახელმწიფოსთან ურთიერთობებს. სხვა სიტყვებით, სამართლიანობა (უმთავრესად) პოლიტიკური და ეთიკური კატეგორიის მნიშვნელობიდან ტრანსფორმირდება სამართლებრივ იურიდიულ კატეგორიად, რომელიც მეტ დატვირთვას იძენს ევროპული აღორძინების ორ თვალსაჩინო წარმომადგენელთან - უ.ქ. რუსოსა და ი.კანტთან.

რეზიუმე

ჯონ ლოკის პოლიტიკურ ფილოსოფიას დასავლეთის პოლიტიკური აზრის განვითარების ისტორიაში განუზომელი მნიშვნელობა აქვს. ის პოლიტიკური ლიბერალიზმის წინამორბედად მიიჩნევა.

მისი მოძღვრება წარმოადგენს წყალგამყოფს პოლიტიკური ფილოსოფიის ორ ტრადიციას შორის: პირველია პოლიტიკური აბსოლუტიზმი, სადაც ადამიანის არსება, მისი თავისუფლება მთლიანად სახელმწიფოს კუთვნილებად განიხილება; სახელმწიფო ძალაუფლება ინდივიდის უფლებებთან მიმართებით უპირატესად ცხადდება; მეორეა, ლიბერალიზმი, როცა სახელმწიფო მართვის საუკეთესო ფორმად აღიარებულია კონსტიტუციური მოდელი, სიცოცხლის (ფიზიკური არსებობის) თავისუფლებისა და საკუთრების, როგორც ადამიანის გაუსხვისებელი უფლებების, მოთხოვნითა და იურისდიქციასთან მიმართებით მხარეთა უფლებების ორმხრივი აღიარებით.

ლოკი, ჰობსის მსგავსად, სამართლიანობის არსის გაგებაში ბუნებითი სამართლის კლასიკური (ანტიკური) ტრადიციის ზეგავლენა განიცდის - სამართლიანობის პრობლემას ის უნივერსალური ბუნებრივი კანონის ახსნას უკავშირებს.

RESUME

John Locke's political philosophy has a tremendous significance in the history of Western political thinking development.

He is considered to be the forerunner of political liberalism.

His doctrine represents a watershed between two traditions of political philosophy; First, the political absolutism, where a human being, his/her freedom is entirely regarded as a state property; State power is preferred in relation to individual rights; Second is liberalism - a constitutional model considered as the best form of state management, it concerns with life (physical existence) , freedom and property as a requirement for human unalienable rights and mutual recognition of the rights of parties in respect of jurisdiction.

Locke, like Hobbes, experiences the influence of the classic (antique) tradition of natural law while understanding the essence of justice, - he connects the problem of justice with the explanation of the universal natural law.

**1. „ტექნოლოგიური უსაფრთხოების ნორმები- ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების
სამართლებრივი რეგულირება სამშენებლო სამართალში”**

**ირაკლი გაბისონია
პროფესორი
თეიმურაზ ბეჟოშვილი
ასოცირებული პროფესორი**

საინჟინრო სამართლის, როგორც დარგად ჩამოყალიბების პროცესში, მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ „სამშენებლო სამართლის” კუთხით, ვერ აუვლიდით გვერდს, ისეთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს, რომლებსაც სამშენებლო სამართალში გადამწყვეტი მნიშვნელობა და ადგილი უკავიათ. ამ თვალსაზრისით გვინდა ვისაუბროთ ტექნოლოგიურ-სამშენებლო უსაფრთხოების ნორმებზე და შემდგომში ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების სამართლებრივი ბაზის ნაკლოვანებზე.

ცხადია და უდავო, რომ მკაცრი კონტროლის მეშვეობით უნდა წარიმართოს სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რათა სამშენებლო პროცესი და მშენებლობის შედეგად მიღებული არქიტექტურული ობიექტი უსაფრთხო იყოს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, რაც თავის მხრივ უნდა ითვალისწინებდეს გარემოზე ზემოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის შემცირებას, რაც აუცილებლად უარყოფით გავლენას იქნიებს სახელწიფოს ინფრასტრუქტურულ და ეკონომიკურ განვითარებაზე.

კვლევის მოცემულ ეტაპზე განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებთ ტექნოლოგიური უსაფრთხოების ნორმებსა და სამშენებლო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე, რადგან ეს უკანასკნელი თავისი არსითა და დანიშნულებით, როგორც თეორიული, აგრეთვე პრაქტიკული მნიშვნელობით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მაშინ როდესაც კვლევამ გვიჩვენა, რომ ტექნოლოგიური და მშენებლობის უსაფრთხოების ნორმების და აგრეთვე ექსპლუატაციაში მიღების პროცედურები საჭიროებენ სერიოზულ გადახედვას, რათა სამშენებლო სფერო ჩვენს ქვეანაში იყოს უსაფრთხო.

სწორედ, რომ სამშენებლო საქმიანობაში ძირითად გამოწვევად უნდა დაგასახელოთ ტექნოლოგიური და მშენებლობის უსაფრთხოების ნორმების არასათანადო სამართლებრივი რეგულირება, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია მშვიდობიანად-უსაფრთხოდ სამშენებლო საქმიანობის განხორციელება და დასრულება, რომელიც წარმოადგენს ჩვენი კვლევისა და ამ სტატიის ძირითად სათქმელს და სამშენებლო სფეროში მოღვაწე მეცნიერებსა და პრაქტიკოსებს არაერთ მნიშვნელოვან სიახლესა და რეკომენდაციებს სთავაზობს.

ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სამეცნიერო სტატიაში „სამშენებლო სამართლის როლი სახელმწიფოს მდგრადი განვითარების პროცესში და არსებული სამართლებრივი გარემოს კრიტიკული ანალიზი“ აღვნიშნავდით, რომ პიროვნებაც და მოქმედი სამართალიც უნდა იზიარებდნენ სამშენებლო საქმიანობის ჩვენ მიერ ჩამოყალიბებულ სამ ძირითად პრინციპს, რასაც უნდა ეფუძნებოდეს სამშენებლო საქმიანობა: „რას ვაშენებთ, რატომ ვაშენებთ და როგორ ვაშენებთ“. შესაბამისად, სწორედ ამ პრინციპების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს სამომავლოდ პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ მშენებლობის ნებართვის გაცემა და ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება, რაც სადღეისოდ რიგ შემთხვევებში იგნორირებულია, რომლის შესახებაც ქვემოთ ვიმსჯელებთ.

რადგან აქცენტს ვაკეთებთ ტექნოლოგიურ უსაფრთხოებაზე, მაშინ ლოგიკურია უნდა დაისვას კითხვა, თუ რა არის ტექნოლოგია და რას მოიცავს იგი?

ტერმინი ტექნოლოგია ბერძნული წარმოშობისაა და ქართულად ოსტატობას, სწავლებას ნიშნავს, ხოლო თავად ტექნოლოგია არის მეცნიერება იმ იარაღების, პროცესებისა და მეთოდების შესახებ, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა საგნებისა და ობიექტების დამზადებისათვის, რაიმე პროდუქციის

შექმნა/დამზადების მიზნით. სხვაგვარად ტექნოლოგია ასევე შეიძლება განვიხილოთ, როგორც ნივთიერებების, ენერგიისა და ინფორმაციის გადამუშავების ერთ-ერთ ხერხად.

უნდა აღინიშნოს, რომ ტექნოლოგიის განვითარება წარმოუდგენელია სიღრმისეული სამეცნიერო თეორიული და პრაქტიკული კვლევების გარეშე, შესაბამისად მისი სამომავლო განვითარებაც ადექვატური უნდა იყოს საზოგადოებრივი დაკვეთისა.

ვინაიდან ტექნოლოგია არის მეცნიერება და მუდმივად ვითარდება, სწორედ უსაფრთხოების პრინციპებზეა დაფუძნებული მისი არსებობა და მომავალი, ვინაიდან იგი მოიცავს ისეთ სახეებს როგორიცაა: მანქანათმშენებლობის, სამშენებლო, ელექტროობასთან დაკავშირებული, აკუსტიკური, ნანოტექნოლოგიებსა და ბიოტექნოლოგიებს, რომლებიც გარკვეულწილად მომეტებული საფრთხის შემცველნი არიან, თუმცა მათი სწორი ექსპლუატაციის შედეგად დიდი სარგებელი შეიძლება მოუტანოს სახელწიფოებს და განსაკუთრებული გარდატეხა შეიტანონ კაცობრიობის განვითარებაში.

ვინაიდან ტექნოლოგია საკმაოდ ფართო მეცნიერებაა, ჩვენ გვინდა გამოვყოთ სამშენებლო სფერო, რომელიც ერთ-ერთი უმთავრესი და აქტუალურია, ვინაიდან წარმოუდგენელია აწარმოო მშენებლობა, რომელის განსახორციელებლადაც სამშენებლო მასალები არ პასუხობენ ტექნოლოგიურად მაღალი გამდლებისა და უსაფრთხოების საერთაშორისოდ დადგენილ სტანდარტებს.

ჩვენს სინამდვილეში, სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მშენებლობათა თითქმის 80%-ი ტექნოლოგიური უსაფრთხოების დადგენილი სტანდარტების გვერდის ავლით ხორციელდება, რომელიც ნებართვის გამცემი ადმინისტრაციულ ორგანოს კომპეტენციაში არ შედის, რადგან სამწუხაროდ სადღეისოდ არსებული მახინჯი სამშენებლო კანონმდებლობის პირობებში, პროექტის შემთანხმებელი და ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო, ითანხმებს მხოლოდ ასაშენებელი ობიექტის კონსტრუქციულ და არქიტექტურულ ნაწილს, ხოლო თუ რამდენად უსაფრთხო ტექნოლოგიებს-მასალებს გამოიყენებს მშენებელი ეს საკითხი ღიად რჩება და ფაქტობრივად დამოკიდებულია მენაშენის კეთილსინდისიერებასა და დიდსულოვნებაზე.

სამწუხარო რეალობაა ის ფაქტიც, რომ არ მოწმდება რა მასალებით შენდება ან უნდა აშენდეს ობიექტი, არ მოითხოვება მასალათა გამდლების- დამადასტურებელი სერთიფიკატი, იქნება ეს ცემენტი თუ არმატურა, რაც ხერხემალია ობიექტის კონსტრუქციული მდგრადობის, სხვა აღარაფერი რომ არ ვთქვათ სეისმომედეგობაზე, რომელსაც დაკვეთი ხშირ შემთხვევებში სხვადასხვა გზებითა და ხერხებით მოიპოვებს და მათი უმეტესობა- ჩატარებული „კვლევა“ არარეალურია, რაც სამომავლოდ მაღალი რისკის შემცველ ფაქტორად გვევლინება.

კვლევამ დაგვანახა, რომ მენაშენეს შეუძლია თუნდაც მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ასაშენებლად თავისი საკუთარი ბიუჯეტის დაზოგვის ხარჯზე, გამოიყენოს ბაზარზე არსებული დაბალი ხარისხის სამშენებლო მასალები, რაზედაც კანონმდებლობით ვერავინ ვერ მოსთხოვს პასუხს, შესაბამისად ზარალდება ისევ კეთილსინდისიერი შემძენი და ტექნოლოგიური უსაფრთხოების ნორმების დარღვევის შედეგად დამდგარი ზარალის გამო სახელმწიფო, რომელსაც უწევს მძიმე შედეგების გამოსწორება და ხშირ შემთხვევაში მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება.

არსებული სურათი ნათელად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მშენებლობის ნებართვის აღების გამარტივების ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს ტექნოლოგიური უსაფრთხოებისა და მშენებლობის ნორმების უხეში უგულებელყოფა, რაც სამწუხაროდ სახეზეა.

ცხადია, რომ პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო, ისე გასცემს მშენებლობის ნებართვას, რომ ფაქტობრივად არავითარ პასუხისმგებლობას არ იღებს, რაც ჩვენი შეხედულებით არასწორი და დამღუპველია, ვინაიდან რა სამშენებლო მასალით აშენებს მრავალბინან საცხოვრებელ კორპუს მენაშენე ეს არ უნდა იყოს სახელმწიფოსთვის სულ ერთი.

მიგვაჩნია, რომ ხუთივე კლასის სანებართვო ობიექტების მიმართ რეგულაციები უნდა გამკაცრდეს, ასევე უნდა დადგინდეს და გაიწეროს, თუ რომელი ობიექტების მიმართ კონსტრუქციულ და არქიტექტურულ ნაწილებთან ერთად შეიძლება ასევე მოთხოვნილი და შეთანხმებული იქნეს ტექნოლოგიური

უსაფრთხოების ნორმები, რომლებიც მოიცავს მასალათა გამძლეობის- ხარისხის კონტროლს და ეტაპობრივ მონიტორინგს.

ჩვენი მოსაზრება და წინადადებები, შეიძლება გარკვეულ წილად კრიტიკის საგანი გახდეს, თუმცა უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ ვაშენოთ ბევრი და უხარისხოდ ჩვენს ქვეყანას, რომელიც მაღალი სეისმოაქტივობით გამოირჩევა, არ წაადგება.

„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის”¹, პირველი მუხლის „თ” პუნქტის თანახმად, ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს „სამშენებლო საქმიანობის განხორციელების უზრუნველყოფა სამშენებლო სფეროს ტექნიკური რეგლამენტებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით”, რაც ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით დაცულ სფეროს განვითარება, თუმცა რამდენად რეალურია და გათავისებული ამ სამართლებრივი ნორმის შინაარსობრივი და პრაქტიკული მნიშვნელობა ჩვენს სინამდვილეში, შევეცდებით ამავე კოდექსის მე-15 მუხლის „კ”, „ლ” და „მ” პუნქტებით ავხსნათ, რომელიც შეეხება „სიმტკიცეს, მდგრადობას და საიმედობას”

„კ) სიმტკიცე – სამშენებლო ნაკეთობისა და კონსტრუქციის, მათი შეერთების კვანძების, შენობა-ნაგებობის საძირკვლის, გრუნტის თვისება, რდვევის გარეშე აიტანოს დატვირთვების საანგარიშო მაჩვენებლები;

ლ) მდგრადობა – შენობა-ნაგებობის უნარი, შეინარჩუნოს მდგრადი წონასწორობა საანგარიშო დატვირთვების ზეგავლენისას;

მ) საიმედოობა – შენობა-ნაგებობის, მისი საინჟინრო სისტემების, მზიდი კონსტრუქციების ნორმებით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება ექსპლუატაციის მთელ პერიოდში;

ფაქტია, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი” სამშენებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროდ მიიჩნევს სიმტკიცეს, მდგრადობასა და საიმედოობას, რომელთა დარღვევის შედეგად ფიზიკური ან იურიდიული პირის მიმართ დგება შესაბამისი პასუხისმგებლობის საკითხი, თუმცა გაურკვეველია ის გარემოება, რომ ამ ზემოთჩამოთვლილთაგან პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო არცერთს არ ითანხმებს, შესაბამისად სამართლებრივი ნომსენსია, ისეთი ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება- არმიღების საკითხი, რომელთა შესახებ ნებართვის გამცემ ორგანოს არავითარი ინფორმაცია და ლაბორატორიულად დადასტურებული კვლევა არ გააჩნია, თუ ელემენტარულად რა ააშენა პირმა არა ვიზუალური კუთხით, არამედ კონსტრუქციული მდგრადობისა და ტექნოლოგიური უსაფრთხოების ნორმათა თვალსაზრისით, რაც ნებართვის გამცემი ორგანოს სამართლებრივ კომპეტენციაში აღარ შედის და არსებული ტენდენციით არარელევანტურ თემად განიხილება.

ჩვენდა საბედნიეროდ, საქართველოში როგორც უმველეს ხუროთმოძღვრების ქვეყანაში, ოდითგანვე დიდი ყურადღება ეთმობოდა სამშენებლო უსაფრთხოებას, რის ნათელ მაგალითად მასალათა გამძლეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის როლსა და მნიშვნელობაზე გვინდა გავაკეთოთ აქცენტი, რომელიც სამწუხაროდ აღარ ფუნქციონირებს, არა და ასეთი კვლევითი-სამეცნიერო დაწესებულებების არსებობა ჩვენს ქვეყანას ჰაერივით სჭირდება, რათა სამშენებლო, სამონტაჟო, სარეკონსტრუქციო მასალები და ტექნოლოგიების უსაფრთხოება მინიმუმადე იქნეს დაყვანლი, აღნიშნულის მაგალითად გვინდა მოვიყვანოთ ქალაქ ბათუმში ერთ-ერთ სასტუმროში დატრიალებული შემზარვი ტრაგედია, რომელმაც არაერთი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, რაზედაც აღარ გავაგრძელებთ საუბარს, იმ სამშენებლოდ სავალდებულო უსაფრთხოებისათვის საჭირო ტექნოლოგიებსა და ნორმებზე, რომლებიც ხანძრისა და სხვა სტიქიური მოვლენების დროს გადამწყვეტ როლს თამაშობენ და მათი არსებობისა და სწორად ფუნქციონირების შემთხვევაში პირდაპირი მნიშვნელობით ადამიანებს სიკვდილისგან იხსნიან.

¹ საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მომოქცევის კოდექსი”, პირველი მუხლის „თ” პუნქტი.

გვინდა ტექნოლოგიური უსაფრთხოების ნორმებთან ერთად შევეხოთ ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების წესს და აღვნიშნოთ, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ”¹ საქართველოს მთავრობის 2009 წლის №57 დადგენილების მე-3 მუხლის 82-ე და 82¹-ე პუნქტები შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების ორ სახეს ითვალისწინებს, ესენია: შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღება და შენობა-ნაგებობის ნაწილები(ებ)ის (ნაწილობრივ ექსპლუატაციაში მიღება.

ამავე დადგენილების მე-3 მუხლის 82-ე პუნქტის თანახმად ნიშნავს, „უფლებამოსილი ორგანოს მიერ სანებართვო პირობების შესაბამისად დასრულებულ მშენებლობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას”, ხოლო შენობა-ნაგებობის ნაწილების ნაწილ(ებ)ის ნაწილობრივ ექსპლუატაციაში მიღება- „უფლებამოსილი ორგანოს მიერ შენობა-ნაგებობის სანებართვო პირობების შესაბამისად დასრულებულ ნაწილ(ებ)ზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას”.

როგორ ხორციელდება შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღება და რა პროცედურებს ითვალისწინებს ის?

საგულისხმოა, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ”² საქართველოს მთავრობის 2009 წლის №57 დადგენილების მე-19 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, „შენობა-ნაგებობები და სამშენებლო სამუშაოები მშენებლობის ნებართვის გაცემისა და ექსპლუატაციაში მიღებისათვის იყოფა 5 კლასად:

- ა) I კლასის – შენობა-ნაგებობები, რომლებიც მშენებლობის ნებართვას არ საჭიროებს;
- ბ) II კლასის – შენობა-ნაგებობები რისკის დაბალი ფაქტორით;
- გ) III კლასის – შენობა-ნაგებობები რისკის საშუალო ფაქტორით;
- დ) IV კლასის – შენობა-ნაგებობები რისკის მაღალი ფაქტორით;
- ე) V კლასის – შენობა-ნაგებობები რისკის მომეტებული ფაქტორით (განსაკუთრებული მნიშვნელობის შენობა-ნაგებობები)“.

უნდა აღინიშნოს, რომ შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღება ხორციელდება დადგენილი სამშენებლო კლასების შესაბამისად კერძოდ:

- I კლასის შენობა-ნაგებობა არ საჭიროებს ექსპლუატაციაში მიღებას;
- II კლასის შენობა-ნაგებობები ექსპლუატაციაში მიიღება ახალი მშენებლობისა და შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლიდან 1 წლის ვადაში.
- III კლასის შენობა-ნაგებობები ექსპლუატაციაში მიიღება ახალი მშენებლობისა და შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლიდან 6 თვის ვადაში;
- IV კლასის შენობა-ნაგებობები ექსპლუატაციაში მიიღება მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლიდან 6 თვის ვადაში;
- V კლასის შენობა-ნაგებობები ექსპლუატაციაში მიიღება მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლიდან 1 წლის ვადაში.

რას ნიშნავს შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღება და რა პროცედურებს ითვალისწინებს აღნიშნულის თაობაზე საუბრობს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების

¹ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის №57 დადგენილების მე-3 მუხლის 82-ე და 82¹ პუნქტები.

² „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის №57 დადგენილების მე-19 მუხლის პირველი პუნქტი.

შესახებ”¹ საქართველოს მთავრობის 2009 წლის №57 დადგენილების XXII თავი, კერძოდ, ამავე დადგენილების 95-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „განხორციელებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღება ნიშნავს დასრულებული მშენებლობის სანებართვო პირობებთან შესაბამისობის საბოლოო დადგენას”.²

ზემოთდასახელებული სამართლებრივი ნორმის შეფასებისა და განზოგადების საფუძველზე, ცალსახაა, რომ პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო ობიექტს ექსპლუატაციაში იღებს მხოლოდ შეთანხმებულ სანებართვო პირობებთან საბოლოო შესაბამისობის დადგენის მიზნის მისაღწევად, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონით არ ევალება და ასევე ამავე დადგენილების 96-ე მუხლის პირველი პუნქტითვე აკრძალულია შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებისათვის სხვა მოთხოვნების დაწესება, გარდა სანებართვო პირობებით განსაზღვრულისა, ე.ი. დამკვეთის მიერ ასაშენებელ ან/და აშენებულ შენობა-ნაგებობაში ხაზოვანი კონსტრუქციებისა და კომუნიკაციების ძირითადი გამანაწილებელი ხაზებისა და დგარების- წლის, კანალიზაციის, გაზის, ელ-გაყვანილობის, სწორად განთავსება/დამონტაჟება, რაც განაპირობებს ობიექტის უსაფრთხო ფუნქციონირებას, პროექტის შემთანხმებელ და ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების დროს უნდა გააჩნდეს უფლებამოსილება და ვალდებულება, რადგან სამშენებლო ობიექტი არ შეიძლება მხოლოდ არქიტექტურულ და კონსტრუქციულ ნაწილებად განვიხილოთ, ვინაიდან ნებართვის გაცემის ერთ-ერთ პირობას უნდა წარმოადგენდეს ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებამდე საცხოვრებლად და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კომუნიკაციების ძირითადი ხაზებისა და დგარების განთავსებისა და დამონტაჟების სრული გეგმა-პროექტი, რომელიც უნდა მოიცავდეს სასმელი წყლის, კანალიზაციის, ბუნებრივი აირის, ელ-გაყვანილობისათვის, კონდიცირებისათვის, დასამონტაჟებელად მკაცრად გაწერილ სტანდარტებს, რომელთა დარღვევის შემთხვევაში, ობიექტი არ უნდა იქნეს ექსპლუატაციაში მიღებული და საჯარიმო სანქციასთან ერთად მენაშენე- დეველოპერს უნდა მიეცეს სამომავლოდ მშენებლობის ნებართვის გაცემაზე გარკვეული დროით შეზღუდვა, რაც მიგვაჩნია, რომ სამშენებლო სფეროს გაცილებით უსაფრთხოს, ხოლო სახელმწოფოს ურბანულ განვითარებას სწორ მიმართულებას მისცემს.

მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მშენებლობის ნებართვის გაცემის პირობების გამკაცრება გამოიწვევს სამშენებლო სფეროში დასაქმებული პირების, ორგანიზაციების და ინვესტიციების შემცირებას, მოკლებულია როგორც სამართლებრივ, ასევე ფაქტობრივ საფუძვლებს, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ჯობია ვაშენოთ ცოტა, მაგრამ ხარისხიანად, რასაც აღტერნატივა არ აქვს.

გვინდა ასევე ყურადღება გავამახვილოთ, სამშენებლო სფეროში ხანძარუსაფრთხოების ზომების მკაცრ დაცვაზე, რაც ასევე უნდა შედიოდეს მშენებლობის ნებართვის გაცემის მოთხოვნებსა და ექსპლუატაციაში მიღების ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნად, კერძოდ არ უნდა განხორციელდეს ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება, თუ არ იქნება შენობა-ნაგებობაში სპეციალურად გამოყოფილი ხანძარუსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო სპეციალური სტენდი და ცეცხლმაქრი ხელსაწყოები, რაშიც აუცილებლად უნდა იღებდეს მონაწილოებას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციათა მართვის სამსახური, რომელიც ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების პროცესში განახორციელებს ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობებისა და სისტემების გამოცდას და გააფორმოს შესაბამის აქტს, რაც იმას ნიშნავს, რომ ობიექტი ამ თვალსაზრისითაც უსაფრთხოა.

¹ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესის და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის №57 დადგენილების 59-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ „მშენებლობის წესის და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის №57 დადგენილება საჭიროებს სიღრმისეულ გადახედვას და სამშენებლო სფეროში არსებული სხვა კანონი თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რაც შესაძლებლობას მოგვცემს სამომავლოდ მაინც გაიწეროს ის სტანდარტები, რომელთა გარეშეც არ უნდა გაიცეს მშენებლობის წესის და არ უნდა იქნეს ობიექტი ექსპლუატაციაში მიღებული.

არსებული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, აუცილებელია საჯარო ფორმატში გაიმართოს შეხვედრები და დისკუსიები, რაზედაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი გამოთქვამს მზაობას და მიესალმება აღნიშნულ სფეროში მოღვაწე თითოეული პრაქტიკოსისა და მეცნიერის მოსაზრებებს, რაც მიგვაჩნია, რომ დადგებითად წაადგება, როგორც დარგის ჩამოყალიბების, აგრეთვე კანონმდებლობის დახვეწის თვალსაზრისით.

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომი წარმოდგენილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „საინჟინრო სამართალი“-ს ფარგლებში.

კვლევის პროცესში შესწავლილია ტექნოლოგიური უსაფრთხოების ნორმები, განხილულია სამშენებლო სამართალში ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების სამართლებრივი რეგულირება. ასევე, ყურადღებაა გამახვილებული, სამშენებლო სფეროში ხანძარუსაფრთხოების ზომების მკაცრ დაცვაზე.

Resume

The work is presented in the framework of the scientific research project entitled "Engineering Law" of the Faculty of Law and International Relations of Georgian Technical University.

The learning process considers the study of technological safety norms as well as discusses legal regulation of the operation of the facility in Construction law. It is focused on strict protection of fire safety measures in the field of construction.

1. მტკიცებულებითი საქმიანობის როლი და დანიშნულება სისხლის სამართლის პროცესში

ირაკლი გაბისონია
პროფესორი
ჯემალ გაბელია
პროფესორი

სისხლის საპროცესო კანონმდებლობაში მტკიცებასთან და მტკიცებულებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები სხვადასხვა სახელწოდებითა მოხსენიებული, თუმცა ყველა მათგანის ფუძე „მტკიცებულებასთანა“ დაკავშირებული და მისგან გამომდინარეობს. კერძოდ, იგი ძირითადად მოხსენიებულია „მტკიცებულებათა სამართლის“, მტკიცებულებათა თეორიის“, „მტკიცებითი სამართლის“ და „მტკიცებულებების“ სახელწოდებით.¹

მტკიცების ცნება, მისი საკანონმდებლო განმარტება მოქმედ სისხლის საპროცესო კოდექსში არ არის მოცემული, რაც შეეხება ადრე მოქმედ სსსკ-ს იგი მტკიცებას განმარტავდა, როგორც მტკიცებულებათა შეკრების, საპროცესო დამაგრების, შემოწმებისა და შეფასების პროცესს, წარმოებულს სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით. თუმცა, აღნიშნული განმარტებაც არ იყო სრულყოფილი. მტკიცება სისხლის სამართლის პროცესის მხარეთა (გამომმიებლის, პროკურორის, ბრალდებულისა და მისი ადვოკატის) ფუნქციაა, უფრო კონკრეტულად იგი გამომმიებლისა და პროკურორის უფლება-მოვალეობათა შესრულებაა. ასევე, ბრალდებულის უფლება და მისი ადვოკატის მოვალეობაა და არა მტკიცებულებათა შეფასების, საპროცესო დამაგრებისა და შეფასების პროცესი. რაც იმას ნიშნავს, რომ მისი პირდაპირი დამაგრება და შეკრება შეუძლებელია. პირველ რიგში მას სჭირდება მოპოვება, რომელიც გულისხმობს მის აღმოჩენას, კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე დაფიქსირება-დამაგრებას ამოღებას, დაგროვებას, სისტემატიზირებას, შენახვის უზრუნველყოფას, შესწავლა-განალიზებას, შეფასებას და პროცესუალურ გადაწყვეტილებაში (განაჩენი, განჩინება, დადგენილება, ოქმი) ასახვას.²

სავსებით ვეთანხმებით პროფესორ ა.კვაშილავას მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მტკიცებულებათა არა მარტო შეკრების საპროცესო დამაგრების, შემოწმებისა და შეფასების, არამედ მტკიცებულებათა მოპოვების, შეფასებისა და გამოყენების პროცესი, მთლიანად აღებული, მასში შემავალი ყველა პროცესის ჩათვლით, მტკიცებას არ წარმოადგენს³. მტკიცება საერთოდ პროცესი კი არ არის. არამედ თვით მტკიცებულებათა მოპოვება, მათი პროცესუალურად დაფიქსირება-დამაგრება, ამოღება, დაგროვება, სისტემატიზირება, შენახვა, შემოწმება, შესწავლა-განალიზება და შეფასებაა. ამ გზით სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერი, ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ფაქტებისა და გარემოებების დადგენაა. ზემოთ ჩამოთვლილი მოქმედებების ჩატარება (მტკიცებულების დაფიქსირება, ამოღება, შემოწმება და სხვა) ხდება მის შესაბამის პროცესში. თუმცა, სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ მტკიცებულების პროცესი იწყება სისხლის სამართლის საქმის წარმოების მომენტიდან და მთავრდება საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტში. რაც იმას ნიშნავს, რომ თვითონ პროცესი მტკიცება არ არის. თუმცა, მტკიცება წარმოიშობა მტკიცების პროცესში და არსებობს მხოლოდ ამ პროცესში. მტკიცების პროცესთან გვაქვს საქმე, როცა მიმდინარეობს მტკიცება-მტკიცების სუბიექტის მოქმედება.⁴

¹ Ю. К Орлов. Основы меории доказательств В уголовное процессе, м. 2000 стр.135

² საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კომენტარები, „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივი"-ის გამოცემა, თბ, 2015, გვ 243-247

³ ა კვაშილავა, მტკიცება და მტკიცებულება საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში, თბ, 2011, გვ132-135

⁴ იქვე:გვ136

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მტკიცების ცნება განუყოფლადაა დაკავშირებული მტკიცებულებებთან, მტკიცებულებების კი მტკიცების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან მხოლოდ მათზე დაყრდნობით და მის საფუძველზე შეიძლება საქმის ირგვლივ ფაქტობრივი გარემოებების მართებულობის ან უმართებულობის შესახებ მონაცემების გამოკვლევა-დადგენა. რაც შეეხება მტკიცების ტვირთს, მასში მოიაზრება მტკიცებულებათა წარდგენისა და გარემოებათა თაობაზე მტკიცება. უფრო კონკრეტულად დარწმუნდება მოიაზრება. მტკიცების ტვირთი მხარეებს ერთიანად ეკისრებათ და მათ შორის თანაბრად ნაწილდება, რაც შეეხება კონკრეტულ მითეთებას, თუ რომელმა მხარემ რომელი ფაქტები უნდა დაამტკიცოს, ეს მატერიალურ-სამართლებრივი ნორმებითაა განსაზღვრული.¹

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ სისხლის საპროცესო სამართალში მტკიცების ტვირთი მხარეებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია, რომელიც უშუალოდაა დამოკიდებული ბრალდებულის ბედი, საპროცესო შედეგი.

პრაქტიკაში მტკიცების ტვირთის არასათანადო რეალიზება პროცესის სუბიექტების მიმართ მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი და არასასურველი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობაა. მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის მიხედვით, მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს²

ამრიგად, სისხლის საპროცესო სამართალში დიდია მტკიცებითი საქმიანობის როლი და დანიშნულება, ვინაიდან, მხარეები საპროცესო და მატერიალური კანონმდებლობით სავალდებულო, დაუსაბუთებელი პოზიციის არსებობამ შესაძლოა უარყოფით შედეგამდე მიიყვანოს, რაც ბრალდებულისათვის მის მიერ წარდგენილი ბრალდების დაკმაყოფილებაზე უარის თქმაში, ხოლო ბრალდებულის მხარის მიერ წარდგენილი შუამდგომლობის სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებაში შეიძლება გამოიხატოს.

მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით ქართული საერთო სასამართლოებს საკმაოდ მოცულობით პრაქტიკა დაგროვდათ. აქვე აღსანიშნავია, რომ უზენაესი სასამართლოს გარდა, ასევე ძალზე საინტერესოა სააპელაციო სასამართლოების მოსაზრებები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, არა მხოლოდ ითვალისწინებენ ერთგვაროვან პრაქტიკას, არამედ აზუსტებენ, ავრცობენ და სრულად განსხვავებული, კიდევ უფრო მაღალ სტანდარტზე ააქვთ ესა თუ ის სასამართლო მიდგომა. „მტკიცების ტვირთი, ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას ვინც უარყოფს“. შესაბამისად, ამ დებულებიდან გამომდინარე, უნდა განისაზღვროს ის, თუ ვინ რა უნდა განისაზღვროს ის, თუ ვინ რა უნდა ამტკიცოს³

ამ ეტაპზე მტკიცების ტვირთი, ბრალმდებელზეა, რომელმაც სასამართლოს უნდა უჩვენოს, რომ მათ შეუძლიათ ისარგებლონ საქართველოს კანონმდებლობით დაცული უფლებით. მეტიც შექმნან ადამიანებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი განცდა, რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან, ამასთან დაკავშირებით საინტერესოა საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის მიმოხილვა. ინგლისურ სამართლებრივ მეცნიერებაში მტკიცების ტვირთის თეორიულ კვლევას დიდი ყურადღება არ ეთმობა და არც მისი საკანონმდებლო ცნება მოიპოვება.⁴ თუმცა, როგორც სამართლიანად შენიშნავენ სამართლის მეცნიერები⁵, საერთო სამართლის კონტინენტებთან დაახლოებამ გამოიწვია ის, რომ დღესდღეობით დიდი ბრიტანეთში სხვადასხვა საკითხებზე უფრო აქტიურად იღებენ მომწესრიგებელ აქტებს, ვიდრე ეს ადრე ხდებოდა.

დიდი ბრიტანეთის მტკიცების პროცესში ერთმანეთისაგან განსხვავებენ მტკიცებულებას და მტკიცებულების მატარებელს. მტკიცებულების მატარებლად მიიჩნევა მოწმე, დოკუმენტი ან ნივთი, ხოლო მოწმის მიერ მიცემული ჩვენება, დოკუმენტის შინაარსი, ნივთის მონაცემები, ანუ ის ინფორმაცია,

¹ გაგუა ი. მტკიცების ტვირთის თავისებურება საერთო სამართალში-უზრნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, #4, (27), 2010

² მტკიცების ტვირთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი, თბ, 2018, გვ12

³ გაგუა ი. მტკიცების ტვირთის თავისებურება საერთო სამართალში-უზრნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, #4, (27), 2010

⁴ იქვე:

⁵ ხუბუა გ., სამართლის თეორიები, თბ, 2010, გვ.219

რომლის სასამართლოში გადმოცემასაც დადგენილი წესით უზრუნველყოფას მტკიცებულების მატარებელი, თვით მტკიცებულებაა. ერთ-ერთი ასეთი მტკიცებულებაა ჩვენება სხვისი სიტყვებით, რომელიც ცალკე კატეგორიად გამოიყოფა და დასაშვებია პროცესში, ამ კონკრეტულ შემთხვევაში საუბარია არა იმ ინფორმაციაზე, რომელსაც პირი ავად შეესწრო ან თავად მოიპოვა, არამედ იმეორებს მტკიცებულების მატარებლისაგან ანუ პირველი წყაროსაგან მოპოვებულ ინფორმაციას. აღსანიშნავია, რომ დიდი ბრიტანეთისაგნ განსხვავებით ამერიკის შეერთებული შტატების როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო პროცესში, სხვისი სიტყვებით ჩვენება დაუშვებელი მტკიცებულებაა, გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იცნობს მსგავსი მტკიცებულების სახეს და მას ირიბ ჩვენებას უწოდებს, მეტიც, ირიბი ჩვენება შინაარსობრივად თითქმის ემთხვევა სხვისი სიტყვებით ჩვენებას. მათ შორის მსგავსებაა იმ კუთხითაც, რომ ბრიტანული სამართლის მიხედვით, აუცილებელია, ჩვენების მიმცემა პირმა დაადასტუროს საკუთარი კომპეტენტურობა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც იგი გადმოსცემს.¹

ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდი ბრიტანეთის მსგავსად, სამოსამართლო სამართალთანაა განპირობებული და იურიდიულ მეცნიერებაში ნაკლებად მოიძებნება მტკიცების პროცესზე, მტკიცების ტვირთსა, თუ მტკიცებულებათა განკუთვნადობისა და დასაშვებობაზე რაიმე ფუნდამენტური მეცნიერული კვლევა.²

დიდი ბრიტანეთის მსგავსად, აშშ-ის სასამართლოშიც მტკიცების ორი სტანდარტია მოცემული: მტკიცებულებათა წარმოდგენის ტვირთი და დარწმუნების ტვირთი. ქართული სასამართლოების მიერ დადგენილი სტანდარტი, თითქმის თანხვედრაშია აშშ-ში მოცემულ სტანდარტებთან, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ აშშ-ის მტკიცების პროცესი მტკიცებულებათა შესაფასებლად უფრო მკაფიო და ადვილად აღქმად სტანდარტებს იყენებს³.

როგორც აღვნიშნეთ, ინგლისის ისევე, როგორც აშშ-ის სამართალი მტკიცების ტვირთის საკანონმდებლო განსაზღვრებას არ იცნობს და მტკიცების ტვირთი სრულად განსხვავებული ცნებით მოიხსენება. ინგლისში სასამართლო მტკიცება საქმეში მონაწილე დაინტერესებული პირების საქმიანობას წარმოადგენს, რომელიც მიმართულია მტკიცებულებათა შეგროვების, წარმოდგენისა და გამოკვლევისაკენ.

მტკიცების ტვირთი პროცესის იმპერატიულ მოთხოვნად მიჩნევა და დიდწილად მასზე და მის სწორად განაწილებაზეა დამოკიდებული სამართლებრივი სწორად დასაბუთებული განაჩენის გამოტანა. მტკიცების ტვირთს ორგვარი, ფილოსოფიური და სამართლებრივი საწყისი აქვს. მისი ერთიანი და უნივერსალური ცნება არ არსებობს მაგრამ შესაძლებელია ერთ წინადადებაში მოქცევა, მტკიცების ესაჭიროება მას ვინც სისხლის სამართლის პროცესში სხვას რაიმეს აბრალებს.⁴

აღნიშნულიდან და სისხლის საპროცესო სამართლის კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მტკიცების ცნება შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად.

მტკიცება არის მტკიცების სუბიექტების (გამომძიებელი, პროკურორი, ბრალდებული, მისი ადვოკატი) მოქმედება მიმართული სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერი, ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო და საკმარისი მტკიცებულებათა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად მოპოვების, ე.ო. აღმოჩენის, დაფიქსირება, დამაგრების, ამოღების,

¹ Civil Evidence Act, 1995, Art 5/1

² კ.ფ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკო, ბ.ა. ფილიმონოვი, დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ, 2007, გვ.278

³ კ.ფ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკო, ბ.ა. ფილიმონოვი, დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ, 2007, გვ.269

⁴ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კომენტარები, „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივი“-ის გამოცემა, თბ, 2015, გვ 243-247

დაგროვების, შემოწმების, შენახვის, სისტემატიზირების, შესწავლა-გაანალიზების, შეფასებისა და გამოყენებისკენ.¹

რაც შეეხება მტკიცებულებას, სისხლის საპროცესო სამართლის ლიტერატურაში არსებული მტკიცებულების ყველა განმარტებას წითელ ზოლად გასდევდა მითითება იმის შესახებ, რომ იგი არის კანონით პირდაპირ გათვალისწინებული წყაროებიდან და წესით მიღებული ცნობები, რომელთა საფუძველზე დგინდება არსებობს თუ არა დანაშაულებრივი ქმედება და ვინ ჩაიდინა იგი.²

მტკიცებულების ამგვარი განმარტება ადრე მოქმედ სისხლის საპროცესო კოდექსში გამართული იყო. ამჟამად მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა, სამწუხაროდ აშკარად გასცდა მტკიცებულების „კანონით პირდაპირ გათვალისწინებული წყაროებიდან და წესით მიღებული ცნობების“ ცნებას, როდესაც მტკიცებულებად იქნა აღიარებული „ნებისმიერი სხვა გარემოება თუ ფაქტი, რომელზეც მხარეები შეთანხმდებიან და როდესაც კანონით დაცვის მხარეს მიეცა შესაძლებლობა ჩაატაროს ზოგიერთი სახის საგამოძიებო მოქმედება და ამ გზით მოპოვებული მტკიცებულება წარადგინოს სასამართლოში.³

გამოსამიებელ საკითხზე შეკრებილ მტკიცებულებათა შეფასებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლში მართებულადაა მითითებული, რომ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ეს გარემოება თავისთავად მიგვითითებს იმაზე, რომ ერთ შემთხვევაში მტკიცებულება, რომელიც პირდაპირ მიუთითებს მთავარი დანაშაულებრივი ფაქტის არსებობაზე, შეიძლება გაბათილებული და უარყოფილი იქნეს სხვა მტკიცებულებით.

მაგალითად, თუ ბინის ქურდობის საქმეზე შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას კარადის კანზე აღმოჩენილ იქნა პ.-ეს მარჯვენა ხელის საჩვენებელი და შუა თითების ანაბეჭდი და წარმოიქმნა ლოგიკურად დასაბუთებული ეჭვი ბინის ქურდობაში პ.-ეს მონაწილეობის შესახებ, მაგრამ პ.-მ წამოეყნა ალიბი ბინის ქურდობის დროს თბილისში მისი არყოფნის შესახებ და ეს ფაქტი დადასტურდა იმ პერიოდში სხვა, მასთან მყოფი პირების ჩვენებებითაც. და თუ შემდეგ გამოძიებით დადგინდა, რომ პ.-ე მართლაც იმყოფებოდა დაზარალებულის ბინაში, მაგრამ ქურდობის ჩადენამდე რამდენიმე თვით ადრე იმ ბინაში მცხოვრებ ტ.-ეს დაბადების დღესთან დაკავშირებით გამართულ წვეულებაზე და შესაძლოა იმ დროს დარჩა მისი ხელის თითების კვალი, ცხადია, ამ შემთხვევაში შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას აღმოჩენილი ხელის თითების კვალი კარგავს პ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდების მტკიცებულებით მნიშვნელობას.⁴

სსსკ-ის იმავე მუხლში ასევე მითითებულია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს მტკიცებულებათა შემოწმება მისი შეფასებითობის თვალსაზრისით და ასეთ გარემოებად მიჩნეულია მტკიცებულების რელევანტურობა, დასაშვებობა და უტყუარობა.

ამავე მუხლში მითითებულია იმის შესახებ, თუ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი როგორ და რა სახის მტკიცებულებათა ერთობლიობას უნდა ემყარებოდეს, და ასეთად მიჩნეულია „გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა“.

მტკიცებულებათა შეფასების კანონით რეგლამენტირებული ზემოაღნიშნული გარემოებიდან განსაკუთრებულ შეკამათებას იწვევს გამამტყუნებელი განაჩენის დამყარების საფუძვლად „გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული“ მტკიცებულებების აღიარება.

გონივრული ეჭვის საფუძველზე, რაოდენ მაღალი ალბათობითი ხარისხისა“ და დასაბუთებული ვარაუდითაც უნდა იყოს იგი შემკული. ეჭვი მაინც „ეჭვად რჩება“ და, ცხადია, „საეჭვო“ მტკიცებულებების საფუძვლზე პირის ბრალდებულად ცნობა და მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა და მისთვის თუნდაც ხანმოკლე დროით თავისუფლების აღკვეთა არასწორია. მეტიც, ამგვარ

¹ ა. კვაშილავა., მტკიცება და მტკიცებულება საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში, თბ, 2011, გვ132-133

² ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის პროცესი , თბ, 2013, გვ.263

³ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ავტორთა კოლექტივი, სახელმძღვანელო, თბ, 2013, გვ233-234

⁴ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილი, თბ, 2013, გვ261-262

⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამამტყუნებელი, ი განაჩენის გამოტანა შინაგანი რწმენის ჩარჩოებსაც სცილდება. განაჩენი უნდა ემყარებოდეს საქმის სრული, ყოველმხრივი გამოკვლევით მიღებულ მტკიცებულებებს და არა „საჭირო“ ან „მაღალი ალბათობის“ მქონე მტკიცებულებებს.¹

ამ მიმართებით სწორი იყო ადრე მოქმედი კოდექსის 132-ე მუხლი, სადაც მითითებული იყო: „ეჭვი და მინაშავედ ცნობისათვის მტკიცებულებების უტყუარობისა და მისი საკმარისობის თაობაზე უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლობა, თუ ეჭვი არ შეიძლება გაბათილდეს დამატებით მტკიცებულებათა შეკრებით“, და რომ „გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის. საჭიროა ეჭვის გამომრიცხავ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა“.²

მიგვაჩნია, რომ კარგი იქნებოდა, მტკიცებულებათა შეფასებისა და „ეჭვის“ გამომრიცხავ ამგვარ მიდგომას, ამჟამად მოქმედი, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაც გაიაზრებდა და არ უარყოფდა ადრე სსკ-ის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ ფუნდამენტურ პრინციპს- საქმის გარემოებათა ყოველმხრივ ობიექტური და სრული გამოკვლევის შესახებ.

პროცესუალურ ლიტერატურაში ზოგჯერ ერთნაირი მნიშვნელობით იყენებენ მტკიცებისა და მტკიცებულების ცნებას, მაშინ, როდესაც მათ შორის უფრო მეტი განსხვავებაა, ვიდრე მსგავსება მტკიცებულება სხვა არაფერია, თუ არა ის ფაქტობრივი მონაცემები, რომლითაც გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვის დროს დგინდება პირის ბრალეულობა ან მისი არაბრალეულობა ე.ი. უდანაშაულობა.

მიუხედავად იმისა, რომ მტკიცება და მტკიცებულება მთლიანობაში, ერთ გარკვეულ მიზანს ემსახურება. მეტიც, მთელი რიგ შემთხვევაში ერთიმეორის არსებობაც განაპირობებს. მათი ერთ სიბრტყეში განხილვა მაინც არ შეიძლება, კიდევ ერთხელ ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ მტკიცება მთლიანად დაკავშირებულია გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვის ერთიან პროცესთან. ხოლო, რაც შეეხება მტკიცების პროცესს, იგი პირობითად შეიძლება დაიყოს შემდეგ ეტაპებად: მტკიცებულებათა მოპოვება, მათი პროცესუალური დამაგრება, გამოკვლევა და შეფასება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მოქმედი სისხლის საპროცესო სამართლის მოთხოვნათა შესაბამისად, მტკიცებულებათა ცნება შედარებით სწორადაა ჩამოყალიბებული სისხლის საპროცესო სამართლის კოდექსისადმი თანდართული ძირითად ტერმინთა განმარტებაში, რომლის თანახმად მტკიცებულებად მიჩნეულია „კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცვლელი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომელთა საფუძველზეც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მას, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებს და კანონიერ ინტერესებს“³

სისხლის საპროცესო ლიტერატურისა და კანონმდებლობაში მტკიცებულების ცნებასთან დაკავშირებით აზრთა სხვაობა ყოველთვის არსებობდა და დღესაც არსებობს. მაგალითად, სისხლის საპროცესო კოდექსის ავტორები თავიანთ ფუნდამენტურ ნაშრომში მტკიცებულებებისადმი წარდგენილი თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით მტკიცებულების ცნება ჩამოყალიბეს შემდეგნაირად: ⁴ მტკიცებულება არის მხარეთა მიერ კანონით დადგენილი წესით მოპოვებული და სასამართლოს მიერ დასაშვებ მტკიცებულებად მიჩნეული ყოველგვარი ფაქტობრივი მონაცემები, რომლითაც დგინდება დანაშაულებრივი ქმედების ფაქტის არსებობა ან არარსებობა და ბრალდებულად ცნობილი პირის უდანაშაულობა ან ბრალეულობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელ გარემოებებთან ერთად.⁵ თუმცა, გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოში, რომელიც გამოცემული იქნა 2017 წელს, მტკიცებულების ცნება უფრო მეტადაა დაკონკრეტული: მტკიცებულება-კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის

¹ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის პროცესი, თბ, 2013, გვ.263

² სისხლის სამართლის კოდექსი, 132-ე მუხლი

³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 23.

⁴ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის პროცესი, თბ, 2013, გვ.265

⁵ კ.ფ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკო, ბ.ა. ფილიმონოვი, დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ, 2007, გვ.275

შემცვლელი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზეც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას. დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო-კინო, ვიდეო, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.¹

მტკიცებულებათა ზოგადი ცნების განსაზღვრება მრავლადაა. თუმცა, ისინი განსხვავდებიან ერთიმეორისაგან, მაგრამ არა არსებითად ერთ-ერთ ტიპიურ მაგალითს წარმოადგენს განმარტება, რომელსაც იძლევა ჩ. ფრიკი, „მისი აზრით, მტკიცებულება არის ნებისმიერი საშუალება, რომელიც წარმოდგენილია მხარეთა მიერ იურიდიული წესების დაცვით შესრულებული განსაზღვრული მოქმედების გზით, ანდა მოწმეების, ოქმების, დოკუმენტების, ხელშესახები საგნების და ა.შ მეშვეობით, მათი მოსაზრების შესახებ მოსამართლისა და ნაფიც მსაჯულებისათვის რწმენის შექმნის მიზნით სხვადასხვა საკითხების სასამართლო განხილვის მცდელობისას“². ავტორთა ერთ ნაწილს სურს არსებითად განმარტოს მტკიცებულების ცნება, მაგალითად, ანგლო- საქსური მტკიცებულებითი თავისებურებების ამსახველი დეფინიცია, რომელსაც იურიდიული ტერმინთა თავის ელექტრონულ ლექსიკონში გვთავაზობს კანადელი იურისტი ლ.დიუპაიმი, უკიდურესად მარტივია. მისი აზრით, მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს „ფაქტის დადასტურება, რომელიც წარმოდგენილია საქმის არსებითი განხილვისას“³.

მტკიცებულება, რაზეც აგებულია მთლიანად მტკიცებულებითი სამართალი, საბოლოოდ XIX საუკუნის შუა პერიოდისთვის ჩამოყალიბდა. სწორედ მაშინ გამოითქვა მოსამართლების მიერ გამაოგნებელი ფრაზა: როგორც არ უნდა მოიპოვოთ მტკიცებულება თქვენ, თუნდაც მოიპაროთ, მტკიცებულება დასაშვებად იქნება ცნობილი“³.

ამის შემდეგ ძნელია, ვისაუბროთ თუ რა არის ინგლისის სამართლისათვის დაუშვებელი მტკიცებულება, თუმცა ის მაინც განსაზღვრავს მას ეს გახლავთ უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულება, რომელიც შეხედულებისამებრ შეიძლება იყოს დაუშვებელი სასამართლოს მიერ, მაგრამ არა ავტომატურად. ერთ-ერთ რთულ და რეზონანსულ საქმეზე ლორდთა პალატამ საკამაოდ შეზღუდულად განმარტა სასამართლოს თავისუფლება არასწორად მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლად ჩათვლასთან დაკავშირებით. ლორდთა პალატამ აშკარად უარყო პოლიციის მიერ მტკიცებულების შეგროვების პროცესზე სასამართლოს ზედამხედველობის როლის არსებობა და დაასკვნა, რომ მტკიცებულების დაუშვებლად ჩათვლა უნდა მომხდარიყო მხოლოდ მისი არასამედოობის საფუძველზე, თუმცა სასამართლოს რჩებოდა ეგრეშოდებული. „ნარჩენი უფლებამოსილება“ დაუშვებლად ეცნო მტკიცებულება, რომელიც ზიანს აყენებდა დაცვას სასამართლოში საქმის განხილვისას“⁴.

რაც შეეხება გერმანულ კანონმდებლობას, თუ გამოძიების მიზანი ჭეშმარიტების დადგენაა, ეს ყოველგვარი საშუალებით გამორიცხულია. მეტიც, დაუშვებელი მტკიცებულებების ცალკეული ფორმები პირდაპირ არის ჩამოთვლილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, ხოლო სხვები კი გამომდინარეობს კონსტიტუციური განმარტებიდან.

ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ნორმა გახლავთ, რომელიც პირდაპირ კრძალავს ე.წ. პირველი ხარისხის დაკითხვებს. მაგ. დაკითხვა წამებით, მოტყუებით, მუქარით ან ჰიპოზის გამოყენებით. ასევე, აკრძალულია

¹ გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო, თბ, 2017, გვ.14-15

² კ.ფ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკო, ბ.ა. ფილიმონვი, დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ, 2007, გვ.275

³ იქვე გვ.115

⁴ ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემის თბ, 2002, გვ.112

ყველა სხვა მეთოდი, რომელიც მსგავს ზეგავლენას ახდენს ეჭვმიტანილის გუნებაზე. მაგ. დაკითხვა სიცრუის დეტექტივის გამოყენებით, მეტიც, დაკითხვის ყველა ამ ფორმის გამოყენება აკრძალულია დასაკითხი პირის თანხმობას შემთხვევაშიც.¹

ასევე სხვა სახის პროცესუალური დარღვევის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება, მაგალითად ჩვენება, რომელიც დუმილის უფლების გაფრთხილების გარეშე იქნა მიღებული. ფედერალურმა სასამართლომ განმარტა, რომ მტკიცებულებათა დაუშვებლად გამოცხადება მხოლოდ ისეთი დარღვევის სამართლებრივ შედეგს წარმოადგენს, რომელიც გადამწყვეტ გავლენას ახდენს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობაზე. ასეთი პრაქტიკა მკაცრად იქნა გაკრიტიკებული.²

ჩვენი აზრით აღნიშნული გარკვეული ინტერპრეტაციის საშუალებასაც იძლევა. რას ნიშნავს, თუ ის აუარესებს ბრალდებულის მდგომარეობას? მაშინ გამოდის, რომ თუ არ აუარესებს ბრალდებულის მდგომარეობას დასაშვებია. თუმცა, ბრალდებულის სასარგებლო მდგომარეობის შემცველი მტკიცებულებას ბრალდების მხარე უკანონოდ არ მოიპოვებს თუნდაც იმიტომ, რომ ბრალდების მხარეა. რა ხდება იმ შემთხვევაში თუ დაცვის მხარემ მოიპოვა ასეთი სახის მტკიცებულება? დაცვის მხარე ყოველთვის ცდილობს მოიპოვოს მისი დაცვის ქვეშ მყოფის შემამსუბუქებელი მტკიცებულება. შესაბამისად გამოვიდოდა ისე, რომ დაცვის მხარის მიერ უკანონო გზით მოპოვებული მტკიცებულებაა, თუ ის ამსუბუქებს ბრალდებულის მდგომარეობას დასაშვებია. ცხადია, პრაქტიკაში არ ყოფილა ასეთი შემთხვევა, როგორც აღვნიშნეთ აღნიშნული მუხლი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა კონსტიტუციის 42 მუხლის მე-7 ნაწილი ნათლად განმარტავს, რომ კანონით დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებას იურიდიული ძალა არ გააჩნია, შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული მუხლი ეხება არა უკანონო გზით მოპოვებული მტკიცებულების ბრალდებულის სასიკეთოდ გამოყენებას, არამედ ამ მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებულ მტკიცებულებას.³

ირლანდიის მაგალითზე ყველა დონის სასამართლოს აქვს დისკრეციული უფლებამოსილება დაუშვებლად გამოაცხადოს უკანონო ქმედების შედეგად მიღებული მტკიცებულება, თუ ამას საჯარო ინტერესი მოითხოვს. ამ უფლებამოსილების განხორციელებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, თუ რამდენად სერიოზული კანონდარღვევა იყო, თუ არა ჩადენილი განზრახ თუ გაუფრთხილებლობით, ხომ არ იყო გამოწვეული საგანგებო სიტუაციის არსებობით და რამდენად მიუთითებს გავრცელებული მსგავსი პრაქტიკის არსებობაზე, ამდაგვარი მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა უპირველეს ყოვლისა მიზნად ისახავს პოლიციის მხრიდან არაკანონიერი ქმედების თავიდან აცილებას.⁴

ესპანეთის მაგალითზე მიუღებელი მტკიცებულებაა, რომელიც მოპოვებულია ადამიანის ფუნდამენტულურ უფლების და კონსტიტუციის დარღვევით. წამების შედეგად მიღებული ჩვენება აბსოლიტურად დაუშვებელია, ისევე როგორც უკანონოდ ამოღების შედეგად მიღებული ნივთიერი მტკიცებულება.⁵

როგორც არაკანონიერი გზით მოპოვებული მტკიცებულება პირდაპირ არ იწვევს მის დაუშვებლობას. ამის ნათელი მაგალითია დანის კანონმდებლობაა, სადაც ასეთი სახის მტკიცებულება აუცილებლად არ იწვევს მის დაშვებულობას. სასამართლო, როგორც წესი, მას მხედველობაში იღებს. თუმცა პოლიციის მოხელე, ვინც მტკიცებულების მოპოვებისას კანონს დაარღვევს, პასუხს აგებს. უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით დანის კანონმდებლობით გარკვეული ცვლილებები მიმდინარეობს. მაგალითად, თუ პოლიცია, კონკრეტული საქმის გამოძიებისას კანონიერი გზით წარმოებული სატელეფონო მოსმენის შედეგად, მიიღებს ინფორმაციას სხვა დანაშაულის შესახებ, მაშინ ეს ინფორმაცია შეიძლება გამოყენებული იქნას ახალ დანაშაულზე გამოძიების ჩასატარებლად, მაგრამ არა მტკიცებულებად სასამართლოში.⁶

¹ იქვე 169

² ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, თბ, 2002, გვ170

³ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 42-ე მუხლი,

⁴ ევროკავშირის ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, თბ, 2002, გვ 402,

⁵ იქვე 402

⁶ ევროკავშირის ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, თბ, 2002, გვ77

რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობას, სისხლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლი ნათლად განმარტავს, რომ ამ კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარ მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუკრესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია.¹

მოქმედ კოდექსში ასევე არ არის ჩამონათვალი იმ გარემოებებისა, რომლებიც უნდა დამტკიცდეს სისხლის სამართლის საქმეზე. ადრე მოქმედ კოდექსში კი 112-ე მუხლი დეტალურად აღწერდა აღნიშნულ გარემოებებს. მიგვაჩნია, რომ კარგი იქნებოდა სისხლის სამართლის საქმეზე დასამტკიცებელ გარემოებებთან დაკავშირებული ამგვარ მიდგომას, დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობაც გაიაზრებდა.² სამწუხაროდ დღეს მოქმედ საპროცესო კანონმდებლობაში არა გვაქვს მუხლი, სადაც გაწერილი იქნება სისხლის სამართლის პროცესის ამოცანები, რაც ხარვეზად მიგვაჩნია, ადრე მოქმედ კოდექსში კი პირველი მუხლი, ამოცანები დეტალურად იყო გაწერილი.

მტკიცება უშუალოდ დაკავშირებულია მტკიცების საგანთან საერთოდ და მის შემადგენელ ნაწილთან-მთავარ ფაქტთან განსაკუთრებით. მტკიცების მიზანია მტკიცების საგნის არსებობის ან არარსებობს დადასტურება, მაგრამ თუ მთავარი ფაქტი არ არსებობს, მაშინ არც მტკიცების საგანი არსებობს.

მთავარი ფაქტი არის მტკიცების საგნის მირითადი შემადგენელი ნაწილი, რომელსაც განსაზღვრავს სისხლის სამართლის კოდექსის სპეციალური ნორმის (კერძო ნაწილის ნორმის) დისპოზიციით გათვალისწინებული ქმედება, სისხლის სამართლის პროცესში საერთოდ და მტკიცებით სამართლში საბჭოურ პერიოდში მთავარი ფაქტი ეწოდებოდა სისხლის სამართლებრივად დასჯად ქმედებას, ჩადენილს შერაცხადი ფიზიკური პირის მიერ, რაც იმას ნიშნავს, რომ მთავარი ფაქტი- ეს იგივე დანაშაულებრივი ქმედებაა. მაგალითად, განზრახ მკვლელობა. პასუხისმგებლობის დამამდიმებელი და შემამსუბუქებელ გარემოებათა გარეშე. ეს დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 108-ე მუხლით, გულისხმობს სხვისი სიცოცხლის განზრახ მოსპობას დამამდიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოებების გარეშე. მკვლელობის ყველა დამამდიმებელი გარემოება ითვალისწინებს სსკ 109-ე მუხლი, ყველა მკვლელობა შემამსუბუქებელი გარემოებების გარეშე. გარემოებებში გათვალისწინებულია სსკ 110-114-ე მუხლებით. სხვა არც ერთი მუხლი განზრახი მკვლელობისთვის პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს.³ ყველა მკვლელობა სხვისი სიცოცხლის მოსპობაა. მაშასადამე, სსკ 108-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობა არის სხვისი (არა საკუთარი სიცოცხლის მოსპობა, ე.ი თვითმკვლელობა) სიცოცხლის მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად მოსპობა, რომელსაც თან არ ახლავს სსკ 109-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი დამამდიმებელი და ამავე კოდექსის 110-114-ე მუხლებით გათვალისწინებული არც ერთი შემამსუბუქებელი გარემოება.⁴ ამ შემთხვევაში და მკვლელობის სხვა შემთხვევაში მთავარი ფაქტია მკვლელობა, ე.ი სხვისი სიცოცხლის მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად განზრახ მოსპობა. ამჟამად, მოქმედი სსკ პასუხისმგებლობის გაუფრთხილებლობით მკვლელობისთვის არ ითვალისწინებს. უფრო სწორედ, სსკ 116-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სხვისი სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისთვის, რასაც სსკ მკვლელობად არ მიიჩნევს. ამიტომ მკვლელობის საქმეზე მთავარი ფაქტის დადგენა ნიშნავს სხვისი სიცოცხლის მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად განზრახ ე.ი. პირდაპირი ან არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვით მოსპობის ფაქტის დადგენას.⁵

თუმცა, მთავარი ფაქტის დადგენა, მიუხედავად იმისა, რომ ის მტკიცებულების საგნის მირითადი შემადგენელი ნაწილია, საკმარისი არ არის ქმედების დანაშაულად სწორად დაკვალიფიცირებისათვის. ამისთვის აუცილებელია მთლიანად მტკიცების საგნის დადგენა. რაც იმას ნიშნავს, მთავარ ფაქტთან ერთად საჭიროა იმ გარემოებათა დადგენა, რომელთა გარეშე სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია. რაც შეეხება მტკიცებულების საგნის განმარტებას სამწუხაროდ,

¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლი,

² იქვე:112-ე

³ ა. კვაშილავა-მტკიცება და მტკიცებულება საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში. თბ., 2011, გვ. 136-139

⁴ სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე- 116-ე მუხლი

⁵ ა. კვაშილავა-მტკიცება და მტკიცებულება საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში. თბ., 2011, გვ. 136-137

საპროცესო კოდექსში უშუალოდ არ არის გაწერილი. ადრე მოქმედი კოდექსის XV თავი, რომლის სახელწოდება იყოს „მტკიცებულებანი და მტკიცების საგანი“, მოიცავდა 112-ე მუხლს, რომლის სახელწოდება იყო გარემოებები, რომლებიც უნდა დამტკიცდეს სისხლის სამართლის საქმეზე იურიდიული პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას დასადგენ გარემოებათა ჩამონათვალს კი იძლეოდა იმავე სსსვ-ის 679¹³ მუხლი და ამ მუხლების მოთხოვნათა ერთობლიობიდან გამომდინარე, ამავე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად იყო შემუშავებული მტკიცების საგნის ცნება და იგი არ სცილდება იმ ფაქტებისა და გარემოებების დადასტურების ფარგლებს, რომელსაც მოითხოვს სსსვ ზემოთ აღნიშნული და ზოგიერთი სხვა მუხლები.¹ მაგალითად, რა უნდა იყო დადგენილი გამამართლებელი და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის, სისხლის სამართლის საქმის წარმოებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისათვის და ა.შ.

ადრე მოქმედი სსსვ 112-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებებს ახალი კოდექსის 250-ე მუხლიც ითვალისწინებს, ოღონდ იგი სხვა სიტყვებით არის გამოთქმული. რაც შეეხება მტკიცების საგნის ცნებას, ამჟამად მოქმედი სსსვ კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, უნდა აღინიშნოს, რომ იგი უნდა შეესაბამებოდეს, აგრეთვე, სისხლის სამართლის სპეციალურ ნორმის მოთხოვნებსაც, რადგანაც უპირველეს ყოვლისა, უნდა დადასტურდეს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ფაქტი, რასაც სს კოდექსი განსაზღვრავს, ხოლო სხვა გარემოებები, რომელთა დადასტურებას მოითხოვს სსსვ დაკავშირებულია არა მარტო მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ქმედებასთან, არამედ სასჯელის დანიშვნისა და სხვა მრავალი საკითხის გადაწყვეტასთან.²

აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია მტკიცების საგნის ცნება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

მტკიცების საგანი არის იმ ფაქტების, მოვლენებისა და გარემოებების ერთობლიობა, რომელიც დადგენილია კანონიერად მოპოვებული, დასაშვებ, უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობით და რომელიც აუცილებელი და საკმარისია ქმედების დანაშაულად ზუსტად დაკვალიფიცირებისათვის.

რაც შეეხება მტკიცების ფარგლებს, მტკიცების ფარგლები გულისხმობს ბრალდების ყველა ნაწილის, ეპიზოდის, ბრალის შემამსუბუქებელი ან დამამდიმებელი გარემოების და საქმის კანონიერად გადაწყვეტისათვის აუცილებელ გარემოებათა სრულყოფილად დადასტურებას, ყოველგვარ ეჭვის ბრალდების სასარგებლოდ გამოყენებას. რაც იმას ნიშნავს, რომ მტკიცების ფარგლები არის მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელი ხდება საქმის გამოძიებისა და შემდგომში კი სასამართლოში განხილვის დროს საქმეზე მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენა. მტკიცების ფარგლებით მიღწეულია მაშინ, როდესაც სრულყოფილად, უდაოდ დადასტურებულია ბრალდების წაყენებისათვის ყველა ფაქტი და გარემოება. დამატებით არავითარი საგამოძიებო და სასამართლო მოქმედების ჩატარება არის საჭირო.

მტკიცების საგანს მიეკუთვნება მისი ფარგლებიც, რომლებიც საგანთან ერთობლიობაში მოიცავენ, აგრეთვე იმ ფაქტებისა და გარემოებების უცილებლად დადგენას, რაც დაკავშირებულია ადამიანის უდანაშაულობასთნ, მისი ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტასთან, შემამსუბუქებელი გარემოების არსებობასთან, სასჯელისაგან ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებასთან. როდესაც საუბარია უდანაშაულობის პრეზუმფციაზე, განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლზე მითითება.³

სისხლის სამართლის პროცესი სისხლისსამართლებრივი ნორმის სწორად გამოიყენების ერთადერთი კანონიერი საშუალებაა. რაც იმას ნიშნავს, რომ საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მიღება დანაშაულებრივი ქმედების ჩადენასთან დაკავშირებით და სისხლისსამართლებრივი ნორმის სწორად გამოყენებასთან დაკავშირებული ყველა გარემოებათა სისხლის საპროცესო სამართლებრივი წესით დამტკიცების გარეშე არ შეიძლება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ მტკიცების საგანი უნდა იყოს დანაშაულებრივი ქმედების ფაქტისა და სისხლისსამართლებრივი

¹ შ.ფაფიაშვილი, მტკიცების საგანი და მტკიცების საგნები, თბ, 2002, გვ.114-117.

² შ.ფაფიაშვილი, მტკიცების საგანი და მტკიცების საგნები, თბ, 2002, გვ.114-117.

³ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მე-40 მუხლი

ნორმის სწორად გამოყენებისათვის საჭირო ყველა გარემოებათა სისხლის საპროცესო სამართლის კოდექსის მოთხოვნათა დაცვით დადგენა, დამტკიცება და პროცესუალურად გაფორმება. უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან დანაშაულის საგანი, რომელიც შეიძლება იყოს ნივთი, მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსიდან გამომდინარე, შინაური ცხოველი და ფრინველიც და მტკიცებულების საგანი. კერძოდ, როდესაც საუბარია მკვლელობაზე, აღნიშნული საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის შემთხვევაში მტკიცების საგანია: ა) ჰქონდა თუ არა ადგილი მკვლელობას, ე.ი. სხვისი სიცოცხლის მოსპობას, ხომ არ ჰქონდა ადგილი თვითმკვლელობას, ბუნებრივ სიკვდილს, უბედურ შემთხვევას, აუცილებელ მოგერიებას, დამნაშავის შემპყრობისათვის საჭირო ზომის გადამეტებას. ბ) თუ ადგილი ჰქონდა მკვლელობას, სსკ რომელი მუხლით გათვალისწინებულ მკვლელობას ჰქონდა ადგილი, 108-ე, 109-ე, 110-ე, 111-ე, 112-ე, 113-ე, თუ 114-ე, ხომ არ ჰქონდა ადგილი თვითმკვლელობამდე მიყვანას ან სიცოცხლის მოსპობას-გაუფრთხილებლობით (მუხლი 115-ე და 116-ე).¹

თუ, სახეზეა სსკ-109-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობა, ასეთ შემთხვევაში უნდა დადგინდეს აღნიშნული სამივე ნაწილში ჩამოითვლილი მაკვალიფიცირებელი ნიშნებიდან რომელი ახლავს ჩადენილ მკვლელობას. აღნიშნული მუხლი სამი ნაწილისა და 25 მაკვალიფიცირებელი ნიშნისაგან შედგება, რომელთაგან ერთ-ერთის დადგენა საკმარისია ქმედების სსკ 109-ე მუხლის შესაბამისი ნაწილითა და შესაბამისი პუნქტით დაკვალიფიცირებისათვის, თუ ამ მუხლის სხვადასხვა ნაწილში გათვალისწინებული ორი ან მეტი ნიშანი ახლავს ჩადენილ მკვლელობას, მაშინ ბრალდებაში უნდა ჩამოითვალოს ყველა ნიშანი, რომელიც ახლავს დანაშაულებრივ ქმედებას და მითითება უნდა იყოს შესაბამის ნაწილებზე და პუნქტებზე². დანაშაულებრივ ქმედებას თუ ახლავს ერთ ნაწილში ჩამოითვალილი რამდენიმე ნიშანი, ეს ნიშნები ყველა უნდა ჩამოითვალოს ბრალდებაში, მაგრამ 109-ე მუხლის შესაბამის ნაწილზე ერთჯერ მითითება საკმარისია.³

ამრიგად, მტკიცების საგნის არსი გამოიხატება ფაქტობრივად ჩადენილი ქმედებისა და მისი ნიშნების სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით, მისი ნაწილით ან პუნქტით გათვალისწინებულ ქმედებასა და მისი ნიშნების სრულყოფილად, ჭეშმარიტად ურთიერთდამთხვევის ფაქტის დადგენაში. მაგრამ სისხლის სამართლის კანონის გამოყენებისათვის მარტო ეს საკმარისი არ არის. საჭიროა აგრეთვე სსკ- 112-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებათა დადგენა. აღნიშნული დაკავშირებულია უფლებამოსილი პირის მიერ შეგროვილ მტკიცებულებებთან, რაც უფრო უახლოვდება მტკიცება სტანდარტს მით უფრო აღწევს იგი სისხლის სამართლის პროცესის მიზანს. ეს მიზანი კი მიიღწევა მხოლოდ აბსოლიტურ ჭეშმარიტებას დადგენის შემთხვევაში. სამწუხაროდ, მოქმედი კანონმდებლობით ჭეშმარიტების დადგენა, საერთოდ იგნორირებულია.⁴ სისხლის სამარტლის საპროცესო კოდექსში კი 112-ე მუხლი საერთოდ ამოღებულია.

სსკ პირველი მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთ უპირველეს მიზანს წარმოადგენს დანაშაულის გამოძიებას, სისხლისამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების წესების დადგენა. ეს მტკიცების საგნის მირითადი შემადგენელი ნაწილია, ხოლო მტკიცება სისხლის სამართლის პროცესის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ნაწილს წარმოადგენს. ამიტომ მტკიცების საგნისა და სისხლის სამართლის პროცესის საგნის შინაარსი ემთხვევა ერთმანეთს მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სს პროცესის საგანი უფრო ვრცელია და მტკიცების საგანი მთლიანად თავსდება მასში. მტკიცების საგანი განისაზღვრება სსკ კერძო ნაწილის მუხლს, მისი ნაწილის ან პუნქტის დისპოზიციის კონსტრუქციით. ზოგ შემთხვევაში (მზადება, მცდელობა, ნებაყოფლობით ხელის აღება, აუცილებელი მოგიერების ან დამნაშავის შეპყრობისათვის საჭირო ზომის ფარგლების გადაცილება, უეცარი ძლიერი სულიერი აღელვება) მტკიცების საგანი განისაზღვრება სსკ კერძო და ზოგადი ნორმების ერთობლიობით. მაგ: თანახმად სსკ 177-ე მუხლის პირველი ნაწილისა ქურდობა არის სხვისი მოძრავი ნივთის ფარულად მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით⁵. ამიტომ

¹ ა.ფაფიაშვილი, მტკიცების საგანი და მტკიცების საგნები, თბ, 2002, გვ.114-117.

² ა. კვაშილავა-მტკიცება და მტკიცებულება საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში. თბ., 2011, გვ. 136

³ ავტ. კოლექტივი, სისხლის სამართლის პროცესის კერძო ნაწილი, თბ, 2013, გვ.264

⁴ ავტ. კოლექტივი, სისხლის სამართლის პროცესის კერძო ნაწილი, თბ, 2013, გვ.261-262.

⁵ სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლი,

ქურდობის შესახებ საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს შერაცხადობისა და სსკ ზოგადი ნაწილის ნორმებით გათვალისწინებული სხვა გარემოებებთან ერთად უნდა დადგინდეს: ჰქონდა თუ არა ადგილი სხვისი მომრავი ნივთის ფარულად დაუფლებას და მისმა ჩამდენმა იგი ჩაიდინა თუ არა ამ ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. ეს არის ქურდობის კანონით განსაზღვრული შინაარსი. სწორედ ამის დადგენაა აუცილებელი, ამის შესახებ არის მსჯელობა გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვის პროცესში და ამიტომ, სწორედ ამის დადგენა არის სისხლის სამართლის პროცესში მტკიცების საგანი. მტკიცების საგანია აგრეთვე, სსკ ზოგადი ნაწილის ნორმათა გამოყენების საჭიროების დადგენა.

მტკიცების ფარგლები სისხლის სამართლის პროცესში განისაზღვრება იმით, თუ რამდენად რეალურად არის დადგენილი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ფაქტი და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის საჭირო კანონით გათვალისწინებული სხვა გარემოებები. რაც იმას ნიშნავს, რომ ეს გარემოებები კანონიდან გამომდინარე დადგენილი უნდა იყოს, უფლებამოსილი პირის მიერ შეგროვილი უტყუარი მტკიცებულებებით. აღნიშნული კი მიიღწევა იმ შემთხვევაში თუ მტკიცება დაკავშირებულია ჭეშმარიტებასთან, მხოლოდ მაშინ შეიძლება საუბარი იმაზე, რომ მტკიცებამ მიაღწია თავის ფარგლებს. ამაზე საუბარი შეიძლება აბსოლიტური ჭეშმარიტების მიღწევის შემთხვევაში. ასეთი ჭეშმარიტება სისხლის სამართლის პროცესში გულისმხობს ჩადენილი ქმედების რეალურ ასახვას პროცესუალურ დოკუმენტებში და ამ ქმედების ყველა ნიშნის სსკ კერძო, ნაწილის მუხლით, მისი ნაწილით ან პუნქტით გათვალისწინებულ ნიშნებთან სრულ შესაბამისობის უტყუარად დადგენას.¹ სამწუხაოდ, სასამართლო პრაქტიკაში არცთუ ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც საქმეში არ არსებობს ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, უტყუარი მტკიცებულებებია, ფაქტიურად ირიბი მტკიცებულების საფუძველზე ხდება პირის გამართლება.

მაგალითად, ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 1 აპრილს განაჩენით: რ.მ. ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით და მიესავა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებული რ.გ.ს მიერ ცადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატება შემდეგში: რ.ტ. და მისი მეგობრები ს.ს-ი და რ.გ.-ი წინასწარ შეთანხმდნენ დანაშაულის ერთობლივ ჩადენაზე და გადაწყვიტეს, ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ „პრივატანკუის“ მარნეულის სერვის ცენტრს, დიდი ოდენობით ფულადი თანხის გატაცების და დაუფლების მიზნით. 2013 წლის 8 აგვისტოს დაახლოებით 08:00 საათზე უკანონოდ შეაღწის ზემოაღნიშნულ ბანკის შენობაში და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების მუქარით მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლენ აღნიშნული ბანკის კუთვნილ დიდი ოდენობით თანხას.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეტა პალატის 2014 წლის 21 ივლისის განაჩენით დარჩა უცვლელად. მსჯავრდებული რ.მ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი.ჯ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ივლისის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და რ.მ-ს მიმართ გამამრთებელი განაჩენის დადგენას. კასატორის მოსაზრებით განაჩენი არის უკანონო ნდა დაუსაბუთებელი სისხლის სამართლის საქმეში არის მტელი რიგი გადაცდომები, გამამტყუნებელი განაჩენი ემყარება მხოლოდ და მხოლოდ პოლიციის თანამშრომლის მიერ მოცემულ ჩვენებას და საქმეში არ არსებობს სხვა არანაირი მტკიცებულება-არც პირდაპირი და არც ირიბი, რომელიც დაადასტურებდა რ.მ-ს დანაშაულებრივ ქმედებას.²

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რ.მ-ი უნდა გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მხულის მე-2

¹ ა. კვაშილავა, მტკიცების საგანი და ფარგლების სისხლის სამართლის პროცესში, უზრნალი სამართალი, #5-6, 2004 წ.

² საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება #321 აპ-14 11 მარტი 2015

ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში შემდეგ გარემოებათა გამო:¹

ბოლნისის რაინული და თბილისის სასამართლოების მიერ რ.მ-ს მიმართ გამამტყველებელი განაჩენს საფუძვლად დაედო გამომძიებელთა განმარტებები, მათ შორის- გ.ქ-ს ჩვენება, საქართველოს ბანკის მარნეულის ფილიალის შენობის გარდა ხედვის კამერიდან ამოღებული ჩანაწერები, სადაც ჩანს ფეხით მოსიარულე მამაკაცი, მოწმე რ.დ-ს ჩვენება, რომელიც ადფასტურებს რ.მ-ს დანაშაულის ადგილის მიმდინარე ტერიტორიაზე ყოფნის ფაქტს. საკასაციო პალატამ შეისწავლა ხსენებული მიმდებარე ტერიტორიაზე ყოფნის ფაქტს. საკასაციო პალატამ შეისწავლა ხსენებული მტკიცებულებები და მათი კავშირი ერთმანეთთან, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე შეამოწმა მოწმეთა მიერ კმოცემული ირიბი ჩვენებების მტკიცებულად გამოყენების და მათი საქმიდან ამორიცხვის საკითხი და მივიდა შემდეგ დასკვნამდე: საქართველოს ბანკის მარნეულის ფილიალის შენობის გარდა ხედვის ჩანაწერები არ წარმოადგენს უტყუარ მტკიცებულებას რ.მ-ს წინააღმდეგ, კერძოდ, ხსენებული ჩანაწერთა დათვალიერების ოქმებით დადგენილია, რომ 2013 წლის 8 აგვისტოს, დაახლოებით 07:34 საათზე კამერის ჩანაწერებში ჩნდება მამაკაცი, რომელიც ფერიტ მოძრაობს, თუმცა ეს პირი არის თუ არა ნამდვილად რ.მ-ი, არ არის დადასტურებული ერთადერთი მოწმე, რომელიც ადასტურებს რ.მ-ს ყოფნას დანაშაულის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე, მაგრამ არა იმ კონკრეტულ ადგილზე სადაც ყაჩაღური თავდასხმა მოხდა, არის ტაქსის მძღოლი. თუმცა, ასეც რომ იყოს, ეს გარემოება არ ადასტურებს რ.მ-ს მიერ ყაჩაღური თავდასხმის ფაქტს, სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით ვერ დადგინდა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის დროს ამ უკანასკნელის სატელეფონო ან სხვა სახის კავშირები ს.სა და რ.ტ-თან.

ამდენად საქმეში არ არსებობს, ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებული მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც დაამტკიცებდა რ.მ-ს მიერ ყაჩაღური თავდასხმის ფაქტს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელო საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლის მე-2 ნაწილით და დაადგინა მსჯავრდებული რ.მ-ი გამართლდეს საქართველოს სსსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.²

საქართველოს მტკიცებითი სამართალი დიდ ბრიტანეთსა და აშშ-სთან შედარებით ნაკლებადაა განვითარებული განსაკუთრებით ეს ეხება

მტკიცებულების ერთიანი და უნივერსალური სტანდარტის არარსებობას, რადგან საკანონმდებლო დონეზე იგი საკმარისად დეტალურად მოწესრიგებული არაა, ხოლო სასამართლო პრაქტიკით კი მაინც ზოგადი, ნაკლებად გამოსადეგი და ბუნდოვანი სტანდარტია დადგენილი. ამიტომ სასურველია, თუ შემდგომში საქართველოს სისხლის საპროცესო კოდექსში მტკიცების სტანდარტი დადგინდება და უმჯობესია, ეს სამოსამართლო სამართლით განხორციელდეს. ასეთი სტანდარტი იქნება ამოსავალი წერტილი მტკიცების სუბიექტებისათვის ისე მოსამართლისათვის და მისი გამოყენებით სასამართლო უფრო ადვილად შეძლებს ქმედების სწორად დაკვალიფიცირებასა და სამართლიანი განაჩენის გამოტანას.

¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლი

² საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება #321 აპ-14 11 მარტი 2015წ

რეზიუმე

სტატია მომზადებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „მტკიცების (მტკიცებულებათა შეგროვების, საპროცესო დამაგრების შემოწმებისა და შეფასების) აქტუალური პრობლემები“-ს ფარგლებში.

ნაშრომში განხილულია სისხლის საპროცესო კანონმდებლობაში მტკიცებასთან და მტკიცებულებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები, მიმოხილულია მტკიცებულებითი საქმიანობის როლი და დანიშნულება სისხლის სამართლის პროცესში. ყურადღებაა გამახვილებული მტკიცების ცნების განმარტებასა და შესწავლაზე.

Resume

The article has been prepared within the scope of the scientific-research project of the Faculty of Law and International Relations of the Technical University of Georgia ("Assessment of Evidence, Procedure for Testing and Evaluation").

The paper deals with the evidence in criminal procedural legislation and the main issues related to evidence, the role and purpose of evident activity in the criminal proceedings. The article is focused on the definition and explanation of the assertion of evidence.

2. ექსპერტის დასკვნა, როგორც მტკიცებულება მტკიცების პროცესში

ლევან ქობულაშვილი
პროფესორი

სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო–საგამოძიებო ორგანოების განსახორციებელი ძირითადი ფუნქციები გამოიხატება გამოძიების დაწყებაში, მიღებული მონაცემების სწრაფ, სრულ, ყოველმხრივ შესწავლაში და ვერსიების შემოწმებაში, მტკიცებულებათა შეკრებაში, ექსპეტიზის (ექსპეტიზების) დანიშვნაში, მიღებული ექსპერტის დასკვნის სასამართლოში განხილვამდე გამოძიების ეტაპე და სასამართლოში სხვა მტკიცებულებებთან ერთად კომპლექსურ შემოწმებაში, ობიექტურ შეფასებაში, დანაშაულის სწრაფ გახსნაში, არსებული პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე, პრევენციული ზომების მიღებაში, დანაშაულის თავიდან აცილების პერსპექტივით.

სასამართლო–საგამოძიებო მოქმედებების წარმოების პროცესთან დაკავშირებული მხარეები, სპეციალური ცოდნის გამოყენების საჭიროების შემთხვევაში, მიმართავენ ექსპერტიზის ინსტიტუტს. სასამართლო ექსპერტიზა, მისი დანიშვნა და წარმოება წარმოადგენს პროცესუალურ მოქმედებას, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. სისხლის სამართლის პროცესში იგი განიხილება როგორც სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების გამოყენების ერთ-ერთი ფორმა.

ამ პროცესში, როგორც გამოძიების, ასევე საქმის სასამართლოში განხილვის დროს, სამართალდამცავი ორგანოების მოქმედებათა განხორციელების უმნიშვნელოვან საშუალებას მტკიცებულებები (მტკიცებულებების წყაროები) წარმოადგენენ, კერძოდ კი ექსპერტიზების წარმოების შედეგად შედგენილი ექსპერტის დასკვნები.

სასამართლო ექსპერტიზა, როგორც დამოუკიდებელი პროცესუალური ფორმა მიმართულია ახალი ნივთ-მტკიცებების მიღებისაკენ და არსებულის დასაზუსტებლად.¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძირითად ტერმინთა განმარტებაში (თავი 1, მ. 3, პ.23) განსაზღვრულია მტკიცებულების ცნება:

„მტკიცებულება – კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზედაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას. დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღმოჩნდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო-, კინო-, ვიდეო-, ბერებისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.“²

საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია წარმოადგენს მტკიცებულებას, როდესაც იგი დოკუმენტურად გამაგრებულია სსს კოდექსში მითითებულ წყაროში. მტკიცების სფეროში მტკიცებულება (მტკიცებულების წყარო) იქნება ჩართული მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით. მართალია მტკიცებულების წყაროს ცნება ნათლად არ არის გამაგრებული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, მაგრამ აღნიშნული ტერმინი ხშირად გამოიყენება სასამართლო პრაქტიკაში.

¹ ლ. ქობულაშვილი. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), მეორე გამოცემა. ავტორთა ჯუფი, პროფესორთა ჯ. გახოვიძის, მ. მამიაშვილის, ი. გაბისონიას რედაქტორობით. გამოცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2013, თ. III, პ. 1, გვ. 95-102.

² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 3

მტკიცებულები და მათი წყაროები განიხილებიან ერთიანობაში. ამავე დროს ეს ცნებები არაერთგვაროვანია. მტკიცებულების წყაროს უნდა წარმოადგენდეს ინფორმაციის ისეთი მატარებელი, რომელიც მთლიანად მოიცავს მტკიცებულებას. თავის მხვრივ, მტკიცებულება შედგება ცნობებისაგან და პროცესუალური ფორმისაგან. იგი უნდა იყოს ცნობილი სასამართლო-საგამოძიებო ორგანოებისათვის, რაც იძლევა საშუალებას თვალყური მივადევნოთ მტკიცებულების ფორმირებას, უზრუნველყოთ მისი შემოწმება და დავადგინოთ მისი ლეგიტიმურობა.

მტკიცებულებათა, მათ შორის ექსპერტის დასკვნის დასაშვებობის საკითხს წყვეტს სასამართლო.¹ ყველა მტკიცებულების წყაროს (პროცესუალურ წყაროს) მიესადაგება პროცესუალური ფორმა, როგორიცაა დასაკითხი პირის სიტყვიერი ინფორმაცია ჩვენების ფორმით, საგნების ნიშან-თვისებები ნივთმტკიცებების ფორმით, წერილობითი აქტები დოკუმენტების, დასკვნების, ოქმების ფორმით, ინფორმაცია სხვა დოკუმენტების ფორმით, ასევე ინფორმაციის სხვა მატარებლები.

მტკიცებულების წყარო, რომელიც წარმოადგენს ბრალდებულის, დაზარალებულის, მოწმის ჩვენებებას, ექსპერტის დასკვნას და მის ჩვენებას, ნივთიერ მტკიცებულებას, საგამოძიებო მოქმედებების, სასამართლო სხდომის, ასევე ოპერატიულ-სამძხრო ღონისძიების ოქმებს, სხვა დოკუმენტებს და ინფორმაციის მატარებლებს, მაშინ აღიქმება ამ წყაროს ფორმით, როდესაც იგი მოპოვებულია და წარდგენილია პროცესუალური ნორმების დაცვით.

ზოგადათ მტკიცებულებები (ფაქტიური მონაცემები) წარმოადგენენ ნებისმიერ სიტყვიერი ფორმით გადმოცემულ ცნობებს (მონაცემები, შეტყობინებები, გაუღერებული ოფიციალური ინფორმაცია და ინფორმაცია იმ ფაქტების შესახებ, რომლებიც უშუალო კავშირშია განსახილველ დანაშაულებრივ ქმედებებთან), რომლებსაც ახასიათებს კანონში მოხსენებული თვისებები.

მტკიცებულების წყარო (პროცესუალური წყარო) შეიძლება განვიხილოდ მხოლოდ იმ პროცესუალური ფორმით, რომლის საშუალებით მტკიცებულებები დაიშვებიან სისხლის სამართლის

უცნობი მტკიცებულების წყაროები ვერ იქნებიან აღიარებულნი ლეგიტიმური სახით და გამოსაძიებელ სისხლის სამართლის საქმეებზე განხილულნი როგორც მტკიცებულებები.

ამავე დროს მტკიცებულებების, მათ შორის ექსპერტის დასკვნის, დასაშვებობის საკითხს წყვეტს მხოლოდ სასამართლო²

აღნიშნული ასევე, ეხება დაუცველ ნივთმტკიცებებს, რადგან არ არის გამორიცხული მათზე რაიმე სახის როგორც ზემოქმედება ასევე შეცვლის შესაძლებლობა და შესაბამისად ასეთი სახის ობიექტები ვერც მტკიცებულების წყაროდ, ვერც მტკიცებულებად ვერ განისაზღვრება. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე (ნ.3¹) მუხლის, თანახმად დგინდება ექსპერტიზის დასკვნის მტკიცებულების სახით დაუშვებლობა, თუ ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორმა მხარემ ვერ არ უზრუნველყო საქართველო კვლევის ობიექტის დაცვა.³

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო ექსპერტიზას აწარმოებს სისხლის სამართალწარმოების სპეციალური სუბიექტი - ექსპერტი.⁴

ამ საქმიანობაში შეიძლება ჩართულ იქნენ, როგორც სახელმწიფო სასამართლო ექსპერტები, ასევე სხვა ექსპერტები იმ ფიზიკურ პირთაგან, რომლებიც ფლობენ სპეციალურ ცოდნას, აქვთ გამოცდილება და სათანადო უნარზევები⁵. არასახელმწიფო დაწესებულებებში მოღვაწე ექსპერტები შეიძლება იყვნენ

¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 72

² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 72

³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლი

⁴ იქვე:

⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 149-ე მუხლი

გაერთიანებული შესაბამისი სამართლებრივი ფორმით დაფუძნებულ თვითდაფინანსებაზე მყოფ მოქმედ საქასპერტო დაწესებულებებში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ექსპერტიზა ტარდება მხარის ინიციატივით. ამ კოდექსით განსაზღვრულია ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი, კერძოდ: „თუ მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების სათანადო დარგის ან ამა თუ იმ ხელობის ექსპერტთა მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დადგენა, ასევე თუ სხეულს ან ინფორმაციის შემცველ ობიექტს აჩნია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე კვალი, ნიშანი ან თავისებურება, რომლის სწორად გაგება და აღქმა სპეციალური ცოდნის გარეშე შეუძლებელია, ტარდება ექსპერტიზა“¹.

სასამართლო ექსპერტიზა წარმოადგენს პროცესუალურ მოქმედებას. მისი წარმოება არის რეგლა- მენტირებული კანონით. მისი წარმოების შედეგად წარმოიქმნება მტკიცებულება ექსპერტის დასკვნის სახით.

ამასთან ერთად „მხარეს უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით და თავის ხარჯზე ჩაატაროს ექსპერტიზა, იმ გარემოების დასადგენად, რომელსაც, მისი აზრით, შეუძლია ხელი შეუწყოს მისივე ინტერესების დაცვას. . . . მხარის მოთხოვნით, ექსპერტის დასკვნა სავალდებულო წესით დაერთვის სისხლის სამართლის საქმეს და შეფასდება სხვა მტკიცებულებებთან ერთად“. დაზუსტებულია, რომ ბრალდებულს უფლება აქვს, საკუთარი ხარჯით, თვითონ ან/და ადვოკატის დახმარებით მოიპოვოს მტკიცებულება².

თუ მტკიცებულების მოპოვებისათვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ უზრუნველყოფს, იგი უფლებამოსილია, საკითხის გადაწყვეტის მიზნით, შესაბამისი პროცედურის გავლით, მიმართოს სასამართლო–საგამოძიებო ორგანოს გამოძიების ადგილის მიხედვით.

მაგალითად, ეს ეხება ისეთ საკითხს, რომელიც დაკავშირებულია ექსპერტის წარმოებისათვის შემთხვევის ადგილის ექსპერტის (ექსპერტების) მიერ დათვალიერების და შესწავლის საჭიროებასთან. შედეგად მოპოვებული ინფორმაცია ხდება ახალი მტკიცებულების – ექსპერტის დასკვნის, შემადგენელ ნაწილად.

ანალოგიურად შეიძლება განვიხილოდ ისეთი მაგალითი, როდესაც ხელნაწერის კრიმინალისტიკური ექსპერტიზის წარმოებისას, საიდენტიფიკაციო კვლევის ჩასატარებლად, ექსპერტიზის მწარმოებელი პირის შუამდგომლობის საფუძველე, ექსპერტიზის დამნიშნავ პირს ან მის წარმომადგენელს შეუძლია საგამოძიებო ორგანოდან, ნივთმტკიცების სახით, ექსპერტიზის წარმოების მიზნით, მოითხოვოს გამოსაკვლევი და შესადარებელი დოკუმენტების (საბუთების) დედნები, მათ შორის ექსპერიმენტალური, თავისუფალი და პირობითად თავისუფალი ნიმუშები.

გარკვეული თავისებურება გაააჩნია პროცედურას, რომელიც დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, როდესაც ბრალდებული, სასამართლოს განჩინებით, მოთავსებული სამედიცინო დაწესებულებაში, შემდგომში შემოწმებული უნდა იყოს სპეციალური ცოდნის მქონე მეცნიერული და პრაქტიკული, კონკრეტული სამედიცინო მიმართულების ექიმთა მიერ. ექსპერტის დასკვნის შედგენის ხორციელდება შესაბამისი ლიცენზიის მქონე დაწესებულების (ექსპერტების) მიერ, რის უგულველყოფა იწვევს შედგენილი დასკვნის სასამართლოს მიერ დუშვებელი ნივთმტკიცების სახით ცნობას.

სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზების, წარმოებასთან დაკავშირებულ საქმიანობას, სხვა სასამართლო ექსპერტიზებისაგან განსხვავებით, არეგულირებს საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ³ და საქართველოს კანონი - „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.⁴

¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლი

² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლი

³ საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ

1775 – რს, 24.06.2005; იხ. კარი II, ლიცენზიის გაცემა; თავი II, ლიცენზიის სახეები

⁴ საქართველოს კანონი - „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

კერძოდ, საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ ამ საქმიანობას არეგულირებს ამ კანონის შესაბამისი მუხლების შემდეგი პუნქტებით:

721. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ლიცენზია.

722. სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ლიცენზია.

723. პათოლოგანატომიური საქმიანობის ლიცენზია.

საქართველოს კანონის - „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, მიხედვით (მუხლი 1) „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №40, 18.07.2005, მუხ. 264) შეტანილია რიგი ცვლილება, კერძოდ: 72-ე პუნქტის („გ“) შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის 721–725 (21.07.2010; №3550) პუნქტები:

721. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ლიცენზია.

722. სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ლიცენზია.

723. პათოლოგანატომიური საქმიანობის ლიცენზია.

724. განსაკუთრებით საშიშ პათოგენებზე საქმიანობის ლიცენზია.

725. საწარმოო ტრანსფუზიოლოგიური საქმიანობის ლიცენზია.

ასევე, პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბებულ იქნა შემდეგი რედაქციით:

„ამ კანონის მოქმედება (გარდა ამ კანონის მე-6 მუხლის 72-ე-72⁵ პუნქტებისა და 24-ე მუხლის 54-ე პუნქტისა) არ ვრცელდება ამავე კანონით განსაზღვრულ საქმიანობაზე, კერძოდ ქმედებაზე, თუ მას ახორციელებს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება . . .“¹²

ერთერთი წინაპირობა იმისა, რომ ექსპერტის დასკვნა აღქმული იყოს მტკიცებულების ფორმით, დაკავშირებულია პირის ექსპერტად დანიშვნისას, გარკვეული და განსაზღვრული პირობების შესრულების უზრუნველყოფაზე, შესაბამისი პროცესუალური მოთხოვნების დაცვით. კერძოდ დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

- პირის გარკვეულ სფეროში სათანადო სპეციალური ცოდნის ფლობა, პროფესიული გამოცდილება;
- ექსპერტიზის დანიშვნა კანონით დადგენილი წესით, აღნიშნულის შემოწმების შესაძლებლობა, მათ შორის ექსპერტის მიერ, მისი უნარჩვევების საფუძველზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ პირობების შესრულებისას გათვალისწინებელ უნდა იყოს:

1. სასამართლო ექსპერტიზების თანამედროვე კლასიფიკაციები.¹⁷
2. ექსპერტად დანიშვნის დროს საექსპერტო სპეციალობით განისაზღვრა გამოსაკვლევი ობიექტების და კვლევის მეთოდების ცოდნის, ასევე საექსპერტო დაწესებულების სპეციფიკის, კერძოდ კი სპეციალური ინტელექტუალური და ტექნიკური ხასიათის შესაძლებლობების გათვალისწინებით.
3. სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნა და წარმოება რეგულირებული უნდა იყოს იმ მოთხოვნების შესაბამისად, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, შესაბამის კანონქვემდებარე ნორმატიული სამართლებრივი აქტებით, უწყებრივი დებულებებით და ა. შ.¹

როგორც ჩანს, პერსპექტივივაში, ამ კუთხით განსაკუთრებული როლი უნდა მიენიჭოს „სასამართლო ექსპერტიზის შესახებ“ კანონს და „სასამართლო ექსპერტიზის სტანდარტს“, საკანონმდებლო ორგანოში შესაბამისი პროექტების წარდგენის, განხილვის და მიღების შემდეგ.

¹ ლ.ქობულაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები #3(449), თბილისი 2003.გვ.131–136

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ექსპერტიზის დანიშვნისას დადგენილებაში ან მომართვაში უნდა ჩამოყალიბებულ იქნას ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი, ექსპერტიზის წინაშე დასმული ამოცანა და კითხვები, რა გამოსაკვლევი ობიექტები და ნივთმტკიცებები და რა ფორმით ისინი იყო წარმოდგენილი კვლევაზე, რა დოკუმენტები (მტკიცებულების ამოღების ან შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, სხვა დოკუმენტები), ინფორმაცია თუ ვის მიერ და სად ინიშნება ექსპერტიზა, მონაცემები იმ პირის პირადი და პროფესიული გამოცდილების შესახებ რომელიც უშუალოდ დაინიშნა ექსპერტად და ა.შ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ექსპერტიზაზე ნივთიერი მტკიცებულებების წარდგენის საკითხს, კერძოდ საკითხს, ვის მიერ, სად, როდის, რა პირობებში ეს ობიექტები იყო მოპოვებული, როგორია ნივთმტკიცებების შეფუთვა და დალუქვა, მათი დაცულობა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ობიექტების გადაადგილება შეუძლებელია და ა.შ.

რომელიმე ამ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ობიექტი შეიძლება მიჩნეულ იქნას დაუშვებელ მტკიცებულებად.

მოქმედ საქართველოს სსს კოდექსში წინა კოდექსთან შედარებით, თუ არ ჩავთვლით შესაბამის 2010 წლის კომენტარებს, არ არის გათვალისწინებული სასამართლო ექსპერტიზის თეორიით, პრაქტიკით და მოქმედი კლასიფიკაციებით განსაზღვრული ექსპერტიზების დიფერენციაცია პირველადი (საწყისი, ძირითადი), დამატებითი, განმეორებითი, საკომისიო, კომპლექსური, ალტერნატიული ექსპერტიზის სახეებათ. ჩვენი აზრით ასეთი დიფერენციაცია გამომდინარეობდა სასამართლო–საგამოძიებო პრაქტიკიდან და ქმნიდა ამ პრაქტიკის არსებულ თეორიასთან შერწყმის პირობას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასამართლო ექსპერტის მიერ შედგენილი ექსპერტის დასკვნა, განურჩევლად იმისა, ერთპიროვნული, კომისიური თუ სხვა სახით იქნება ის წარმოდგენილი, როგორც მტკიცებულება იღებს კონკრეტულ, ზუსტად განსაზღვრულ პროცესუალურ ფორმას საგამოძიებო პროცესისაგან დამოუკიდებლად.

ამავე დროს მოყვანილ კომენტარებში ამ საკითხებთან დაკავშირებით მოყვანილია ისეთი სახის მოსაზრებები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სასამართლო ექსპერტიზის შესახებ, სპეციალურ ლიტერატურაში არსებულ თეორიულ პოსტულატებს. ასეთი უზუსტობების დადგენა იმის საწინდარია, რომ ექსპერტიზის დასკვნა მტკიცებულების სახით, სწორად იყოს აღქმული. თავის მხვრივ კი შესაბამისი ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნას როგორგც სსს კოდექსის კომენტარებში, ასევე სსს კოდექსში.

აღნიშნული კომენტარების¹ თანახმად:

- „არსებობს პირველადი, დამატებითი, განმეორებითი, კომისიური და კომპლექსური ექსპერტიზა“. ამავე დროს სპეციალური ლიტერატურის მიხედვით¹¹ (როგორც ძველ სსს კოდექსში), ცნობილია პირველადი, დამატებითი, განმეორებითი, კომისიური (საკომისიო), კომპლექსური, ალტერნატიული ექსპერტიზების და ექსპერტიზების კომპლექსის ცნება.
- პირველადი ექსპერტიზის შესახებ კომენტარებში მოცემულია შემდეგი: „პირველადია ექსპერტიზა როგორც კონკრეტული ფაქტობრივი გარემოების დასადგენად ექსპერტიზა ინიშნება პირველად და აღნიშნულ საკითხზე ექსპერტს მანამდე არ უმსჯელია. პირველადი ექსპერტიზის დანიშვნის დროს მხარემ შეძლებისდაგვარად ამომწურავად უნდა ჩამოაყალიბოს კითხვები, რათა დღის წესრიგში არ დადგეს დამატებითი ექსპერტიზის ჩატარების საჭიროება“¹².

აღნიშნული შინაარსობრივად ეხმაურება თეორიაში არსებულ ამ სახის ექსპერტიზის განმარტებას. ამავე დროს უნდა აღინიშნოს შემდეგი: პირველადია (საწყისი, ძირითადი) ექსპერტიზა, რომელიც ინიშნება სს საქმეზე, გამოსაკვლევი ობიექტის მიმართ განსაზღვრული ამოცანის გადასაწყვეტად და

ლ. ქობულაშვილი. „სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნა და წარმოება“ წიგნში: საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი), მეორე გამოცემა. ავტორთა ჯგუფი, პროფესორთა ჯ. გახოვიძის, მ. მამნიაშვილის, ი. გაბისონიას რედაქტირებით. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2013, თ.III, პ.1, გვ.95–102

პირველად ტარდება. იგი, როგორც წესი ტარდება ერთპიროვნულად (ერთპიროვნული ექსპერტიზა), თუ არ გამოიკვეთა მისი წარმოების განსაკუთრებული სირთულე, ასევე, მის წარმოებაში, შეიძლება ჩართულ იქნას ორი ან მეტი ექსპერტი.

3. დამატებითი ექსპერტიზის შესახებ კომენტარებში განსაზღვრულია შემდეგი: „დამატებითია ექსპერტიზა, როცა იგი ტარდება ისეთი კვლევის ობიექტზე, რომელზეც უკვე ჩატარებულია პირველადი ექსპერტიზა. დამატებითი ექსპერტიზის ჩატარება საჭირო ხდება ისეთ შემთხვევაში, როცა პირველადი ექსპერტიზის დანიშვნის დროს გამომძიებელს მხედველობიდან გამორჩა საქმისათვის მნიშვნელოვანი კითხვის დასმა ან ექსპერტმა არ გამოიკვლია საქმეზე მნიშვნელობის მქონე რომელიმე გარემოება ან/და დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა ან იმავე კვლევის ობიექტზე ახალი გარემოების გარკვევის აუცილებლობა განაპირობა პირველადი ექსპერტიზის შედეგებმა ან პირველადი ექსპერტიზის ჩატარების შემდგომ ჩატარებულმა საგამოძიებო მოქმედებებმა (მაგ., გამომძიებელმა დანიშნა სამედიცინო ექსპერტიზა იმის გასარკვევად, აღნიშნებოდა თუ არა პირს სხეულზე დაზიანებები, თუმცა არ დაუსვამს კითხვა დაზიანებების ხანდაზმულობისა და იმის შესახებ, თუ რითი შეიძლება ყოფილიყო ისინი მიყენებული. პირველადი ექსპერტიზის დასკვნით დადასტურდა პირის სხეულზე დაზიანებების არსებობა. ვინაიდან დაზიანებების ხანდაზმულობა და მათი მიყენების მექანიზმი წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელოვან დეტალს, გამომძიებელმა უნდა დანიშნოს დამატებითი ექსპერტიზა ამ საკითხების გარკვევის მიზნით¹³.

ამ კუთხით ცნობილია შემდეგი:

„დამატებითი ექსპერტიზა, რომელიც ინიშნება კონკრეტულ საქმეზე, როდესაც ამავე საქმეზე, ობიექტსა და საკითხზე ჩატარებული საექსპერტო გამოკვლევას ან შედგენილ დასკვნას ესაჭიროება შევსება. კერძოდ ეს ის შემთხვევაა, როდესაც პირველადი ექსპერტიზა არ იყო სრული, ნათელი, ან წარმოდგენილი მასალა არ იყო მთლიანობაში გამოკვლეული; დასმული კითხვებიდან გადაწყვეტილია მხოლოდ ნაწილი; შეიძლება წარმოდგენილ იქნას ახალი მასალა და ჩნდება ახალი კითხვები იგივე ობიექტის ირგვლივ, ადრე გამოკვლეულ გარემოებების მიმართ.“ აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ განმეორებითი ექსპერტიზისაგან განსხვავებით „დამატებით ექსპერტიზას ატარებს იგივე ან სხვა ექსპერტი“, რაც არ არის ასახული არც სსს კოდექსში, არც მოქმედ სსს კოდექსის კომენტარებში.

განმეორებითი ექსპერტიზის შესახებ კომენტარებში მოცემულია შემდეგი: „განმეორებითი ექსპერტიზა ინიშნება იმავე საკითხის გასარკვევად, რომლის გამოკვ-ლევის მიზნითაც ჩატარებულ იქნა პირველადი ექსპერტიზა. განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების გადაწყვეტილების მიღება ხდება იმ შემთხვევაში, თუ პირველადი ექსპერტიზის დასკვნა დაუსაბუთებელია ან საეჭვოა მისი სისწორე, პირველადი ექსპერტიზის დასკვნა დამყარებულია არასარწმუნო გარემოებებზე ან მისი ჩატარების დროს მოხდა ექსპერტიზის ჩატარების წესის არსებითი დარღვევა“¹⁴.

ჩვენი აზრით: „განმეორებითი ექსპერტიზა, რომელიც ინიშნება კონკრეტულ საქმეზე, როდესაც პირველადი ექსპერტიზა არის დაუსაბუთებელი; თუ მისი სისწორე საეჭვოა; არასარწმუნოა მტკიცებულება, რომელსაც დაეყრდნო ექსპერტი; ექსპერტიზის ჩატარების დროს მოხდა საპროცესო წესის არსებითი დარღვევა; ექსპერტიზის დასკვნა ეწინააღმდეგება ობიექტურად დადგენილ ფაქტებს ან არ შეესაბამება საქმის სხვა გარემოებებს, რომლებიც იყო გამოკვლეული და შესწავლილი. განმეორებითი ექსპერტიზა ტარდება იგივე ობიექტების მიმართ და იგივე კითხვების გადასაწყვეტად, რომლებიც იყო გამოკვლეული და შესწავლილი პირველადი ექსპერტიზის წარმოების დროს. მისი წარმოება ევალება სხვა ექსპერტს (ესპერტებს)¹².

თუ დადებითად ჩამოყალიბდა აზრი, რომ განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარება ევალება სხვა ექსპერტს, რაც სწორად მიგვაჩნია, იგი ასევე უნდა იყოს ასახული სსს კოდექსში. აღნიშნულს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა სასამართლოში ექსპერტიზის დასკვნის მტკიცებულების ფორმით განხილვის დროს.

¹ ლ. ქობულაშვილი. „სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნა და წარმოება“ წიგნში: საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი), მეორე გამოცემა. ავტორთა ჯგუფი, პროფესორთა ჯ. გახოვიძის, მ. მამნიაშვილის, ი. გაბისონიას რედაქტირებით. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2013, თ.III, პ.1, გვ.95–102

კომისიური ექსპერტიზის მიმართ კომენტარებში მოცემულია შემდეგი: „კომისიური ექსპერტიზა ექსპერტიზის რთული ფორმაა, რომელსაც ატარებს რამდენიმე ექსპერტი. კომისიური ექპერტიზა ინიშნება იმ შემთხვევაში, როცა გამოსაკვლევი ობიექტის ან გარემოების სირთულის გამო მიზანშეწონილია მის ჩატარებაში ერთი და იმავე დარგის ან/და სპეციალობის რამდენიმე ექსპერტის მონაწილეობა. კომისიური ექსპერტიზის ჩატარების გადაწყვეტილების მიღება ხდება ისეთ შემთხვევაშიც, როცა სახეზეა ერთი და იმავე საკვლევ ობიექტზე ჩატარებული შინაარსობრივად განსხვავებული ექპერტიზის დასკვნები“¹³ /3.10/.

კომისიური ექსპერტიზა თეორიულ ნაშრომებში ასევე ცნობილია როგორც: „საკომისიო ექსპერტიზა“, ე.ი. ექსპერტიზა რომელიც სრულდება კომისიური წესით. უნდა ავღნიშნოთ, რომ ამ წესით სრულდება ასევე კომპლექსური ექსპერტიზა, მაგრამ საკომისიო ექსპერტიზისაგან განსხვავებით სხვადასხვა სპეციალობის მქონე ექსპერტების მონაწილეობით. ჩვენი აზრით, აღნიშნულის გამო, ტერმინი „საკომისიო ექსპერტიზა“ უფრო მისაღებია. ვინაიდან „საკომისიო ექსპერტიზა, ისეთი ექსპერტიზაა, რომელსაც ატარებს ერთი სპეციალობის მქონე ექსპერტთა კომისია (ერთგვაროვანი ექსპერტიზა), ორი ან მეტი ექსპერტის შემადგენლობით“¹², შედგენილ დასკვნას ხელს აწერს კომისიის მთელი შემადგენლობა თუ მათი აზრი არ გაიყო“¹². ეს მოსაზრებაც არ არის ასახული სსს კოდექსში.

კომისიური ექსპერტიზის შესახებ კომენტარებში მოცემულია ზოგადი ხასიათის განმარტება და მოყვანილია მაგალითი.

მოცემულია შემდეგი:

„კომპლექსური ექსპერტიზა ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ საკვლევი ობიექტები იძლევა რამდენიმე სახის ექსპერტიზის ერთობლივად ჩატარების შესაძლებლობას. კომპლექსური ექსპერტიზის მიზანია ნაკლები დროისა და რესურსის გამოყენებით მიღებულ იქნეს სხვადასხვა დარგის კვლევის შედეგები ერთი დადგენილებით (ასევე დაცვის მხარის წერილობითი მიმართვით)¹⁾ და ერთი საერთო დასკვნით (მაგ., ჩხუბის შედეგად დაზიანებულ სისხლიან ტანსაცმელზე შესაძლოა ერთდროულად (ერთი დადგენილებით) დანიშნული იქნეს ორი სახის ექსპერტიზა: ბიოლოგიური (ტანსაცმელზე არსებული სისხლის ლაქების ჯგუფის დადგენის მიზნით) და ფიზიკო–ტექნიკური (ტანსაცმელზე არსებული დაზიანებების მიზრზების დადგენის მიზნით) ექსპერტიზა.“

ვინაიდან კომპლექსური ექსპერტიზის სპეციფიკა გამოიხატება იმაში, რომ ექსპერტის დასკვნას ადგენენ სხვადასხვა სპეციალობის მქონე ექსპერტები და თუ განსხვავებული აზრი მათ შორის არ დაფიქსირდა, ისინი პასუხისმგებლები არიან მთელ დასკვნაზე, რაზედაც ხელს აწერენ. ამავე დროს ეს დასკვნა დაფუძნებულია მათ მიერ ცალცალკე ჩატარებული კვლევების სინთეზზე, და ამ კვლევების შედეგების აპრიორი სისწორის აღიარებით. აქედან ჩანს, რომ ექსპერტთა პასუხისმგებლობის საკითხი, კომპლექსური ექსპერტიზის ჩატარებისას, იქიდან გამომდინარე, რომ ექსპერტი აგებს პასუხს მისი დასკვნის სისწორეზე და აბიექტურობაზე პიროვნულად, მკვეთრად განსხვავდება სხვა ექსპერტიზის ფორმებისაგან და ამ საკითხს ესაჭიროება სპეციალური ახსნა. ეს კი უშუალოდ ეხმაურება სასამართლოს მიერ ექსპერტის დასკვნის მტკიცებულების ან მიუღებელი მტკიცებულების ფორმით აღქმის შესაძლებლობის საკითხს.

ჩვენი განმარტებით: „კომპლექსური ექსპერტიზის წარმოების დროს, მტკიცებულების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს, თუ რომელი ექსპერტი, რა შემთხვევაში პასუხისმგებელია შედგენილ დასკვნაზე და რომელი მის ნაწილზე. მაგალითად, შედგენილი დასკვნის სრულყოფის და ობიექტურობის გარანტიად გვესახება როგორც სინთეზური ნაწილის შემდგენი კომისიის წევრის ექსპერტის (დამატებითი საორგანიზაციო ფუნქციების მქონე კომისიის წევრი) ან ექსპერტების სათანადო სპეციალური ცოდნა, გამოცდილება და ობიექტურობა, ასევე კვლევის პროცესში მონაწილე ექსპერტების მიერ შედგენილი და წარდგენილი შუალედური დასკვნების ხარისხი და მიუკერძოებლობა. ჩვენი აზრით, კომპლექსური ექსპერტიზის სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებული თავისებურება, მათ შორის კვლევების ცალკეული

¹² ლ. ქობულაშვილი. „სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნა და წარმოება“ წიგნში: საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი), მეორე გამოცემა. ავტორთა ჯგუფი, პროფესორთა ჯ. გახოვიძის, მ. მამნიაშვილის, ი. გაბისონიას რედაქტირებით. გამოცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2013, თ.III, პ.1, გვ.95–102

შედეგების სინთეზის, როგორც კვლევითი ნაწილის აუცილებელი ელემენტის შედგენა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს სსს კოდექსში ან ამ კოდექსის კომენტარებში. ამის უგულველყოფა მოქმედი კანონმდებლობის გარკვეულ ხარვეზად შეიძლება მიჩნეულ იქნეს.

აქედან ჩანს, რომ მნიშვნელოვანია დასკვნის სინთეზური ნაწილის შედგენის საკითხის დაზუსტება, რაც ექსპერტიზის შესრულების დროს კვლევის დასაბუთებულობის გარკვეულ გარანტიას იძლევა და ამყარებს მტკიცებულების ფორმით ექსპერტების დასკვნის აღმას.

ამასთან ერთად უნდა განვასხვავოთ და სწორად განვისაზღვროთ სპეციალურ ლიტერატურაში¹³, სს კოდექსში და სსს კოდექსში მოყვანილი კომპლექსური ექსპერტიზების კომპლექსის ცნებები, მათი ხშირი არასწორი გაიგივების გამო და ა.შ.

ამ კუთხით რეგულირებას ექვემდებარება ერთ დაწესებულებაში, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, ერთდროულად დანიშნული რამდენიმე ექსპერტიზის (ექსპერტიზების კომპლექსი) შესრულების რეგლამენტი, როდესაც ექსპერტიზის დამნიშნავი პირის შეფასების გარეშე, ექსპერტების მიერ ხდება ერთი ექსპერტიზის შედეგების გამოყენება მეორე წარმოებულ ექსპერტიზაში. საბოლოო ჯამში, სასამართლოს მიერ ასეთი სახით შედგენილი ექსპერტიზის დასკვნის მიღება მტკიცებულების სახით, შეიძლება ეჭვის ქვეშ დადგეს.

ანალოგიურად სამართლებრივად არ არის დარეგულირებული შემთხვევა, როდესაც ექსპერტიზა ჩასატარებელია კომპლექსური წარმოების ფორმით და ამავე დროს მისი შესრულება ევალება არა შესაბამისი ცოდნის მქონე რამდენიმე ექსპერტს, არამედ ექსპერტს, რომელიც ფლობს იგივე სახის რამდენიმე საექსპერტო სპეციალობას.

ასევე არ არის დარეგულირებული პროცედურა, როდესაც ორი ან მეტი რაოდენობის ექსპერტიზა დანიშნულია ერთ დაწესებულებაში (ექსპერტიზების კომპლექსი) და რომელიმე ექსპერტიზის დასკვნა, არსებული პრაქტიკის მიხედვით, გამომმიებლის (პროკურორის) მიერ საქმეზე მტკიცებულების სახით დართვის ავლით, გამოიყენება სხვა წარმოებულ ექსპერტიზაში. აյ ან უნდა შესრულდეს არსებული რეგულაცია შესრულებული ექსპერტიზის გამომმიებლისათვის (პროკურორისათვის) დაბრუნებით, შემდგომ მისი იგივე დაწესებულებაში საქმის მასალის სახით სხვა წარმოებულ ექსპერტიზაში გამოსაყენებლად გადაგზავნით, რაც მოითხოვს ძალზე დიდ დროს. ან საჭიროა ახალი რეგულაცია, რა შემთხვევაში გამომმიებლის (პროკურორის) მიერ აღნიშნული ექსპერტის დასკვნის მიღება და ახალი ნივთმტკიცების სახით გადაგზავნა ექსპერტიზების მწარმოებელთან უნდა მოხდეს ელექტრონულად და ეს პროცედურა მიიღებს აუცილებელ ფორმას. სხვა შემთხვევაში სასამართლომ შეიძლება იმსჯელოს კონკრეტული ექსპერტიზის მტკიცებულების სახით დაუშვებლობაზე.

რაც ეხება სასამართლო ექსპერტიზის შესახებ არსებულ თეორიაში ასევე საექსპერტო პრაქტიკაში გამოყენებულ ცნობილ ტერმინებს, მარტებულია მათი გამოყენება მოხდეს თანამედროვე კლასიფიკირების შესაბამისად¹⁴.

მაგალითად, ძველი შემორჩენილი ტერმინის „ფიზიკო-ტექნიკური ექსპერტიზა“ მაგივრად მართებულია გამოყენებულ იქნას ტერმინი „კრიმინალისტიკური ტრასოლოგიური ექპერტიზისა“ და ა. შ. ექსპერტიზის დანიშნვის დროს არაუნიფირებული სახით ტერმინების გამოყენება გავლენას ახდენს ექსპერტთა შერჩევაზე, სხვა საკითხებზე, რამაც შეიძლება დაღი დაასვას ექსპერტის დასკვნის მტკიცებულების კონტექსტში სწორ აღქმას.

საკითხის ირგვლივ, აღნიშნულ კომენტარებში, მოცემულია შემდეგი: ”არსებობს სხვადასხვა სახის ექსპერტიზა. მაგალითად, დოკუმენტების ტექნიკური და ხელწერის ექსპერტიზა (ექსპერტიზა, რომელიც იკვლევს ხელნაწერებსა და ხელმოწერას);“ ამავე დროს დოკუმენტების კრიმინალისტიკური ექსპერტიზა როგორც კრიმინალისტიკური ექსპერტიზების ერთერთი სახეობა იკვლევს არა ხელნაწერებს ხელმოწერას, რომლებიც წარმოადგენენ ხელნაწერების და ხელმოწერების კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ობიექტებს, არამედ ტექნიკური საშუალებების გამოყენებით შეისწავლის დოკუმენტების (საბუთების) გაყალბების, ჩანაწერების ამოშლის, ფოტოსურათების გადაწებების და სხვა ანალოგიურ საკითხებს.

ექსპერტის დასკვნის შეფასებისათვის ასევე გასათვალისწინებელია, თუ რა ფორმით შესრულებულია კონკრეტული საექსპერტო კვლევა.

მაგალითად იქვე კომენტარებში ნახსენებია ქიმიური ექსპერტიზა, რომელიც აღნიშნული და სხვა ანოლოგიური ექსპერტიზების სახეობებიდან განსხვავებით, წარმოადგენს არა ობიექტების მიხედვით განსაზღვრულ, არამედ გამოყენებული მეთოდების მიხედვით ექსპერტიზების სახეობას.

ცნობილია, რომ ქიმიური, როგორც ნებისმიერი სხვა მეთოდის გამოყენებით შეიძლება გამოკვლეულ იქნას მრავალი სხვადასხვა სახის ობიექტი, ცალკეული ობიექტის გამოკვლევას კი ესჭიროება სხვადასხვა მეთოდების გამოყენება. მეორე შემთხვევაში შეიძლება იყოს გამოყენებული მეთოდების კომპლექსი, ან მეთოდიკა, რომელშიც აკუმულირებულია სხვადასხვა მეთოდების ის ნაწილი, რომელთა ერთიანობა ქმნის ობიექტის კვლევის მეთოდს.

შესაბამისად თანამედროვე სასამართლო ექსპერტიზების კლასიფიკაციებში გათვალისწინებელია ექსპერტიზების დიფერენციაცია გამოსაკვლევი ობიექტების და კვლევის მეთოდების შესახებ ცოდნის მიხედვით¹⁴.

აღნიშნული ექსპერტიზების დიფერენციაცია შეიძლება იყოს გათვალისწინებული და ახსნილი სსს კოდექსის კომენტარებში.

ე.ი., სასამართლომ რომ აღიქვას და მიიღოს მტკიცებულების სახით ექსპერტის დასკვნა, იგი ძირითადათ უნდა გაითვალისწინოს, არის თუ არა ექსპერტიზა წარმოებული, მოქმედი სსს კოდექსის ნორმების მოთხოვნების, ასევე საკვლევი ობიექტების და მათი კვლევის მეთოდების არსებული კლასიფიკაციების შესახებ ინფორმაციის მიხედვით.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოქმედი სსს კოდექსით განსაზღვრული და შესაბამის კომენტარებში მოცემული ექსპერტის დასკვნების სახეობები შესაბამისობაში მოყვანილ უნდა იყოს სასამართლო ექსპერტიზების შესახებ არსებულ თეორიებში ჩამოყალიბებულ სახეობებთან.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად ექსპერტს ეკისრება პასუხისმგებლობა ყალბი დასკვნის გაცემისათვის და განზრახ ან გაუფრთხილებლობით საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის (საქ. სსკ, მუხლი 370-ე). აქ მკვეთრად არ იკვეთება განსხვავევები ექსპერტთა ინსტიტუტის სახეობებს შორის, მაგალითად კომპლექსური ექსპერტიზის მწარმოებელი ექსპერტების პასუხისმგებლობის კონკრეტიზაციასთან დაკავშირებით.

ამასთან ერთად კანონმდებელმა მკვეთრად ვერ განსხვავა სპეციალური ცოდნის მქონე პირები, რომლებიც ერთის მხვრივ წარმოადგენენ სასამართლო–საგამომძიებო ორგანოების მიერ მოწვეულ ექსპერტებს არა ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, არამედ საგამომძიებო მოქმედებების ან სასამართლოში ტექნიკური თუ საკონსულტაციო საკითხების მოსაგვარებლად მეორეს მხვრივ კი ექსპერტიზის შემდგენელ სასამართლო ექსპერტებს.

ეს ჩანს მოქმედ სსს და წინა სსს კოდექსების შედარებისას, რომელშიც აღნიშნულ სასამართლო–საგამომძიებო მოქმედებებში თექნიკურ საკითხებში (მასალების დემონსტრირება, კვალის აღმოჩენა, დაფიქსირება, ტექნიკური ხასიათის კონსულტირება და ა.შ.) დამხმარე (მოწვეულ) ფიგურას დამოუკიდებელი საპროცესო ფიგურისაგან – ექსპერტისაგან (სასამართლო ექსპერტისაგან) განსხვავების მიზნით განსაზღვრავდნენ ტერმინით „სპეციალისტი“.

ამ ცნებების ამგვარი დიფერენციაცია მიზანშეწონილია, განსაკუთრებით ექსპერტიზის დასკვნის მტკიცებულების სახით სწორი აღქმისათვის. საყურადღებოა რომ მტკიცებულების სახით ექსპერტთა დასკვნების სწორად აღქმისათვის საჭიროა განსაზღვროთ ზოგადი ცნება „სასამართლო ექსპერტიზა“ და სასამართლო ექსპერტიზის სახეობებიდან ცალკე გამოყოფთ რამდენიმე განსაკუთრებული სპეციფიკის მქონე, სამედიცინო, ფსიქიატრიული და ფიქოლოგიური მიმართულების ექსპერტიზების სახეობები.¹

¹³ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კომენტარები, „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“-ის გამოცემა, თბ, 2015, გვ 243-249

1. სასამართლო ექსპერტიზა (ზოგადი ცნება).

სასამართლო ექსპერტიზა (ზოგადი ცნებით) ტარდება მხარის მიერ შესაბამისი დადგენილების ან მოთხოვნის საფუძველზე, საქმეზე დართული მტკიცებულების (ნივთმტკიცებების) კვლევაზე წარდგენის და სპეციალური ცოდნის მქონე პირის (პირების) დამოუკიდებელი საპროცესო ფიგურის სახით – ექსპერტად (ექსპერტებად) დანიშვნის შემდეგ.

2. სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა.

სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზების წარმოება ლიცენზირებადი საქმიანობაა და ტარდება საგამოძიებო მოქმედებების დაწყების, გვამის აღმოჩენის ან სხეულის მალადობრივი ხასიათის დაზიანების დაფიქსირების მომენტიდან, გამოტანილი დადგენილების თანახმად ამ წარმოდგენილი ობიექტების შესწავლის საფუძველზე სპეციფიკური ამოცანების გადაწყვეტის მიზნით, ასევე ანალოგიურად გარკვეული საპროცესო მოქმედებების შესრულების შემდეგ, დაცვის მხარის მოთხოვნის საფუძველზე.

სასამართლო–სამედიცინო ექსპერტი, როგორც ნებისმიერი სხვა სახის სასამართლო ექსპერტი, საგამოძიებო მოქმედების წარმოებასთან მიმართებაში, მოქმედებს როგორც დამოუკიდებელი საპროცესო ფიგურა.

სხვა ობიექტებიდან განსხვავებით გვამის საექსპერტო გამოკვლევის დროს ექსპერტიზამ შეიძლება დაადგინოს პირის გარდაცვალების მიზეზი ბუნებრივი ან არაბუნებრივი ზემოქმედების გამო. ბუნებრივი ლატენტური შედეგი იძლევა საშუალებას მიღებულ იქნას გადაწყვეტილება საქმის შეწყვეტის შესახებ.

ყველა აღნიშნულ შემთხვევაში წერილობითი ფორმით შედგენილი სასამართლო ექსპერტის დასკვნა, დოკუმენტირებული ფორმით დართული უნდა იყოს როგორც მტკიცებულება წარმოებულ სს საქმეს.

3. სასამართლო–ფსიქიატრიული ექსპერტიზა.

სისხლის სამართლის საქმეებზე სამედიცინო ხასიათის იძულებითი ზომების გამოყენების მიზნებისათვის სწორი გადაწყვეტილების მიღების განსახორციელებლად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სასამართლო–ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნებს.

სასამართლო–ფსიქიატრიული ექსპერტიზა, როგორც სასამართლო ექსპერტიზის ერთერთი სახეობა, წარმოებს ფსიქიატრიის სფეროდან სპეციალისტების მოწვევის და მათთვის დავალების მიცემის შემდეგ. ჩატარებული კვლევის საფუძველზე ექსპერტის (ექსპერტების) მიერ შედგენილი დასკვნა გამოიყენება სამართალწარმოების პროცესში მტკიცებულების სახით. დასკვნას, ხელს აწერს ყველა ექსპერტიზის წარმოებაში მონაწილე პირი. სასამართლოზე ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის და შემდგომი შეფასების დროს, იგი აღიქვავს დასკვნას მტკიცებულების სახით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო არ ეთანხმება ექსპერტიზის შედეგებს და ადასტურებს ამას მოტივირებული გადაწყვეტილებით.

4. სასამართლო–ფსიქოლოგიური ექსპერტიზა.

სასამართლო–ფსიქოლოგიური ექსპერტიზა წარმოადგენს მცოდნე პირის – ექსპერტის მიერ, ფსიქოლოგის სფეროში სპეციალური ცოდნის საფუძველზე, საექსპერტო დასკვნის შედგენის მიზნით ჩატარებულ კვლევას, რომელიც სასამართლოს მიერ შესაბამისი შემოწმების და შეფასების შემდეგ, მტკიცებულების სახით უნდა დართულ იქნეს სისხლის სამართლის საქმეზე.

სასამართლო–ფსიქოლოგიურ ექსპერტიზას, როგორც სპეციალურ ფსიქოლოგიურ კვლევას, ატარებს მცოდნე პირი–ფსიქოლოგი ექსპერტ–ფსიქოლოგი ადამიანის ან სიტუაციის მიმართ, პროცესუალური და ფსიქოლოგიური საფუძვლით დანიშნული ექსპერტიზის თანახმად.

სასამართლო–ფსიქოლოგიური ექსპერტიზის საგანია – ადამიანის ფსიქოლოგიურ მოქმედებასთან და ფსიქიურ მდგომარეობასთან დაკავშირებული გარკვეული პროცესების, თვისებების, მდგომარეობის და მექანიზმების მახასიათებლები, რომლებსაც აქვთ მნიშვნელობა სს საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

სასამართლო—ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ობიექტია ჯანმრთელი ადამიანის ფსიქოლოგიური მოქმედება.

5. ექსპერტის ცნობა.

სასამართლო ექსპერტიზის წარმოებისას და სასამართლო—საგამოძიებო ორგანოებს ტექნიკური საკითხების მოგვარებაში, დამხმარე სპეციალისტის სახით მოქმედ ექსპერტებს პროცესუალური თვალსაზრისით გააჩნიათ პრინციპული განსხვავება. სასამართლო ექსპერტის მიერ შედგენილი დასკვნა, მისი შეფასების შემდგომ, შეიძლება საქმეს მტკიცებულების სახით დაერთოს, ამავე დროს ექსპერტის კონსულტაცია გაწეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დროს, შესრულებული წერილობითი სახით, როგორც ექსპერტის მოსაზრება და საქმეზე დართული, განიხილება ექსპერტის ცნობის სახით. ექსპერტის ცნობის შედგენა ანალოგიურად შეუძლია სასამართლო ექსპერტს, თუ საჭირო ხდება ინფორმაციის მიღება არა სასამართლო ექსპერტიზის ფორმით. როგორც ექსპერტიზის სახეების მიხედვით დიფერენციაცია იძლევა საშუალებას გამოვკვეთოდ მათში სპეციფიკური ნიშნები, აუცილებელი ექსპერტის დასკვნების შეფასებისათვის, ასევე, იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ორი შინაარსობრივად სხვადასხვა საექსპერტო საქმიანობის სფეროში სპეციალური ცოდნის მატარებელი პირები განისაზღვრებიან ერთი ტერმინით „ექსპერტი“, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოვახდინოდ „ექსპერტთა“ ცნების დიფერენციაცია სასამართლო ექსპერტის და ექსპერტ—სპეციალისტის სახით, და ამ ტერმინების გათვალისწინება სსს კოდექსში.

ამის გაუთვალისწინებლობამ შეიძლება პრობლემა შეუქმნას სასამართლოს მიერ ექსპერტთა დასკვნის და ცნობების სწორ შეფასებას, მტკიცებულების თუ ინფორმაციის სახით გამოყენებას.

ექსპერტიზაზე დასმულ კითხვებზე შეიძლება იყოს გაცემული პასუხები, რომლებსაც განსაზღვრავენ ერთის მხვრივ ობიექტური ფაქტორები, როგორიცაა ექსპერტის პროფესიული მომზადება, ექსპერტიზის წარმოების თანამედროვე დონე, გამოსაკვლევი მასალების, ნივთიერი მტკიცებულებების და ნიმუშების ხარისხი, ასევე სუბიექტური ფაქტორი, რომელიც დაკავშირებულია ექსპერტის შინაგან რწმენასთან, მაგრამ რომელსაც იგი იძენს კვლევის პროცესში ობიექტური ინფორმაციის მიღების და ანალიზის საფუძველზე.

ექსპერტის წინაშე შეიძლება იყოს დასმული კლასიფიკაციური, დიაგნოსტიკური, საიდენტიფიკაციო და სიტუაციური სახის ამოცანები.

დასკვნის ფორმებს კი მიეკუთვნება:

1. კატეგორიული დადებითი ან უარყოფითი დასკვნა. ამ სახის დასკვნა მაღალი ხარისხის ალბათობით წარმოადგენს სანდო დასკვნას. მას, როგორც მტკიცებულებას, აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა საქმის წარმოებისათვის.

2. პირობითი დასკვნა. ამ სახის დასკვნის შედგენა ხორციელდება, როდესაც საექსპერტო გამოკვლევის შედეგად ექსპერტის მიერ საკითხის გადაწყვეტა არის უშუალოდ დამოკიდებული რომელიმე პირობაზე. მტკიცებულების სახით იგი განისაზღვრება სხვა მტკიცებულებებთან ერთად გაანალიზების შემდეგ.

3. სავარაუდო დადებითი ან უარყოფითი დასკვნა. ამ სახის დასკვნის შედგენა მოტივირებულია იმით, რომ ექსპერტს არ გააჩნია საფუძველი კატეგორიული დასკვნის შედგენისათვის.

4. ალტერნატიული დასკვნა. ამ სახის დასკვნის შედგენა ხორციელდება, როდესაც საექსპერტო გამოკვლევის შედეგად ექსპერტი ვერ მივიდა საკითხის გადაწყვეტის ერთ ვარიანტამდე და ადგენს ორ ან რამოდენიმე ალტერნატიულ პასუხს (დასკვნას) დასმულ კითხვაზე, ყველა შემთხვევაში შესაძლო პირობების მითითებით. იგი მტკიცებულების ფორმით განიხილება პირობითი დასკვნის განხილვის სქემის ანალოგიურად.

5. დასკვნა ექსპერტიზის წინაშე დასმული საკითხის (საკითხების) გადაწყვეტის შეუძლებლობის შესახებ. ამ სახის დასკვნის შედგენა ხორციელდება, როდესაც საექსპერტო გამოკვლევის შედეგად ექსპერტი

კვლევის პროცესში ადგენს იმ ხარვეზებს, რომლების არსებობა არ იძლევა საშუალებას გააგრძელოს კვლევა.

ექსპერტის დასკვნას გააჩნია შესავალი, კვლევითი და დასკვნითი ნაწილი. მტკიცებულების სახე შეიძლება მიიღოს დასკვნამ, რომელიც შედგენილია კატეგორიული ფორმით. სხვა შემთხვევაში, თუ დასკვნა შედგენილია პირობითი, სავარაუდო დადებითი, სავარაუდო უარყოფითი ან ალტერნატიული სახით, მისი შეფასება ხდება სხვა მიღებულ მტკიცებულებებთან ერთად და იგი განიხილება მტკიცებულების სახით, თუ მათ შორის წინააღმდეგობა არ ფიქსირდება.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტის დასკვნის მტკიცებულებების სახით დასაშვებობის საკითხს, წყვეტს მხოლოდ სასამართლო¹.

შემფასებლის მიერ (გამომძიებელი, პროკურორი, სასამართლო) ექსპერტის დასკვნის გაანალიზების დროს, მისი მტკიცებულების (მტკიცებულების წყაროს) სახით აღქმა შესაძლებელია თუ სწორად შერჩეული იყო კვლევის მეთოდიკა, სრულყოფილია კვლევა და დასკვნა დასაბუთებულია. კერძოდ დასკვნის კვლევით ნაწილში დეტალურად აღწერილია ის ნიშანთვისებები, რომელთა საფუძველზეც ექსპერტს მიეცა საშუალება შესაბამისი დასკვნის ჩამოაყალიბა. სასამართლომ დასკვნის, მტკიცებულების სახით შეფასებისას, უნდა იხელმძღვანელოს მისი დასაშვებობის, შეფარდებითობის, უტყუარობის, საკმარისობის კრიტერიუმებით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის და შესაბამისი კომენტარის²მიხედვით „ექსპერტს ენიჭება მოწმის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა.“

ამ კოდექსის მიხედვით³ - „მოწმეა – პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემი. პირი მოწმის სტატუსს იძენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილების და ფიცის დადების შემდეგ“.

თეორეტიკოს და პრაქტიკოს იურისტებს, ხშირ შემთხვევაში, სასამართლოში მოწმის სტატუსის სახით ექსპერტის პროცესუალური მდგომარეობა ესმით განსხვავებულ ჭრილში.

მაგალითად, სპეციალურ ლიტერატურაში გვხდება შემდეგი მოსაზრება: „ . . . მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით ექსპერტი აღარ გვევლინება დამოუკიდებელი საპროცესო სუბიექტად და ექსპერტები მხოლოდ მოწმის სტატუსით სარგებლობენ, ე.ი. ექსპერტად ცალკე გამოყოფას როგორც მტკიცების წყაროსი კანონმდებელმა არ ჩათვალა საჭიროდ“. ¹²

ექსპერტის ცალკე გამოყოფა, როგორც მტკიცების წყაროსი არ იქნება მართებული, რადგან თვით ექსპერტი როგორც პირი, მტკიცების წყაროს ვერ წარმოადგენს და მტკიცების წყაროთი შეიძლება განისაზღვროს ყველა ის ინფორმაცია ან ნივთმტკიცება, რომელიც სასამართლოს მიერ ჩაითვლება ლეგიტიმურად და შეფასების შედეგად იქნება მიღებული მტკიცებულებად.

ამავე დროს ექსპერტი (იგულისხმება სასამართლო ექსპერტი) საპროცესო საქმიანობის დამოუკიდებელი სუბიექტია, და ის, მხოლოდ სასამართლო პროცესის წარმოების დროს, როგორც მოწმე, გარკვეულად „მოწმის სტატუსის“ მქონე, იძლევა ინფორმაციას სხვა პროცესში მონაწილე პირებისაგან განსხვავებით, დამოუკიდებლად, მის მიერ, ექსპერტის დასკვნის სახით, შედგენილი ახალი მტკიცებულების შესახებ.

როდესაც ვსაუბრობთ ექსპერტის მიმართ გამოყენებული ცნებებების „მოწმე“ და „მოწმის სტატუსი“ დიფერენციაციაზე უნდა ავღნიშნოთ შემდეგი: მოწმის სტატუსის მქონე ექსპერტი მოწმის და ექსპერტის ყველა უფლება–მოვალეობების მატარებელია, როდესაც მოწმეს გააჩნია მხოლოდ მოწმის უფლება–მოვალეობები.

¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 72-ე მუხლი

² ¹³ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კომენტარები, „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივი“-ის გამოცემა, თბ, 2015, გვ 248

³ ¹³ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კომენტარები, „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივი“-ის გამოცემა, თბ, 2015, გვ 251

თუ ექსპერტის დასკვნა ნათელია და ეჭვს არ იწვევს, ექსპერტის დაკითხვა გამომძიებლის ან მოსა-მართლის მხრიდან აუცილებლობას არ წარმოადგენს.¹²

ე.ი. ექსპერტი თავის ფუნქციას ახორციელებს სხვა პროცესში მონაწილე პირებისაგან დამოუკიდებლად, მხარის მიერ ექსპერტიზის დანიშვნის შემდეგ, ადგენს დასკვნას დასმული ამოცანის შესაბამისად, რომელიც ცალკე ან სხვა მტკიცებულებებთან ერთად შეფასების შემდეგ, სასამართლომ შეიძლება მიღოს საქმეზე დასართავად ახალი მტკიცებულების სახით.

მაგალითად, ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით, მტკიცებულების წყაროს სახით განვიხილავთ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს, რომელშიც ასახულია კრიმინალური გარემოება და არა გამომძიებელი, რომელიც ადგენს აღნიშნულ ოქმს.

იგივენაირად მტკიცებულების წყაროს სახით განიხილება არა ექსპერტი, არამედ ექსპერტის მიერ კვლევაზე წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის შედეგად შედგენილი დასკვნა, რომელიც წარმოადგენს სპეციფიკურ მტკიცებულებას, რადგან შედგენილია სპეციალური ცოდნის გამოყენებით დამოუკიდებლად, პროცესუალური ნორმების დაცვით და რომელსაც საბოლოო ჯამში აქვს მტკიცებულების ძალა.

სასამართლომ ექსპერტის დასკვნას აფასებს ცალკე და საქმეზე არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთად.

შესაბამისად, სასამართლოში ექსპერტის წარმოჩენა მოწმის სტატუსის მქონე ექსპერტის სახით, არ უარყობს კანონით გათვასწინებულ მის დამოუკიდებელ მდგომარეობას და მის მიერ შედგენილი დასკვნა საქმის მასალად აღიარების შემდეგ, პროცესის განხორციელებისას, მტკიცების სხვადასხვა ეტაპზე, გვევლინება მტკიცებულების ან მტკიცებულების წყაროს ფორმით.

ამ პოზიციიდან გამომდინარე იკვეთება შემდეგი:

- მოწმე ფლობს (იცის) საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემებს.
- ექსპერტი გამოკვლევის საფუძველზე ადგენს დასკვნას და მოწმის სტატუსით იძლევა ჩვენებას მის მიერ ჩატარებულ ექსპერტიზასთან დაკავშირებით.
- მოწმე ამ სტატუსს (უფლება-მოვალეობებთან ერთად) იძენს მისი გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ.
- ექსპერტი ერთის მხვრივ იძენს ექსპერტის სტატუსს კონკრეტული ექსპერტიზის ჩატარების განსახორციელებლად დავალების მიღების მომენტიდან, მეორეს მხვრივ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე² და მისი უფლება-მოვალეობების³ შესახებ გაფრთხილებაზე ხელის მოწერის პროცედურის შესრულების შემდეგ. ექსპერტის დასკვნის (მტკიცებულება, მტკიცებულების წყარო) შეფასებას ახდენს გამომძიებელი (პროკურორი) და სასამართლო, რა დროსაც აღნიშნული ქმედება ფორმდება პროცესუალური ნორმების შესაბამისად. დასკვნა დოკუმენტირებული სახით შეიძლება აქტუალ იქნას მტკიცებულების სახით, ან დაუშვებელ მტკიცებულებად ჩაითვალოს.
- სასამართლოში გამომახებული ექსპერტი ან ადასტურებს მის მიერ შედგენილ დასკვნას ან იძლევა განმარტებებს იმ საკითხების ირგვლივ, რომელთა დაზუსტებას ითხოვს სასამართლო ჩატარებული კვლევის და გაცემული პასუხების ირგვლივ. მის მიერ ფიცის დადება ხდება სასამართლო სხდომაზე სასამართლოს წინ წარდგენის პროცესში და არა გამომძიებლის მიერ ექსპერტის დასკვნის შეფასების და დაზუსტების დროს.
- ექსპერტი, მისი ფუნქციის შესაბამისად, იყენებს მოწმის სტატუსის უფლებებს, ითვალისწინებს ამ სტატუსიტ მინიჭებულ მოვალეობებს, ასევე მოქმედებს სსს კოდექსის 52 მუხლით გათვალისწინებულ ექსპერტის უფლება-მოვალეობების შესაბამისად და ფაქტიურად (შინაარსიდან გამომდინარე)

¹² იქვე

² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-370 მუხლი

³ იქვე 52-ე მუხლი

სასამართლოს მიერ იკითხება როგორც კვლევის მწარმოებელი სასამართლო ექსპერტი მოწმის სტატუსით (მოწმის უფლება-მოვალეობების მქონე პირი) და არა როგორც უშუალო, კონკრეტული მოვლენების მოწმე.¹

ამ ჭრილში არ უნდა დავეთანხმოთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარებში იმ ნაწილს, რომელიც ეხება ე.წ. „ექსპერტ-მოწმის“ და „ჩვეულებრივი მოწმის“ სტატუსით შემოღებულ ცნებებს. კერძოდ აღნიშნულია შემდეგი:¹²ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს (ჩვეულებრივი) მოწმისა და ექსპერტ-მოწმის ჩვენება. როგორც წესი, მოწმის ჩვენების საგანი შეიძლება იყოს ძირითადად მხოლოდ ინფორმაცია გარე სამყაროში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. ... დასკვნებსა და შეფასებებს აკეთებს მხოლოდ მოსამართლე (ნაფიცი მსაჯული) ფაქტების დადგენილად ცნობასა და ჩვენების სანდოობასთან დაკავშირებით. . . . განსხვავებით ამისაგან, ექსპერტი-მოწმე თავის ჩვენებაში სპეციალური ცოდნის, ჩვევებისა და გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩატარებული კვლევის საფუძველზე აფასებს გარკვეულ მოვლენებს³. . . ”.

აღნიშნულთან დაკავშირებით არამართებულად მიგვაჩნია ახალი ტერმინების „ჩვეულებრივი მოწმე“-ს და „ექსპერტი-მოწმე“-ს შემოღება. სასამართლოში, საქმის განხილვის დროს ექსპერტი უნდა განხილულ იქნას როგორც ექსპერტი მოწმის სტატუსით და არა როგორც უშუალოდ ექსპერტი-მოწმე. ამ შემთხვევაში მას ექსპერტის უფლება-მოვალეობებთან ერთად ენიჭება მოწმის უფლება-მოვალეობებიც, ანუ ექსპერტი განიხილება როგორც ექსპერტი მოწმის სტატუსის მქონე.

შესაბამისად ექსპერტი, რომელიც დაკითხების პროცესში იძლევა ჩვენებას სასამართლოს წინაშე, უნდა შეფასდეს როგორც ექსპერტი მოწმის სტატუსის მქონე და არა როგორც უშუალო მოწმე, ე.ი. პირი, რომელიც სპეციალური ცოდნის გამოყენებით, ადგენს დასკვნას პირადათ ჩატარებული კვლევის სფუძველზე, ახალი მტკიცებულების შექმნის მიზნით.

აღნიშნული არ ეწინააღმდეგება მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებს.

რეზიუმე

სტატია მომზადებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „მტკიცების (მტკიცებულებათა შეგროვების, საპროცესო დამაგრების შემოწმებისა და შეფასების) აქტუალური პრობლემები“-ს ფარგლებში.

სტატიაში შესწავლილია ექსპერტის დასვნა, როგორც მტკიცებულება, მიმოხილულია ექსპერტის საქმიანობის პროცესუალური ასპექტები და შესწავლილია საკანონმდებლო ხარვეზები.

Resume

The article is prepared within the scientific-research project entitled "" Actual Problems of Evidence (Proof of Evidence, Procedure for Testing and Evaluation of Procedure) " by the Faculty of Law and International Relations of Georgian Technical University.

¹ ლ. ქობულაშვილი. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი) ავტორთა ჯგუფი, პროფესორთა ჯ. გახოვიძის, მ. მამნიაშვილის, ი. გაბისონიას რედაქტიორებით. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2013, თ.IV, გვ.192-200.

² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კომენტარები 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომაროებით

³ ლ. ქობულაშვილი. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), მეორე გამოცემა. ავტორთა ჯგუფი, პროფესორთა ჯ. გახოვიძის, მ. მამნიაშვილის, ი. გაბისონიას რედაქტიორებით. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2013, თ.III, პ.1, გვ.95-102.

The article examines the expert's conclusion as well reviewes procedural aspects of expertise and the legislative shortcomings.

1. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო საერთაშორისო ურთიერთობების შემადგენელი ნაწილი

ედიშერ გვევნტაძე
პროფესორი
ელენე ჩალაძე
დოქტორანტი

იურისპრუდენციის განმარტებით საერთაშორისო სისხლის სამართალი საერთაშორისო საჯარო სამართლის შემადგენელი ნაწილია და მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფოთა ეროვნულ სამართალთან. საერთაშორი სისხლის სამართალი არის პრინციპებისა და ნორმების სისტემა, რომელიც არეგულირებს საერთაშორისო ხელშეკრულებებით განმტკიცებულ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობას, დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების, გამოძიებისა და დასჯის მიზნით. იგი მოიცავს სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და სისხლის სამართლის აღმასრულებელ ნორმებს. ჩვენ აქვე დავამატებდით, რომ 21-ე საუკუნეში მოქმედებაში მოსული სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო არის საერთაშორისო ურთიერთობების შემადგენელი ნაწილი და გამოირჩევა უნიკალურობით.

მე-19 საუკუნის დასასრულს და მე-20 საუკუნის დასაწყისში მსოფლიო ეკონომიკურმა განვითარებამ კაცობრიობას მკაფიოდ უჩვენა, რომ დედამიწაზე დიდი ომიანობა იყო მოსალოდნელი. მართლაც ისტორიისათვის უმოკლეს დროში ჩამოყალიბდა ცალკეულ დაპირისპირებულ სახელმწიფოთა სამხედრო-პოლიტიკური კავშირები, რომლებიც აწარმოებდნენ გამუდმებულ შეიარაღებას და ემზადებოდნენ ომისათვის.

მოვლენათა განვითარებამაც არ დააყოვნა და 1914 წლის აგვისტოში დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, რომელმაც ადამიანთა მოდგმას დიდი ადამიანური და მატერიალური მსხვერპლი მოუტანა. საბოლოოდ ყველაფერი დამთავრდა ვერსალის საზავო ხელშეკრულებით, რომლის 277-ე მუხლი ითვალისწინებდა სპეციალური საერთაშორისო საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნას, რათა გაესამართლებინათა კაიზერი ვილჰელმ მეორე საერთაშორისო მორალის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის. იქვე გაცხადებული იყო ისიც, რომ ტრიბუნალებს უნდა განეხორციელებინათ სისხლისამართლებრივი დევნა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც დადანაშაულებულნი იყვნენ ომის კანონების და ჩვეულებების უგულებელყოფაში. მაგრამ პროექტი ვერ განხორციელდა ნიდერლანდების პოზიციის გამო, რომელიც მოითხოვდა გადაეცათ მისთვის ძველი იმპერატორი. მიუხედავად ამისა საერთაშორისო მასშტაბით გაუღერებულმა ამ ფაქტმა მაინცმოიპოვაგარკვეული ნდობა განსაკუთრებით კიიმდანაშაულებზე, რომლებიც საერთაშორისო ხასიათის იყო კვეთდნენ ამა თუ იმ ქვეყნების საზღვრებს და საფრთხეს უქმნიდნენ საერთაშორისო საზოგადოებრიობას. დაუფარავად უნდა ითქვას, რომ მაშინ საერთასორისო ტრიბუნალის დაფუძნებისათვის გამარჯვებული ქვეყნების პოლიტიკური ნება არ არსებობდა. მათაც ეშინოდათ ასეთი სახის სასამართლოების შექმნისა, ვინაიდან თავადაც შეიძლებოდა „აღმოჩენოდათ“ ომის წესების დარღვევისა და შესაბამისად „დამნაშავეობის“ პრეცედენტი.

მიუხედავად ყოველივესი მაინც დიდია დამსახურება ვერსალის ხელშეკრულების. სწორედ აქ დადგა პირველად საერთასორისო სამართლის მიხედვით ინდივიდუალური სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი[1, 20].

პირველი მსოფლიო ომის დასრულებიდან ოცი წლის თავზე დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, რომელმაც პირველ მსოფლიო ომზე მეტი აურაცხელი ტანჯვა-წამება მოუტანა კაცობრიობას. საომარ მოქმედებათა მსვლელობის დროს გერმანელ ფაშისტთა მხრიდან ადგილი ჰქონდა მათ მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მასობრივ მხეცობებს მშვიდობიანი მოსახლეობისა და სამოქალაქო და სამხედრო ტყვეთა

მიმართ. მას შემდეგ, რაც 1943 წლის 30 ოქტომბერს მოკავშირეებმა(საბჭოთა კავშირმა, აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა) მიიღეს „მოსკოვის დეკლარაცია“, სადაც ერთმნიშვნელოვნად იქნა განსაზღვრული დამნაშავეთა ინდივიდუალურ დასჯის პრინციპი, დაიწყო ამ ქვეყნებს შორის მოლაპარაკებები სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის სათანადო მექნიზმებისა და მასთან თანმდევი უმნიშვნელოვანესი პროცესუალური ნორმების შექმნის შესახებ. 1943 წელს თეირანის კონფერენციაზე „დიდი სამეცნიერო“ ლიდერები საბოლოოდ შეთანხმდნენ იმის შესახებ, რომ ომის დასრულების შემდეგ ჩატარებინათ საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი, რომელზედაც მთელი სიმკაცრით უნდა დასჯილიყვნენ მთავარი სამხედრო დამნაშავეები.აღნიშნულ საკითხს ყურადღება დაეთმო აგრეთვე იალტაში.

უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა 1945 წლის 8 მაისს ახლა უკვე ოთხეულის(საბჭოთა კავშირი, აშშ, დიდი ბრიტანეთ, საფრანგეთი),„ლონდონის შეთანხმება“¹, რომელიცსაერთაშორისო-სამართლებრივი ხასიათის იყო დარომელსაც ცოტა მოგვიანებით კიდევ 19 სახელმწიფო დაემატა. მიუხედავად ზემოდთქმულისა ლონდონის შეთანხმებაიყო ომში გამარჯვებულ სახელმწიფოთა დროებით „სამოკავშირეო სასამართლო“ და არა მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლო.

1945 წლის 20 ნოემბრიდან 218 დღის განმავლობაში მსოფლიოს ისტორიაში ნიურბერგში პირველად მიმდინარეობდა პირველი საერთაშორისო სასამართლო, რომელმაც ბრალდებები დაჰყო ოთხ ჯგუფად.

1. შეთქმულება მსოფლიო მშვიდობის წინააღმდეგ;
2. აგრესიული ომის დაგეგმვა, გაჩაღება(დაწყება) და წარმოება;
3. ომის სამართლის დანაშაული და დარღვევები;
4. ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

ნიურბერგის პროცესმა დიდი როლი შეასრულა თანამედროვე საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარებაში. ეს იყო საერთაშორისო დამნასავეთა დასჯის პირველი შეთხვევა. ამიტომაც „ნიურბერგის სამართალი“ სავსებით სამართლიანად წარმოადგენს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის განუყოფელ ნაწილს, რომელმაც საერთაშორისო სამართალში მყარად დაამკვიდრა ინდივიდუალური სისხლსამართლებირივი პასუხისმგებლობის პრინციპი¹.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ტოკიოს პროცესიც, რომელიც მიმდინარეობდა 1946 წლის 3 მაისიდან 1948 წლის 12 ნოემბრამდე და რომლის მიზანიც იყო იაპონიის მიერ გატარებული აგრესიული სამხედრო პოლიტიკა. მიუხედავად მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მიერ ნიურბერგისა და ტოკიოს ტრიბუნალების ჩატარებისა და გადაწყვეტილებების მოწონებისა ტრიბუნალები მაინც გახდნენ მუდმივი. კაცობრიობის განვითარების ისტორიაში კვლავ ჰქონდა ადგილი ჰქონდა შემაძრწუნებელსაერთაშორისო ხასიათის დანაშაულობებს.

საერთაშორისო საზოგადოებრიობა ცდილობდა მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის საერთაშორისო დაფუძნებს, მაგრამ გარკვეულ სახელმწიფოთა პოლიტიკური ნების არასებობის გამო, აღნიშნული პროცესი საკმაოდ ნელა და მტკიცნებულად ხორციელდებოდა. აქვეა აღსანიშნავი, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცდილობდა, მოეძებნა პასუხისმგებლობის მექანიზმი და დაესაჯა ომის წამომწყებით თუ სამხედრო დამნაშავენი. ამის მაგალითებად გამოდგება გერმანიაში ე.წ. „საკონტროლო საბჭოს“ მიერ გამოცემული კანონი, რომელიც ითვალისწინებდა იმ პირთა დასჯას, რომელთაც ბრალი მიუზღლოდათ ომის დანაშაულში, მშვიდობის ან ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანასაულის ჩადენაში². სწორედ მის საფუძველზე მოხდა სასამართლოების გამართვა გერმანიის ტერიტორიაზე 1947-1949 წლებში. მასვე მიეკუთვნებამეორე მსოფლიო ომის დროს ებრაელების მიმართ ჩადენილი დანაშულებების გამო 1961 წელს იერუსლიმში ჩატარებული ე.წ. აიბანის პროცესი, ხოლო 1982 წელს საფრანგეთში წარმოებული ბარბიერის სასამართლო. მიუხედავად იმისა, რომ

¹ ტურავამ. საერთაშორისო სისხლის სამართლის საფუძვლები. თბ., 2015, გვ34

² იქვე:33

ამ სასამართლოებს ჰქონდა საერთაშორისო საზოგადოებრიობის მხრიდან დიდი გამოხმაურება და მხარდაჭერა, ისინი თავისი შინაარსის გამო მაინც წარმოადგენდენ ეროვნულ პროცესებს. იყო ამ პერიოდის მცდელობა იმისა, რომ შექმნილიყო „კაცობრიობის მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებების კოდექსის“ პროექტი, მაგრამ ამაოდ.

ისმის კითხვა თუ რა უშლიდა ხელს მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მაინც? ამის მიზეზით მეორე მსოფლიო ომშემდგომდროინ-დელი მსოფლიოს გაყოფა და დაპირისპირება სამხედრო-პოლიტიკურ ბანაკებად. თითოეულ ბანაკში შემავალი ცალკეული ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო ელიტა ხშირ შემთხვევებში ჩადიოდა საზარელ დანაშაულობებს, მაგრამ მათ უკან იდგნენ მაშინდელი ზესახელმწიფოები, რომელთა ინტერესშიც არ შედიოდა მათ დაქვემდებარებაში მყოფ ქვეყანათა წარმომადგენლებისდამნაშავეების რანგში წარდგენა საერთაშორისო საზოგადოებრიობის წინაშე. ამიტომაც უმეტესად მართლდებოდა ცნობილი გამონა-თქვამი ამა თუ იმ ლიდერზე: „ძალის შვილია, მაგრამ ჩვენია“. ანუ „ცივი ომი“ ყველას ყველაფერს პატიობდა, მაგრამ ასე მუდმივად გაგარმელება, რომ არ შეიძლებოდა ესეც ცხადზე უცხადესი იყო. ვინაიდან საყოველთაოდ ცნობილი პრინციპია-„რასაც დასაწყისი აქვს, ყველაფერი დასარულით სრულდება“. ასე მოხდა „ცივი ომის“ შემთხვევაში, რომელიც დასრულდა 1990-იანი წლების დასაწყისში.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია მსოფლიოში განვითარებული მოვლენები „ცივი ომის“ შემდგომდროინ-დელ პერიოდში. მთელ პოსტკომუნისტურ სივრცეში იფეთქა ცალკეულმა ეთნოკონფლიქტებმა, რომელ-თაც თან ახლდა კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული გამაოგნებელი დანაშაულებები..საერთაშორისო საზოგადოებრიობა ვითარების შესაბამისად ცდილობდა მოქმედებებს. ამის დასტურად შეიძლება განვიხილოთ იგივე გასული საუკინის უკანასკენელი ათწლეულის დასაწყისში შექმნილი ორი სხვადასხვა სახის ტრიბუნალი: იუგოსლავიისა და რუანდისათვის, რომლებიც დროებითი იყო. (იუგოსლავიის ტრიბუნალის ადგილსამყოფელია ჰაგაგაში, ხოლო რუანდის არუშა-ში(ტანზანია).

„ცივი ომის“ დამთავრებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ცივილიზებული მსოფლიო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელი იყო მოელო ახალი ვითარების შესაბამისი პოლიტიკურ-სამართლებრივი გადაწყვეტილებანი და დაეფუძნებინა მუდმივმოქმედი სისხლისამართლისაერთაშორისოსამართლო. ამ მიზნით გაერო-ს სახელით იტალიის დედაქალაქ რომში 1998 წლის 15 ივნისიდან 17 ივლისამდე გაიმართა დიპლომატიური კონფერენცია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დასაფუძნებლად. ამ კონფერენციაზე სახელმწიფოების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა მუდმივმოქმედი სასამართლოს შექმნას.

საკმარისია გადავხედოთ მარადიულ ქალაქში მიღებულ გადწყვეტილებას, რომ გავერკვეთ მის არსში. რომში მიღებული წესდება ასე იწყება:

„აცნობიერებენ რა, რომ ყველა ხალხები გაერთიანებული არიან საერთო კავშირებით, ერთმანეთს-გადაჯაჭვული ყოველი მათგანის კულტურა ქმნის საერთო მემკვიდრეობას, და შეშფოთებულნი არიან იმის გამო, რომესმყიფემოზაიკა შეიძლება და იშალოს ნებისმიერ დროს,

მხედველობაში იღებენ რა, რომ ამ საუკუნის განმავლობაში მიღიონობით ბავშვი, ქალი და მამაკაცი გახდა წარმოუდგენელ ბოროტმოქმედებათა მსხვერპლი, რამაც ღრმად შეძრა კაცობრიობის შეგნება, აღიარებენ რა, რომ ეს უმძიმესი დანაშაულები საფრთხეს უქმნიან მსოფლიოს მშვიდობას, უშიშროებასა და კეთილდღეობას, ამტკიცებენ რა, რომ მთელი საერთაშორისო საზოგადოების შემაშფოთებელი უმძიმესი დანაშაულები არ უნდა დარჩეს დაუსჯელი და მათი ეფექტიანი სისხლის სამართლებრივი დევნა უზრუნველყოფილი უნდა იქნას ეროვნულ დონეზე ზომების მიღებითა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებით, გადაწყვეტილია, ბოლო მოუღონ ამგვარი დანაშაულების ჩადენთა დაუსჯელობას და ამგვარად ხელი შეუწყონ მსგავსი დანაშაულების თავიდან აცილებას, ითვალისწინებენ რა, რომ ყველა სახელმწიფოს ვალდებულებაა განახორციელოს თავისი სისხლის სამართლისიურისდიქცია იმ პირებზე, რომელთაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა საერთაშორისო დანაშაულის ჩადენისთვის, კვლავადასტურებენრა, გაერთიანებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებსა და პრინციპებს და, კვრძოდ, იმას, რომ ყველი სახელმწიფო თავს იკავებს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის

წინააღმდეგ ძალით მუქარისგან ან ძალის გამოყენებისგან ან სხვა ქმედებისგან, რაც შეუთავსებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებთან, ამასთან დაკავშირებით ხაზს უსვამენ, რომ ამ წესდებაში არაფერი არ შეიძლება განიმარტოს იმგვარად, რომ რომელიმე მონაწილე სახელმწიფოს ენიჭებაუფლება, ჩაერიოს ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ კონფლიქტში, ან მის საშინაო საქმეებში, იღვწიან რა ამ მიზნების მიღწევისა და ახლანდელი და მომავალი თაობების კეთილდღეობისთვის, აფუმნებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემასთან დაკავშირებულ დამოუკიდებელ მუდმივ სისხლისსამართლის საერთაშორისო სასამართლოს, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება მთელი საერთაშორისო საზოგადოებისთვის შემაშფოთებელ უმძიმეს დანაშაულებზე, ხაზსუს ვამენრა, რომ ამ წესდების საფუძველზე დაფუძნებული სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, იქნება ეროვნული სისხლის სამართლის იურისდიქციის¹.

უდავოა, რომ რომის „სტატუსი“ არის საერთაშორისო ხასიათის პოლიტიკურ-სამართლებრივი დოკუმენტი რომელიც ითვლისწინებს მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნას, რომელიც ამ სტატუსით ძალაში შევიდა საკმაოდიდიხნის მუშაობისა და მრავალი წინააღმდეგობით აღსავს მოლაპარაკების შედეგად, 2002 წლის 11 აპრილს. ხოლო ფუნქციონირება დაიწყო 2002 წლის 1-ელ ივლისს.

სასამართლოს იურისდიქცია შემოიფრგლება მთელი საერთაშორისო საზოგადოებისთვის შემაშფოთებელი უმძიმესი დანაშაულებით. სასამართლოს იურისდიქცია, ამ წესდების თანახმად, ხორციელდება შემდეგ დანაშაულობებზე:(ა) გენოციდის დანაშაული;(ბ) დანაშაულები კაცობრიობის წინააღმდეგ;(ც) სამხედრო დანაშაულები;(დ) აგრესის დანაშაული. ფაქტობრივად ეს იგივე იყო რაც ნიურბერგის დროს, მაგრამ ახლა ხდებოდა მისი მუდმივმოქმედად დაფუძნება.

სპეციალისტები აზრით „საერთაშორისო სამართლის კომისიამ გადაწყვიტა... საერთაშორისო სისხლის სამართლის სტატუსის წესდების შექმნაზე ემუშავა, რაცგანსხვავებული იყო დანაშაულთა კოდექსის პროექტისგან: საერთაშორისო სამართლის კომისიამ გადაწყვიტა, შეექმნასასამართლო, რომელიც საერთაშორისო წუხილის გამომწვევ დანაშაულებზე განახორციელებდა იურისდიქციას, რაც თავისთავად უკვე იყო გათვალისწინებული იმ ეტაპზე მოქმედის ხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებით².

იმის მიუხედავად, რომ მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიზნები და ფუნქციები იმ ჰუმანურ ღირებულებებსა და პოლიტიკურ მოსაზრებებს აერთიანებენ, რომლებსაც არა მხოლოდ სამართლიანობის აღდგენის თვალსაზრისით, არამედ მშვიდობის დაცვისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვთ, მაინც მის დაფუძნებასა და ქმედებებთან დაკავშირებით მსოფლიო პოლიტიკურ ელიტაში აზრთა სხვადასხვაობა. ასე მაგალითად თეთრი სახლის ოფიციალური წარმომადგენელი ჯონ ბოლტონი მკაცრად კრიტიკულია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიმართ, როდესაც წერს მის არალეგიტიმიურობაზე: როგორც შინაარსობრივი, ისე სტრუქტურული თვალსაზრისით. მისი შეფასებით: ეს არ არის შეზღუდული იურისდიქციისმქონე სასამართლო... სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ყველაზე უფრო მეტი სიცხადით წარმოაჩენს იმ არაადეკვატურობებს, რომელზე დაყრდნობითაც „საერთაშორისო სამართალიიქმნება“³.

¹[² Crawford, J. \(2004\) “The ILC’s Draft Statute for an International Criminal Tribunal” in 88 American Journal of International Law.](https://www.google.com/search?ei=kBpYXIDvNJCsaLKdoOgE&q=%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%20%E1%83%A1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%A3%E1%83%AB%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98&ved=2ahUKEwi6wsTb9aHgAhUJM-wKHVUpA4EQsKwBKAU6BAgBEAY&biw=1366&bih=657}</p>
</div>
<div data-bbox=)

³ იქვე:169

წინააღმდეგობრივი მოსაზრებების მიუხედავად, შექმნილი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიზნებს შორისაა: სამაგალითო და დამსჯელი მართლმსაჯულების აღსრულება; მსხვერპლთათვის კომპენსაციის უზრუნველყოფა; ისტორიის შექმნა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მომავალში იმ საშინელ დანაშაულთა თავიდან აცილება, რომელთა წინააღმდეგ საბრძოლველადაც შეიქმნა საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განმახორციელებელი დაწესებულება¹.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო მუდმივ მოქმედი სასამართლოა, რომლის სათავო ოფისი ჰავაგაში მდებარეობს. იგი ხელშეკრულებაზე დაფუძნებული სასამართლოა და დამოუკიდებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციისგან. მას 123 წევრი სახელმწიფო ჰყავს, საქართველოსჩათვლით. საქართველომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ხელშეკრულების, „რომის წესდების“, რატიფიცირება 2003 წელსმოახდინა, რითიც სასამართლოს 2003 წლის 1 დეკემბრიდან ქვეყნის ტერიტორიაზე ან მისი მოქალაქეების მიერ ჩადენილ გენოციდის, ომის დანაშაულებსა და ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულებზე იურისდიქცია მიანიჭა.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო მართლმსაჯულების აღსრულება არა თანაბრად ხდება. ძლიერი სახელმწიფოები და მათი მოკავშირეები ხშირად არ იდებენ თავს მართლმსაჯულებას, როდესაც მათ ტერიტორიებზე სერიოზული დანაშაულებია ჩადენილი. აქვეა ხაზგასასმელი ისიც, რომ მუდმივმოქმედ სისხლის სამართლის საერთაშორისოსა სამართლოს გარკვეულ შემთხვევებში პოლიტიზებულ კონტექსტებშიც უხდება ქმედებები.

ამრიგად მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის საერთაშორისოსასამართლო, რომელიც ბოლოს და ბოლოს ჩამოყალიბდა მესამე ათასწლეულის გარიურაუზე წარმოადგენს ცივილიზებული კაცობრიობის პოლიტიკურ-სამართლებრივი თანამშრომლობის უნიკალურ აქტს. რომელიც თავის მხრივ მოწოდებულია საერთაშორისო ასპარეზზე თანხვედრაში მოახდინოს ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო მშვიდობის დაცვა.

რეზიუმე

სტატია შედგენილია სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „საერთაშორისო სასამართლო საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის“ ფარგლებში.

სტატიაში განხილულია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების შემადგენელი ნაწილი. ყურადღებაა გამახვილებული სტატუსზე და სასამართლო იურისდიქციაზე და მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ასპექტებზე.

Resume

The article is composed within the frames of research project entitled "The International Court in the international relations system", of the Faculty of Law and International Relations

The article discusses the International Criminal Court as an integral part of international relations. The focus is on the status, court jurisdiction and some aspects related to them.

¹ ქ. ხუციშვილი. გაეროს უშიშროების საბჭოსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კონკურენტული და კომპლემენტარული კომპეტენციები. სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2010, 25

2. უდანაშაულობის პრეზუმფცია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვეციის და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის მიხედვით

ჯემალ გაბელია
პროფესორი
ელენე ჩალაძე
დოქტორანტი

სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანია პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების რეალური დაცვა. არსებობს პრეზუმფცია თავისუფლების სასარგებლოდ ეს ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს აქვს ვალდებულება დაასაბუთოს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა, მასზე ზემოქმედება. ამის სპეციალურ შემთხვევას წეარმოადგენს კიდევ ერთი უდანაშაულობის პრეზუმფცია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლი ადგენს ადამიანის უდანაშაულობის პრეზუმფციას, კერძოდ: „პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით“¹.

უდანაშაულობის პრეზუმფცია ხასიათდება დიდი ისტორიით და წარმოადგენს ადამიანის და მოქალაქის უფლებათა 1789 წლის 28 აგვისტოს ცნობილი დეკლარაციის ნაწილს.² ის აგრეთვე შეტანილი იყო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პირველი პროექტის მე-11 მუხლის პირველ პუნქტში: „ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს, ჩაითვალოს უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება საჯარო სასამართლო განხილვით, რომელზეც მას ჰქონდა თავის დაცვისთვის აუცილებელი ყველა გარანტია“³.

ადამიანის უფლებათა დაცვის ამერიკული ტექსტი ყველაზე ახლოს დგას ამ უფლების ასეთ განმარტებასთან, თუმცა გაცილებით დეტალურია „თავის დაცვისთვის აუცილებელ გარანტიებთან“ მიმართებაში. თუმცა ერთ-ერთ ადრეულ პროექტში გარანტია საკმაოდ ზოგადი ფორმით იყო ჩამოყალიბებული. მეტიც გარანტია ვრცელდებოდა ყველაზე, „ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა“, მასში გამოყენებული იყო სიტყვები „ყველა პირი“, „ყველა“ ან, „არავინ არ ჩაითვლება დამნაშავედ“. ტექსტი მოგვიანებით შეიცავალა, რადგან ფრანგული ვერსია შეიცავდა სიტყვას „აცცუსე“. ინგლისური ტექსტი ადაპტირებული იქნა ფრანგული ვერსიის შესაბამისად. ამის მიზეზი არ არის მოცემული და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ავტორები ვერ ხედავდნენ რაიმე განსხვავებას ორ ვერსიას შორის⁴.

შემდგომ შემოთავაზებული იყო გარანტიაში სიტყვების „გონივრულ ეჭვს მიღმა“ შეტანა, მტკიცების აუცილებელი სტანდარტის განსაზღვრის მიზნით. თუმცა აღნიშნული წინადადება (მართებულად) იქნა უარყოფილი, რადგან ის თავისთავად იგულისხმებოდა სიტყვებში „ჩაითვალოს უდანაშაულოდ, ვიდრე არ დამტკიცდება მისი ბრალეულობა“⁵.

პრეზუმფცია, ზემოთ მოცემული დებულებებიდან გამომდინარე, ვრცელდება დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში ბრალდებულ პირებზე. ტერმინი „ბრალდებული“ კი გულისხმობს, რომ შესაბამისი პირის მიმართ არსებობს მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედების ჩადენის ვარაუდი. შესაბამისად, ერთი მხრივ, ივარაუდება, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაულებრივი ქმედება, თუმცა მეორე მხრივ, მას აქვს უფლება, ჩაითვალოს უდანაშაულოდ. სინამდვილეში, ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის 1(გ) პუნქტი

¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლი,

² ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-11 მუხლი.

³ იქვე

⁴ შ.ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ.2009; გვ. 176

⁵ იქვე

ნათლად მიუთითებს, რომ პირზე დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში ეჭვის მიტანა არ ეწინააღმდეგება კონვენციას. მეტიც, ასეთივე ეჭვი უდევს საფუძვლად ექსტრადიციის ღონისძიებებს, ეჭვი გულისხმობს, რომ პირი შეიძლება იყოს დამნაშავე და არა იმას, რომ ის აუცილებლად დამნაშავეა.

საქმეში Barbera, Messeguer and Jabardo v. Spain² ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ:

უდანაშაულობის პრეზუმფცია inter alia მოითხოვს, საკუთარი მოვალეობების განხორციელებისას სასამართლოს წევრები საქმის განხილვას არ შეუდგნენ წინასწარ ჩამოყალიბებული რწმენით, რომ განსაჯელმა ჩაიდინა ის დანაშაული, რომელიც მას ბრალად აქვს წაყენებული. ამის მტკიცების ტვირთი ეკისრება გამოძიებას და აღნიშნულთან დაკავშირებული ნებისმიერი ეჭვი განმარტებულ უნდა იქნეს განსაჯელის სასარგებლოდ.³

გამონათქვამი „ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა“ წარმოადგენს დაცვის უფლებების შესავალს. ის გვხვდება საერთაშორისო პაქტის პირველი პუნქტის ზოგად ნაწილში და მესამე პუნქტის შესავალ ნაწილში, ასევე ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში, რომლებიც ამერიკულ კონვენციაში ერთ პუნქტშია თავმოყრილი.⁴

რაც შეეხება ტერმინს „ბრალად ედება“, აյ განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე; ამ კონკრეტულ შემთხვევაში გარანტიის გავრცელების შეზღუდვა გაუმართლებელია. უდანაშაულობის პრეზუმფცია თვისობრივად განსხვავდება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტებით გარანტირებული სხვა საპროცესო გარანტიებისგან.⁵

სრულიად ლეგიტიმურია სამართლიანი სასამართლო განხილვის სპეციალური უფლებების მოქმედების სფეროს შეზღუდვა სისხლის სამართალწარმოებით, განსხვავებით სამოქალაქო, ადმინისტრაციული, დისციპლინური თუ სხვა სახის საქმეებისგან. ეს უფლებები არსობრივად ებმის სისხლის სამართლის კონტრაქტს. თუმცა უდანაშაულობის პრეზუმფციის შემთხვევაში, განსხვავებული ვითარებაა.

მიუხედავად ამისა, არასწორად უნდა ჩაითვალოს ის, რომ პრეზუმფცია შემოიფარგლება მხოლოდ ბრალდებულებით. ამ გარანტიით უნდა ისარგებლოს „ყველამ“, მიუხედავად იმისა, მონაწილეობს თუ არა სისხლის სამართალწარმოებაში⁶. ბრალდებულზე გაკეთებული მინიშნება შეიძლება აიხსნას იმით, რომ პირები, რომელთა წინააღმდეგ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დეწა, განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებენ. მათ სჭირდებათ დაცვა იმ პროცესორებისგან, რომლებიც ეჭვმიტანილს ექცევიან ან წარმოაჩენენ როგორც დამნაშავეს. უდანაშაულობის პრეზუმფცია ასევე უნდა გავრცელდეს მათზე, ვინც არ არის (აღარ არის ან ჯერ არ არის) ბრალდებული.⁷

ტერმინი „უდანაშაულო“ ასევე არ არის ერთმნიშვნელოვანი. „უდანაშაულო“ არ ნიშნავს „უდანაშაულოს“ ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით. ის გულისხმობს, რომ პირი არ არის ბრალეული იმ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში, რომელიც მას ბრალად ედება. თუმცა თვით ეს ფორმულირებაც ღიაა ინტერპრეტირებისთვის⁸. კერძოდ, წამოიჭრება ორი კითხვა: პრეზუმფცია მიუთითებს ბრალეულობაზე მისი ტექნიკური, სისხლისსამართლებრივი გაებით, თუ მხოლოდ ობიექტურ ქმედებას გულისხმობს? პრეზუმფციის მოქმედება შეზღუდულია თუ არა მხოლოდ იმ ქმედებით, რომელიც, საქმეში არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, ეჭვმდებარება სისხლისსამართლებრივ სასჯელს?

¹ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი

² ადამიანის უფლებათა ევრული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Barbera, Messeguer and Jabardo v. Spain

³ ბოხამვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბილისი, 2004, გვ246

⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი.

⁵ რონა კ.მ. სმიტი, ადამიანის საერთაშორისო უფლებები, მთარგმნ.: მანანა კობიაშვილი 2006, გვ258

⁶ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით,

კ.კორკელია ი. ქურდაძე; თბ. 2004, გვ.26

⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტური სამართალი, თბ.2004, გვ.246

⁸ რონა კ.მ. სმიტი, ადამიანის საერთაშორისო უფლებები, მთარგმნ.: მანანა კობიაშვილი 2006, გვ257

საკითხს მივყავართ ძირითად კითხვამდე: აქვს თუ არა სახელმწიფოს გარკვეული ქმედების დასჯის უფლება დამნაშაულებრივი ქმედების ჩამდენის ბრალეულობის განსაზღვრის გარეშე? არის თუ არა ადამიანის უფლება ის, რომ პირი არ დაისაჯოს ქმედებისთვის, რომელზეც არ არის პასუხისმგებელი? სასამართლოს დღემდე არ მიეცა ამ საკითხის განხილვის შესაძლებლობა. თუმცა მისი პრეცედენტული სამართლი მიუთითებს, რომ უდანაშაულობის პრეზუმუციის გარანტია არ გავრცელდება ამ საკითხზე.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითები ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან: სილვა როხას საქმეში პირს ბრალად ედებოდა მძიმე დამნაშაულებრივი ქმედების ჩადენა, თუმცა გაამართლეს ბრალის გამომრიცხავი გარემოების არსებობის (შეურაცხაობის) გამო და მოათავსეს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. ევროპულმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსების ბრძანება შეიძლებოდა ჩათვლილიყო „მსჯავრდებად” და შესაბამისად, წარმოადგენდა პირისთვის სამი წლით თავისუფლების აღკვეთის საფუძველს, იმის მიუხედავად, მისი ფსიქიკური მდგომარეობა მოითხოვდა თუ არა შემდგომ პატიმრობა¹. სამართლიანი არ იქნება ამ გადაწყვეტილების წარმოჩენა სასამართლოს პოზიციად იმასთან დაკავშირებით, იცავს თუ არა კონვენცია პრინციპს, რომლის მიხედვით, დანაშაული არ არსებობს ბრალის გარეშე, რომელსაც ეს გადაწყვეტილება აშკარად ეწინააღმდეგება. სინამდვილეში, ამ შემთხვევაში, სასამართლო უშვებს ფსიქიკურად დაავადებული პირის პატიმრობის მინიმალური ვადის განსაზღვრას სადამშეველო მოსაზრებებიდან გამომდინარე, რაც მიუღებელია სისხლის სამართლის მიმართ პროგრესული მიდგომის საფუძველზე.

აღნიშნული საკითხი სასამართლომ განიხილა სალაბიაკუს საქმეში და მის მიერ გამოყენებული მიდგომა დადასტურდა ვასტბერგას საქმეში: „ხელშემკვრელ სახელმწიფოებს არსებითად და გარკვეული პირობების არსებობისას შეუძლიათ, რომ მარტივი და ობიექტური გარემოება გახადონ დასჯადი იმის მიუხედავად, ის სისხლისამართლებრივი განზრახვის შედეგია თუ გაუფრთხილებლობის”. ბრალის, პირადი პასუხისმგებლობის ცნება არ არის „განზრახვის ან გაუფრთხილებლობის” იდენტური, თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სასამართლო გულისხმობდა იმას, რასაც ხშირად უწოდებენ „მკაცრ პასუხისმგებლობას” (პასუხისმგებლობას ბრალის მიუხედავად).²

მიგვაჩნია, რომ პრინციპი არ არსებობს დანაშაული ბრალის გარეშე, უნდა იქნეს განხილული როგორც ადამიანის ძირითადი უფლება. მისი ხელყოფა უნდა იყოს უდანაშაულობის პრეზუმუციის დარღვევის ტოლფასი. თუმცა, ეს პრინციპი არ არის საყოველთაოდ აღიარებული. ამას იზიარებენ გერმანიაში, შევიცარიასა და ავსტრიაში, მაგრამ ნაკლებად იყენებენ საფრანგეთში, ბელგიასა და კანადაში³. აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი გამონაკლისი, როდესაც პრინციპი აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ, იმ ქმედებისთვის პირის დასჯის დროს, რომელიც სხვა პირმა ჩაიდინა.

რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო განაცხადებს, რომ პირის ქმედება შეიძლება იყოს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული, მაგრამ ის იმდენად უმნიშვნელოა, რომ არ საჭიროებს სისხლისამართლებრივ სანქციას? ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი საქმეში ადოლფი ავსტრიის წინააღმდეგ.⁴ ბრალდებულმა ოთახის გასწვრივ გაისროლა კონვერტი, რომელშიც მოთავსებული იყო გასაღები. კონვერტი ხელზე მოხვდა ერთ-ერთ ქალბატონს და გამოიწვია ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება. ბრალდებულმა უარყო კონვერტის სროლის ფაქტი. სამართალწარმოება შეწყდა ინციდენტის უმნიშვნელობის გამო. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა: „გმომიებამ ... აჩვენა, რომ კამათის დროს ბრალდებულება სიბრაზის ნიადაგზე ისროლა გასაღებიანი კონვერტი მსხვერპლის მიმართულებით”⁵. განმცხადებელმა საჩივრით მიმართა უზენაეს სასამართლოს, რომელმაც განაცხადა, რომ სამოტივაციო ნაწილში გამოყენებული სიტყვების მიუხედავად, რაიონულმა სასამართლომ გამოთქვა მხოლოდ ეჭვი და არ უღიარებია პირის ბრალეულობა.

¹ შ.ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ.2009, გვ.180

² იქვე:183

³ შ.ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ.2009, გვ.181

⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გადაწყვეტილება საქმეზე: ადოლფი ავსტრიის წინააღმდეგ

⁵ დ. გომიენი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოკლე მეგზური, თბ. 2002 წ. გვ. 75

თუმცა საბოლოოდ, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის დარღვევას, რადგან გადაწყვეტილებაში არსებული ხარვეზები გამოსწორდა უზენაესი სასამართლოს მიერ გასაჩივრების შედეგად. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ „სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება, თავისი არსით და გამოყენებული ფორმულირების მიუხედავად, ვერ ჩაითვლება ბრალეულობის ვერდიქტად”¹.

სასამართლოს გადაწყვეტილება სწორად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა სრულიად სხვა მიზეზების გამო. უდანაშაულობის პრეზუმფცია, როგორც ძირითადი უფლება, უნდა უკავშირდებოდეს, თუნდაც უმნიშვნელოდ, სისხლის სამართალს. ის არ უნდა განვიხილოთ, როგორც ზოგადი დაცვა ცილისწამებისგან. თუ გადაწყვეტილება, რომლითაც წყდება საქმის განხილვა, შეიცავს მითითებას ბრალდებულის მიერ ცოლქმრული ერთგულების დარღვევის ფაქტზე, რომელიც აღარ წარმოადგენს დანაშაულს შესაბამის სამართლებრივ სისტემაში, ადგილი არ ექნება უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას, იმის მიუხედავად, რომ ის შეიცავს წეგატიურ, სახელის გამტეხ მოსაზრებას პირის შესახებ. გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ადოლფის საქმეში განმცხადებელს ბრალად ედებოდა მხოლოდ კონვერტის სროლა, რომელმაც გამოიწვია ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება და ამავდროულად, სასამართლოს განცხადებით, ინციდენტი იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ არ საჭიროებდა განხილვას სისხლის სამართლის მართლმასულების სისტემის ფარგლებში. არ იქნება სწორი, თუ მსგავსი ვითარება უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად ჩაითვლება.

ზოგიერთ სამართლებრივ სისტემაში შევიდა ცვლილებები, რომელთა მიხედვით, სამართალწარმოება შეიძლება შეწყდეს, თუ შესაბამისი ქმედება და მისი შედეგები არ არის საკმარისად სერიოზული სახელმწიფოს მხრიდან სანქციების გამოყენებისთვის. სხვა იურისდიქციებში, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება პროკურორის დისკრეცია. ცხადია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებები არ ხელყოფს უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლებას.²

უდანაშაულობის პრეზუმფციის მოქმედება სრულდება, როდესაც პირი გახდება მსჯავრდებული. პრეზუმფცია შეიძლება დამლულ იქნეს სამართალწარმოების განახლების გადაწყვეტილებით. თუმცა ამ შემთხვევაში მე-6 მუხლი არ მოქმედებს³.

უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება უკავშირდება იმ ფსიქოლოგიურ გარემოს, რომელშიც მიმდინარეობს საქმის განხილვა და გულისხმობს პროკურორისა და მოსამართლის მხრიდან პირისადმი კონკრეტულ დამოკიდებულებას. მიუხედავად იმისა, რომ პროკურორი და მოსამართლე შეიძლება დარწმუნებული იყვნენ პირის ბრალეულობაში, ისინი მზად უნდა იყვნენ სხვადასხვა მტკიცებულებების წარმოდგენის შედეგად მოსაზრების შეცვლისთვის. მათ ეკრძალებათ ისეთი ქმედების განხორციელება ან რაიმეს თქმა სასამართლო განაჩენის გამოტანამდე, რაც გულისხმობს იმას, რომ ბრალდებული უკვე მსჯავრდებული იქნა.⁴

საკითხი ბრალეულობა/არაბრალეულობის შესახებ უნდა დარჩეს ღიად იმ შემთხვევაშიც, თუ ბრალდებულის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებები დამაჯერებელია. ბოლოს, უნდა ითქვას, რომ ბრალდება უნდა დამტკიცდეს გონივრულ ეჭვს მიღმა. გარანტის მიზანია დაუსაბუთებელი მსჯავრდების თავიდან აცილება და სასამართლო განხილვის სამართლიანობის უზრუნველყოფა.

გარანტის ეს ასპექტი ძირითადად მიმართულია გადაწყვეტილების მიმღებზე, რომელსაც აქვს ბრალდებულის მართლისაწინააღმდეგო ბრალეული ქმედების ჩადენის განსაზღვრის უფლებამოსილება. იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო საქმეს ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტს, არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს უდანაშაულობის პრეზუმფციის აღნიშნული ასპექტის დარღვევას.

¹ დ. გომიენი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოკლე მეზური, თბ. 2002 წ. გვ. 76

² ი. გაბისონია, პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში, (ძირითადი კონცეფტუალური საკითხების შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა), თბ., გვ27

³ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისმე-6 მუხლი.

⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის შერჩეულ განჩინებათა და გადაწყვეტილებათა კრებული; თბ.2011, გვ.19

მეორე ასპექტი, რომელსაც იცავს გარანტია უფრო მჭიდროდ უკავშირდება მე-8 მუხლს, ვიდრე მე-6 მუხლს და შეიძლება ვუწოდოთ „რეპუტაციასთან დაკავშირებული ასპექტი“.¹ ის განსხვავდება მსჯავრდება/გამართლების საკითხისგან და მიზნად ისახავს პირის, როგორც უდანაშაულოს რეპუტაციის დაცვას. მაგალითად, ეს ნიშნავს, რომ პირს, რომელიც ჯერ არ არის ცნობილი ბრალეულად არ შეიძლება მოექცენ ან მიმართონ ისე, თითქოს კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებაში იყოს მსჯავრდებული. მრავალ გადაწყვეტილებაში ვხვდებით შემდეგ ფორმულირებას: „უდანაშაულობის პრეზუმეციის უფლება ჩაითვლება დარღვეულად, თუ საჯარო პირის განცხადება დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ ის არის დამნაშავე მანამ, სანამ მისი ბრალეულობა დამტკიცდება კანონის შესაბამისად“. ადრეულ გადაწყვეტილებებში საჯარო პირის განცხადების ნაცვლად ნახსენები იყო მოსამართლის გადაწყვეტილება². ალენე დე რიბერინის საქმეში სასამართლომ გააფართოვა დეფინიცია, როდესაც მსგავსი განცხადება გაკეთდა ტელევიზით მაღალჩინოსანი პოლიციელის მიერ. ამ საქმეში სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ „ფორმალური დასკვნის არარსებობის შემთხვევაშიც კი საკმარისია გარკვეული არგუმენტაციის არსებობა, რომელიც მიანიშნებს, რომ სასამართლო ან საჯარო პირი ბრალდებულს დამნაშავედ თვლის³. ცხადია, ასეთი საქმეები უფრო მეტად ეხება საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას, ვიდრე მოსამართლის დამოკიდებულებას. საჯარო განცხადების გაკეთების შემდეგ, როგორც ეს იყო ალენე დე რიბერინის საქმეში, არავინ დაიჯერებს, რომ პირი უდანაშაულოა. შესაბამისად, სასამართლო განხილვასთან გარანტიის კავშირი ნაწილობრივ პირობითია. იმ შემთხვევაშიც, თუ განცხადებას არ მოსდევს სასამართლო განხილვა, როგორც ეს იყო ალენე დე რიბერინის საქმეში, მანც შეიძლება სახეზე იყოს უდანაშაულობის პრეზუმეციის დარღვევა.⁴

უდანაშაულობის პრეზუმეცია და ბრალდების შესახებ ინფორმირების უფლება:⁵ შედარებით ძველ საქმეში სასამართლომ განაცხადა, რომ უდანაშაულობის პრეზუმეციიდან გამომდინარებდა პროკურორის მიერ ბრალდების შესახებ ბრალდებულის ინფორმირების ვალდებულება, რათა ამ უკანასკნელს მისცემოდა დაცვის ჯეროვანი მომზადებისა და სასამართლოზე მისი წარმოდგენის საშუალება.⁶ ეს განმარტება ხელოვნურად ფართოა, რაც არ არის გასაკვირი, რადგან უდანაშაულობის პრეზუმეციას ხშირად პანაცეად აღიქვამენ სხვა გარანტიებისთვის და ზოგიერთი ავტორი მას სამართლიანი სასამართლო განხილვის საფუძვლადაც კი მიიჩნევს. პრინციპი ცალსახად მნიშვნელოვანია სისხლის სამართალწარმოების სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, თუმცა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14(3) და ევროპული კონვენციის მე-6(3) მუხლებში მოცემული სპეციალური გარანტიები, მხარეთა თანასწორუფლებიანობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები დამოუკიდებლად არის მნიშვნელოვანი.⁷ უდანაშაულობის პრეზუმეცია შეიძლება განვიხილოთ როგორც სამართალწარმოების გარემოს მარეგულირებელი მექანიზმი, ხოლო სპეციალური უფლებები – როგორც უშუალოდ სამართალწარმოების მარეგულირებელი წესები⁸.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპული კონვენცია არ შეიცავს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის ზ) ქვეპუნქტის ან ამერიკული კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტის შესაბამის დებულებას, ის იცავს ბრალდებულის დუმილის უფლებას და პირის თავისუფლებას ისეთი მტკიცებულებების გაცემის არაჯეროვანი იძულებისგან,

¹ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი

² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის შერჩეულ განჩინებათა და გადაწყვეტილებათა კრებული; თბ.2011, გვ.22

³ ალენე დე რიბერინი საფრანგეთის წინააღმდეგ, 10959/84, 1989, 16 მარტი

⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და თქვენი ფუნდამენტური უფლებები, კონსტიტუციის 42-ე მუხლი, გვ198

⁵ ედი კეიპი, ზაზა ნამორამე-“ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვა აღმოსავლეთ ევროპაში”, თბ..2012 წ., გვ.74

⁶ ი. გაბისონია, პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში, (ძირითადი კონცეფტუალური საკითხების შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა), თბ., 1999 წ.

⁷ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14(3)

⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, 3,

რომლებმაც შეიძლება მისი ბრალეულობა დაამტკიცონ. ეს გარანტია მჭიდროდ არის დაკავშირებული უდანაშაულობის პრეზუმფციასთან, რაც სასამართლომ არაერთხელ დაადასტურა.¹

რაც შეეხება გარანტიასთან დაკავშირებული სპეციფიკური პრობლემებს-უდანაშაულობის პრეზუმფციის სპეციფიკურ ასპექტებს. პირველ რიგში, უნდა განვიხილოთ გარანტიის „ფარდობით”, „შედეგზე ორიენტირებულ” ასპექტს. ეს მოიცავს მტკიცების ტვირთის საკითხს, რომელიც შეიძლება წამოიჭრას როგორც სისხლის სამართლის პროცესის, ისე ზოგადად კანონმდებლობის მიმართ. მტკიცებულებათა შეფასების საკითხებსაც აქ განვიხილავთ. პრობლემები, რომლებიც შეეხება გარანტიის რეპუტაციასთან დაკავშირებულ ასპექტს უფრო რთულია. სასამართლო იყენებს სხვადასხვა კრიტერიუმებს იმის გადასაწყვეტად, შეესაბამება თუ არა უდანაშაულობის პრეზუმფციას ის განცხადებები თუ გადაწყვეტილებები, რომლებიც პირის ბრალეულობაზე ან მის მიმართ არსებულ ეჭვზე მიუთითებს. ამ საკითხების განხილვა შეიძლება საჭირო გახდეს სამართალწარმოების საწყის ეტაპზე ან, ხშირად, მისი დამთავრების შემდეგ, ასევე სისხლის სამართლის პროცესთან კავშირში საერთოდ არმყოფ განცხადებებთან დაკავშირებით.²

რაც შეეხება გარანტიის ე.წ. „შედეგზე ორიენტირებულ” ასპექტებს: მტკიცების ტვირთი. უდანაშაულობის პრეზუმფციის საკითხი ჩვეულებრივ წამოიჭრება იმ საქმეებში, რომლებშიც ფაქტები დავის საგანია. თუმცა როგორც კიპრიანუს საქმემ აჩვენა, სადაც ფაქტების არსებობა აუცილებელი არ არის. განცხადებელს, ადვოკატს ბრალად ედებოდა სასამართლოს შეურაცხოფა მკვლელობის საქმეში მისი კლიენტის დაცვის დროს. ეროვნული სასამართლოს განცხადებით: „ბატონ კიპრიანუს ნათქვამს და განსაკუთრებით, სასამართლოსადმი მიმართვის ფორმას ჩვენ განვიხილავთ როგორც სასამართლოს შეურაცხოფას და შეესაბამისად, ბატონ კიპრიანუს აქვს ორი არჩევანი: ამტკიცოს ის, რასაც ამტკიცებდა და მოიყვანოს მიზეზები, რატომ არ უნდა დაეკისროს სასჯელი ან შეუძლია სხვაგვარად მოიქცეს. ჩვენ ვაძლევთ მას ამის შეესაბამისად გამონაკლისის სახით”³. განცხადებელმა პირველი ვარიანტი ამჯობინა და მიესაჯა თავისუფლების აღვეთა. მიუჟედავად იმისა, რომ ევროპულ სასამართლოს უკვე განხილული ჰქონდა ეროვნული სასამართლოს მიკერძოების საკითხი და მივიდა დასკვნამდე, რომ ის არ იყო მიუკერძოებელი, მან მაინც განიხილა უდანაშაულობის პრეზუმფციის საკითხი და მისი დარღვევაც დაადგინა.⁴

უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვის ცენტრალური ელემენტია მოსამართლის მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა. მოსამართლემ არ უნდა დაიწყოს საქმის განხილვა იმ რწმენით, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედება. თანამედროვე სამართლებრივი სისტემები ერთმანეთისგან მიჯნავენ სასჯელის დანიშვნის პროცესს, როდესაც შეიძლება კრიმინალური წარსულის გათვალისწინება და პირის ბრალეულობის განსაზღვრასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებას. სხვა შემთხვევაში სასამართლო განხილვის დროს პირის ყოფნა ხელბორკილებში, რომელიც ჩატარდა სასამართლო დარბაზის გარეთ, არ არღვევდა უდანაშაულობის პრეზუმფციას. ასეთ დროს, გარკვეულწილად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბრალდებული საშიშია და შეიძლება არაიურისტებს მიერ მოხდეს მისი ბრალეულობის შესახებ ნაადრევი დასკვნების გამოტანა.⁵

უდანაშაულობის პრეზუმფციის რეპუტაციასთან დაკავშირებული ასპექტი მოიცავს საჯარო პირის ისეთ ქმედებასა და განცხადებას, რომელშიც იგულისხმება, რომ პირს დამნაშავედ მიიჩნევს მის მსჯავრდებამდე. მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად იქმნის მათ გავლენა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. ამ შემთხვევაში უდანაშაულობის პრეზუმფცია უკვე აღარ არის საპროცესო გარანტია.

ზოგადად სისხლის სამართალწარმოების დროს განხორციელებული ქმედებები და გაკეთებული განცხადებები მიეკუთვნება უდანაშაულობის პრეზუმფციის „შედეგზე ორიენტირებულ” ასპექტებს,

¹ იქვე:

² შ. ტრექსელი., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის სამართლის პროცესში, თბ., 2009, გვ. 184

³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის შერჩეულ განჩინებათა და გადაწყვეტილებათა კრებული; თბ. 2011, გვ. 26

⁴ იქვე: 29

⁵ შ. ტრექსელი., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის სამართლის პროცესში, თბ., 2009 წ., გვ. 201

რადგან ისინი საფრთხეს უქმნიან სასამართლო გადაწყვეტილების მიუკერძოებლობას. თუმცა არსებობს გამონაკლისებიც¹.

ზოგჯერ თვით ბრალდებულის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილებებიც შეიძლება იწვევდეს გარკვეულ პრობლემებს უდანაშაულობის პრეზუმფციასთან დაკავშირებით. ასეთ დროს სასამართლო წარმოადგენს გარკვეული ტიპის დასაბუთებას, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბრალდებულის უდანაშაულობაზე. ბრალდებულს შეიძლება უარი უთხრან წინასწარი პატიმრობის გამო კომპენსაციაზე ან დამცველის ხარჯების ანაზღაურებაზე. მას შეიძლება დაეკისროს სასამართლო ხარჯების, ასევე, მეორე მხარის ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებაც. დაბოლოს, გამართლების მიუხედავად, ბრალდებულს შესაძლოა დაეკისროს მსხვერპლისთვის კომპენსაციის გადახდა. პრეცედენტული სამართალი აღნიშნულ საკითხებზე საკმაოდ მდიდარია.² სასამართლოს მიერ პირის საბოლოოდ გამართლების შემდეგ, ის დაცულია ახალი სამართალწარმოების დაწყებისგან საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტის, ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლისა და ამერიკული კონვენციის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ნებისმიერი ოფიციალური განცხადებისგან, რომელიც მიუთითებს მის ბრალეულობაზე ან ეჭვევეშ აყენებს მის უდანაშაულობას, იმის მიუხედავად, სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი გამოხატავს თუ არა ბრალდებულის მიმართ ასეთ ეჭვს.³

აქვე უნდა შევეხოთ საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ საკითხს: უდანაშაულობის პრეზუმფციასთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართალი ძალზე არაერთგვაროვანია საპროცესო საფუძვლით საქმის შეწყვეტის საკითხზე. შესაძლებელია მთელი რიგი განსხვავებების გაკეთება სხვადასხვა კრიტირიუმებზე დაყრდნობით. საქმეების დიფერენცირება შეიძლება იმ ქმედების მიხედვით, რომლითაც ირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფცია. კერძოდ, ხელისუფლების ორგანოების მიერ განმცხადებლის უდანაშაულობასთან დაკავშირებით ეჭვების გამოთქმა, საპროცესო ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმა ან წინასწარი პატიმრობა ეჭვის არსებობის გაგრძელების საფუძველზე, საპროცესო ან მოსარჩელეთა ხარჯების ანაზღაურების დაკისრება.

განსხვავებები შეიძლება ასევე დადგინდეს იმის მიხედვით, სადაც განცხადებამ ახსენა ეჭვი ან დაადასტურა დამნაშავეობა თუ არა ან გადაწყვეტილება დეტალური იყო თუ შემოიფარგლებოდა ბრალეულობის ალბათობის ხსნებით. შეიძლება ასევე საქმეების განსხვავება სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძვლებზე დაყრდნობით: ბრალდების წარსადგენად არასაკამარისი მტკიცებულებების არსებობა, ხანდაზმულობის ვადის გაშვება, ბრალდებულის გარდაცვალება ან ის ფაქტი, რომ საბოლოოდ მსჯავრდების შედეგად დანიშნული სასჯელი იქნებოდა უმნიშვნელო. დაბოლოს, განსხვავება ასევე შესაძლებელია იმის მიხედვით, სამართალწარმოება შეწყდა თუ არა მას შემდეგ, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ პირი ცნობილი იქნა ბრალეულად.⁴

უდანაშაულობის პრეზუმფცია წარმოადგენს გარანტიას, რომლითაც, პირველ რიგში, იზღუდება სასამართლო ხელისუფლება იმისათვის, რომ არ მოახდინოს კონკრეტული პირის სისხლისამართლებრივ ბრალეულობაზე მითითება გამამტყუნებელი განაჩენის გარეშე. იგივე ვრცელდება პროკურორებსა თუ სხვა საჯარო პირებზე, რომლებიც აკეთებენ განცხადებებს კონკრეტულ პირთა ბრალეულობის შესახებ. ხშირად სხვადასხვა უწყებებისა და თანამდებობის პირთა მხრიდან უდანაშაულობის პრეზუმფციის უხეში დარღვევის მრავალი შემთხვევა ფიქსირდება. მეტიც, ხდება იმგვარი განცხადებების გავრცელება, რომლებითაც ისინი მტკიცებით ფორმაში გვამცობენ ბრალდებულ პირთა მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტს და ამით უხეშად არღვევენ უდანაშაულობის პრეზუმფციას. ასევე საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებული მონაცემები პირდაპირ მიუთითებს

¹ ედი კეიპი, ზაზა ნამორაძე-“ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვა აღმოსავლეთ ევროპაში”, თბ..2012 წ, გვ.87

² სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14(7)

³ კ.კონკრელია ი. ქურდაძე; ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით;; თბ. 2004 წ, გვ.49

⁴ იქვე:55

სხვადასხვა საგამოძიებო ორგანოთა მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე, სადაც კონკრეტული პირები იდენტიფიცირებულნი არიან როგორც დანაშაულთა უშუალო ჩამდენები.

სამართლიანი სასამართლოს უფლება მოითხოვს ეჭვმიტანილმა და ბრალდებულმა პირებმა იცოდნენ თავიანთი უფლების შესახებ, ესმოდეთ მისი მნიშვნელობა და შეეძლოთ გამოიყენონ იგი. ეფექტური სისხლისამართლებრივი დაცვა მოითხოვს, რომ ეჭვმიტანილებს და ბრალდებულებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ იმ პროცესში, რომელიც მათ ეხებათ; გაიგონ, რას უცხადებენ მათ და მოუსმინონ მათ; მიეცეთ ინფორმაცია მათ მიმართ ეჭვისა და ბრალდების შესახებ; ინფორმირებულნი იყვნენ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძვლების შესახებ; ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა საქმის მასალებთან; ჰქონდეთ დრო და რესურსი, რომ უპასუხონ ბრალდებებს და მოემზადონ პროცესისთვის; ჰქონდეთ საშუალება წარადგინონ ინფორმაცია და მტკიცებულებები თავის სასარგებლოდ; მოეპყრან ისე, რომ არ ჩააყენონ არახელსაყრელ მდგომარეობაში; გაასაჩივრონ მათი ინტერესების წინააღმდეგ გამოტანილი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

სამწუხაროდ, მოცემული საკანონმდებლო მოთხოვნები პრაქტიკაში ეფექტურად არ გამოიყენება. სასამართლოს შუალედური და საბოლოო გადაწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ მათ ხშირად აკლია ადეკვატური დასაბუთება. წინასწარი პატიმრობის შეფარდების პრაქტიკა მოწმობს, რომ სასამართლოს ორგანოები თავს ივალდებულებენ მხოლოდ კანონმდებლობაში გადაწყვეტილებისთვის წაყინებული საფუძვლების ხსენებით, მაგრამ არ ახდენენ მოცემული გადაწყვეტილების გამყარებას რელევანტური ფაქტებით, რომლებიც დაასაბუთებდნენ მიმაღვის, მართლმსაჯულებისადმი ხელის შეშლისა თუ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის არსებობას. ადგილობრივი სასამართლოები, თითქმის ყველა შემთხვევაში, აკმაყოფილებენ პროკურატურის მოთხოვნას წინასწარი პატიმრობის შეფარდების თაობაზე, ისე რომ არ ხდება სასამართლოს შუალედური და საბოლოო გადაწყვეტილებების ადეკვატური დასაბუთება.

რეზიუმე

სტატია შედგენილია სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „საერთაშორისო სასამართლო საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის“ ფარგლებში.

სტატიაში განხილულია უდანაშაულობის პრეზუმფცია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით. წარმოდგენილი თემატიკა აქტუალობას დღემდე არ კარგავს, რაც დასტურდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ბოლო დროს გამოტანილი გადაწყვეტილებებით.

აღსანიშნავია, რომ სტატიაში განხილულია უდანაშაულობის პრეზუმფციის ფსიქოლოგიური, ისტორიული და სამართლებრივი ასპექტები.

ავტორს მიმოხილული აქვს როგორც საერთაშორისო სამართლებრივი აქტები ასევე, უცხოეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსები.

Resume

The article is composed within the frames of research project entitled "The International Court in the international relations system", of the Faculty of Law and International Relations.

The article presents the presumption of innocence in accordance with both the European Convention on Human Rights and the European Court of Human Rights. The presented topic has not lost its actuality, which is confirmed by the recent decisions made by the European Court of Human Rights. It should be noted that the article discusses the psychological, historical and legal aspects of the presumption of innocence.

The author has reviewed both international legal acts and the criminal code of foreign countries.

1. მედია-ქართული და უცხოური კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი

ირაკლი გაბისონია
პროფესორი
ნანა ლომაია
დოქტორანტი

ქართული მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს ადამიანის უფლებების დარღვევის ეპიდემია მოედო. სამწუხაროა, მაგრამ მედია მფლობელებსა და მედია საშუალებებში დასაქმებულ ჟურნალისტებს ერთი მიზანი აქვთ- ქონდეთ მაღალი რეიტინგი და ამის მისაღწევად გამოიყენონ ყველა ფორმა და მედოთი, მათ შორის, ზოგჯერ აკრძალული, რაც უდაოდ ცუდი ტენდენციაა. მედია, განსაკუთრებით ტელევიზია კი დღემდე რჩება საზოგადოებაზეზე მოქმედების ყველაზე ძლიერ მასობრივ საშუალებად. ის უწყვეტად კვებავს საზოგადოებას მაღადობის ამსახველი სიუჟეტებით, ინფორმაციით.

ამდენად, საკითხი იმდენად სერიოზულია, რომ ღირს მასზე საგანგებოდ შეჩერება, პროფ. მ. მუსხელიშვილი სავსებით მართებულად წერდა, რომ :“ახალი გაზეთები, რადიო და სატელევიზიო არხები და გადაცემები ჯერ კიდევ გამოუცდელი სხვადასხვა განათლების მქონე ახალგაზრდებით დაკომპლექტდა. ამ თაობამ წერის და საუბრის საკუთარი მანერა მუშაობის პროცესში ჩამოაყალიბა. წინა თაობისაგან განსხვავებით, ამ ჟურნალისტებმა გაბედულად შეტოვს პოლიტიკური ბრძოლის ჭაბში და აღიარებული ჭეშმარიტების ძიებაში თავის დასაყრდენად და ორიენტირად პოლიტიკური შეფასებების სისტემა გაიხადეს. მათი პროფესიული საქმიანობის დასაყრდენად იქცა, არა იმდენად საკუთარი ჟურნალისტური ქცევის ნორმები და მეთოდები, რამდენადაც სამოქალაქო და პოლიტიკური პოზიცია. ეს მათ არა საზოგადოებრივი აზრის ფორმირების არბიტრად (ფსილტატორად), არამედ მის აქტიურ შემოქმედად აქცევს”¹

ქართულმი ჟურნალისტიკა შესაძლებელია ჩიხში შეიყვანოს ნეგატიური ფაქტების მახინჯა იდეოლოგიამ. ცალსახად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ეს მაყურებლის დაკვეთა არ არის და არც არავის მოსწონს ყოველ დილა-საღამოს მძაფრი სიუჟეტებით დატვირთული გადაცემების ყურება, ზოგჯერ გადაუმოწმებელი ფაქტის გასაჯაროებით ადამიანის უფლებების უკონტროლო შელახვა.

მედიასტანდარტის დაცვა რეგულირებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, საქართველოს კანონით „მაუწყებელობის შესახებ“,² საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, საქართველოს კომუნიკაციის ეროვნული კომისიის დადგენილებით „მაუწყებელთა ქცევის კოდექსითა“ და სხვადასხვა საერთაშორისო აქტით.

არ ახალია, რომ კრიმინალური საკითხების გაშუქების დროს ჟურნალისტმა უნდა დაიცვას ბალანსი, ერთიმხრივ, გამოხატვის თავისუფლებასა, ხოლო მეორე მხრივ, უდანაშაულობის პრეზუმეციასა და ეჭვმიტანილთა, ბრალდებულთა, განსასჯელთა, მსჯავრდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას შორის. ჟურნალისტმა მაუწყებლს არ უნდა გადასცეს ისეთი მასალა, რომელმაც შესაძლოა წააქეზოს ან წაახალისოს დანაშაულის ჩადენა ან გამოიწვიოს ანტისოციალური ქმედება, ან რომელიც ამართლებს ანიწონებს უკანონო, ძალადობრივ, სახიფათო ან ანტისოციალურ ქმედებას. ასეთი მასალის გაშუქებისას ჟურნალისტი ვალდებულია უზრუნველყოს ეჭვმიტანილთა, ბრალდებულთა, განსასჯელთა, მსჯავრდებულთა, მოწმეთა, დაზარალებულთა და მათი ოჯახის წევრების კანონიერი ინტერესების დაცვა.

ნებისმიერი სახის სპეციალისტი დასწრება, გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოპერაცია საზოგადოებრივი ინტერესის მქონეა, მაგრამ ჟურნალისტმა არ უნდა გადამეტოს თავის უფლებებს.

¹ მუსხელიშვილი მ. სამოქალაქო საზოგადოება, შედარებითი ანალიზი, თბ, 2000, გვ.94

² საქართველოს კანონი „მაუწყებელობის შესახებ“,

არადა, ხშირად ჟურნალისტები უგულებელყოფენ ამ მოთხოვნას და პირდაპირ ეთერში გადასცემენ იმპერაციის საიდულო ნაწილს. მაგალითისათვის ავიღოთ, ბოლო დროის ყველაზე გახმაურებული ფაქტი - ბერი გაბრიელ სასლოსის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაცია, რომლის დროსაც პირდაპირ ეთერში უჩვენებდნენ სნაიპერთა განლაგებას, გადაადგილებასა და სხვა. ჟურნალისტმა ნებისმიერ სიტუაციაში უნდა დაიცვას მედია ეთიკის სტანდარტი.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჟურნალისტები ხშირად გვიყვებიან ისეთი დანაშაულის შესახებ, როცაპირის მიმართ განაჩენი კი არა გამოძიებაც არ არის დაწყებული.¹

გაზეთი „ასავალ-დასავალი“ გრძელვადიან, მიზანმიმართულ ცილისმწამებლურ კამპანიას აწარმოებდა „თი ბი სი ბანკის“ წინააღმდეგ, გამოცემის თითქმის ყველა ნომერში ქვეყნდებოდა ღირსების შემლახველი სტატიები მამუკა ხაზარაძის მიმართ. სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელებას დაშესაბამისად, გარდა ფულადი კომპენსაციისა, გაზეთს დაავალა გავრცელებული ცნობების უარყოფა გაზეთის იმავე გვერდზე და იმავე შრიფტით, რაფორმითაც აღნიშნული ცრუ ინფორმაცია იბჟვდებოდა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა საპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

ეს პრეცედენტი ცხადყოფს, რომ ადამიანის ღირსება, პატივი, ასევე კომპანიის საქმიანი რეპუტაცია დაცულია კანონით და სასამართლომ დაადასტურა, რომ ასეთი უფლებები ხელშეუვალია. როგორც ადვოკატი ზვიად კორმაძე აღნიშნავს - ამ გადაწყვეტილებით სასამართლომ განსაზღვრა მედიის პასუხისმგებლობის ფარგლები, ინფორმაციის გავრცელებისას პირის ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვა ყალბი ფაქტების გავრცელებით დაუშვებელია.

დავა სამი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და საქართველოს სასამართლოების სამი ინსტანცია გაიარა და სამივე ინსტანციამ აღიარა, რომსაქმეებებოდა ცრუ ინფორმაციის გავრცელებას, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვას.²

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით მე-7 პუნქტით - მედიაპლურალიზმის დაცვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აზრის გამოხატვის თავისუფლების რეალიზების, მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის თავიდან აცილების უზრუნველაყოფად, აგრეთვე მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში მომხმარებელთა და მეწარმეთა უფლებების დასაცავად შექმნილი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ინსტიტუციური და ფინანსური დამოუკიდებლობა გარანტირებულია კანონით.³

შედარებისათვის მოვიხმოთ საერთაშორისო კანონმდებლობაში არსებული ნორმები ისეთი ძირითადი პრინციპების რეგულირებასთან დაკავშირებით, როგორიაა სიტყვის, ბეჭდვის, აზრის გამოხატვის თავისუფლება, უფლება ინფორმაციაზე, გამოკითხვაზე, რომლებიც გაწერილია ევროპული ქვეყნების კონსტიტუციებსა და კანონმდებლობაში მასმედიის საშუალებების შესახებ - კანონებში „ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“, „მედიისამსახურის შესახებ“, „აუდიოვიზუალური პროგრამების შესახებ“, „მაუწყებლობის შესახებ“, „ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების შესახებ“, „პრესის შესახებ“, „პრესისა და ბეჭდვითი მედიის სხვა საშუალებების შესახებ“, „მედიისაკუთრების შესახებ“, „ტელევიზიის სტანდარტების შესახებ“. საინფორმაციო საშუალებების ეთიკის საკითხებს არეგულირებს კანონები „საზოგადოებრივი მორალის დაცვის შესახებ“, „ცილისწამების და პირად ცხოვრებაში ჩარევის შესახებ“, „აუდიოვიზუალური მედიისამსახურების შესახებ“, აგრეთვე, პრესის ეთიკური სტანდარტების, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსები.⁴

¹ საქართველო 1995 წლის კონსტიტუცია, 31-ე მუხლი, თბილისი, 2018,

² ინტერესების 05.09.17

³ საქართველო 1995 წლის კონსტიტუცია 17-ე მუხლი, თბილისი, 2018, გვ.18

⁴ International Press Institute. Media Laws Database <http://legaldb.freemedia.at/legal-database/>)

ეს კანონმდებლობები, ანიჭებს რა დამოუკიდებლობას მასმედიის საშუალებებს, იქვე აღიარებს ადამიანის უფლებებს, მასმედიის საშუალებების პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე და მასმედიის კონტროლს საზოგადოების მხრიდან.¹

უფლება ინფორმაციაზე, რომელიც განსაზღვრავს მასმედიის საშუალებების განსაკუთრებულ როლს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში, ითვლება, რომ ყველაზე მეტად არის დაცული გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კონსტიტუციითა და კანონმდებლობით. **აზრის გამოხატვის თავისუფლება** გამყარებულია ავსტრიის რესპუბლიკის, ნორვეგიის სამეფოს, საფრანგეთისრესპუბლიკის, აშშ-ს კონსტიტუციებით და გარანტირებულია ამ ქვეყნების სასამართლოების მიერ².

გერმანიის რესპუბლიკში, **პრესის თავისუფლებასთან** დაკავშირებული საკითხები იმართება ფედერალური მთავრობის გადაწყვეტილებით, რათა მინიმუმამდე დაიყვანონ უფლებამოსილებების დაყოფის შედეგად წამოჭრილი სირთულეები, ხოლო მედია საშუალებათა ზოგადი პრინციპების (**სიტყვის და ბეჭდვის თავისუფლება, უფლება ინფორმაციაზე**) ძირითადი საკანონმდებლო გარანტია კონსტიტუციის მე-5 მუხლი, რომელიც ადგენს ყოველი ადამიანის უფლებას გამოხატოს და გაავრცელოს საკუთარი აზრი, დაუბრკოლებლად მიიღოს ინფორმაცია ყველა ხელმისაწვდომი წყაროდან; უზრუნველყოფს ბეჭდვის, რადიო და ტელეშეტყობინებების თავისუფლებას; არ აღიარებს ცენზურას; უზრუნველყოფს პიროვნების, ღირსების, წარმოების და სახელმწიფოს დაცვას. არ არსებობს ფედერალური კანონი პრესის შესახებ. ქვეყნის ძირითადი კანონის გარდა, პრესის საკითხებს არეგულირებს სამუქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსები, ფედერალური მიწების კონსტიტუციები, კანონი „მოქალაქეთა პირადი ღირსების დაცვის შესახებ“, კანონი „კარტელების შესახებ“, კანონი „საბანკო მონაცემების დაცვის შესახებ“და სხვ.³

არსებობს შეზღუდვები გამოკითხვის უფლებაზე, რომლითაც შესაძლებელია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა:

- თუ უწყებას მიღებული აქვს მითითებები ინფორმაციის გასაიდუმლოებასთან დაკავშირებით;
- თუ გარკვეული ღონისძიებები განსაზღვრული დროის განმავლობაში უნდა დარჩეს საიდუმლოდ, რამდენადაც მათმა ნაადრევმა გასაჯაროებამ შესაძლებელია ზიანი მიაყენოს საზოგადოებრივ ინტერესებს ან წარმოადგენდეს მათთვის საშიშროებას;
- თუ ეს ჩაშლის, გაართულებს ან ზიანს მიაყენებს მიმდინარე სასამართლო პროცესის ჯეროვნად წარმართვას;
- თუ ეს ზიანს მიაყენებს კერძო ინტერესებს, რომლებიც დაცული უნდა იყოს.

გერმანიის მთელ ტერიტორიაზე პოლიციას და პროკურატურას უფლება აქვთ არ მისცენ ინფორმაცია და კომენტარები მედიასაშუალებებს. 1953 წელს მიღებულ იქნა „სპეციალური კანონები კრიმინალური პოლიციის და პრესის ურთიერთობის შესახებ“, რომლებიც ითვალისწინებენ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან უარის თქმას გამოკითხვაზე და რომლებსაც დღემდე აქვთ იურიდიული ძალა. აღნიშნული კანონები ასევე კრძალავენ ინფორმაციის გამოკითხვას გადასახადების შესახებ. აკრძალულია საგადასახადო დეკლარაციების პუბლიკაცია.⁴ ფინანსთა სამინისტროში

¹ The Centre for Media Pluralism and Media Freedom (CMPF). Criminal and Civil Defamation Laws and Case Law <http://journalism.cmpf.eui.eu/maps/defamation-law/>

² Organization for Security and Co-operation in Europe The Representative on Freedom of the Media Dunja Mijatović. Defamation and Insult Laws in the OSCE Region: A Comparative Study (Commissioned by the OSCE Representative on Freedom of the Media) March 2017

<http://www.osce.org/fom/303181?download=true>

³ გერმანიის რესპუბლიკის German Press Code http://ethicnet.uta.fi/germany/german_press_code

⁴ გერმანიის კანონი „სპეციალური კანონები კრიმინალური პოლიციის და პრესის ურთიერთობის შესახებ“

ინფორმაციის გამოკითხვა და გამოყენება პრესისთვის შესაძლებელია მხოლოდ სასამრთლო განხილვის შემთხვევაში (როგორც მიწების, ასევე ფედერალურ დონეზე).¹

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველი შესწორებით შეიქმნა **პრესის თავისუფლების** დაცვის გარანტია. შესწორება კონგრესს უკრძალავს **სიტყვის თავისუფლების** შემზღვეველი კანონების მიღებას. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა მედიასაშუალებების თავისუფალი ხელმისაწვდომობა სახელმწიფო ინფორმაციაზე. ეს უფლება ჩაწერილია ფედერალურ კანონში „**ინფორმაციის თავისუფლების შესახებ**“ და თითქმის ყველა შტატის ანალოგიურ სტატუტებში. აღნიშნული კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ ხელისუფლება ვალდებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მოთხოვნით გასცეს მათ ნებისმიერი საჭირო ინფორმაცია. პრივატულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის უფლების შეზღუდვარებულირდებადებულებებით „ახალგაზრდობის და მოქალაქეთა პირადი ღირსების დაცვის შესახებ“. აღნიშნული საკანონმდებლო ნორმა კრძალვს დისკრიმინაციას ეროვნული, რელიგიური, ეთნიკური და სხვა ნიშნით. ნებისმიერი მოქალაქე, მათ შორის, ურნალისტი, რომელიც ავრცელებს აზრს, რომელმაც შეიძლება შეურაცხყოფა მიაყენოს სხვა პირს ან ცილი დასწამოს და შემდგომ ვერ დაამტკიცოს არსებული აზრის სისწორე პასუხს აგებს კანონის წინაშე.²

ნორვეგიის სამეცნის მასმედიის საკითხები რეგულირდება შემდეგი სამი კანონით: „**მაუწყებლობის შესახებ**“ (Broadcasting Act), „**მედიასაკუთრების შესახებ**“ (Media Ownership Act) და „**ტელევიზიზის სტანდარტების შესახებ**“ (Television Standards Act). პრესის შესახებ ცალკე კანონი არ არსებობს და ამდენად, პრესის საკითხებს არეგულირებს სამოქალაქო სისხლის სამართლის კოდექსი და კონსტიტუციის მე-100 მუხლი, რომლის მიხედვითაც, პრესა თავისუფალია, ცენზურა დაუშვებელია, არავინ შეიძლება დაისაჯოს პუბლიკაციის გამო რა შინაარსისაც არ უნდა იყოს ის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირი შეგნებულად და აშკარად არ ემორჩილება კანონს, რელიგიურ ნორმებს, მორალს, კანონიერ ხელისუფლებას, უარს ამბობს ბრძანებების შესრულებაზე ან უკანონოდ ადანაშაულებს სხვა პირს. ყველას აქვს უფლება თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი ხელისუფლების ქმედებებთან დაკავშრებით და ნებისმიერ სხვა საკითხებზე.³

ავსტრიის რესპუბლიკის კანონი „**პრესისა და ბეჭდვითი მედიის სხვა საშუალებების შესახებ**“ (Act on the Press and other Publication Media) აზრის გამოხატვის და ინფორმაციის თავისუფლების დაცვის მიზნით უზრუნველყოფს მედიის სრულ თავისუფლებას.⁴

პირადი მონაცემების გამოქვეყნებისას, თუ პრესა იმ პირის პირად მონაცემებს ან სურათს გაასაჯაროებს, რომელიც კრიმინალური დანაშაულის მსხვერპლია ან ეჭვმიტანილია კრიმინალურ დანაშაულში ან სასამართლომ სცნო დამაშავედ ან დაკითხა მოწმის რანგში ეროვნული კომიტეტის საგამოძიებო კომისიის მიერ და თუ ამის გამო დაირღვა პირის დაცვის უფლება, აღნიშნულ პირს შეუძლია პრეტენზია განუცხადოს მედიამფლობელს და მოითხოვოს მისგან ანაზღურება მიყენებული მორალური ზარალის კომპენსაციის მიზნით.

კანონი ითვალისწინებს უდანაშაულობის პრეზუმეციის დაცვას. თუ დანაშაულის ჩადენაში ეჭმიტანილი პირი, რომელიც საბოლოოდ არ არის გასამართლებული სასამართლოს მიერ, პრესაში ან ბეჭდვითი მედიის სხვა საშუალებაში წარმოდგენილი იქნება როგორც უკვე დამნაშავე ან დანაშაულის გამომწვევი (და არა მხოლოდ ეჭვმიტანილი), მაშინ ასეთი პირი უფლებამოსილია მოითხოვოს კომპენსაცია მედიამფლობელისგან მისთვის მიყენებული მორალური ზარალის ასანაზღაურებლად.

¹ გერმანიის რესპუბლიკის German Press Code http://ethicnet.uta.fi/germany/german_press_code

² აშშ-<http://lawtoday.ru/razdel/biblio/info-prav/096.php> http://www.unesco.org/new/fileadmin/MULTIMEDIA/FIELD/Moscow/pdf/_MP5_I/_International%20Standards%20and%20Foreign%20Practices%20on%20Media%20Regulation.pdf
Междуннародные стандарты и зарубежная практика регулирования журналистики. ЮНЕСКО –2011)

³ ნორვეგიის სამეცნის Code of Ethics of the Norwegian Press

http://ethicnet.uta.fi/norway/code_of_ethics_of_the_norwegian_press

⁴ ავსტრიის რესპუბლიკის Code of Ethics for the Austrian Press

http://ethicnet.uta.fi/austria/code_of_ethics_for_the_austrian_press

სარედაქციო კონფიდენციალობის დაცვისასმედიამფლობელებს, რედაქტორებს, ან მედიასამსახურის თანამშრომლებს სასამართლოს ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე კრიმინალური და სხვა დანაშაულებრივი საქმეების განხილვისას მოწმის სახით წარდგომის დროს უფლება აქვთ არ უპასუხონ შეკითხვებს მათ მიერ მოპოვებული ინფორმაციის და დოკუმენტაციის მიმწოდებლის შესახებ.

თუ უურნალისტი გამოაქვეყნებს ინფორმაციას სხვა პირის შესახებ, დიდი ალბათობაა იმისა, რომ მას დაეკისროს სამართლებრივი პასუხისმგებლობა მაშინაც კი, თუ მის მიერ გამოქვეყნებული ფაქტები ნამდვილია. ქვეყნების უმრავლესობას აქვს კანონები, რომლებიც ზღუდავს ფიზიკური პირის პირადი მონაცემების გასაჯაროებას და აღიარებს ინდივიდის უფლებას შეაჩეროს მისი სახელის, გვარის ან სხვა პერსონალური მახასიათებლების გამოყენება გარკვეული მიზნებისათვის.

პირადი მონაცემების უკანონოდ გამოყენება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია.(დიდი ბრიტანეთი, ჩეხეთი, შვედეთი, იტალია, ფინეთი, დანია, ესტონეთი) აქტებით პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება შესაძლებელია მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის თანხმობით, თუმცა კანონით გათვალისწინებულია საფუძვლები, როდესაც შესაძლებელია მონაცემთა დამუშავება ასეთი თანხმობის გარეშე, მაგალითად:

- თუ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კონტრაქტის განხორციელების მიზნით, რომლის მონაწილე მხარე არის მონაცემთა სუბიექტი ან თუ აუცილებელია მოლაპარაკებებისთვის გადაწყვეტილების მისაღებად ან კონტრაქტის პირობების შესაცვლელად მონაცემთა სუბიექტის წინადადების საფუძველზე;
- თუ ეს აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დასაცავად (მაგალითად, სერიოზული ავარიის შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტის სამედიცინო დეტალების გამუდავნება);
- თუ პერსონალური მონაცემები ეხება საჯარო პირს, თანამდებობის პირს ან საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირს და თუ ინფორმაცია ეხება მათ საჯარო და ადმინისტრაციულ საქმიანობას და მათ სამუშაო თანამდებობას;
- თუ მონაცემთა დამუშავება განპირობებულია საარქივო მიზნებით;
- ან სხვა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული მონაცემთა სუბიექტის კანონიერი ინტერესი დაცული იყოს მისი პირადი ცხოვრების უფლება.

თუ მასალა ცილისწამებლური ხასიათისა ის სისხლის სამართლის დანაშაულია და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ავსტრიაში, ბელგიაში, გერმანიაში, დანიაში, ესპანეთში, იტალიაში, ლატვიაში, ლიტვაში, ლუქსემბურგში, მალტაში, ნიდერლანდებში, პოლონეთში, პორტუგალიაში, საბერძნეთში, სლოვაკეთში, სლოვენიაში, უნგრეთში, შვედეთში, ფინეთში, ჩეხეთში; სისხლის სამართლის დანაშაულია, მაგრამ არ ისჯება თავისუფლების აღკვეთით ბულგარეთში, საფრანგეთში, სერბეთში, ხორვატიაში; სისხლის სამართლის დანაშაული არ არის გაერთიანებულ სამეფოში, ესტონეთში, ირლანდიაში, მაკედონიაში, მონტენეგროში, რუმინეთში.

პოლონეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად ცილისწამება არ მიიჩნევა დანაშაულად, თუ ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს, მაგრამ ეს არ შეეხება საჯაროდ გაკეთებულ განცხადებას. საჯაროდ გაკეთებული განცხადების შემთხვევაში სიმართლის გარდა განსასჯელმა უნდა დაამტკიცოს, რომ მოქმედებდა საზოგადოების ინტერესიდან გამომდინარე. თუ განცხადება ეხება პირად ან ოჯახურ ცხოვრებას, განსასჯელს მისი მართებულობის მტკიცების უფლება ეძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მოხადენს სხვა პირის სიცოცხლისათვის შექმნილი საფრთხის ან არასრულწლოვნის დემორალიზების პრევენციას. კერძოდ, ცილისწამება, ანუ სხვა პირის, პირთა ჯგუფის, ინსტიტუტის ან ორგანიზაციისთვის ისეთი ქცევის ან თვისებების დაბრალება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მათი დისკრედიტირება საზოგადოების თვალში ან მოცემული პოზიციის, პროფესიის ან საქმიანობისათვის

აუცილებელი ნდობის დაკარგვა, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით. იგივე დანაშაული, ჩადენილი მასმედიის საშუალებით, ისჯება ჯარიმით, თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით 1 წლამდე ვადით.

დანის სამეფოში ცილისწამება, ანუ მოვლენების ან ურთიერთობების შესახებ ისეთი განცხადებების გავრცელება, რამაც შეიძლება საზოგადოების თვალში სახელი გაუტეხოს ამ თუ იმ პირს - სისხლის სამართლი კოდექსის 267 მუხლით ისჯება ჯარიმით ან 4 თვემდე თავისუფლების აღკვეთით, თუ დანაშაული ჩადენილია უპატიოსნო განზრახვით ან დამნაშავეს ჰქონდა საფუძველი ეფიქრა, რომ ინფორმაცია იყო მცდარი, სასჯელი იზრდება 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. სისხლოს სამართლის 269-ე მუხლის შესაბამისად ცილისწამება არ ისჯება, თუ მოპასუხე დაამტკიცებს, რომ ინფორმაცია შესაბამებოდა სიმართლეს, არ ისჯება იმ შემთხვევაშიც, თუ მოპასუხე დაამტკიცებს, რომ გარკვეული დამაჯერებელი გარემოებების გათვალისწინებით ინფორმაცია ჩანდა როგორც მართალი, ეს იმ შემთხვევაზე ვრცელდება, როცა დაცვის ინსტრუმენტად გამოყენებულია პატიოსანი განზრახვის დასაბუთება.

საფრანგეთის რესპუბლიკის კანონით „პრესის შესახებ“(იხ. მუხლი 29)ცილისწამება არის ფაქტის ან ქმედების შესახებ ნებისმიერი განაცხადი ან ბრალდება, რაც იწვევს თავდასხმას პიროვნების პატივსა და ღირსებაზე. ასეთი განცხადების ან ბრალდების პუბლიკაცია ან რეპროდუცირება დასჯადია მაშინაც კი, თუ ეს გაკეთებულია ისეთი მანერით, რომ იძლევა ვინმეს მიმართ ეჭვის გაჩენის საფუძველს ან მიმართულია პირისაკენ, რომელიც პირდაპირ არ არის დასახელებული, მაგრამ მისი იდენტიფიცირება შესაძლებელია. ცილისწამება, მიმართული კერძო პირისადმი, ისჯება €12,000 ოდენობის ჯარიმით (იხ. მუხლი 32), თუ მიმართულია პრეზიდენტის, საჯარო მოხელეების, მინისტრების, დეპუტატების, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ეკლესიების, სასამართლოების, შეიარაღებული ძალების წარმომადგენლების წინააღმდეგ - ჯარიმის ოდენობა შეადგენს €45,000 (იხ. მუხლები 30-31). თუ სასამართლო პროცესზე დადასტურდა გავრცელებული ინფორმაციის სიმართლე, განსასჯელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან გარადა იმ შემთხვევისა, როცა საქმე ეხება პირად ცხოვრებას.

2013 წელს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების გათვალისწინებით კანონიდან ამოღებულ იქნა 26-ე მუხლი, რომელიც შეეხებოდა პრეზიდენტისადმი მიმართულ ცილისწამებას, ამ ნორმაზ გადაინაცვლა 30-31-ე მუხლებში, რომელიც არეგულირებს საჯარო მოხელეთა წინააღმდეგ მიმართულ ცილისწამებას, და პასუხისმგებლობა მის ჩადენაზე უფრო გამკაცრდა.

პირის პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების გამოაშვარავება ან მისი გარეგნული გამოსახულების გამოყენება რეკლამის და ვაჭრობის მიზნით პირის თანხმობის გარეშე, არ არის დასაშვები, მაგრამ როდესაც ახალი ამბების საინფორმაციო პროგრამის გადაცემისას აუცილებელი ხდება ამა თუ იმ პირის პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების გამოაშვარავება ან მისი გარეგნული გამოსახულების გამოყენება, ამ დროს თანხმობის მიღების აუცილებლობა შესაძლებელია ცენზურის ან მასმედიის თავისუფლების წინასწარი შეზღუდვის მაგალითი აღმოჩნდეს (რაც მიუღებლად ითვლება დემოკრატიულ ქვეყნებში). ამიტომ ევროპულ ქვეყნებში (მათ შორის იტალიასა და საფრანგეთში) პერსაონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონების ნორმები ითვალისწინებენ გამონაკლისებს ასეთი მონაცემების შეგროვება/შენახვა/ გავრცელებაზე.

უცხოური და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი მეტყველებს იმაზე, რომ უურნალისტმა ნებისმიერ სიტუაციაში უნდა დაიცვას მედია ეთიკის სტანდარტი.

რეზიუმე

სტატია შედგენილია სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „მედიასამართლის“ ფარგლებში.

ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული კრიმინალური საკითხების გაშუქებისას გამოხატვის თავისუფლებასა და უდანაშაულეობის პრეზუმციას შორის ბალანსის დაცვაზე.

უცხოური და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია შესაბამისი დასკვნა, მირითადი ყურადღება გამახვილებულია ჟურნალისტების მიერ მედიაეთიკის სტანდარტების დაცვის საკითხებზე.

Resume

The article is drawn up within the framework of the scientific-research project "Media Law" of the Faculty of Law and International Relations.

The paper focuses on the protection of balance between freedom of expression and presumption of innocence while covering criminal issues. The relevant conclusion is made based on the comparative analysis of foreign and Georgian legislation, the main focus in on the protection of media ethic standards by journalists.

1. საერთაშორისო ტერორიზმი და ტერორისტული საფრთხეები

იოსებ გოგაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

თანამედროვე მსოფლიოში ტერორიზმის პრობლემა საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. დღეს-დღეისობით აღნიშნულ პრობლემას უდიდესი ყურადღება ეთმობა, რაც გამოწვეულია იმით, რომ თვითონ ტერორი, როგორც ბრძოლის ერთ-ერთი ხერხი, ფრთხოდ გამოყენებადი გახდა მთელ მსოფლიოში და უდიდეს მასშტაბებს აღწევს. ამ პროცესის ხელშემწყობი ფაქტორია გლობალიზაცია, თუმცა გლობალიზაცია არ არის აბსოლუტურად დადგებითი ან აბსოლიტურად უარყოფითი ფენომენი. ის უბრალოდ არსებობს პოლიტიკა აძლევს მას ფორმას, მაგრამ ის უძლეურია შეაჩეროს გლობალიზაცია ან უკან შეაბრუნოს პროცესი. მსოფლიო ჭიდოროდაა გადაჯაჭვული და მისი დაშოშმინება წარმოუდგენელია.¹ იგი ხელს უწყობს კრიმინალური აქტივობების ზრდას. „უმართავი სივრცეები“, რომლებიც ცივი ომის შემდეგ წარმოიშვა, ათვისებულ იქნა ტერორისტებისა და კრიმინალების მიერ, როგორც მათი თავშესაფარი. ტერორიზმის მიზეზი შეიძლება იყოს: ნეოკოლონიალიზმი, რასიზმი, სეპარატიზმი, რელიგიური ფანატიზმი, აგრესიის პოლიტიკა, პოლიტიკური რეჟიმის არადემოკრატიულობა, უსამართლობა, და ა.შ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი არ არის ახალი და უახლესი ისტორიის პირმშო.

ტერორიზმი გვევლინება, როგორც გლობალიზაციის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულია ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დიდი რაოდენობა, მათ შორის, რა თქმა უნდა, მოიაზრება საქართველო, რადგან მას თავისი წვლილი შეაქვს მსოფლიო თანამეგობრობის კრიზისის მართვის ოპერაციებში.²

გლობალიზაციის პროცესს დემოკრატიული ღირებულებების გავრცელებაც მოაქვს და ახალი საფრთხეების გავრცელების პერსპექტივაც, როგორიცაა ტერორიზმი, რეგიონალური კონფლიქტები, სხვადასხვა დანაშაულებრივი ორგანიზაციები, რომლებიც იყენებენ მასობრივი განადგურების იარაღს.³

საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხის გლობალურმა ხასიათმა დასახა მასთან ბრძოლისათვის ძალისხმევის საერთაშორისო მასშტაბით გაერთიანების ამოცანა. შეიძლება ითქვას, რომ მირითადში მსოფლიო თანამეგობრობამ მოახერხა შეექმნა ანტიტერორისტული კოალიცია გლობალური საფრთხის, საერთაშორისო ტერორიზმის მიუღებლობასა და მასთან ერთობლივი ბრძოლის იდეის გარშემო. თუმცა, შეინიშნება პროცესებიც, რომლებიც ასუსტებენ ამ ერთიანობას.⁴

- საქართველოსთვის ერთ-ერთ გამოწვევად კვლავ რჩება ტერორისტული ორგანიზაციების შესაძლო მხარდამჭერი უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან. ამ მხრივ მოწყვლად ფენას წარმოადგენენ არაბული და აფრიკული ქვეყნებიდან საქართველოში სასწავლებლად ჩამოსული პირები.მირითადად, აღნიშნულ პირებს საქართველოსა და ქართულ საზოგადოებასთან ისტორიული, რელიგიური და კულტურული კავშირები არა ქვთ, რაც ტერორისტულ ორგანიზაციებს ექსტრემისტულ საქმიანობაში მათ ჩართვას უადვილებს.
- ქვეყნას ტერორიზმის მხრივ მოწყვლადს ხდის ასევე უკანონომიგრაციისარხების არსებობა. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით უმეტესწილად საქმიანობენ საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა

¹ ჯენტლესონი ბ, ამერიკის საგარეო პოლიტიკა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ, 2015, 405

² გოგაშვილი ი., საქართველო საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში, სტატია, ჟურნალი „იურისტი“თბ., 2017წ, 43

³ გეგეჭვორი დ., ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის სტრატეგიის მირითადი ასპექტები, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტუალი“, თბ, 2014, #26, 76-77

⁴ „მინისტრის ხედვა 2015-2016“, <https://www.mod.gov.ge/c/news/minister%E2%80%99s-vision-2015-2016>

ოფიციალური სტატუსის მქონე უცხოელები, ძირითადად აზია-აფრიკისა და არაბულენოვანი ქვეყნების მოქალაქეები, რომელიც ცდილობენ ჩამოაყალიბონ უკანონო მიგრაციის არხები.

საერთაშორისო ტერორიზმის განხილვისას, განსაკუთრებით აღსანიშნავია - ისლამური ტერორიზმი, რომელიც გარდა კონკრეტული პოლიტიკური შედეგების მიღწევისა, მიზნად ისახავს ისლამური ცივილიზაცია აქციოს მსოფლიოში ყველაზე გავლენიან ძალად და წარმატებული მეტოქეობა გაუწიოს ანგლო-საქსონურ, კონტინენტურ-ევროპულ და სხვა ცივილიზაციებს.¹

მოსახლეობაში შიშის ზრდა ნებისმიერი ტერორისტული აქტის შედეგია, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის მიზანი. ტერორისტების საბოლოო განზრახვა ყოველთვის კონკრეტული პოლიტიკური, სოციალური ან სხვა შინაარსის შედეგების მიღწევაა. შესაბამისად, შიშის დათესვა არის მოკლევადიანი მიზანი, რომელიც სასურველი შედეგის მიღწევისთვის გამოიყენება.²

საერთაშორისო ტერორიზმი მთელი მსოფლიოს უსაფრთხოების თვალსაზრისით განსაკუთრებულ საშიმროებას წარმოადგენს. გამონაკლისი, რა თქმა უნდა, ვერც საქართველო იქნება. საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ერთი ქვეყნის ეროვნული თავდაცვისა და უშიშროების ფარგლებს გასცდა და გლობალურ საფრთხედ იქცა. ცხადია, მასთან ბრძოლის ტაქტიკაც უნდა დაიხვეწოს, მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც.³

მიუხედავად იმისა, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენამ პრაქტიკულად შეცვალა მსოფლიოს დამოკიდებულება ტერორიზმის მიმართ და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მეტად გააქტიურდა, საბოლოოდ მაიც ვერ მოხერხდა ტერორიზმის საფრთხის აღმოფხვრა. მსოფლიო საზოგადოება დღესაც დაუცველია ტერორისტული დაჯაფუფებების საქმიანობისგან. 2001 წლიდან მოყოლებული ისეთი ძლიერი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორებიცაა გაერო, ნატო და ევროკავშირი, ეძებენ გზებს თუ როგორ შეიძლება უფრო ეფექტურად დაიცვან თავი ტერორიზმის მოსალოდნელი საფრთხისგან.

საერთაშორისო და რეგიონალური თანამშრომლობის კუთხით, საქართველო აქტიურადაა ჩართული ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში საერთაშორისო, რეგიონულ და ორმხრივ დონეზე. საქართველო მჭიდროდ თანამშრომლობს ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციისთან (NATO), არის ევროპის საბჭოს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის და მისი შესწორებების ოქმის წევრი; შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის და გუამის (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა) დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის მონაწილე. 2016 წელს, საქართველო აგრეთვე მონაწილეობდა ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კონფერენციაში ბერლინში.⁴

სტრუქტურული მოწყობის მხრივ „ისლამური სახელმწიფოს“ მიმდევრები საქართველოში, ისევე, როგორც დანარჩენ მსოფლიოში, ჯამაათებში⁵ არიან გაერთიანებულები. აღნიშნული ჯამაათები საქართველოში ფუნქციონირებენ რეგიონების მიხედვით. კერძოდ, „ისლამური სახელმწიფოს“ მომხრე ჯამაათები არიან პანკისის ხეობაში, ქვემო ქართლსა და აჭარა-გურიაში. ყველა ჯამაათს თავისი მმართველი ანუ ემირი ჰყავს. ჯამაათებში ემირის არჩევა ხდება წევრების მიერ. როგორც წესი, მას ირჩევენ რელიგიური განათლების, ავტორიტეტის და ორგანიზატორული უნარ-ჩვევების მიხედვით. მის მოვალეობაში შედის ჯამაათის მართვა, მაგრამ გასამართლების და განაჩენის გამოტანის უფლება მას არ აქვს. აღნიშნულს ახორციელებს შარიათის სასამართლო. გაერთიანებას საკუთარი ფინანსები გააჩნია, რომელიც შემოწირულობებით „ბეითუმალით“ ივსება.

¹Hoffman B, Inside terrorism. Religion and Terrorism. Columbia University Press, New York, 2006, Page: 127

² Lesser I.O., Hoffmann B., Arquilla J., Ronfeldt D., Zenini M. Countering The New Terrorism. Washington D.C.: RAND., 1999,გვ. 12

³ ნ. ლომიძე, დისერტაცია, „გლობალური საფრთხეები და საქართველო“, თბ. 2011, გვ:145.

⁴ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში წამყვან უწყებად დასახელდა, სტატია, <https://ssg.gov.ge/news/267/US-Department-of-State-Names-State-Security-Service-of-Georgia-the-Lead-in-Countering-Terrorism>

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში 2012-2015 წლებში ტ/ო „ისლამური სახელმწიფოს“ მომხრე ჯამაათების საქმიანობაში კოორდინირებული მოქმედების ხარისხი მაღალი იყო. ჯამაათების ერთმანეთთან შეთანხმებულ ქმედებებს საქართველოში „ისლამური სახელმწიფოს“ წარმომადგენელი - აიუფ ბორჩაშვილი ხელმძღვანელობდა, რომელიც თავისი თანამდებობიდან გამომდინარე, დიდი აღბათობით, „ISIS“-ის ცენტრალური ხელისუფლების, უფრო კონკრეტულად კი „ISIS“-ის პანკისელი მაღალჩინოსნების (თარხან ბათირაშვილი და სხვა პანკისელი ემირები) მითითებების მიხედვით მოქმედებდა. თუმცა, ა.ბორჩაშვილის დაპატიმრების და ახლო აღმოსავლეთში „ისლამური სახელმწიფოს“ მარცხის შემდეგ იკვეთება, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებული ჯამაათები აღარ გამოირჩევიან ორგანიზებული და შეთანხმებული მოქმედებებით, არ არის გამოკვეთილი ლიდერი, რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყნის მასშტაბით ხსნებული ტერორისტული ორგანიზაციის მხარდამჭერთა მობილიზებას და საერთო გეგმების დასახვას. გარდა ამისა, სირთულეებია თვითონ ჯამაათებშიც. საყურადღებოა, რომ „ISIS“-ის ჯამაათის წევრები, წარსულისაგან განსხვავებით, უარს აღარ ამბობენ მეორე, ე.წ. „სალაფიტური ჯამაათის“ წევრებთან ერთობლივ ლოცვაზე, რაც ხეობაში ტ/ო „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციების შესუსტების კიდევ ერთ ნიშანს წარმოადგენს.

ტ/ო „ISIS“-ის იდეოლოგიურ კრიზისს თან ერთვის ფინანსური პრობლემებიც. მსოფლიო მასშტაბით აღნიშნულ კატეგორიას და მასთან კავშირში მყოფ პირებს შეზღუდული აქვთ ფინანსური ტრანზაქციების განხორციელების შესაძლებლობა, რისთვისაც სხვადასხვა მეთოდებსა და გზებს ეძებენ.

აღსანიშნავია დაფინანსების ერთ-ერთი აქტიური მეთოდი ე.წ. ჰავალასახით ფულადი გზავნილების/გადარიცხვების განხორციელება. განასხვავებენ ჰავალას მეთოდის 2 ფორმას - ე.წ. „თეთრი ჰავალა“ და „შავი ჰავალა“.

„თეთრი ჰავალა“ ხორციელდება სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ ბიზნესპარტნიორებს შორის, რომლებიც იმპორტ-ექსპორტის საფარით ახორციელებენ თანხის გადარიცხვას. კერძოდ, იმპორტიორი პირი ექსპორტიორს უხდის მიწოდებული საქონლის ღირებულებაზე მეტ თანხას (ან აწვდის უფრო მეტი ღირებულების პროდუქციას) და სწორედ აღნიშნული ნამატი წარმოადგენს „თეთრი ჰავალათი“ განაღდებულ თანხას.¹

„შავი ჰავალას“ შემთხვევაში შემდეგი სქემა მოქმედებს: თანხის მიღების მსურველი პირი უკავშირდება იმავე ქვეყანაში მყოფ ე.წ. „ჰავალდარს“ (პირი, რომელიც დაკავებულია ჰავალას მეთოდით ფულადი გზავნილების განხორციელებით) და აძლევს გარკვეული რაოდენობის თანხის შეკვეთას. „ჰავალდარი“ უკავშირდება თავის პარტნიორს თანხის გამომგზავნის ადგილსაყოფელ ქვეყანაში და ამ უკანასკნელისთვის გამომგზავნის მიერ საჭირო თანხის გადაცემის ან საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის შემდეგ „ჰავალადარი“ შეკვეთის მიმცემს გადასცემს მოთხოვნილ თანხას.

უნდა აღინიშნოს, რომ ჰავალას მეთოდის გამოყენებისას, განსაკუთრებით „თეთრი ჰავალას“ შემთხვევაში, გარკვეულწილად ფიქსირდებიან მასში მონაწილე პირები, ამდენად, ტერორისტული საქმიანობით დაკავებული პირებისთვის არც თუ ისე უსაფრთხო მეთოდს წარმოადგენს და მათი აღმოჩენის შესაძლებლობა მაინც არსებობს. აღნიშნული მეთოდი უფრო ჩრდილოვანი ეკონომიკური საქმიანობისა და არაკანონიერი გზებით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის ან საბანკო სისტემისთვის თავის არიდების მიზნით გამოიყენება. არსებული მონაცემებით, საქართველოში მოქმედი ტ/ო „ისლამური სახელმწიფოს“ ჯამაათების ჰავალას მეთოდით დაფინანსება ამ ეტაპზე პოპულარული არ არის და საგარაუდოდ, მისი მნიშვნელოვანი გაქტიურებაც არ არის მოსალოდნელი, რადგან საერთაშორისო არენაზე გამოჩენდა ფინანსების არალეგალური მომრაობის უფრო უსაფრთხო გზა - კრიპტოვალუტა.

საყურადღებოა, რომ ბოლო პერიოდში ტერორისტები, თავისი საქმიანობის დასაფინანსებლად მეტ ყურადღებას უთმობენ კრიპტოვალუტას და ფინანსური მპერაციების განსახორციელებლად მის

¹ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში წამყვან უწყებად დასახელდა, სტატია, <https://ssg.gov.ge/news/267/US-Department-of-State-Names-State-Security-Service-of-Georgia-the-Lead-in-Countering-Terrorism>

გამოყენებას, რადგან ამ შემთხვევაში მონაწილე პირები გაცილებით ღრმად არიან დაშიფრულები და მათი აღმოჩენა სერიოზულ სირთულეს წარმოადგენს.

- მიუხედავად ზემოხსენებული პროცესებისა, მსოფლიოში არსებული „ISIS“-ის მხარდამჭერი ჯამაათები დღემდე აგრძელებენ ფუნქციონირებას და ცდილობენ შეინარჩუნონ გავლენა. განსაკუთრებით ის პირები, რომლებსაც კავშირი აქვთ სირიაში მყოფ მებრძოლებთან და მზად არიან იმოქმედონ მათგან მიღებული დავალებების შესაბამისად. საქართველოში

• საქართველოში ამ კატეგორიის პირების კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის გამოვლენა-აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი ღონისძიებები, მათ შორის სისხლის სამართლის კოდექსის ტერორიზმის თავით (თავი XXXVIII) გათვალისწინებული დანაშაულის ფაქტებზე. ამ მუხლებით პასუხისგებაში არის მიცემული არაერთი საქართველოს მოქალაქე (აიუფ ბორჩაშვილი და მისი თანამზრაველები - 2015 წელს გასამართლდნენ. 2018 წელს პასუხისგებაში იქნენ მიცემული ახმედ ჩატავთან კავშირში ბრალდებული პირები)

• უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთ საფრთხედ კვლავ რჩება ე.წ. სალაფიტური ჯამაათი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე მათი მხრიდან ექსტრემისტული განწყობები და ქმედებები არ ფიქსირდება. კერძოდ, არ არის გამორიცხული, რომ მომავალში მათი გავლენები და ფინანსური შესაძლებლობები სხვადასხვა რადიკალურ-ექსტრემისტული ჯგუფების დასახმარებლად იქნას გამოყენებული, რადგან იდეოლოგიური თანხვედრა სახეზეა. ამ ჯამაათთან დაკავშირებით საყურადღებოა მათი ფართო კავშირები და საკმაოდ ინტენსიური კომუნიკაცია სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან. აღსანიშნავია, რომ ხსენებული ჯამაათის წევრები მიზანმიმართულად აწვდიან მათ მცდარ ინფორმაციას ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციასთან დაკავშირებით. როგორც განვითარებული მოვლენებიდან იკვეთება, მათ მიზანს წარმოადგენს გაუადვილდეს ვაჰაბიტური ჯამაათის წევრებს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ლტოლვილის სტატუსის მიღება, რის შემდეგაც ისინი ევროპიდან აგრძელებენ ვაჰაბიზმის ხელშესაწყობად ფულადი სახსრების გამოგზავნას.¹

• საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ მაღალიატ/ო „ISIS“-ის და სხვა ტერორისტული დაჯგუფებების ინტერესი სატრანზიტო გადაადგილებებისთვის საქართველოს ტერიტორიის გამოყენების მიმართ. ამდენად, საერთაშორისო კლასიფიკაციით ტერორიზმის მხრივ უსაფრთხო სახელმწიფოების ჩამონათვალში საქართველოს ყოფნის მიუხედავად, დღის წესრიგში რჩება ქვეყანაში ტერორიზმთან კავშირში მყოფი პირების კონცენტრაციის და ტერორისტული ქმედებების განხორციელების საფრთხე.

დღეისათვის მსოფლიოსთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტერორისტულიგამოწვევა ტ/ო „ისლამური სახელმწიფო“ („ISIS“). უკანასკნელი წლების განმავლობაში ნათელი გახდა, რომ აღნიშნული დაჯგუფება სრულიად ახალი ტიპის საფრთხეს წარმოადგენდა. ტ/ო „ისლამურმა სახელმწიფომ“ მოახერხა სირიასა და ერაყში დიდი ტერიტორიის დაპყრობა და მასზე კონტროლის დამყარება. 2015 წლის მონაცემებით, „ისლამური სახელმწიფო“ მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ტერორისტული ორგანიზაცია იყო და შემოსავლის გენერირების ისეთ გზებს იყენებდა, როგორიცაა დაპყრობილი ტერიტორიებიდან შავ ბაზარზენავთობით და კულტურული მემკვიდრეობის არტეფაქტებით ვაჭრობა, ასევე მოსახლეობაზე დაკისრებული გადასახადები და ადამიანების გატაცების შედეგად მიღებული გამოსასყიდი. ტ/ო „ისლამურმა სახელმწიფომ“, თავისი პროპაგანდის დახმარებით, მოახერხა უპრეცედენტო რაოდენობის მხარდამჭერების მოზიდვა, როგორც კონფლიქტის რეგიონში, ისე მის ფარგლებს გარეთ. შედეგად, მის რიგებში აღმოჩნდა ჯერ არნახული რაოდენობის უცხოელი ტერორისტი მებრძოლი. აქვე აქტუალობას არ კარგავდა ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა „თალიბანი“ და „ალ-ქაიდა“. აღნიშნული ორგანიზაციები და მათი ქსელები ინარჩუნებენ მტკიცე პოზიციებს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში.

¹ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში წამყვან უწყებად დასახელდა, სტატია, <https://ssg.gov.ge/news/267/US-Department-of-State-Names-State-Security-Service-of-Georgia-the-Lead-in-Countering-Terrorism>

- 2018 წელს, ახლო აღმოსავლეთში საერთაშორისო კოალიციური ძალების მიერ ტ/ო „ისლამური სახელმწიფოს“ საბრძოლო დაჯუფებების ფაქტიური განადგურებით, „ისლამურმა სახელმწიფომ“, როგორც ტერიოტორიულ-პოლიტიკურმა წარმონაქმნმა, არსებობა შეწყვიტა (ტ/ო „ისლამური სახელმწიფოს“ – „ISIS“-ის ლიდერმა აღ-ბაღდადმა, „ისლამური სახელმწიფოს“, როგორც შარიათის სამართალზე დაფუძნებული ახალი ქვეყნის – სახალიფოს დაარსების შესახებ 2014 წელს, ქ.რაქაში გამოაცხადა). მიუხედავად ამისა, არსებობას აგრძელებს თვითონ „ისლამური სახელმწიფოს“ იდეოლოგია და მას მსოფლიოს მასშტაბით დღემდე ჰყავს ანგარიშგასაწევი რაოდენობის მიმდევრები, რომლებიც აგრესიულობით და რადიკალიზმით გამოირჩევიან. მოცემული ეტაპისთვის „ისლამური სახელმწიფოსთვის“ პრიორიტეტული გახდა არა ახლო აღმოსავლეთში მებრძოლების კონცენტრაცია, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით მათი გაშლა და სხვადასხვა ქვეყნებში მცირე ჯგუფებად თავმოყრა. ამჟამად ტერორისტული ორგანიზაციის ლიდერები, წარსულისაგან განსხვავებით, მომხრეებს მოუწოდებენ, რომ ტერორისტული თავდასხმები ადგილსამყოფელქვეყნებში განახორციელონ. გამოჩნდა ე.წ. მარტოხელა მგლების ფენომენიც. ბოლო პერიოდში ორგანიზაციამ ფაქტიურად ბოლო პოზიციები დათმო სირიასა და ერაყში.
- უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო მასშტაბით „ISIS“-ის მარცხმა და ფინანსურად მისმა ფაქტიურმა გაბანკროტებამ გავლენა იქონია საქართველოზეც. კერძოდ, საგრძნობლად შესუსტდნენ მისი მხარდამჭერი დაჯუფებები ე.წ. ჯამაათები, რაც გამოიხატება როგორც მათ რაოდენობრივ კლებაში, ისე განხორციელებული აქტივობების შემცირებაში. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს მასშტაბით მცხოვრები „ISIS“-ის მომხრეები, სხვადასხვა მეთოდებით კვლავ აგრძელებენ ტერორისტული ორგანიზაციისთვის ახალი წევრების რეკრუტირებისპროცესს, რასაც იდეოლოგიური ზემოქმედების საშუალებით აღწევენ. ტერორისტული ქსელის გაფართოებისთვის პირთა გადაბირების მიზნით, ტერორისტული ორგანიზაციების ემისრები აქტიურად იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, განსაკუთრებით სოციალურ ქსელებს.
- ქვეყნისთვის კიდევ ერთ გამოწვევას წარმოადგენს სხვადასხვასახის ფულადი ტრანზაქციების განხორციელების შესაძლებლობა, რაც ტერორისტული ორგანიზაციების მიერ სხვადასხვა ქმედებების, მათ შორის ფულადი სახსრების უკონტროლო ბრუნვისა და სხვადასხვა დანაშაულებრივი შესაძლო აქტივობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურულ საფუძველს ქმნის. ამ კუთხით საყურადღებოა თანხების მოძრაობა ჰავალას მეთოდით, რაც მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია და აღნიშნული ტრანზაქციები, რომელიც შესაძლოა ტერორიზმის დაფიანასების მიზნით იქნეს გამოყენებული, მნელად გამოვლენადი პროცესია.
- აღსანიშნავია, რომ საქართველო, კონტრტერორისტული მიმართულებით აქტიურად და კოორდინირებული თანამშრომლობს საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლებთან.
- უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წელს, საერთაშორისო ორგანიზაციების და ცალკეული სახელმწიფოების მიერ ჩატარებული კვლევებით და შეფასებებით, საქართველომ უსაფრთხო ქვეყნების ჩამონათვალში პოზიციები გაიმუჯობესა. საქართველოში უსაფრთხოების დონე და კონტრტერორისტული მუშაობა დადებითად არის ასახული გაერო-ს, ევროკავშირისა და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტების ყოველწლიურ ანგარიშებში.

როგორც აღვნიშნეთ, ტერორიზმი გადის რა კონკრეტულად აღებული ქვეყნების ფარგლებს გარეთ, იღებს საერთაშორისო ხასიათს და საფრთხეს უქმნის საერთაშორისო თანამეგობრობას; გაეროს 2001 წლის 1373 რეზოლუციის თანახმად, „საერთაშორისო ტერორიზმი, რომელსაც მოყვება უდანაშაულო ადამიანების მასობრივი განადგურება და უმძიმესი მატერიალური ზარალი მატერიალური ზარალი, დღეს განიხილება ისეთ ქმედებად, რომელიც ხელყოფს საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას“¹. იგი წარმოადგენს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს. საერთაშორისო საზოგადოებამ დღემდე ვერ შეიმუშავა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი კონცეფცია. ყველა ქვეყანა ცდილობს თავისებურად ახსნას და ეროვნულ კანონმდებლობაში თავისებური განსაზღვრება მისცეს, ან

¹ გაეროს უშიშროების საბჭო, (2001 წელი). რეზოლუცია #1373, პრეამბულა.

ჩამოთვალის ის ძირითადი ნიშნები, რომელიც ტერორიზმს ახასიათებს. სპეციალისტები, რომლებიც აანალიზებენ სხვადასხვა ტერორისტული ორგანიზაციებისა და ჯგუფების საქმიანობას „ექსპერტთა აზრით“, ასეთი ტიპის გაერთიანებების რიცხვი მსოფლიოში 500-ს აღწევს“. გამოყოფენ მათი მხრიდან პიროვნებისა და საზოგადოებაზე ძალადობის რამდენიმე სახეობას, ფიზიკურს, ქონებრივს და მორალურ ფსიქოლოგიურს. ტერორისტების მხრიდან, ფიზიკური ძალადობის მიზანს წარმოადგენს კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საქმიანობიდან ჩამოცილება, მათი განეიტრალების (მათ შორის ლიკვიდაციის) გზით პოლიტიკის კურსის შეცვლა. ფიზიკური ძალადობის მეთოდი შეიძლება გამოიხატებოდეს არა მარტო სიცოცხლის ხელყოფით, არამედ ჯანმრთელობის ისეთი სერიოზული დაზიანებით ან თავისუფლების იმ დონემდე შეზღუდვით, როდესაც დაზარალებულს პრაქტიკულად აღარ შეუძლია იმ საქმიანობის შესრულება, რომელსაც მანამდე ასრულებდა.¹

ტერორიზმისგან თავდაცვის ძლიერი მექანიზმის შესაქმნელად და ასამოქმედებლად აუცილებელია ყველა სახელმწიფოს და საერთაშორისო ორგანიზაციების საერთო, უნივერსალური თანამშრომლობა საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში, რათა ტერორიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის მყისიერი გაცვლის მექანიზმების შექმნით და საერთო კოორდინირებული მუშაობით მოხდეს ტერორიზმის პრევენცია.

რეზიუმე

ნაშრომში გაანალიზებულია ტერორიზმი, როგორც გლობალური გამოწვევა, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიან საერთაშორისო უსაფრთხოებას. ავტორი განიხილავს, რომ ტერორიზმი გლობალური პრობლემაა, რომელიც საფრთხის ქვეშ აყენებს მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას. მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, ტერორიზმისგან თავდაცვის ძლიერი მექანიზმი არ არსებობს. ამისათვის აუცილებელია ყველა სახელმწიფოს და საერთაშორისო ორგანიზაციების საერთო, უნივერსალური თანამშრომლობა საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში, რათა საერთო ქსელური კავშირებით მოხდეს ტერორიზმის პრევენცია.

Resume

The paper analyzes terrorism as a global challenge, which represents a serious threat to international security. The author considers that terrorism is a global problem threatening to maintain peace and security in the world.

Despite the taken measures , there is no strong mechanism for defense against terrorism. In order to prevent terrorism from common network connections, we need common and universal cooperation of both all states and international organizations.

¹ გაბისონია ი., ტერორიზმის საერთაშორისო ხასიათი და მასშტაბები, იურისტი #5, თბ, 2018.

1. Анализ современных тенденций в определении компенсации морального вреда

Екатерина Нинуа

Ассистент-профессор

Каролина Осипова

Магистр

Одним из важнейших факторов становления и развития демократического правового государства в Грузии является нормативное закрепление высокого уровня защищенности прав и свобод человека и гражданина, создание эффективной системы наиболее справедливого и реального восстановления нарушенного права, а также возмещения вреда, причиненного неправомерными действиями. В качестве одного из видов вреда, который может быть причинен личности, в законодательстве выделяется моральный вред, при этом предусмотрена и возможность его компенсации.

Институт морального вреда достаточно эффективно действует в странах Европы, в США, а также в контролльном органе Совета Европы – Европейском Суде по правам человека. Возникает логичный вопрос: как дело обстоит в Грузии? Работает ли институт возмещения морального вреда? Выполняет ли он свои функции и задачи?

Проблема гражданско-правовой защиты и ответственности вообще, а так-же защиты и ответственности при причинении вреда нематериальным благам или неимущественным правам, в частности, имеют практическое значение, поскольку повседневно затрагивают интересы большого круга участников гражданского оборота.

Вряд ли найдется человек, способный заявить, что он никогда не испытывал страданий. К сожалению, устройство нашей жизни далеко от совершенства и поводы для переживаний и страданий не заставляют себя долго ждать. Незаконное увольнение работника, осмелившегося не согласиться с начальством по какому-либо вопросу, сгоревшая из-за неисправности недавно приобретенного телевизора квартира, инвалидность, наступившая в результате неудачно проведенной операции - эти и многие другие нарушения нематериальных и неимущественных благ человека могут коснуться каждого из нас и причинить определенный вред.

Возникает масса вопросов: допустим ли переход требований о компенсации морального вреда к третьим лицам и зачет такого требования? Возможны ли права третьих лиц на компенсацию морального вреда, причиненного смертью потерпевшего? Одним из спорных моментов, постоянно возникающих в судебной практике, является определение размера компенсации морального вреда. Возникает логичный вопрос: как компенсировать моральный вред богатому и бедному? Более того, зачастую на практике происходит отождествление имущественного и морального вреда. Суды в ряде случаев решают вопрос о возможности компенсации морального вреда, применяя нормы о возмещении вреда имущественного.¹

Прежде чем приступить к рассмотрению основных вопросов связанных с компенсацией морального вреда, необходимо определить, что обозначает словосочетание «моральный вред» в юридическом и в общечеловеческом смысле. Это необходимо знать, чтобы правильно разграничить моральный вред и другие виды вреда. Такие, например, как имущественный (порча личного имущества) или органический вред (физический вред) (хотя стоит заметить, что физический вред по своей сути составляет совокупность имущественного и морального вреда и должен быть рассмотрен именно в таком аспекте).

¹ Кетеван Мезвишвили Компенсация морального вреда в соответствии с законодательством Грузии и судебной практикой, Тбилиси 2015

В современной интерпретации под вредом понимаются неблагоприятные изменения в охраняемом законом благе, которое может быть как имущественным, так и неимущественным. Открытый перечень охраняемых законом неимущественных благ приведен в Конституции Грузии и ГК Грузии: жизнь, здоровье, честь, достоинство личности, свобода, личная неприкосновенность, неприкосновенность частной жизни, деловая репутация, личная и семейная тайна, право свободного передвижения, выбора места пребывания и проживания, право на имя, право авторства, иные личные неимущественные права и другие нематериальные блага, принадлежащие гражданину от рождения или в силу закона, неотчуждаемые и непередаваемые иным способом. Этот перечень в дальнейшем может быть пополнен иными неимущественными правами и нематериальными благами. Данный перечень, как поясняет Конституция Грузии, не должен толковаться как отрицание или умаление других общепризнанных прав и свобод личности. Например, право на честь и достоинство не должно считаться более важным, чем право на доброе имя.

В соответствии с ГК Грузии неимущественные права и нематериальные блага защищаются в предусмотренных ГК Грузии и другими законами случаях и порядке, а также в тех случаях и в тех пределах, в каких использование способов защиты гражданских прав вытекает из существа нарушенного нематериального блага и характера последствий этого нарушения.

Существует два понятия, родственных по значению, - мораль и нравственность. Так, Гегель мораль связывал со сферой должного, идеального, а нравственность – со сферой сущего, действительного.

Мораль есть совокупность ценностей добра и зла, а также соответствующих им форм сознания, отношений, действий. Природными началами морали представляют врожденные нравственные чувства и, прежде всего, чувства совести, сострадания, любви, долга, благоговения. Одной из функций морали считается оценочная функция. Мораль не только регулирует поведение человека, но одновременно и оценивает поступки людей, цели их деятельности с точки зрения добра и зла. Нравственной оценке подлежат не только действия человека, но и вся действительность, как социальная, так и природная. Нравственная оценка, в свою очередь, является для субъекта требованием к определенному поступку, а именно нравственным долгом к совершению добра в отношении того или иного объекта.¹

Морали свойственна постоянная тенденция к изменчивости в зависимости от общественно-политического, экономического и правового устройства общества, культурного уровня общества в целом, его социальных групп и отдельных индивидов. Можно говорить о морали общества и морали его части (его группы). Каждый отдельный человек не обладает своей моралью: говоря о конкретном человеке, можно иметь в виду лишь его нравственное сознание. Мораль же представляет собой высший уровень нравственного сознания.²

В римском праве, где имелся прообраз современного института компенсации морального вреда, позволяющий возмещать выраженные вовне действия одного лица в отношении другого, нарушившие его достоинство или телесную неприкосновенность, компенсация морального вреда называлась «*injuria*», что буквально означает: «не по праву», «неправомерно».

Наиболее развита теория и практика применения института морального вреда в государствах с англосаксонской (precedentной) системой права, которая применяется в Великобритании, США и ряде стран, на которые оказали сильное влияние (в виду колониального присутствия или исторического происхождения) названные государства.

В английском, американском и французском праве отсутствует существенная разница между имущественным и неимущественным вредом в части оснований и порядка возмещения. В общем праве

¹ Кирсанов П.В. Компенсация морального вреда: многоаспектность проблемы [Текст] // Юрист. – 2003. – № 9

² Постановление Европейского Суда по правам человека от 21 июля 2005 г. Дело «Гринберг (Grinberg) против Российской Федерации» (жалоба №23472/03) (Первая секция)

существует институт деликтов «privacy», создатели которого видели его функцию в защите неприкосновенности личности и всего того, что помогает человеку сохранить себе как личность (например, нарушение уединения или права на одиночество и т.п.). А французский Гражданский кодекс, определяя убытки, говорит о возмещении ущерба или потере вообще, не ограничиваясь только денежным ущербом, что включает в себя возможность компенсации нематериального вреда¹.

Анализ действующего зарубежного законодательства показывает, что в нормативно-правовых системах большинства развитых стран отсутствует термин «моральный вред», хотя присутствуют сходные по содержанию и более разработанные, нежели в Грузии, институты.

Наряду с нормативными правовыми актами Грузии, положения возмещения вреда, причиненного жизни и здоровью граждан, урегулированы и международными соглашениями, ратифицированными Грузией, в частности, Конвенцией по защите прав человека и основных свобод, Всеобщей декларацией прав человека, Международным пактом о гражданских и политических правах и др.

Как известно, отношения по возмещению вреда, причиненного жизни и здоровью граждан, носят комплексный характер, т.е. регулируются различными отраслями грузинского права.

Если исходить из признаков морального вреда (статья 413 ГК Грузии), то получается, что под таким вредом должен пониматься вред, наносимый системе самооценок человека, что, в свою очередь, приведет к расширению сферы применения данного понятия.

Итак, моральный вред определяется как нравственные или физические страдания, причиненные действиями (бездействием), посягающими на принадлежащие гражданину от рождения или в силу закона нематериальные блага (жизнь, здоровье, достоинство личности, деловая репутация, неприкосновенность частной жизни, личная и семейная тайна и т.п.), или нарушающими его личные неимущественные права (право на пользование своим именем, право авторства и другие неимущественные права в соответствии с законами об охране прав на результаты интеллектуальной деятельности) либо нарушающими имущественные права гражданина.²

Следует отметить, что законодательство зарубежных стран предусматривает иное, более емкое понятие, нежели "компенсация морального вреда". Так, например, в Германии используются термины "компенсация за страдания", "вред чувствам". В США и Англии используется термин "психологический вред".

Сложнее обстоит дело со вторым признаком морального вреда - физическими страданиями. Полагаем, что определение морального вреда через физические, нравственные страдания или их совокупность, которое употребляет законодатель, правильно и логично, поскольку любые страдания - это чувства, которые может испытывать человек при причинении ему любого вреда. Физические страдания - это чувства, ассоциирующиеся с физической болью и, как правило, возникающие при причинении вреда здоровью. Однако следует отметить, что понятие "физические страдания" не совпадает по своему содержанию с понятиями "физический вред" и "вред, причиненный здоровью". Физические страдания - один из признаков морального вреда в том его виде, как он определен законодательством (ГК Грузии ст 413), в то время как физический вред - это любые негативные изменения в организме человека, препятствующие его благополучному биологическому функционированию.

Поскольку мораль и нравственность - понятия, равные по своему значению, правильно было бы говорить только о наличии нравственных страданий. Но чувства, которые испытывает человек при причинении ему вреда, - это сфера исследования психологов, биологов и других специалистов. Задача юристов - признавать

¹ Кассационный суд Грузии Определение дела (სუსგ, N-სს-14-466-05)

² Михаил Бичиа Возмещение нематериального ущерба за нарушения личных прав в соответствии с европейским стандартом, Тбилиси 2017

нарушение конкретного права либо блага, принадлежащего субъекту права, путем закрепления их в нормах права.

Конечно же, степень вреда, причиненного здоровью человека, будет зависеть от самого человека, его психических, физических, эмоциональных ощущений, его характера, условий воспитания, жизненного опыта и многих других факторов, которые должны учитываться при проведении такой экспертизы.

С точки зрения гражданского права сам человек не может относиться к имуществу, ибо он является бесценным, следовательно, и причинение вреда здоровью (физический вред) нельзя отнести ни к имущественному вреду, хотя он и влечет отрицательные имущественные последствия, ни к вреду сугубо моральному. Поэтому полагаем, что здесь можно говорить о таком виде вреда, как неимущественный, а именно о личном неимущественном вреде.

Здоровье является нематериальным благом, имеющим свою специфику по сравнению с другими благами неимущественного характера. Очевидно, что при причинении вреда этим благам человек помимо физических страданий испытывает нравственные переживания. Законодатель, зная это, включил в определение морального вреда термин "физическими страдания".

Физические страдания, помимо всего прочего, связаны с вредом имущественным, так как в результате причинения человеку физических страданий требуются дополнительные материальные затраты на восстановление здоровья, лечение потерпевшего. Именно поэтому можно говорить о том, что вред неимущественный в случае повреждения здоровья человека имеет такую разновидность, как личный неимущественный вред, связанный с имущественным.

Статья 413 Гражданского кодекса устанавливает возможность возмещения нематериального (морального) ущерба в грузинском законодательстве. Согласно статье 413, моральный ущерб подлежит компенсации, хотя законодатель указывает, что моральный ущерб может быть уплачен только в том случае, если закон прямо ссылается на него. Можно сказать, что в Гражданском кодексе не содержится определения нематериального (морального) ущерба. Этот вопрос должен решаться доктриной и судебной практикой.

Для того, чтобы фактически определить нормативную сферу нематериального ущерба, который установлен в статье 413, необходимо рассмотрение существующей практики. Кассационная палата обращает внимание на то, что положения пункта 1 статьи 413 Гражданского кодекса императивны, утверждая, что денежная компенсация может потребоваться только по закону в некоторых случаях, где это разумно и справедливо.

რეზოუმე

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, პატივი და ღირსება, ხელშეუხებლობა და უსაფრთხოება საქართველოში აღიარებულია უმაღლეს სოციალურ ღირებულებად, თუმცა უფლებებისა და თვისუფლებების პრიორიტეტების აღიარება ჯერ კიდევ არ მიუთითებს მათი რეალიზების რეალობაზე. ნორმები, რომლებიც არ ეცნობია მსგავს ურთიერთობებს და სასამართლო პრაქტიკის შეუსაბამობა წარმოქმნიან პრობლემებს მოქმედ სამოქალაქო კანონმდებლობაში მორალური ზოანის ცნების განსაზღვრისა და მისი ანაზღაურების მექანიზმების სრულყოფაში.

RESUME

The person, his rights and freedoms, honor and dignity, inviolability and security are recognized in Georgia as the highest social value, but recognition of the priority of rights and freedoms does not yet indicate the reality of their realization. The purpose of the state is not to declare them, but to create an appropriate legal mechanism for implementation. The novelty of the rules that regulate similar relations and the contradictory nature of judicial practice cause gaps in the current civil legislation and shortcomings in the practice of applying such a legal institution with respect to the criteria for determining moral harm and the imperfection of compensation mechanisms.

1. ცილისწამების სამართლებრივი რეგულირება ქართული და უცხოური კანონმდებლობის მიხედვით

ნანა ლომაია
დოქტორანტი

ცილისწამება – არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადებააო ამბობს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონი, მაგრამ ურნალისტები ამ მოთხოვნის იგნორირებით წერენ სტატიას, აკეთებენ რეპორტაჟს, სადაც საკუთარ პოზიციას აფიქსირებენ, ეს ზოგს მოსწონს, ზოგს - არა, ზოგი ირონიით პასუხობს, ზოგი ყურადღებასაც არ აქცევს... თუმცა, არსებობს განსხვავებული აზრიც, კერძოდ, იურისტთა ერთი ჯგუფის მიერ მომზადებულია საკანონმდებლო წინადადება, რომელიც გულისხმობს, რომ თუკი ვინმე ჩათვლის, რომ მას რაღაც მოტივით შეურაცხყოფა მიაყენეს, ამ ფაქტს სისხლის სამართლის დანაშაულის კვალიფიკაცია მიეცეს და დანაშაულის და მტკიცების შემთხვევაში სასჯელის ზომად განისაზღვროს თავისუფლების აღკვეთა. აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც პარლამენტს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მოთხოვნით მიმართავენ. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მექვეს თავი ეხება - ცილისწამებას და მე-13, მე -14, მე-15, მე- 16 მუხლებით განსაზღვრულია შესაბამისი რეგულაციები.¹

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან 2004 წლის 24 ივნისსამოიდესმუხლი, რომელიც ცხებოდაცილისწამებას დანაშაულის დაბრალებით. ბუნებრივია, თუკი ადამიანი თვლის, რომ ის სხვა პირის ქცევითან გამოხატვით შეურაცხყოფილია, სრული უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს და მოითხოვოს საკუთარი შელახული პატივის, ღირსებისა თუ რეპუტაციის სასამართლო წესით აღდგენა. თუ კი თვლის, რომ განზრააცილისწამებით შეელახა ღირსება და პატივი აუცილებლად უნდა მიმართოს სასამართლოს, მაგრამ საუბარი იმაზე, რომ სახელმწიფომ გადაწყვიტოს და დაადგინოს, აქვს თუ არა ადგილი ცილისწამებას, ესარ არისგამართლებული.

უცხო ქვეყნების გამოცდილებას თუ დავეყრდნობით მედიასაშუალებებითა თუ სხვა სახით წარმოებული ცილისწამება, სისხლის სამართლის დანაშაულია და ისჯება თავისუფლების აღკვეთით(ავსტრიის, გერმანიის, ესპანეთის, იტალიის, ლატვიის, ლიეტუას, მალტის, პოლონეთის, პორტუგალიის, საბერძნეთის, სლოვაკეთის, სამეფოებში), ზოგიერთ ქვეყანაში ის სისხლის სამართლის დანაშაულია, მაგრამ არ ისჯება თავისუფლების აღკვეთით (ბულგარეთის, საფრანგეთის, სერბეთისა და ხორვატიის რესპუბლიკებში).

გაერთიანებულ სამეფოში,² ესტონეთის³, რუმინეთის⁴ რესპუბლიკებსა და ირლანდიაში⁵, მაკედონიაში⁵ და მონტენეგროში ცილისწამება სისხლის სამართლის დანაშაულად არ ითვლება ცილისწამების საქმის სასამართლო განხილვისას მტკიცების ტვირთი შეიძლება დაეკისროს მოპასუხეს, მოსარჩელეს ან პროკურორს. იმ შემთხვევაში, როცა მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს ან პროკურორს, თავდაპირველად აუცილებელია, მოსარჩელემ ან ბრალმდებელმა დაასაბუთოს, რომ ცილისმწამებელმა ზიანი მიაყენა მოსარჩელის რეპუტაციას, შემდეგ კი მტკიცების ტვირთი გადადის მოპასუხეზე, რომელმაც უნდა დაამტკიცოს, რომ ინფორმაცია არის არა ცილისწამება, არამედ სიმართლე ანდა რომ მოქმედებდა პატიოსანი განზრახვით საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით. დაცვის ამ ინსტრუმენტების -

¹ საქართველოს კანონის- „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ 24.07.2004

² ავსტრიის რესპუბლიკა Code of Ethics for the Austrian Press

http://ethicnet.uta.fi/austria/code_of_ethics_for_the_austrian_press

³ ბულგარეთის რესპუბლიკა Ethical Code of the Bulgarian Media

http://ethicnet.uta.fi/bulgaria/ethical_code_of_the_bulgarian_media

⁴ ირლანდიის რესპუბლიკა Code of Practice for Newspapers and Periodicals

http://ethicnet.uta.fi/ireland/code_of_practice_for_newspapers_and_periodicals

⁵ მაკედონია Principles of Conduct http://ethicnet.uta.fi/macedonia/principles_of_conduct

დაასაბუთოს სიმართლე და პატიოსანი განზრახვა - გამოყენების უფლება დაშვებული არ არის, როცა საქმე ეხება პირად ან ოჯახურ ცხოვრებას. ზოგ ქვეყანაში იმ შემთხვევაშიც კი, როცა მოპასუხე წარმატებით გამოიყენებს დაცვის ინსტრუმენტებს - ანუ დაასაბუთებს, რომ მისი ინფორმაცია შეესაბამებოდა სიმართლეს, თავად კი მოქმედებდა პატიოსანი განზრახვით და საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად - მას შეიძლება დაკისროს პასუხისმგებლობა შეურაცხყოფისათვის ინფორმაციის გავრცელების მანერის გამო.

ქვემოთ მოყვანილია რეგულაციები პოლონეთის, საფრანგეთის, ლატვიის, ესპანეთის რესპუბლიკებისა და დანიის სამეფოს კანონმდებლობიდან, ასევე მოცემულია ინფორმაცია ზოგიერთი რეზონანსული სასამართლო დავის შესახებ და ცილისწამების, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები.

პოლონეთის რესპუბლიკის¹ სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ცილისწამება არ მიიჩნევა დანაშაულად, თუ ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს, მაგრამ ეს არ შეეხება საჯაროდ გაკეთებულ განცხადებას. საჯაროდ გაკეთებული განცხადების შემთხვევაში სიმართლის გარდა განსასჯელმა უნდა დაამტკიცოს, რომ მოქმედებდა საზოგადოების ინტერესიდან გამომდინარე. თუ განცხადება ეხება პირად ან ოჯახურ ცხოვრებას, განსასჯელს მისი მართებულობის მტკიცების უფლება ეძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მოახდენს სხვა პირის სიცოცხლისათვის შექმნილი საფრთხის ან არასრულწლოვანის დემორალიზების პრევენციას. კერძოდ, ცილისწამება, ანუ სხვა პირის, პირთა ჯგუფის, ინსტიტუტის ან ორგანიზაციისთვის ისეთი ქცევის ან თვისებების დაბრალება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მათი დისკრედიტირება საზოგადოების თვალში ან მოცემული პოზიციის, პროფესიის ან საქმიანობისათვის აუცილებელი ნდობის დაკარგვა, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით. იგივე დანაშაული, ჩადენილი მასმედიის საშუალებით, ისჯება ჯარიმით, თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღვეთით 1 წლამდე ვადით. მოსამართლეს უფლება აქვს მსჯავრდებულს დააკისროს დამატებით თანხის გადახდა დაზარალებული პირის ან პოლონეთის წითელი ჯვრის სასარგებლოდ, ან სხვა სოციალური მიზნით დაზარალებულის სურვილის შესაბამისად. ცილისწამების სისხლის სამართლებრივი დევნა ხორციელდება კერძო ბრალდების საფუძველზე. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედება არ მიიჩნევა დანაშაულად, თუ არ განხორციელებულა საჯაროდ და შეესაბამება სიმართლეს. პირი, რომელიც ავრცელებს ან აქვეყნებს მართებულ განცხადებას საზოგადოების ინტერესის დაცვის მიზნით, არ მიიჩნევა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენაში. თუ განცხადება ეხება პირად ან ოჯახურ ცხოვრებას, მისი მართებულობის მტკიცება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ამან შეიძლება მოახდინოს სხვა პირის სიცოცხლისათვის შექმნილი საფრთხის ან არასრულწლოვანის დემორალიზების პრევენცია² თუმცა, მას შემდეგ, რაც დამტკიცდება, რომ განცხადება არ იყო ცილისწამება, შეესაბამებოდა სიმართლეს და გამომდინარეობდა საზოგადოებრივი ინტერესებიდან, დასაშვებია, რომ დანაშაულს მიეცეს შეურაცხყოფის კვალიფიკაცია გავრცელებისა და გამოქვეყნების მანერის გათვალისწინებით³.

პოლონეთის რესპუბლიკაში 2010 წელს შემცირდა სასჯელის ზომა ცილისწამებისათვის და თავისუფლების აღვეთა დარჩა მხოლოდ მასმედიით გავრცელებული განცხადების შემთხვევაში. თუმცა, სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლი დღემდე საზოგადოებაში ცხარე კამათის საგანს წარმოადგენს. 2011 წელს პოლონეთის რესპუბლიკის ჰელსინკის კომიტეტმა და პრესის გამომცემელთა პალატამ სისხლის სამართლის კოდექსიდან ამ მუხლის ამოღების კამპანია წამოიწყეს. 2012 წელს პოლონეთის რესპუბლიკის სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანა სარჩელი ცილისწამებისათვის თავისუფლების აღვეთის გაუქმების შესახებ, მაგრამ სასამართლომ სარჩელი არ მიიღო და 2013 წლის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ამ საკითხზე განჩინება, ერთხელ უკვე იქნა მიღებული, კერძოდ, 2006 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ცილისწამების კრიმინალიზაცია პრინციპში არ წარმოადგენს არაგონივრულ ჩარევას გამოხატვის თავისუფლებასა და პრესის თავისუფლებაში.

¹ პოლონეთის სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 212,

² პოლონეთის სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 213

³ პოლონეთის სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 214

დანიის სამეფოში ცილისწამება, ანუ მოვლენების ან ურთიერთობების შესახებ ისეთი განცხადებების გავრცელება, რამაც შეიძლება საზოგადოების თვალში სახელი გაუტეხოს ამ თუ იმ პირს - ისჯება ჯარიმით ან 4 თვემდე თავისუფლების აღკვეთით, თუ დანაშაული ჩადენილია უპატიოსნო განზრახვით ან დამნაშავეს ჰქონდა საფუძველი ეფიქრა, რომ ინფორმაცია იყო მცდარი, სასჯელი იზრდება თავისუფლების აღკვეთით 2 წლამდე.¹

ცილისწამება არ ისჯება, თუ მოპასუხე დაამტკიცებს, რომ ინფორმაცია შეესაბამებოდა სიმართლეს (სისხლის სამართლის კოდექსის 269-ე მუხლით), არ ისჯება იმ შემთხვევაშიც, თუ მოპასუხე დაამტკიცებს, რომ გარკვეული დამაჯერებელი გარემოებების გათვალისწინებით ინფორმაცია ჩანდა როგორც მართალი, ეს იმ შემთხვევაზე ვრცელდება, როცა დაცვის ინსტრუმენტად გამოყენებულია პატიოსანი განზრახვის დასაბუთება. დანიის სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების თანახმად, თუ მოპასუხე დაცვის ინსტრუმენტად იყენებს პატიოსანი განზრახვის დასაბუთებას, მან უნდა დაამტკიცოს, რომ საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი ჰქონდა მიეჩნია, რომ განცხადება იყო მართალი.

საფრანგეთის რესპუბლიკის კანონით „პრესის შესახებ“ ცილისწამება არის ფაქტის ან ქმედების შესახებ ნებისმიერი განცხადი ან ბრალდება, რაც იწვევს თავდასხმას პიროვნების პატივსა და ღირსებაზე². ასეთი განცხადების ან ბრალდების პუბლიკაცია ან რეპროდუცირება დასჯადია მაშინაც კი, თუ ეს გაკეთებულია ისეთი მანერით, რომ იძლევა ვინმეს მიმართ ეჭვის გაჩენის საფუძველს ან მიმართულია პირისაკენ, რომელიც პირდაპირ არ არის დასახელებული, მაგრამ მისი იდენტიფიცირება შესაძლებელია. ცილისწამება, მიმართული კერძო პირისადმი, ისჯება €12,000 ოდენობის ჯარიმით (მუხლი 32); თუ მიმართულია პრეზიდენტის, საჯარო მოხელეების, მინისტრების, დეპუტატების, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ეკლესიების, სასამართლოების, შეიარაღებული ძალების წარმომადგენლების წინააღმდეგ - ჯარიმის ოდენობა შეადგენს €45,000³. თუ სასამართლო პროცესზე დადასტურდა გავრცელებული ინფორმაციის სიმართლე, განსასჯელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმე ეხება პირად ცხოვრებას.

ცილისწამების შესახებ ნორმებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა უკანასკნელი 15 წლის მანძილზე, რაც განპირობებული იყო უმთავრესად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებით. 2000 წელს გაუქმდა თავისუფლების აღკვეთა ცილისწამებისათვის, გარადა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე ეხება ცილისწამებას რასის ან სხვა ჯგუფური თავისებურებების გამო.

2013 წელს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების გათვალისწინებით კანონიდან ამოღებულ იქნა 26-ე მუხლი, რომელიც შეეხებოდა პრეზიდენტისადმი მიმართულ ცილისწამებას. ამ ნორმამ გადაინაცვლა 30-31-ე მუხლებში, რომლებიც არეგულირებს საჯარო მოხელეთა წინააღმდეგ მიმართულ ცილისწამებას და პასუხისმგებლობა მის ჩადენაზე უფრო გამკაცრდა.

2011 წელს საკონსტიტუციო საბჭოს გადაწყვეტილებით სიმართლის დადგენის გამოყენება დაცვის ინსტრუმენტად ისეთ საკითხზე, რომელიც მოხდა 10 და მეტი წლის წინ, არაკონსტიტუციურად იქნა მიჩნეული. 2013 წელს ამავე საბჭომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია სიმართლის დადგენის გამოყენება პირის ნასამართლეობის მიმართ, თუ მას ნასამართლეობა გაქარწყლებული ან მოხსნილი აქვს. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2006 წლის ევროპის საპარლამენტო რეზოლუციის საფუძველზე.

ესპანეთის სამეფოს სისხლის სამართლის კოდექსი განასხვავებს ცილისწამების ორ სახეს, რომლებიც მიმართულია ადამიანის პატივისა და ღირსების წინააღმდეგ:

1. ცილისწამება, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, თუმცა ცილისმწამებლისათვის ცნობილია, რომ ეს არის ტყუილი ან დაუდევრად უგულებელყოფს სიმართლეს, ისჯება 6-დან 12 თვემდე დღიური ჯარიმით,

¹ დანიის სამეფო The National Code of Conduct http://ethicnet.uta.fi/denmark/the_national_code_of_conduct

Guidelines for Journalists http://ethicnet.uta.fi/finland/guidelines_for_journalists

² საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 29

³ საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 30

იგივე დანაშაული, ჩადენილი მასმედიის ან სხვა მსგავსი საშუალებით, ისჯება 12-დან 24 თვემდე დღიური ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით 2 წლამდე¹;

2. ცილისწამება განსაზღვრულია როგორც ბრალდება, გამოთქმა ან ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს სხვა პირის პატივსა და ღირსებას, ლახავს მის რეპუტაციას. ცილისწამება სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქმედება თავისი ხასიათის, გავლენის ან გარემოებების გამო საზოგადოების მიერ განიხილება როგორც სერიოზული. ისჯება 3-დან 7 თვემდე დღიური ჯარიმით. იგივე დანაშაული, ჩადენილი მასმედიის ან სხვა მსგავსი საშუალებით, ისჯება 6-დან 14 თვემდე დღიური ჯარიმით² თუ ჩადენილია ანაზღაურების სანაცვლოდ, დამნაშავეს შეიძლება აეკრძალოს გარკვეული საქმიანობა ან პროფესია 6 თვიდან 2 წლამდე³.

პირველ შემთხვევაში, თუ მოპასუხე დაამტკიცებს, რომ მის მიერ გავრცელებული ფაქტები შეესაბამებოდა სინამდვილეს, თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, მეორე შემთხვევაში, სიმართლის, როგორც დაცვის ინსტრუმენტის გამოყენება შესაძლებელია, თუ გავრცელებული ინფორმაცია ეხება საჯარო მოხელეს მის მიერ განხორციელებული სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე⁴

2007 წელს გაზეთ „ელ მუნდოს“ ორ ჟურნალისტს ე. ი. ინდასა და ა. რუისს მიესაჯა ჯარიმა მენორკას ქალაქ მაპონის ყოფილი მერის ცილისწამებისათვის. ე. ი ინდა განსასჯელის სკამზე აღმოჩნდა 2012 წელსაც, ამჯერად კატალონიელი პოლიტიკოსის პუჯის ცილისწამებისათვის, ჟურნალისტის განცხადება ემყარებოდა პოლიციის ანგარიშის პროექტს, რომლის მიხედვითაც საქმე შეეხებოდა რამდენიმე მილიონი ევროს შვეიცარიის ბანკში გადამალვას. მოსამართლემ ამჯერად ჟურნალისტი გაამართლა, რადგან ის ეყრდნობოდა სანდო წყაროს და მისი განზრახვა არ იყო ზიანის მიყენება. 2013 წლის სტატისტიკური მონაცემებით ორივე დანაშაულისათვის გასამართლებული იყო 98 პირი, სასჯელის ზომად ყველა შემთხვევაში გამოყენებული იყო ჯარიმა.

შვედეთის სამეფოს სისხლის სამართლის კოდექსით ცილისწამება, ანუ სხვა პირის სისხლის სამართლის დამნაშავედ გამოცხადება ან მითითება სამრახისი ცხოვრების წესზე ან ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რაც გამოიწვევს სხვა ადამიანების მხრიდან უპატივცემულობის გამოვლენას, ისჯება ჯარიმით⁵, თუ გავრცელებულმა ინფორმაციამ შინაარსიდან და მასტაბიდან გამომდინარე გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება ისჯება ჯარიმით ან 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

თუ განსასჯელს შეუძლია დაამტკიცოს, რომ ინფორმაცია შეესაბამებოდა სიმართლეს ან მას ჰქონდა ინფორმაციის გავრცელების გონივრული მიზეზი, თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება აგრეთვე მოპასუხე თუ ის დაასაბუთებს, რომ მოვალე იყო გამოეხატა თავისი აზრი ან გარემოებათა გაანალიზების საფუძველზე, ინფორმაცია გაავრცელა თავდაცვის მიზნით⁶. თავდაცვის მიზნით ინფორმაციის გავრცელებად მიიჩნევა, როცა საზოგადოების ინტერესი ინფორმაციისადმი აღემატება კონკრეტული პირის რეპუტაციის დაცვის ინტერესს.

2014 წელს მიღებული ცვლილებების თანახმად, თუ დაზარალებულია 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი ან საზოგადოებრივი ინტერესები ამას მოითხოვს, კერძო ბრალდების საქმე საჯარო ბრალდებით იცვლება.

ის საქმე, რომელიც შეეხება მედიას, განიხილება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, სადაც ცხრიდან ექვსმა მსაჯულმა უნდა გამოიტანოს ვერდიქტი - „დამნაშავეა“. თუ მოსამართლე არ ეთანხმება მსაჯულთა გადაწყვეტილებას, მას მხოლოდ იმის უფლება აქვს, რომ გაამართლოს განსასჯელი ან შეუმციროს სასჯელის ზომა.

¹ ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე მუხლი

² სისხლის სამართლის კოდექსის 208-ე მუხლი

³ სისხლის სამართლის კოდექსის 213-ე მუხლი

⁴ სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე მუხლი

⁵ შვედეთის სამეფოს სისხლის სამართლის კოდექსი მუხლი 1

⁶ შვედეთის სამეფოს სისხლის სამართლის კოდექსი მუხლი 1

ცილისწამების ბრალდებით შვედეთის სამეფოში შედარებით იშვიათად მიმართავენ სასამართლოს, უფრო ხშირად უპირატესობას ანიჭებენ პრესის ომბუდსმენს ან შვედეთის ტელერადიომაუწყებლობის სააგენტოს.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2013 წელს ცილისწამებისათვის 9 პირი მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ცილისწამების შემთხვევაში - 12; 2015 წელს ცილისწამებისათვის - 14, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ცილისწამების შემთხვევაში კი - 10 (აქედან არც ერთს არ შეფარდებია თავისუფლების აღკვეთა).

ლატვიის რესპუბლიკაში¹ ცილისწამება, ანუ გამონაგონის წინასწარგანზრახული და გაცნობიერებული გავრცელება, როცა გამავრცელებელმა იცის, რომ ინფორმაცია სხვა პირის შესახებ არის არასწორი და ცილისმწამებლური, ბეჭდურად ან სხვაგვარად რეპროდუცირებული სახით, ასევე ზეპირად, თუკი ეს მოქმედება ჩადენილია საჯაროდ, ისჯება საზოგადოებრივი სამუშაოებით ან ჯარიმით. თუ ჩადენილია მასმედიის საშუალებით, ისჯება დროებით თავისუფლების აღკვეთით ან საზოგადოებრივი სამუშაოებით ან ჯარიმით².

2009 წელს სისხლის სამართლის კოდექსში გაუქმდა 156-ე მუხლი, რომელიც შეეხებოდა წინასწარგანზრახულ ცილისწამებას. 2010 წელს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ცილისწამება განიხილება საჯარო ბრალდების პროცედურებით, ანუ პროცესში იმთავითვე ერთვება სახელმწიფო ბრალმდებელი. ცილისწამების ბრალდებით საქმეთა განხილვა შედარებით იშვიათია, ვინაიდან სირთულეს ქმნის ახალი მუხლით შემოთავაზებული დისპოზიციის - გამონაგონის წინასწარგანზრახული და გაცნობიერებული გავრცელება - დასაბუთება.

2004 წელს ლატვიის რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ გამოსცა - კერძო პირთა პატივისა და ღირსების დაცვის საქმეზე სამართლებრივი ნორმების გამოყენების პრაქტიკული სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს ადამიანის უფლებების დაცვის ევროპული სასამართლოსა და ლატვიის რესპუბლიკის სასამართლების მიერ პატივისა და ღირსების დაცვის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებების მოკლე აღწერასა და ანალიზს. ხაზგასმულია, ადამიანის უფლებების დაცვის ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ პრინციპები, რომლებიც დაცული უნდა იქნეს ცილისწამების საქმეთა განხილვის დროს. ლატვიელი ექსპერტების აზრით, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ამ პრინციპებსა და ლატვიის რესპუბლიკის სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს შორის პრინციპული შეუსაბამობა არ დაფიქსირებულა.

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია უცხოური კანონმდებლობის მიხედვით საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ და გაკეთებულია საკანონმდებლო წინადადები ცილისწამებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ანალიზი.

Resume

The Article considers Law of Georgia "on Freedom of Speech and Expression" in accordance with Foreign Legislation. The article also suggests several Legislative proposals.

¹ ლიტვის რესპუბლიკა *Code of Ethics of Lithuanian Journalists and Publishers*

http://ethicnet.uta.fi/lithuania/code_of_ethics_of_lithuanian_journalists_and_publishers

² სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 157

1. ზოგიერთი საკანონმდებლო ცვლილების მართებულობა და ხარვეზები სისხლის სამართლის პროცესში

ირაკლი აბაშიძე
დოქტორანტი

ყველას კარგად მოეხსენება, რომ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, სახელმწიფოებრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ქვეყანაში არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა, რასაც ნამდვილად არ ჩაუვლია უკვალოდ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან მიმართებით. ძირულად შეიცვალა არამარტო ცალკეული მუხლები, არამედ მთლიანად კოდექსი და დროთა განმავლობაში, მრავალი ახალი სამართლებრივი ინსტიტუტისა და საკანონმდებლო ნორმის არსებობას ჩაეყარა საფუძველი. მართალია, ბევრი მათგანი იმთავითვე დადებითად აისახა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, მაგრამ ამავე დროს ბევრია ისეთიც, რომლებიც თავისი უარყოფითი მხარეების გათვალისწინებით, რაც ამოქმედებიდან მოკლე დროში ნათლად დადასტურდა კიდეც საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკით, მალევე გახდა სხვადასხვა სამეცნიერო წრისა თუ ფართო საზოგადოების აქტური მსჯელობისა და საყოველთაო განსჯის საგანი. აღნიშნულთან დაკავშირებით, რასაკვირველია, ჩვენც გაგვაჩნია გარკვეული მოსაზრებანი, მაგრამ ერთ სტატიაში მათი თავმოყრა და ყველა მათგანზე საფუძვლიანი მსჯელობა შეუძლებლად და მიზანშეუწონლად მიგვაჩნია. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ამ ეტაპზე საზოგადოების ყურადღება გაგვემახვილებინა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე, რომლებიც ვთვლით, რომ დღესდღეობით კვლავ პრობლემატურია და საჭიროებს გადახედვას.

1. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში 2014 წლის 1 აგვისტოს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ცალკე თავის სახით კვლავ ამოქმედდა ფარული საგამოძიებო მოქმედებები, რომელიც დანაშაულთან ბრძოლის თვალსაზრისით ძალიან კარგი და მისასალმებელია, მაგრამ ამავე დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ მისი ჩატარება შესაძლებელია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ არა ყველა კატეგორიის დანაშაულთან, არამედ დანაშაულის ცალკეულ კატეგორიებთან მიმართებით.

ამის ნათელი დასტურია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143³ მუხლის მე-2 ნაწილის სახით კანონმდებლის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო ნორმა, რომელიც განსაზღვრავს ფარული საგამოძიებო მოქმედებების^{*} ჩატარების არეალს სისხლის სამართალწარმოებაში. აღნიშნული ნორმის მიხედვით ფარული საგამოძიებო მოქმედები ტარდება იმ შემთხვევაში, თუკი გამოძიება დაწყებულია ან/და სისხლისამართლებრივი დევნა ხორციელდება განზრახი მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის გამო: 117-ე მუხლის პირველი ნაწილი, 134-ე მუხლი, 139-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 140 და 141-ე მუხლები, 143-ე მუხლის პირველი ნაწილი, 143³ მუხლის პირველი ნაწილი, 180-ე მუხლის პირველი ნაწილი, 181-ე მუხლის პირველი ნაწილი, 186-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 198-ე მუხლის პირველი ნაწილი 255¹, 210 მუხლის პირველი ნაწილი, 253-ე მუხლის პირველი ნაწილი, 254-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 255¹ 259⁴ და 284-ე მუხლები, 285-ე მუხლის პირველი ნაწილი, 286-ე და 287-ე მუხლები, 288-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 289-ე, 290-ე და 292-ე-303-ე მუხლები, 304-ე მუხლის პირველი ნაწილი, 305-ე, 306-ე და 306¹ მუხლები, 318-ე მუხლის პირველი ნაწილი, 322¹ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 340-ე და 341-ე მუხლები.¹

* 2014 წლის 1 აგვისტოს განხორციელებული ცვლილებებით სსს კოდექსს ცალკე თავის სახით კვლავ დაემატა ფარული საგამოძიებო მოქმედებები. თუმცა იგი, გათვალისწინებული იყო მოქმედი კოდექსის თავდაპირველ ვარიანტში, მაგრამ 2010 წლის 24 სექტემბერს ამოღებული იქნა კოდექსიდან.

¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2018 წლის მდგომარეობით .

როგორც ვხედავთ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143³-ე მუხლის 2-ე ნაწილი გაუფრთხილებლობით ჩადენილ და ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებთან მიმართებაში (მაგ. ს.ს.კ. 116 მუხლი, 276 მუხლი, 332-ე მუხლის 1 და 2-ე ნაწილები, 339-ე მუხლი 1 ნაწილი, 344 მუხლი, და ა.შ.), არ ითვალისწინებს ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას, რაც რა თქმა უნდა, გაუმართლებელი და მიუღებელია, რადგან ზემოაღნიშნული შეზღუდვა ერთ-ერთი ხელისშემსლელი ფაქტორია სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებათა მოპოვების კუთხით.

საქმე ისაა, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებები, როგორც დანაშაულთან ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი და ეფექტური მექანიზმი¹, ხშირად გვევლინება ამა თუ იმ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მტკიცებულებების მოპოვებისათვის ერთადერთ რეალურ საშუალებად და იმის გამო, რომ კანონმდებლობა სასამართლოს განჩინებით მის გამოთხოვას არ ითვალისწინებს, მტკიცებულებად ვერ გამოვიყენებთ, ხოლო დანაშაული კი გაუხსნელი რჩება. ასე მაგალითად, ავტოსაგზაო შემთხვევის საქმის გამოძიებისას, კომპიუტერულ სისტემაში დაცული სათვალთვალო კამერების მიერ ფიქსირებული ინფორმაცია, რომლის გამოუყენებლობაც ხელს უშლის საქმეზე სრულყოფილი და ობიექტური გამოძიების ჩატარებას, რამეთუ იგი შესაძლებლობას იძლევა აბსოლუტური სიზუსტით შევაფასოთ შემთხვევის ადგილზე განვითარებული მოვლენები.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების არეალი უნდა გაიზარდოს გაუფრთხილებლობით ჩადენილ და ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებთან მიმართებაშიც, რადგან ის აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უწესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად.

2. ასევე გაუმართლებლად და მიუღებელად მიმაჩნია ის ფაქტი, რომ კანონმდებელი, მის მიერ შემოთავაზებული საკანონმდებლო ნორმის საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში გამოყენებით არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს დაცვისა და ბრალდების მხარეებს, რითაც აშკარად არღვევს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს.² მოცემულ შემთხვევაში საუბარია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე, 143² და 143¹⁰ მუხლებით გათვალისწინებულ ნორმებზე.

ასე მაგალითად, იმ დროს როცა სამაუწყებლო კომპანიების მიერ სასტელევიზიო ეთერით გადაცემული ინფორმაცია საჯარო და ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომია, პროკურორი, ფარული საგამოძიებო მოქმედების სახით სამაუწყებლო კომპანიების კომპიუტერულ სისტემაში დაცულ ვიდეო-აუდიო ჩანაწერის გამოთხოვას ახორციელებს მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით დაცვის მხარესთან მიმართებით-ის ყოველგვარი განჩინების გარეშე ახორციელებს აღნიშნული ინფორმაციის მოპოვებას. ფაქტობრივად, თუკი ბრალდების მხარე აღნიშნულ ინფორმაციას მოიპოვებს სასამართლოს განჩინების გარეშე, ის დაუშვებელი მტკიცებულება, ხოლო დაცვის მხარის მიერ აღნიშნული წესით მოპოვებულ მტკიცებულება კი დასაშვები მტკიცებულება. აქედან გამომდინარე აუცილებლად მიგვაჩნია, რომ სისხლის სამართლწარმოების პროცესში კანონით იქნეს დაბალანსებული ბრალდებისა და დაცვის მხარეთა თანაბარი უფლებები.

3. შემდეგი საკითხი რომელსაც თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე აუცილებლად უნდა შევეხოთ, კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო ვადებია, რომელიც, ჩემი აზრით, სრულიად არასაკმარისია პროკურორის მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად. კონკრეტულად კი საუბარი ეხება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143⁹ მუხლის 3-ე ნაწილს, რომლის თანახმადაც პროკურორს ეკისრება ვალდებულება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებიდან 12 თვის ვადაში, ამ მოქმედების ჩასატარებლად არსებული მასალებისა და აღნიშნული მასალის განადგურების შესახებ წერილობით აცნობოს პირს, რომლის მიმართაც ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედება.

¹ საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი. კერძო ნაწილი. ი. აქტებარდია, ლ. ფაფაშვილი- ავტორთა კოლექტივი. თბილისი 2017 წელი. გვ.-518;

² საქართველოს კონსტიტუციის 85 მუხლის 3-ე ნაწილი და ს.ს.ს. კოდექსის მე-9-ე მუხლი.

უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც რთულ და მრავალეპიზოდიან სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ფარული საგამოძიებო მოქმედების სახით ხორციელდება კავშირგაბმულობის კომპანიებიდან სატელეფონო ანძების და შემავალი და გამავალი ზარების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა, რომელთა რაოდენობაც ხშირ შემთხვევაში რამდენიმე ათასს შეადგენს. მსგავს შემთხვევაში კი პროკურორის მიერ ასეთი ვალდებულების შესრულება საჭიროებს არაგონივრულ ძალისხმევას და კანონით დადგენილი 12 თვიანი ვადის კიდევ 12 თვით გაგრძელების შემთხვევაშიც კი პრაქტიკულად შეუძლებელია მისი შესრულება დიდი მოცულობის გამო. ამასთან გაუხსნელ დანაშაულთა შემთხვევაში ასეთი ინფორმაციის მიწოდება პერსპექტივას უკარგავს დანაშაულის შემდგომ გახსნას, რაც, რა თქმა უნდა, მიზანშეუწონელია და არ პასუხობს საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, უწესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების ლეგიტიმურ მიზანს.

4. საპროცესო ვადებთან მიმართებაში ანალოგიურია ჩემი შეხედულება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლთან დაკავშირებით¹, რომელიც გულისხმობს იმას, რომ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში დათვალიერების დაწყებიდან 24 საათში პროკურორს ეკისრება ვალდებულება შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის თაობაზე. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ხშირ შემთხვევაში, დათვალიერებისას, შემთხვევის ადგილი ან კიდევ დასათვალიერებელი ობიექტი მოცულობით საკმაოდ დიდია, აღნიშნულ ვადაში ფაქტობრივად შეუძლებელია მისი დათვალიერება და საჭიროებს გაცილებით მეტი დროს.

ასეთ შემთხვევაში უმჯობესი იქნება პროკურორს შუამდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვის ვალდებულება გააჩნდეს არა საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან, არამედ მისი დასრულებიდან 24 საათის განმავლობაში, რაც სავსებით გონივრული იქნება და არ დააზიანებს მართლმსაჯულების ინტერესებს და არანაირად არ ხელყოფს ვინმეს უფლებას.

5. ჩემი შეხედულებით საკანონმდებლო სისტემის ხარვეზად უნდა ჩაითვალოს პირის სამედიცინო დაწესებულებაში იძულებითი მოთავსების საკითხიც, რადგან აღნიშნული საკითხი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დღემდე არ არის დარეგულირებული. როგორ წესი, პირის სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსება, რაც მის იზოლირებასთან არის დაკავშირებული, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის შესაბამისად საჭიროებს სასამართლოს განჩინების მიღებას.² თუმცა, თუკი ბრალდებული უარს იტყვის ექსპერტიზის ჩასატარებლად ნებაყოფლობით სტაციონარში მოთავსებაზე, სასამართლოს განჩინების არსებობის მიუხედავად ვერ ხერხდება მისი სტაციონარში მოთავსება, რადგან სამართლის საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი არ ითვალისწინებს ბრალდებულის იძულებით სტაციონარში მოთავსებას.

ასე მაგალითად, განზრახ მკვლელობის დროს როცა საეჭვოა ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობა, სისხლის სამართლის საქმეზე ინიშნება კომპლექსური სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა და სასამართლოდან გამოითხოვება განჩინება სახელმწიფო-სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ, თუმცა თუკი ბრალდებული უარს იტყვის აღნიშნულ სამედიცინო დაწესებულებაში ნებაყოფლობით გადაყვანაზე, პენიტენციური დაწესებულება ვერ იყენებს იძულების პროპორციულ ღონისძიებას პირის სტაციონარულ დაწესებულებაში მოსათავსებლად. შესაბამისად ვერ გაიცემა ექსპერტიზის დასკვნა, ხოლო ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობა გაურკვეველი რჩება. ამასთან, სასამართლო, ფსიქიატრიული დასკვნის არ არსებობის გამო ვერ შეწყვეტს ბრალდებულის მიმართ სისხლის სამართლებრივ დეპარტამენტის ასევე ვერ მიუსჯის სასჯელს მისი ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოხდით და მოკლებული იქნება შესაძლებლობას ბრალდებულის მიმართ იმსჯელოს იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის თაობაზე.

¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. თბილისი 2018 წელი.(ამჟამინდელი რედაქცია).

² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2018 წლის მდგომარეობით.

აღნიშნულის გამო კი სრულიად შესაძლებელია შეურაცხადი პირის მიმართ სასამართლომ გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც ცალსახად სამართლებრივი პრობლემაა. აქედან გამომდინარე მიმაჩნია, რომ აუცილებლად უნდ აღმოიფხვრას ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზი და შესაბამის მუხლში, მართლმსაჯულების ინტერესების გათვალისწინებით, მიეთითოს ბრალდებულის სტაციონარში მოთავსების იძულების ფარგლებისა და პროპორციული იძულების ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობის თაობაზე.

6.გარდა ზემოთ აღნიშნული საკითხებისა ყურადღებას გავამახვილებთ კიდევ ერთ, ჩემი აზრით, მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. აქ საქმე გვაქვს გამოძიების სტადიაზე სისხლისამართლებრივი დევნის ან სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის დროს ბრალდებულის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების გაუქმებასთან. ცნობილია, რომ საგამოძიებო ორგანოთა საქმიანობის დღესდღეობით არსებული პრაქტიკის შესაბამისად, პროკურორი, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 106—ე მუხლის თანახმად უფლებამოსილია კანონიერი საფუძვლების არსებობისას დადგენილებით შეწყვიტოს სისხლისამართლებრივი დევნა ან გამოძიება¹, იმავე დადგენილებაში ერთ—ერთ პუნქტად განიხილავს ბრალდებულისათვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების საკითხს, რაც ჩემი აზრით არასწორია, რადგან აღნიშნულ მუხლში ცალსახად არ არის მითითებული, რომ პროკურორს აქვს ბრალდებულისათვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების გაუქმების უფლება.

აქვე დავძენთ იმასაც, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206—ე მუხლის შესაბამისად ბრალდებულის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების გაუქმების საკითხი მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა და სხვა უფლებამოსილი პირის შესახებ რაიმე ჩანაწერი არ მოპოვება. ზემოთაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ვფიქრობთ, რომ აუცილებელია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 106—ე მუხლში შევიდეს ცვლილება, რითაც სისხლისამართლებრივი დევნისა და გამოძიების შეწყვეტის დადგენილებაში, პროკურორს აღნიშნულ მუხლზე დაყრდნობით მიეცემა საშუალება იმსჯელოს ბრალდებულისათვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების გაუქმების თაობაზე.

7ამრიგად, ზემოაღნიშნული საკითხების განხილვის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იმთავითვე ხარვეზებითაა მიღებული, რომელიც უმეტესწილად ნაჩქარევად გაკეთებული, პოლიტიკურად მოტივირებული ან სამართლებრივად გაუმართლებელი ცვლილებების შედეგია და მისი აღმოფხვრისა და საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით აუცილებლად მიმაჩნია მასში ცვლილებების განხორციელება. ეს კი თავის მხრივ უსათუოდ შეუწყობს ხელს ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას.

რეზიუმე

წარმოდგენილი სტატია ეხება ბოლოდროინდელ იმ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლის მიხედვითაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში შეიცვალა და დაინერგა ბევრი ახალი სამართლებრივი ინსტიტუტი და ცალკეული ნორმა. ნაშრომის განხილვისას მირითადი ყურადღება გამახვილებულია სისხლის სამართლის კოდექსში დღეისათვის არსებულ სხვადასხვა პრობლემატურ საკითხსა თუ ცალკეულ ნაკლოვანებაზე, რაც უმეტესწილად ნაჩქარევად გაკეთებული, პოლიტიკურად მოტივირებული ან სამართლებრივად გაუმართლებელი ცვლილებების შედეგია. ნაშრომში საუბარია ასევე მათი აღმოფხვრისა და გადაჭრის გზებზე.

Summary

The present work refers to the recent legislative amendments according to which many new legal institutions and individual norms have been changed and introduced into the criminal procedural legislation of Georgia. The main focus is on the various problematic issues or individual deficiencies in the Criminal Law Code, which is largely a result of politically motivated or legally unjustified changes. The work is also about the ways to eliminate and solve them.

¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2018 წლის მდგომარეობით .

2. პირის დაზარალებულად ცნობის ზოგიერთი პრობლემატიკა სისხლის სამართლის პროცესში

ბესიკ ხაბურზანია
დოქტორანტი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 22-ე ნაწილის თანახად, დაზარალებულს წარმოადგენს ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან სახელწიფო, რომელსაც მიადგა მორალური, ფიზიკური, თუ ქონებრივი ზიანი. ხოლო დაუმთავრებული დანაშაულის ჩადენისას, თუ უშუალო საფთხე დაემუქრათ ამ პირებს ან სახელმწიფო ინტერესს, ამ შემთხვევაშიც ისინი წარმოადგენენ დაზარალებულებს .

სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით პირის დაზარალებულად ცნობისათვის აუცილებელია: ა) მატერიალური ასევე ფორმალური საფუძვლების არსებობა, მატერიალურ წინაპირობაში იგულისხმევა უშუალო ზიანი, რაც მიადგა დაზარალებულს ფიზიკური, მორალური თუ ქონებრივი ზიანის ფორმით, ბ) ხოლო ფორმალური წინაპირობა გულისხმობს პროკურორის მიერ მიღებულ გადაწვეტილებას (დადგნილებას) პირის დაზარალებულად ცნობის თაობაზე.” პროკურორის მიერ პირის დაზარალებულად ცნობა ხდება გამოძიების სტადიაზე, გამოძიების დაწყებისთანავე საკმარისი საფუძვლის არსებობის შეთხვევაში ან მოგვიანებით გამოძიების მსვლელობისას თუ გაირკვა საფუძველი იმისა, რომ პირს ნამდვილად მიადგა სისხლისამართლებრივად რელევანტური ზიანი. პროკურორი პირს დაზარალებულად ცნობს სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში გაზავნამდე , ხოლო საქმის სასამართლოში არსებითი განხილვისას პირის დაზარალებულად ცნობა სამართლებრივად დაუშვებელია.”¹ დაზარალებული ყველაზე უფრო მეტადა დაინტერესებული საქმის ბედით და შესაბამისად აუცილებელია სისხლის სამართლწარმოებისას აუცილებელია დაცულ იქნას მისი უფლებები სრულყოფილად, რათა უზრუნველოფილ იქნას მისი კანონიერი ინტერესების სრული დაცვა. ამის ერთგვარი გამოხატულებაა მისი უფლება განცხადებით მიმართოს პროკურორს დაზარალებულად ცნობის თაობაზე , პროკურორი არკვევს მატერიალურ / ფორმალურ საფუძვლებს და იღებს შესაბამის კანონიერ გადაწვეტილებას, განცხადების დაკმაყოფილების ან დაუკმაყოფილებლობის შესახებ.² დაზარალებულს, როგორც სისხლის სამართლის პროცესის განსაკუთრებულ სუბიექტს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ის გარემოება რომ პროკურორს ცალკე გამოაქვს დადგენილება მისი სამართლებრივი სტატუსის მინიჭების თაობაზე.³ დაზარალებულის მიერ მისი უფლებების რეალიზების კუთხით აშკარად წინ გადადგულ ნაბიჯია სულ ახლა ხანს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწვეტილება, სადაც სასამართლომ მიიჩნია, რომ დაზარალებულის სტატუსის მინიჭება წარმოადგენს მნიშვნელოვან უფლებებზე წვდომის წინაპირობას და აღნიშნულის გათვალისწინებით, პირის მხრიდან სასამართლოში გასაჩივრება ამ სტატუსის მოპოვებისათვის ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულების საქმეებზე წარმოადგენს პირის სასამართლოში აბსულუტურ უფლებას, შესაბამისად გასაჩივრების ინტერესი, აგრეთვე დისკრიმინაციისაგან დაცვის საჭიროება სამართლებრივად აღემატება სასამართლოში გადატვირთვის პრევენციას, რაზეც აპელირებდა მოპასუხე მხარე, (საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები). სასამართლომ სამართლიანად ძალდაკარგულად მიიჩნია ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულების საქმეებზე პროკურორის მიერ პირისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარის სასამართლოში გასაჩივრების შეუძლებლობა, ამ გადაწვეტილებით კარი გაეხსნა ყველა კატეგორიის საქმეების გასაჩივრებას

¹ შ. ფაფიაშვილი. კრიმინალისტიკა, 2015წ. გვ.219

² გახოკიძე, ჯ და სხვა. (2013). საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილი. თბილისი: „იურისტების სამყარო. გვ.211-13

³ გახოკიძე, ჯ და სხვა. (2013). საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილი. თბილისი: „იურისტების სამყარო. გვ.211-13

სასამართლოში თუ პირი მიიჩნევს, რომ მისი დაზარალებულად ცნობაზე უარი არის ბრალდების მხარის მიერ სამართლებრივად დაუსაბუთებელი.”¹

მართალია საკონსტიტუციო სასამართლომ დაარეგულირა ეს პრობლემური საკითხი თავის გადაწყვეტილებაში, მაგრამ მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს პირის დაზარალებულად ცნობის პრაქტიკულ ნაწილს და განისაზღვროს მისი ნაკლოვანებები გამოძიების ეტაპზე. კერძოდ, გამოძიებისას პირისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარი შეთანხმებულია ზემდგომ პროკურორთან, ხოლო კანონმდებლის წევა იმასთან დაკავშირებით, რომ პირს აქვს უფლება ზემდგომ პროკურორთან აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების არის ფორმალური ხასიათის, ვინაიდან ზემდომმა პროკურორმა უკვე იცის საქმის არსებითი ნაწილები და მას თანხმობა აქვს მიცემული ქვემდგომის მიმართ, რომ აღნიშნულ პირს აღნიშნულ საქმეზე დაზარალებულის ”² პროცესუალური სტატუსი არ მიანიჭონ, ხოლო გასაჩივრებულზე გაცემული პასუხი ზემდგომის მიერ დასაბუთებულობის კუთხით არის იგივე შინაარსის რითაც ქვემდგომმა იხელმძღვანელა. და აგრეთვე, როგორც პრაქტიკაში აღმოჩნდა აღნიშნული უფლებით სარგებლობა დაზარალებულისათვის არის ძალზედ არაეფექტური.

ზემოთ ხსენებულ საკითხებთან მიმართებაში საინტერესოა პრაქტიკაში არსებული კონკრეტული საქმეების განხილვა, მაგალითად იყო „ ერთი შემთხვევა” როგა დაზარალებულმა სასამართლოში გაასაჩივრა პროკურორის უმოქმედობა, კერძოდ პროკურორმა დაარღვია საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მოთხოვნა და მოქალაქის მიმართვიდან 48- სთ -ის განმავლობაში არ მიიღო გადაწყვეტილება ამ პირის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის თაობაზე. აღნიშნულ საჩივარზე ქ. თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ცალსახად მიიჩნია შემდეგი გარემოებები დადასტურებულად, რომ „მართალია” სახეზე არ გვაქვს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტი, რომლის კანონიერებაზე ან უკანონობაზე უნდა იმსჯელოს სასამართლომ , თუმცა სასამართლო მიიჩნევს, რომ არ მოხდეს დაზარალებულის უფლებამონაცვლის კანონიერი ინტერესების უგულებელყოფა, მათ შორის პროკურორის მიერ, პირის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების შეზღუდვა, ამისათვის აუცილებელია სასამართლომ მიიღოს აღნიშნული საჩივარი წარმოებაში და შესაბამისად მიიღოს კანონიერი გადაწყვეტილება.

გამოძიების ეტაპზე არსებული სხვა პრობლემური პრეცედენტი, რომელიც გამოიკვეთა შემდეგში, კერძოდ, 2015 წლის 3- აგვისტოს მოქალაქე გ-თ პოლიციამ დააკავა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ფაქტზე. ³ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით რომელიც შედგენილია 2015 წლის 3-აგვისტოს 00.05 წთ-ზე დაკავებულს მარჯვენა და მარცხენა თვალზე აღნიშნება ჩაწითლება და აგრეთვე ზედა კიდურებზე ნაიარევი, ხოლო რაც შეეხება პირის დაკავების იზოლატორში მოთავსებისას შევსებულ დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილია 2015 წლის 3- აგვისტოს 01-09 წთ-ზე, დაკავებულს გარეგანი დათვალიერებისას აღნიშნება ზურგზე ნაკაწრები, ხოლო მარჯვენა თვალის არეში ჩაღურჯება, შეწითლება და დაბეჭილობა , აგრეთვე საქმეში არსებობს სამედიცინო დასკვნა, რომელიც შედგენილია 2015 წლის 04-აგვისტოს 14-20 სთ - წთ, რომლითაც დგინდება რომ პირს აღნიშნება ლავირის მვლის ხაზოვანი მოტეხილობა, შემჟღება, მოძრაობის შეზღუდვა მარცხენა მხარის სახსრის არეში. პირის განმარტებით მან აღნიშნული დაზიანებები მიიღო პოლიციის მიერ დაკავების პროცესში, აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე პროკურატურამ დაიწყო გამოძიება 333-მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე, რაც წამოადგენს სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებას, რაც აგრეთვე წარმოადგენს მძიმე დანაშაულს .

მიუხედავად დაზარალებულის მხრიდან პროკურატურისათვის მრავალჯერ მიმართვისა, მოქალაქე გ-თ ს მაინც არ მიანიჭა დაზარალებულის პროცესუალური სტატუსი, პროკურატურის განმარტებით საქმეზე არსებული მტკიცებულებებით არ დგინდება პირისათვის ზიანის მიყენების ფაქტი, რაც საფუძველს არ

¹ საქართველოს მოქალაქეები - ყირმიზაშვილი, ფაცურია, გაგნიაშვილი და „შპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინამდებარებული სტატუსი, პროკურატურის განმარტებით საქმეზე არსებული მტკიცებულებებით არ დგინდება პირისათვის ზიანის მიყენების ფაქტი, რაც საფუძველს არ

² ნაცვლიშვილი. 2016წ გვ.9 დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში.

³ ნაცვლიშვილი. 2016წ გვ.9-11 დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში.

ქმნის იმისას რომ პირისათვის მოხდეს დაზარალებულის სტატუსის მინიჭება. ამ საქმესათან დაკავშირებით მნიშვნელოვანია მოქალაქე გ-თ ს ადვოკატის მიმართვა პროკურატურას იმ მოთხოვნით რომ მომხდარიყო ამ პირისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება, თუმცა აღნიშნული მიმართვაც პროკურატურამ არ დააყმაყოფილა იმ მოტივით რომ დაზარალებულის ადვოკატი არ წარმოადგენს საამისოდ უფლებამოსილ პირს, თუმცა ადვოკატი მიმართვისას წარადგენდა ოფიციალურ ორდერს ამ პირის უფლებების დაცვის დასადასტურებლად, მაგრამ პროკურატურის მხრიდან აღნიშნულიც უყურადღებოდ დარჩა და დაზარალებულს არ მიეცა მისი უფლებების რეალიზაციის საშუალება.

მართალია საკონსტიტუციო სასამართლომ პირს სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა მისცა, თუ მას გამოძიების ეტაპზე დაზარალებულის სტატუსზე უარს ეუბნებიან. ცხადია ეს წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა პრობლემა მაინც დარჩა დაზარალებულის უფლებამოაცვლეობასთან მიმართებაში. კერძოდ, საუბარია, თუ რომელ მშობელს უნდა მიენიჭოს დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსი, როდესაც საკითხი ეხება მათი საერთი შვილის მკვლელობას, ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ქვემოთ განხილული სასამართლო გადაწყვეტილება.”¹

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა დაზარალებულად მიიჩნევს იმ პირებსა და ორგანოებს, რომელთაც უშუალოდ მიადგათ, ფიზიკური, ქონებრივი ან მორალური ზიანი, ასევე ე-წ დაზარალებულის „უფლებამონაცვლეს”. ოღონდ ამ შემთხვევაში აუცილებელია უშუალოდ დაზარალებული იყოს გარდაცვლილი და მას არ შეეძლოს იმ უფლებების რეალიზება, რომელიც მას კანონმდებლობით აქვს მინიჭებული. ამ შემთხვევაში დაზარალებულის უფლებამონაცვლედ პროკურორი ცნობს ახლო ნათესავს, თუ რა თქმა უნდა ახლო ნათესავებს შორის ამაზე თანხმობაა გაცხადებული, ხოლო როდესაც ერთი დონის ნათესავებს შორის დავა იმის თაობაზე, თუ რომელი ნათესავი იქნეს დაზარალებულად საქმეში წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში დაზარალებულის უფლებამონაცვლედ პროკურორი ცნობს ახლო ნათესავს, თუ რა თქმა უნდა ახლო ნათესავებს შორის ამაზე თანხმობაა გაცხადებული, ხოლო როდესაც ერთი დონის ნათესავებს შორის დავა იმის თაობაზე, თუ რომელი ნათესავი იქნეს დაზარალებულის უფლებამონაცვლედ საქმეში წარმოდგენილი. დავის წარმოშობის შემთხვევაში უფლებამონაცვლეობა წილისყრით განისაზღვრება საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, მაგრამ ბუნდოვანია წილისყრის შედეგების სამართლიანობაზე არგუმენტები, ამ საკითხთან მიმართებაში მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „ენუქიძე და გირგვლიანი” საქართველოს წინამდებარებული სადაც საქმეში დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობას ითხოვდა ორივე მშობელი, იმ საქმეში, რომელშიც მათი ერთადაერთი შვილის სიკვდილი დადგა, ხოლო პროკურატურა მიუთითებდა კანონის იმ ნორმას, რომლითაც მხოლოდ ერთი მშობელი შეიძლება ყოფილიყო ამ საქმეში დაზარალებული, რაც ცალსახად უჩვენებს საკანონმდებლო ხარვეზს, ვინაიდან მშობელი ადამიანს მხოლოდ ორი ჰყავს ბუნებაში, ორივეს თანაბარი უფლებები და ვალდებულებები აქვს შვილის მიმართ და რაიმე ნიშნით მათი განსხვავება და მათთვის, რომელიმესათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება და ან მინიჭებაზე უარი დაუსაბუთებელია. კანონმდებელი რა კრიტერიუმებით უსპობს რომელიმე ერთ მშობელს ამ უფლებას სამართლებრივად დაუსაბუთებელია, აღნიშნული საკანონმდებლო ჩანაწერი ისედაც დათორგუნულ მშობლებს მეტ მორალურ და ადამიანურ დარტყმას აყენებს, ² სწორედ, ვფიქრობ, რომ აღნიშნული ჩანაწერი,,მშობლების მიმართ” არ უნდა მოქმედებდეს და მათ თანასწორობის პრინციპის თანახმად ორივე მშობელს უნდა მიენიჭოს დაზარალებულის უფლებამონაცვლის სამართლებრივი სტატუსი. ვიმედოვნებ, რომ კანონმდებელი ამ კუთხითაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში შეიტანს ცვლილებებს და სამართლიანს გახდის დაზარალებულის უფლებების რეალიზებას სისხლისამართალწარმოების წებისმიერ ეტაპზე.

7. ნაცვლიშვილი. 2016წ გვ.9 დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში. ”¹

² იხ.საქ. („ენუქიძე და გირგვლიანი”. საქ.წინააღმდეგ. 25091/07 გადაწყვეტილება პრ.250-252

რეზიუმე

სტატიაში გაანალიზებულია სისხლის სამართლის პროცესში პირის დაზარალებულად ცნობის პრობლემატიკის თეორიულ-სამართლებრივი და პრაქტიკული შემთხვევები, რაც ცალსახად ხაზს უსვამს იმას, რომ დაზარალებული სისხლის სამართალწარმოებაში უფლებრივად უკიდურესად არის შევიწროებული. ჩვენი მიზანია გამოვკვეთოთ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, რომელიც მიუთითებს დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის არაეფექტურობაზე, შესაბამისად სასურველია კამონმდებლის მიერ მისი სამართლიანი გაფართოების უზრუნველყოფა.

Resume

The article analyzes the problems of theoretical-legal and practical issues of recognition of victim in a criminal law case. This process emphasizes fact that rights of victims in criminal proceedings are being violated. Our main goal is to start the discussion about the violation cases of the rights in the criminal law framework. We seek to encourage legislators to ensure for them the better and accessible legal system of the victim recognition.

3. ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევა

მამუკა ეგუტიძე
დოქტორანტი

საერთაშორისო სამართლის მიხედვით ოკუპაცია ომის მსვლელობის დროს მოწინააღმდეგის ტერიტორიის დაკავებაა. ეს პროცესი დროებით ხასიათს ატარებს, და ომის დამთავრების შემდგომ ოკუპირებული ტერიტორია უნდა განთავისუფლდეს ოკუპანტისგან, ტერიტორია ოკუპანტის საკუთრებაში შეიძლება დარჩეს მხოლოდსაზავო ხელშეკრულების ძალით.

ჰაგის 1907 წლის მეოთხე კონვენციის „სახმელეთო ომის კანონებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ“ 42-ე მუხლის შესაბამისად ოკუპირებულად ითვლება ტერიტორია, რომელიც იმყოფება მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების კონტროლის ქვეშ.¹

ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენცია ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ განსაზღვრავს ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამოქალაქო მოსახლეობის სამართლებრივ საკითხებს.

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია, რომ „საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.“²

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით.

საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით განსაზღვრულ ტერიტორიულ საზღვრებში ცნობილია და აღიარებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროკავშირის ყველა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის და მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს მათ შორის რუსეთის მიერ.

1992 წლის 1 ივლისს დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა ორ სუვერენულ სახელმწიფოს საქართველოს და რუსეთს შორის.

მიუხედავად რუსეთის მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისა, რუსეთი ვერ ეგუებოდა საქართველოს რუსეთის გავლენის სფეროდან გასვლის ფაქტს და თავისი აგრესიული დამპყრობლური პოლიტიკის განხორციელებას აგრძელებდა, როგორც საქართველოს ასევე პოსტსაბჭოთა სხვა ქვეყნების უკრაინა, მოლდოვა, აზერბაიჯანი სომხეთი და სხვათა მიმართ. მოყოლებული საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან რუსეთი ცდილობდა საქართველოსგან აფხაზეთის და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჩამოცილებას და ამ მიზნით საქართველოს საწინააღმდეგო ძირგამომთხრელ საქმიანობას ახორციელებდა. იარაღით ამარავებდა სეპარატისტულად განწყობილ ძალებს თავის ტერიტორიიდან შემოჰყავდა შეიარაღებული ფორმირებები სამხედრო ტექნიკა და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში დაიწყო შეიარაღებული დაპირისპირება ქართულ სახელისუფლებოძალებთან, რის შედეგადაც 1993 წელს აფხაზეთის რეგიონზე მოიპოვა სრული კონტროლი და საქართველოს ხელისუფლების იურისდიკციის შეწყვეტა. შესაბამისად აფხაზეთის ავტონომიური ტერიტორია მოაქცია საკუთარ ეკონომიკურ და იურიდიულ დაქვემდებარებაში და მის მართვას შეუდგა მარიონეტული რეჟიმის საშუალებით. აგრძელებდა რა თავის აგრესიულ პოლიტიკას

¹ Конвенция о законах и обычаях сухопутной войны, 18 октября 1907

года <https://www.icrc.org/ru/doc/resources/documents/misc/hague-convention-iv-181007.htm>

² საქართველოს კონსტიტუცია (ზოგადი დებულებანი) საკანონმდებლო მაცნე.

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>

საქართველოს მიმართ 2008 წელს წამოიწყო აგრესიული ომი საქართველოს წინააღმდეგ. დიდი ოდენობის სამხედრო ცოცხალი ძალით და ტექნიკით შემოიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის ფარგლებში დაბომბა ქართული სოფლები და ქალაქები სამოქალაქო ობიექტები, საქართველოს შეიარაღებული ძალები იძულებული გახდნენ ჩაბმულიყვნენ თავდაცვით ომში, მაგრამ მიუხედავად მედგარი წინააღმდეგობისა და გმირული ბრძოლისა რიცხობრივად ჭარბი, უახლესი სამხედრო ტექნიკით აღჭურვილი მტრის წინააღმდეგობა ვერ დაძლიეს და რუსეთმა მოახდინა საქართველოს ორი რეგიონის ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სრული ოკუპაცია. ამასთან დაარღვია რა უნევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის „ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ“ მოთხოვნები ამ რეგიონებიდან გამოდევნა ასეულობით ათასი ეთნიკური ქართველი, გაძარცვა და მიისაკუთრა ქართველი მოსახლეობის უძრავი და მოძრავი ქონება, მიისაკუთრა ან დაანგრია, გაანადგურა ქართველთა საცხოვრებელი სახლები მოახდინა ოკუპირებულ ტერიტორიაზე საკუთარი მოსახლეობის ჩასახლება.

საქართველოს ხელისუფლებამ განახორციელა რეპრესალია უკიდურესი ზომა ოკუპანტის რუსეთის არაკანონიერი მოქმედების საპასუხოდ, რაც გამოიხატა შესაბამისი საკანონმდებლო აქტების გამოცვაში.

1996 წლის 28 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“, რაც ძალადაკარგულად გამოცხადდა 2014 წლის 6 თებერვლის იმავე დასახელების კანონის მიღებით.

2008 წლის 23 ოქტომბერს მიღებული იქნა საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ.“

კანონის პრეამბულაში აღინიშნა, რომ „საქართველო არის სუვერენული, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო და მის ტერიტორიაზე ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ყოფნა საქართველოს სახელმწიფოს მკაფიოდ და ნებაყოფლობით განცხადებული თანხმობის გარეშე, 1907 წლის ჰავაგის რეგულაციების, 1949 წლის უნევის IV კონვენციისა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების შესაბამისად, არის სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის უკანონო სამხედრო ოკუპაცია.“¹

კანონის მიხედვით განისაზღვრა რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესის შედეგად ოკუპირებული ტერიტორიების სტატუსი და დადგინდა ოკუპირებული ტერიტორიების განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი. კანონის მიხედვით რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებად გამოცხადდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიები, ცხინვალის რეგიონი, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები ასევე ამ ტერიტორიების მომიჯნავე საზღვაო აკვატორიაში შემავალი შიდა წყლები და ტერიტორიული ზღვა, მათი ფსკერი, წიაღი და სხვა.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაწესდა თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა. ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგების დადებისა და სხვა საკითხებზე დადგინდა განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი.

კანონის შესაბამისად დაწესდა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა დაშვებულია მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებიდან, კერძოდ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიებზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიმართულებიდან, ხოლო ცხინვალის რეგიონში გორის მუნიციპალიტეტის მიმართულებიდან. სხვა ყველა მიმართულებიდან ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის აკრძალულია და ისჯება სისხლის სამართლის კანონით დადგენილი წესით.

¹საქართველოს 23,10,2008 წლის კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/19132?publication=7>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციის საპასუხოდ შემოტანილი იქნა XXVII¹თავი ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევა. სადაც სსკ 322¹ მუხლის სახით ინკრიმინირებული იქნა ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევა, ხოლო საქართველოს სსკ 322²-ე მუხლით ინკრიმინირებული იქნა ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 322¹-ე მუხლის დისპოზიციით დასჯადია „უცხო ქვეყნის მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა„, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის დარღვევით,“

აღნიშნული დისპოზიცია ბლანკუტურია მასში არ არის მოცემული დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანი და მათ დასადგენად მიუთითებს არა სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებს არამედ სხვა ნორმატიულ აქტს კერძოდ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 23 ოქტომბრის კანონს.

დანაშაულის ობიექტია ქვეყნის სუვერენიტეტი, საქართველოში დადგენილი მმართველობის წესი, სახელმწიფო საზღვრის შეუვალობა და ოკუპირებული რეგიონების განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება მოქმედებაში, უცხო ქვეყნის მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის დარღვევით შესვლაში.

დანაშაული მატერიალურია შედეგდამოკიდებულია და დამთავრებულად ითვლება ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით შესვლის მომენტიდან.

უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსით (მუხლი 332-ე 1) რუსეთის ფედერაციის მიერ დროებით ოკუპირებული უკრაინის ტერიტორიებზე მიმოსვლის წესის დარღვევა დასჯადია თუ ამ ქმედების მიზანია სახელმწიფოსათვის ზიანის მიყენება.¹

უცხო სახელმწიფოს მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის წესი რეგულირდება საქართველოს კანონებით და სხვა ნორმატიული აქტებით საქართველოს 1998 წლის 17 ივლისის კანონით „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ (მუხლი მე-13-ე) დადგენილია, რომ „საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე სარკინიგზო, საავტომობილო, საზღვაო, სამდინარო და საპარტო მიმოსვლა ხდება იმ სასაზღვრო გამტარი პუნქტების მეშვეობით, რომლებსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად.“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ და 2014 წლის 5 მარტის კანონის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ შესაბამისად პირთა მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა საქართველოში შემოსვლისა და საქართველოდან გასვლის მიზნით წარმოებს სასაზღვრო გამტარ პუნქტებში შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და ცხინვალის რეგიონის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რუსეთის მხრიდან ოკუპაციის გამო, ამ ტერიტორიის ჩრდილოეთის საზღვარზე რუსეთის ფედერაციასთან, არ არსებობს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სასაზღვრო გამტარი პუნქტები, რის გამოც „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი იქნა, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შესვლა დაშვებულია საქართველოს იურისდიქციაში მყოფი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან, ხოლო ცხინვალის რეგიონში გორის მუნიციპალიტეტის

¹უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსი მუხლი 332-ე 1 <https://meget.kiev.ua/kodeks/ugolovniy-kodeks/razdel-1-14/>

ტერიტორიიდან. ეს შეზღუდვა ვრცელდება მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზე, ხოლო საქართველოს მოქალაქეებზე ეს შეზღუდვა არ ვრცელდება და მათ ოკუპირებულ ტერიტორიებზე გადაადგილება შეუძლიათ ამ ტერიტორიების მოსაზღვრე ნებისმიერი სხვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან (დუშეთის ყაზბეგის ქარელის და სხვა).

თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიებზე შევა რუსეთის ფედერაციიდან ან შავი ზღვის საშუალებით გადაკვეთს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს სახელმწიფო საზღვარს ამ შემთხვევაში მიუხედავად იმისა, რომ ის საქართველოს ტერიტორიაზე შემოვა „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევით და მისი ქმედება შეიცავს სსკ 344-ე მუხლით გათვალიწინებულ დანაშაულს, რადგან ის ოკუპირებულ ტერიტორიაზე შედის „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის უგულვებელყოფით მისი ქმედება დაკვალიფიცირდება საქართველოს სსკ 322¹ მუხლით.

იმ შემთხვევაშიც თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება კანონიერად, მაგრამ საქართველოს ტერიტორიიდან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შევა, „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის უგულვებელყოფით, დაარღვევს აღნიშნული კანონის მოთხოვნებს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ შევა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ხოლო ცხინვალის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ოკუპირებულ ტერიტორიებზე არ შევა გორის მუნიციპალიტეტის გავლით სახეზე იქნება საქართველოს სსკ 322¹-ე მუხლით გათვალიწინებული დანაშაული.

უკრაინის სისხლის სამართლის კანონისგან განსხვავებით საქართველოს კანონით „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ: რეგულირდება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის პროცედურა, შესაბამისად საქართველოს სსკ 322¹-ე მუხლით დასჯადა მხოლოდ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევა, ამ ტერიტორიებიდან გასვლის რეჟიმი კანონით განსაზღვრული არ არის, შესაბამისად უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიდან გასვლა საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიის გვერდის ავლით, უშუალოდ ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთის ფედერაციაში გადასვლით ან შავი ზღვის თუ საპარაზო სივრცის გამოყენებით არ გამოიწვევს საქართველოს სსკ 322-ე მუხლით გათვალიწინებულ პასუხისმგებლობას.

„სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესის“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის N 386 დადგენილების შესაბამისად (მუხლი მე-4-ე) საქართველოს მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, სახელმწიფო საზღვარს კვეთენ იმ საბუთებით, რომლებიც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით.

იმ შემთხვევაში თუ საქართველოს მოქალაქე საქართველოს ტერიტორიას დატოვებს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ოკუპირებულ ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის გზით ის დაარღვევს ზემოაღნიშნული „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესის“ მოთხოვნებს და ასეთით ჩაიდენს საქართველოს სსკ 344-ე მუხლით გათვალიწინებულ დანაშაულს.

საქართველოს სსკ 322¹-ე მუხლს შენიშვნის სახით ერთვის ავთენტური განმარტება, რომელიც განხორციელებულია კანონმდებლის მიერ და მისი შესრულება სავალდებულოა. შენიშვნის მიხედვით „ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც საქართველოში უშუალოდ იმ ტერიტორიებიდან შემოვიდა, სადაც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის კონვენციის პირველი მუხლით გათვალისწინებული საფრთხე ემუქრებოდა და რომელიც საქართველოში უნებართვოდ იმყოფება და იმავე კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად თავშესაფარს სთხოვს საქართველოს ხელისუფლებას, იმ პირობით, რომ ის დაუყოვნებლივ გამოცხადდება ხელისუფლების ორგანოში და წარადგენს სათანადო განმარტებას საქართველოში უკანონო შემოსვლის ან უნებართვო ყოფნის შესახებ,

და თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები, აგრეთვე პირი, რომელმაც აღნიშნული ქმედება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის გამო, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მოპოვებამდე ჩაიდინა.“

გაეროს 1951 წლის კონვენციით „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ (მუხლი 1) ლტოლვილის სტატუსი ენიჭებათ პირებს, რომლებიც „საფუძვლიანი შიშის გამო, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის გამო, იმყოფება თავისი მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ და არ შეუძლია ან არ სურს ამგვარი შიშის გამო ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით, ან არ გააჩნია რა გარკვეული მოქალაქეობა და მსგავს მოვლენათა შედეგად იმყოფება რა თავის ადრინდელი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ, არ შეუძლია ან ამგვარი შიშის გამო არ სურს იქ დაბრუნება.“¹

საქართველოს სსკ 322¹-ე მუხლზე დართული შენიშვნის მიხედვით უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი ამ მუხლით გათვალიწინებული პასუხისმგებლობისაგან, რომ გათავისუფლდეს იმის გარდა, რომ მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“გაეროს 1951 წლის კონვენციის პირველი მუხლით გათვალისწინებული საფრთხე უნდა ემუქრებოდეს, უნდა აკმაყოფილებდეს სხვა შემდეგ მოთხოვნებსაც

ა. აღნიშნული პირი საქართველოში უშუალოდ იმ ტერიტორიებიდან უნდა შემოვიდეს სადაც მის სიცოცხლეს და თავისუფლებას ზემოაღნიშნული საფრთხე ემუქრება. თუ ამ კატეგორიის პირი საქართველოში შემოვიდა მესამე სახელმწიფოდან სადაც მას საფრთხე არ ემუქრებოდა ასეთ შემთხვევაში მასზე ვერ გავრცელდება აღნიშნული შენიშვნის მოთხოვნები.

ბ. აღნიშნული კატეგორიის პირმა საქართველოს ხელისუფლებისგან უნდა მოითხოვოს თავშესაფრის მიცემის უფლება. იმ პირობით, რომ დაუყოვნებლივ გამოცხადდება ხელისუფლების ორგანოში და საქართველოში უკანონოდ შემოსვლის მიზეზთა შესახებ წარადგენს განმარტებას.

გ. აღნიშნულთან ერთად პირის ქმედებაში არ უნდა იყოს სხვა დანაშაულის ნიშნები.

ტრეფიკინგის მსხვერპლის პასუხისმგებლობა არ დადგება იმ შემთხვევაში თუ მან საქართველოს სსკ 322¹-ე მუხლით გათვალიწინებული დანაშაული ჩაიდინა ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსის მინიჭებამდე.

საქართველოს სსკ 322¹-ე მუხლის მეორე ნაწილით დამამძიმებელ გარემოებად ითვლება ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალიწინებული ქმედება ჩადენილი

ა. ჯგუფურად;

ბ. არაერთგზის;

გ. ძალადობით ან ძალადობის მუქარით;

დ. ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ.

ჯგუფური დანაშაულის ცნება მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლით. კანონი ჯგუფურ დანაშაულს განიხილავს სამ მოცემულობაში

1. დანაშაულის ჩადენა ჯგუფის მიერ წინასწარ შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ ამ მოცემულობაში დანაშაულის ჩადენაში წინასწარი შეთანხმების გარეშე მონაწილეობს ორი ან მეტი ამსრულებელი.

2. დანაშაულის ჩადენა წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ ამ მოცემულობაში დანაშაულის ჩამდენი ორი ან მეტი პირია წინასწარ თანხმდებიან და შეკავშირდებიან დანაშაულებრივი ქმედების ერთობლივად განსახორცილებელად. ამ შემთხვევაშიც დანაშაულის ჩამდენი ყველა პირი ამსრულებელია.

¹ლტოლვილთა სტატუსის შესახებ გაეროს 1951 წლის კონვენცია <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi11.pdf>

3. დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერ იქნება ჩადენილი თუ ის განახორციელა სტრუქტურული ფორმის მქონე, შეთანხმებულად მოქმედმა ჯგუფმა დროის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. აღნიშნული ჯგუფის წევრები წინასწარ უნდა იყვნენ შეკავშირებულნი ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად, ან მათი მიზანი უნდა იყოს პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება.

საქართველოს სსკ 27 მუხლს ახლავს შენიშვნა რომლის მიხედვითაც მუხლის მესამე ნაწილის მიზნებისათვის „სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფად მიიჩნევა ჯგუფი, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი, ფორმალურად იყოს განაწილებული როლები მის წევრთა შორის, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა.“

ჯგუფური დანაშაულიდან მომეტებულ საფრთხეს წარმოადგენს დანაშაულის ჩადენა, ორგანიზებული ჯგუფის მიერ და საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული ითვლება უმეტესად დამამძიმებელ გარემოებად ვიდრე მარტივი ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული. ამიტომ მიზანშეწონილი იქნება ორგანიზებული ჯგუფის მხრიდან საქართველოს სსკ 322¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა განცალკევდეს როგორც განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოება და შესაბამისად სანქციით გათვალიწინებული იქნას შედარებით მკაფრი სასჯელი. აღნიშნულის მაგალითია უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 332-1-ე მუხლი რომლითაც ჯგუფური დანაშაულიდან ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული გატანილია მუხლის მესამე ნაწილში, როგორც განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოება.¹

არაერთგზის დანაშაულის ჩადენა წარმოადგენს წინათ ნასამართლევი პირის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს სისხლის კოდექსის 322¹-ე მუხლით ნასამართლევი პირის მიერ ამავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენა ვერ ჩაითვლება არაერთგზის დანაშაულად, რადგან სისხლის სამართლის კოდექსის 322¹-ე მუხლს ასეთი მითითება, დათქმა არ ერთვის. ამასთან დანაშაული არაერთგზის ჩადენილად ჩაითვლება იმ შემთხვევაში თუ პირს წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის კანონით დადგენილი წესით ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არ ქონდა, თუ კანონით დადგენილი წესით ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის პირი გათავისუფლებული იყო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ასეთ შემთხვევაში მის მიერ ჩადენილი დანაშაული ვერ დაკალიფირდება არაერთგზის ჩადენილ დანაშაულად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 322¹-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით ქმედების დამამძიმებელი გარემოებაა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა „ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის“ ე.ი. სისხლის სამართლის კოდექსის 322¹-ე მუხლით მსჯავრდებული პირის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით მსჯავრდებულის პირი, რომლის მიმართაც სასამართლოს მიერ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი. მოცემულ ვითარებაში ლოგიკურად გამოდის, რომ ეს იგივე პირია, რომელსაც ჩადენილი აქვს არაერთგზის დანაშაული, თუმცა „დ“ ქვეპუნქტის დისპოზიცია უთითებს „ასეთ“ დანაშაულს ამ შემთხვევაში სავარაუდოდ კანონმდებული გულისხმობს, რომ ამ კატეგორიაში მოიაზრებიან ის მსჯავრდებულები, რომლებმაც ჩაიდინეს საქართველოს სსკ 322¹-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ანალოგიური დანაშაული. მაგალითად უკრაინის, მოლდოვას, აზერბაიჯანის, კანონმდებლობით გათვალისწინებული ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმოსვლის დამრღვევი დანაშაულის ჩადენა და მსჯავრდებულნი არიან ამ დანაშაულის ჩადენისათვის. სხვა შემთხვევაში თუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 322¹-ე მუხლით მსჯავრდებული პირი ჩაიდენს იგივე დანაშაულს სახეზეა არაერთგზის დანაშაული.

მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ მალაში შესვლის დღიდან. ნასამართლობის მოხსნის ან გაქარწყლების მომენტამდე. სასჯელის მოხდის შემდეგ თუ

¹უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსი <https://meget.kiev.ua/kodeks/ugolovniy-kodeks/razdel-1-14/>

მსჯავრდებული უმწიველოდ იქცევა მას მისი თხოვნით სასამართლომ შეიძლება ვადაზე ადრე მოუხსნას ნასამართლობა. მიუხედავად წარმოდგენილი ინტერპრეტაციებისასახეზეა, რომ მოცემული მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და „დ“ პუნქტები კოლიზიაშია ერთმანეთთან რის გამოც კანონმდებელმა უნდა აღმოფხვრას კოლიზია ან გააკეთოს ავთენტური განმარტება, მუხლზე (ასეთი ვითარებაა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სხვა რიგ მუხლებთან მიმართებაშიც) შენიშვნის დართვის სახით რათა გაირკვეს რა ნიშნით მიჯნავს კანონმდებელი აღნიშნულ ქმედებას, ის გულისხმობს სასჯელის მოხდის პროცესში მყოფი მსჯავრდებულის მიერ აღნიშნული დანაშაულის ჩადენას, სხვა ქვეყნების კანონმდებლობით ასეთივე დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენას თუ სხვა გარემოებას.

დანაშაულის ჩადენა ძალადობით ან ძალადობის მუქარით, აქ კანონმდებელი გულისხმობს ნებისმიერ ძალადობას რაც დამნაშავემ შეიძლება განახორციელოს თავისი მიზნის მისაღწევად, კერძოდ ძალადობა შეიძლება იყოს სიცოცხლისათვის საშიში ან არ იყოს სიცოცხლისათვის საშიში. ზოგადად ძალადობაში მოიაზრება ცემა, შებოჭვა, ანთებული სიგარეტით სხეულის ამოწვა, თმებით თრევა, და სხვაგვარი ძალადობრივი მოქმედება, ძალადობა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშია თუ განხორციელდა ისეთი მეთოდებით რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, განსახილველი სსკ 322¹-ე მუხლის შემთხვევაში კანონმდებელი უშვებს ნებისმიერი სახის ძალადობას, ამიტომ თუ ძალადობას მძიმე შედეგი მოყვა, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით, საქართველოს სსკ 322¹-ე მულით და ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანების მაკვალიფიცირებელი შესაბამისი მუხლით.

ძალადობის მუქარა შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით სიტყვიერი დამუქრებით, რომ სცემს, თვალებს ამოთხრის, თითებს დაამტვრევს და სხვა. ვიზუალური ფორმით ცეცხლსასროლი იარაღის მიშვერით, გავარვარებული საგნის სხეულთან მიტანით, ბასრი საგნის მოღერებით და სხვა, მთავარია, რომ იმან ვისაც ემუქრებიან აღიქვას დაიჯეროს შეექმნას წარმოდგენა, რომ ეს მუქარა რეალურია და მას რეალური საფრთხე ემუქრება. თუ დადგინდა, რომ მუქარის დროს გამოყენებულ ცეცხლსასროლ იარაღს დამნაშავე უკანონოდ ატარებდა ასეთ შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 322¹-ე მუხლით ინკრიმინირებული დანაშაული სუბიექტური მხრივ განზრახია დამნაშავეს შეგნებული გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, იცის რომ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევით შედის რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის) საქართველოს კუთვნილ ტერიტორიებზე, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას და სურს ამ შედეგის დადგომა.

თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი გაუფრთხილებლობით, დაუდევრობით ან თვითიმედოვნებით მოხვდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მაშინ მას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 322¹-ე მუხლით პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს, რადგან მას არ ჰქონია „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის შეუსრულებლობის განზრახვა. თუ საქართველოში მყოფ უცხო ქვეყნის მოქალაქე ტურისტს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მთებში ან რაჭაში მოგზაურობისას გზა აებნა და თავისი გაუფრთხილებლობით შევიდა ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მის ქმედებაში არ იქნება საქართველოს სსკ 322¹-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა.

დანაშაულის სუბიექტი სპეციალური სუბიექტია, ეს არის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული შერაცხადი უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი.

მოქალაქეობის არმქონე პირი არის ის პირი, რომელსაც არცერთი სახელმწიფო არ მიიჩნევს თავისი ქვეყნის მოქალაქედ. მოქალაქეობის არმქონე პირები სამართლებრივი თვალსაზრისით იყოფა ორე კატეგორიად მოქალაქეობის არმქონე პირებად რომელთაც მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსი დაუდგინდა უცხო სახელმწიფოში და მოქალაქეობის არმქონე პირებად, რომელსაც მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსი დაუდგინდა საქართველოში და მიეცა ან შეიძლება მიეცეს ბინადრობის

ნებართვა. თუმცა მოცემული მუხლის დისპოზიცია მოქალაქეობის არმქონე პირთ კატეგორიის მიხედვით არ ანსხვავებს და ორივე კატეგორიის მოქალაქეობის არმქონე პირი თანაბარი მნიშვნელობის სუბიექტია.

დანაშაულის მოტივი არის პირის ნება, ის გაცნობიერებული შინაგანი მამოძრავებელი იმპულსი ძალა, რომელიც პირს აღებინებს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის გადაწყვეტილებას, ხოლო მიზანი, პირის ქმედების ის სასურველი შედეგია, რომლის დადგომაც სურს დამნაშავეს. საქართველოს სსკ 322¹-ე მუხლით დანაშაულის კვალიფიკაციისათვის დანაშაულის მოტივს და მიზანს მნიშვნელობა არა აქვს და ეს სასჯელის განსაზღვრის დროს სასამართლოს ინდივიდუალური შეფასების სავითხია. მოტივი და მიზანი შეიძლება იყოს სხვადასხვა, ტურისტული, კომერციული, პროპაგანდისტული, და სხვა.

გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ყ. მ-ი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 322¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით დადგენილია, რომ რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ყ. მ-ი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მეოთხე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესის დარღვევით რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან საკუთარი სატვირთო ავტომანქანით შევიდა რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე კომერციული საქმიანობის განხორცილების მიზნით.¹

საქართველოს პროკურატურის სტატისტიკური მონაცემებით 2018 წლის 7 თვეში ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევის ფაქტზე, კერძოდ საქართველოს სსკ 322¹-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე წარმოებული გამომიების ფარგლებში სისხლის სამართლის დევნა დაიწყო 17 პირის მიმართ.²

ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისადეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად მიუხედავად ამ საქმიანობის შედეგად მიღებული შედეგისა.³

ეკონომიკური საქმიანობა შეიძლება იყოს სამეწარმეო ან არასამეწარმეო, სამეწარმეოა ისეთი საქმიანობა (შემოსავლების და მოგების მიზნით წარმოებული ხანგრძლივი, სისტემატური საქმიანობა), რომელიც ხორციელდება მართლზომიერად საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად (მე-10-ე მუხლის მე-2-ე ნაწილი) „სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება.“ რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოს კანონმდებლობით პირს ენიჭება უფლება განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა.

არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობას მიეკუთვნება ისეთი საქმიანობები, როგორიცაა დაქირავებითი მუშაობა, ქონების იჯარით გადაცემა, სხვა პირისათვის ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემა გარკვეული საფასურით (მისი გაყიდვის უფლების გარეშე) ქონების მართვა მინდობილობით, ფიზიკური პირის სამეცნიერო, სახელოვნებო, საადვოკატო, საკონსულტაციო და სხვა საქმიანობა.

უკანონო ეკონომიკური საქმიანობა ისეთი საქმიანობაა, რომელთა განხორციელება აკრძალულია სახელმწიფოს მიერ ან, რომელთა განხორციელებას სჭირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სპეციალური ლიცენზია ან ნებართვა, სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას, მაგრამ ამავე დროს აქვს ის ვალდებულებაც კონტროლი დააწესოს ეკონომიკურ საქმიანობაზე, რათა აცილებული იქნეს ქვეყნისთვის ზიანის მომტანი მოქმედების

¹საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება N 23-22აპ.-11 2011 წლის 17 თებერვალი

<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>

²სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში 2018 წლის 7 თვე საქსტატი <http://www.geostat.ge>

³საქართველოს საგადასახადო კოდექსი. 17, 09, 2010 წ. <https://matsne.gov.ge/document/view/1043717?publication=146>

განხორციელება, დაცული იქნას ქვეყნის უშიშროება, ეკონომიკური უსაფრთხოება კულტურული მეცნიერება ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა სხვა არსებითი ღირებულებანი.

რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ძირმველი ქართული მიწების „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიების და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის რეგიონის ტერიტორიების ოკუპაციის გამო ამ ტერიტორიებზე საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია დროებით ვერ ვრცელდება ამიტომ საქართველოს ხელისუფლებამ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრძესის შედეგად ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ დაადგინა განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი და საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი, რაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვასთან ერთად გულისხმობს შეზღუდვებს და აკრძალვებს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას. უძრავ ქონებასთან დაკავშირებით გარიგების დადებას და სხვა საკითხებს.

„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6-ე მუხლის შესაბამისად დაწესდა ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე კერძოდ კანონის მიხედვით ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალულია შემდეგი სახის საქმიანობა:

ა) ნებისმიერი ეკონომიკური (სამეწარმეო ან არასამეწარმეო) საქმიანობა, მიუხედავად იმისა, ხორციელდება თუ არა იგი მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, თუ ასეთი საქმიანობა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, „მეწარმეთა შესახებ“, „მუზეუმების შესახებ“, „წყლის შესახებ“, „საჯარო რეესტრის შესახებ“ და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონების, საქართველოს საზღვაო კოდექსის ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით საჭიროებს შესაბამისი ლიცენზიის ან ნებართვის მოპოვებას, ავტორიზაციის ან რეგისტრაციის გავლას, ან თუ ასეთი საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საჭიროებს შეთანხმებას, ასეთის არარსებობის შემთხვევაში;

ბ) სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის შეტანა ან/და გამოტანა;

გ)საერთაშორისო საპატიო და საზღვაო მიმოსვლა , გარდა გაეროს 1982 წლის საზღვაო სამართლის შესახებ კონვენციით დადგენილი შემთხვევებისა;

გ¹) სარკინიგზო მიმოსვლა და საერთაშორისო საგზაო სატრანსპორტო გადაზიდვა;

დ) სახელმწიფო რესურსებით სარგებლობა;

ე) ფულადი გადარიცხვების ორგანიზება;

ვ) ამ პუნქტის „ა“–„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობის დაფინანსება ან რაიმე სხვა ფორმით ხელშეწყობა.

2. ოკუპირებულ ტერიტორიებზე ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აკრძალული საქმიანობის განხორციელება დაშვებულია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში სპეციალური თანხმობით, რომელიც გაიცემა საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით, თუ ეს ემსახურება საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგარების, დეოკუპაციის, ომით დაზარალებულ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენის ან ჰუმანიტარულ მიზნებს .

3. ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

4. ოკუპირებულ ტერიტორიებზე ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანქციები ვრცელდება დაკავშირებულ პირებზედაც, ანუ იმ პირებზე, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობენ ამ

მუხლის პირველ პუნქტში მითითებული საქმიანობის განმახორციელებელი პირების კაპიტალში ან/და რაიმე ფორმით გავლენას ახდენენ მათ მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის მიზნებისათვის დაკავშირებული პირები არიან:

ა) პირი, რომელსაც ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განმახორციელებელ პირში აქვს წილი ან აქციათა 5%-ზე მეტი;

ბ) პირი, რომელსაც აქვს წილი ან აქციათა 25%-ზე მეტი ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირში;

გ) პირი, რომელსაც აქვს წილი ან აქციათა 50%-ზე მეტი ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირში.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვა და ამავე მუხლის მე-3 და მე -4 პუნქტებით განსაზღვრული პასუხისმგებლობა არ ვრცელდება იმ პირებზე , რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ახორციელებენ გადაუდებელ ჰუმანიტარულ დახმარებას მოსახლეობის სიცოცხლის უფლების უზრუნველყოფად , კერძოდ, მოსახლეობას უზრუნველყოფენ საკვებით , მედიკამენტებითა და პირველადი მოთხოვნილების საგნებით .

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული პირები ვალდებული არიან ოკუპირებულ ტერიტორიებზე ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებამდე, ხოლო შეუძლებლობის შემთხვევაში – მისი განხორციელების შემდგომ გონივრულ ვადაში, შეატყობინონ საქართველოს მთავრობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე განსახორციელებელი / განხორციელებული შესაბამისი საქმიანობის დაწყებისა და დასრულების დრო, აგრეთვე წარუდგინონ ინფორმაცია იმ დახმარების შესახებ, რომელიც მათ გაუწიეს მოსახლეობას .“

„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვის მოქმედება ვრცელდება 1990 წლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე, ამ კანონის მოქმედება ასევე ვრცელდება საჩერის რაიონის სოფელ პერევზე, ქურთის, ერედვისა და აჯარის მუნიციპალიტეტების და ახალგორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე. კანონით გათვალისწინებული რეჟიმი მოქმედებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის სრულ აღდგენამდე.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში განხორციელდა შესაბამისი რეგულაცია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 322²-ე მუხლი რომლითაც ინკრიმინირებული იქნა ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება.

სსკ 322²-ე მუხლის მიხედვით „ოკუპირებულ ტერიტორიებზე „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება, –ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით იგივე ქმედება ჩადენილი

ა) ჯგუფურად;

ბ) არაერთგზის;

გ) ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე.

მუხლს ერთვის ავთენტური განმარტება შენიშვნის სახით, რომლის მიხედვითაც „ამ მუხლითგათვალისწინებული ქმედებებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შემდეგ იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

კანონით დაცული ობიექტური ინდივიდუალური სიკეთე რასაც ხელყოფს ქმედება და აყენებს ან შეუძლია მიაყენოს ზიანი დანაშაულის ობიექტი არის სახელმწიფოს სუვერენიტეტი მისი ფინანსური ინტერესი, ქვეყნის ის სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც აწესრიგებენ ეკონომიკურ

საქმიანობას, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი რეგულაციები.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება მოქმედებაში რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით აკრძალულია საქმიანობის განხორციელებაში.

კერძოდ ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებაში მიუხედავად მისი განხორციელების ხასიათისა და მიზნისა თუ ასეთი საქმიანობა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, „მეწარმეთა შესახებ“, „მუზეუმების შესახებ“, „წყლის შესახებ“, „საჯარო რეესტრის შესახებ“ და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონების, საქართველოს საზღვაო კოდექსის ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით საჭიროებს შესაბამისი ლიცენზიის ან ნებართვის მოპოვებას“

ლიცენზია წარმოადგენს საქართველოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე პირისათვის მინიჭებულ უფლებას განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა. კანონით დადგენილი კონკრეტული პირობების დაცვით ლიცენზია გაიცემა განუსაზღვრელი ვადით საქმიანობის საწარმოებლად, ხოლო ნებართვა არის საქართველოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე პირისათვის მინიჭებული უფლება გარკვეული ვადით ან ერთჯერადად განახორციელოს ეკონომიკური საქმიანობა განსაზღვრულ ტერიტორიაზე შესაბამისი კანონით დადგენილი პირობების დაცვით. რა სახის ეკონომიკური საქმიანობაა კონკრეტულად ეკონომიკური საქმიანობის რა მიმართულება საჭიროებს ლიცენზიისა და ნებართვის მიღებას განისაზღვრება საქართველოს ზემოაღნიშნული კანონმდებლობით. საქართველოს კანონმდებლობით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იკრძალება ისეთი სახის საქმიანობის განხორციელება, რომლებიც საჭიროებენ კანონით დადგენილი წესით ლიცენზიების და ნებართვების არსებობას ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ ამ შემთხვევაში შეზღუდვა არის ის, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელმა შესაბამისი ლიცენზია ან ნებართვა უნდა მიიღოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და არა ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე დადგენილი წესით.

სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის შეტანა ან/და გამოტანა სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ბრუნვის ეროვნულ კონტროლს არეგულირებს საქართველოს 2013 წლის 29 ნოემბრის კანონი „სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის შესახებ“ ამ საქმიანობის წარმოებაზე ნებართვა გაიცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხა დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 ივნისის N394 დადგენილებით. „სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხების დამტკიცების შესახებ“ აღნიშნულ ნუსხაში მითითებული პროდუქციის რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე შეტანა ან გატანა მიუხედავად იმისა ასეთს ახორციელებს თუ არა სათანადო ნებართვის მქონე პირი კანონით აკრძალულია და სსკ 322²-ე მუხლით დასჯადი ქმედება.

საერთაშორისო საპარტო და საზღვაო მიმოსვლა გარდა გაეროს 1982 წლის საზღვაო სამართლის შესახებ კონვენციით დადგენილი შემთხვევებისა სარკინიგზო მიმოსვლა და საერთაშორისო საგზაო სატრანსპორტო გადაზიდვა, აღნიშნული საქმიანობა, „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით უპირობოდ აკრძალულია ამდენად მნიშვნელობა არა აქვს რის საფუძველზე და რა ფორმით ხორციელდება ეს საქმიანობა.

გაეროს 1982 წლის კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ (მუხლი 18-ე) გარანტიას აძლევს ნებისმიერი საზღვაო თუ ზღვაზე გასასვლელის არმქონე სახელმწიფოს ნებისმიერი დანიშნულების და ტიპის გემს მიუხედავად იმისა თუ რა სუვერენიტეტს ახორციელებს სანაპირო ქვეყანა მასზე მიუხედავად ტერიტორიული ზღვის სიფართისა ჰქონდეს თავისუფალი ნაოსნობის საშუალება. ხოლო კონვენციის შემდეგი მე-19-ე მუხლი იძლევა გაჩერების და ღუზაზე დგომის უფლებას თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებებით, ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის საჭიროებით. სანაპირო

ქვეყანას არა აქვს უფლება ხელი შეუშალოს მშვიდობიან გავლას. კონვენციის მიხედვით გასვლა მშვიდობიანია თუ ასეთი არ ხელყოფს სანაპირო ქვეყნის მშვიდობას, წესრიგს და უსაფრთხოებას.

2010 წლის 5 მარტს გაეროს ფარგლებში არსებულ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციას (IMO) გაეგზავნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა უცხო ქვეყნების გემების მიერ აფხაზეთის ნაწილში საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის დაუშვებლობასთან დაკავშირებით აღინიშნა რომ აფხაზეთი წარმოადგენს საქართველოს განუყოფელ ნაწილს, რომელიც იმყოფება რუსეთის ფედერაციის ოკუპაციის ქვეშ და რომ უკანონო ნაოსნობის ნებისმიერი მცდელობა მიიჩნევა საერთაშორისო სამართლის მირითადი ნორმების და პრინციპების დარღვევად ვინაიდან 1982 წლის კონვენციის თანახმად ტერიტორიულ ზღვაზე ვრცელდება საქართველოს სუვერენიტეტი. და რომ აფხაზეთის ნაწილში ზღვა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დახურულია საზღვაო მიმოსვლისათვის საზღვაო ორგანიზაციამ მის წევრ სახელმწიფოებს ოფიციალურად შეატყობინა აფხაზეთის ნაწილში საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში საქართველოს თანხმობის გარეშე ნაოსნობის უკანონობის შესახებ.¹

სახელმწიფო რესურსებით სარგებლობა -სახელმწიფო რესურსები მრავალფეროვანია ეს არის ქვეყანაში არსებული ის ფასეულობა რომელსაც სახელმწიფო განკარგავს და შესაბამის კონომიკურ სარგებელს იღებს ამ მხრივ აღსანიშნავია რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ბუნებრივი რესურსები სასარგებლო წიაღისეულის ტყის ფონდის, მერქნული რესურსის ზედაპირული წყლის რესურსების, ცხოველთა სამყაროში არსებული რესურსების და სხვა სახით ეს ის ბუნებრივი რესურსებია, რომლებიც არის ოკუპირებულ ტერიტორიებზე და რომელთა სარგებლობისათვის საქართველოს კანონმდებლობით საჭიროა ლიცენზიის მიღება, სახელმწიფო რესურსებს წარმოადგენს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სხვა ქონება, რომელთა სარგებლობაში გადაცემის თუ პრივატიზების განხრით წარმოადგენს სახელმწიფოს მნიშვნელოვან რესურს.

„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით ვინაიდან ოკუპირებულ ტერიტორიებზე ვერ ვრცელდება საქართველოს იურისძიეცია, სახელმწიფო რესურსებით ბოროტად სარგებლობის შესაძლებლობა აქვს ოკუპანტ სახელმწიფოს და მის მიერ ხელდასმულ საოკუპაციო მარიონეტულ რეჟიმს, ამიტომ სახელმწიფოს რესურსებით ყოველგვარი სახით სარგებლობა იძლევა საქართველოს სსკ 322²-ე მუხლის ობიექტურ შემადგენლობას.

საქართველოს სსკ 322²-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხრივ გამოიხატება ასევე ფულადი გადარიცხვების ორგანიზებაში მისი რაიმე ფორმით ხელშეწყობაში და ნებისმიერი კონომიკური საქმიანობის დაფინანსებაში და ხელშეწყობაში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 322²-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს არ ექნება ადგილი თუ ოკუპირებულ ტერიტორიებზე კანონით აკრძალული კონომიკური საქმიანობა განხორციელდება განსაკუთრებულ შემთხვევებში სპეციალური თანხმობით, რომელიც გაიცემა საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით ეს უნდა ემსახურებოდეს საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს. კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების, დეოკუპაციის მიზნებს და სხვა არსებით გარემოებებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 322²-ე მუხლის დისპოზიცია 322¹-ე მუხლის მსგავსად ბლანკეტურია. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 322²-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება ოკუპირებულ ტერიტორიებზე კონომიკური საქმიანობის დაწყების მომენტიდან.

სსკ 322²-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები იდენტურია სსკ 322¹-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებებისა რაც განხილული იქნა საქართველოს სსკ 322¹-ე მუხლის დახასიათებისას.

¹ინფორმაცია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ საზღვაო ორგანიზაციისათვის ნოტის გაგზავნის თაობაზე <http://www.mfa.gov.ge>

სუბიექტური მხრივ საქართველოს სსკ 322²-ე მუხლით ინკრიმინირებული დანაშაული განზრახია.

დანაშაულის სუბიექტია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს 14 წლის ასაკს მიღწეული ნებისმიერი შერაცხადი პირი. მიუხედავად იმისა საქართველოს მოქალაქეა უცხო ქვეყნის მოქალაქეა თუ მოქალაქეობის არმქონე პირია იგი.

დანაშაულის სუბიექტია ასევე იურიდიული პირი მიუხედავად მისი რეგისტრაციის ადგილისა.

რეზიუმე

რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიათა ნაწილის ოკუპაციით უხეშად დაირღვა საერთაშორისო სამართლით საყოველთაოდ აღიარებული ნორმები და პრინციპები. რუსეთის ფედერაცია კვლავაც განაგრძობს საქართველოს სუვერენიტეტის შელახვას, უკანონო ბოდერიზაციითაგრძელებს ქართული მიწების ოკუპირებას, ახდენს ოკუპირებული ტერიტორიების მილიტარიზაციას, ოკუპირებულ ტერიტორიებზე უხეშად აღღვევს მოქალაქეთა საერთაშორისო სამართლით აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

საქართველოს მიერ 2008 წლის 23 ოქტომბერს მიღებული კანონით „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველო სუვერენული, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფოა და, რომ რუსეთი არის ოკუპანტი.

წინამდებარე ნაშრომში განმარტებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ოკუპირებულ ტერიტორიებზე უცხო ქვეყნის მოქალაქეთა გადაადგილების, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების, უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ გარიგებათა დადების და სხვა საკითხებზე დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი.

Resume

Occupation of parts of Georgian territory by the Russian Federation is a gross violation of universally recognized norms and principles of international law. The Russian Federation still continues violation of Georgia's sovereignty, occupation of Georgian territory through illegal borderization, militarization of the occupied territories, and gross violation of the rights and freedoms recognized by international law of citizens living in the occupied territories.

According to the Law of Georgia on Occupied Territories adopted on 23 October 2008 Georgia is a sovereign, unified, and indivisible state, and the Russian Federation is the occupier.

This present article defines legal regime of free movement of foreign citizens in the occupied territories defined under the Georgian legislation, conduct of economic activities, concluding transactions regarding real property and with respect to other issues.

1. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის სამართლებრივ -პოლიტიკურ ასპექტების შესახებ

ჯანო წულუკიძე
პროფესორი

ცნობილი დემოგრაფი ანზორ თოთაძე წიგნში „დიდი სომხეთის დიადი შემოქმედნი“ აღნიშნავს, რომ მსოფლიო ისტორიაში ანალოგი არ მოეპოვება მეზობელი ქვეყნის მიერ ისეთ უპატივცემულობას, მთელი მისი ისტორიული წარსულის გაყალბებისა და კულტურული მემკვიდრეობის მითვისების ისეთ მცდელობას, როგორც ამას აკეთებენ სომხები : არწმუნი, ერიცოვი, პატკანოვი, ეზოვი და სხვები, რომლებიც შემთხვევას ხელიდან არ უშვებდნენ, რომ ქართველები და საქართველო მიწასთან გაესწორებინათ.

ამის შესახებ ილია ჭავჭავაძე თავის ბრწყინვალე „ქვათა ღაღადში“ აღნიშნავდა: „ლამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვენი ხსენება გააჩანაგონ, ქართველების სახელი დედამიწის ზურგიდან აღგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ. როგორც XIX საუკუნეში, ისე ახლაც, მათი აზრით საქართველო საქართველო კი არა, ძველი სომხეთია.“

ჯერ კიდევ ქრისტეს შობიდან პირველი საუკუნის რომაელი მემატიანე, ტაციტუსი ლაპარაკობდა ქართველ-სომეხთა შორის ძველთაგანვე მომდინარე მტრობასა და სიძულვილზე. სტრაბონი გვამცნობს, რომ სომხურ ენას გაბატონებული მდგომარეობა მოუპოვებია სომხეთის მიერ დაპყრობილ ქართულ მხარეში.

ექვთიმე თაყაიშვილი ამბობდა : „VI-VII საუკუნეებში ქართველთა კათალიკოსი, კირიონი რომ არა, ჩვენ ნამდვილად გავსომხდებოდით. დიდი საქმე ქნა ეროვნული თვალსაზრისით“

მეშვიდე საუკუნის დასაწყისში მოხდა ქართველ-სომეხთა საეკლესიო განხეთქილება. სომხურმა ეკლესიამ მონოფიიტობას (გვიანდეთ ტერმინით - გრიგორიანობას) მიანიჭა უპირატესობა, ხოლო ქართულმა ეკლესიამ - დიოფიზიტობას (მართლმადიდებლობას). IX საუკუნის ბოლოს, როცა არაბთა სახელმწიფო დასუსტდა, სომხეთი ძირითადად ერთიან სახელწიფოდ ჩამოყალიბდა, ხოლო საქართველო ცალკეულ სამეფო-სამთავროებად იყო დაშლილი. სომხეთის მეფებმა ისარგებლეს ამით და შეძლეს IX საუკუნის დასასრულს და X საუკუნის დასაწყისში საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევა. ამის შემდეგ სომხეთმა მოიტაცა ქვემო ქართლის დიდი ნაწილი. მალე სომხეთიც დაიშალა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად, ხოლო X საუკუნის ბოლოს სომხეთისგან მიტაცებულ ქვემო ქართლში შეიქმნა ე.წ „ტაშირ-ძორაგეტის“ სამეფო, სომებ ბაგრატუნთა დინასტიის ერთ-ერთი შტოთი (კვირიკიანების სათავეში). ამ სამეფოს სატახტო ქალაქს 1065 წლამდე წმინდა ქართული ქალაქი, სამშვილდე წარმოადგენდა. ამ ქვემო ქართლში მიმდინარეობდა ქართველ-სომეხთა აშკარა თუ ფარული ბრძოლა IX საუკუნის ბოლოდან XII საუკუნის დასაწყისამდე.¹

1065 წელს ბაგრატ IV-მ გააძევა სომეხი კვირიკიანი მეფეები სამშვილდედან, რომლებმაც ლორეში გადაინაცვლეს, 1118 წელს დავით აღმაშენებლის ჯარმა გარეკა თურქ-სელჩუკები ლორედან და ეს ძველისძველი ქართული მიწა-წყალი კვლავ საქართველოს შემოუერთდა.

1918 წლის დეკემბერში ომის გამოცხადებლად, ინგლისის მხარდაჭერის იმედით სომხეთის ჯარი შემოესია საქართველოს. სომხები დამარცხდნენ, მაგრამ ინგლისის ჩარევით, უძველესი ქართული მხარე, ლორე-ტაშირი ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა. რამდენიმე წლის შემდეგ საბჭოთა რუსეთმა ლორე-ტაშირი სომხეთს უბოძა, ისევე როგორც საინგილო-აზერბაიჯანს.

¹ თოთაძე ა. „დიდი სომხეთის დიადი შემოქმედნი“, 2014 წ.

ერთი ისტორიული მოვლენაც გავიხსენოთ. ქართულმა მხედრობამ, გენერალი გიორგი მაზნიაშვილის სარდლობით 1919 წელს სოჭი დაიკავა.

მაგრამ, 1919 წლის 29 იანვარს, სოჭი დისლოცირებულ მცირერიცხოვან ქართულ გარნიზონს დენიკინებმა ალყა შემოარტყეს, ნაწილი გაანადგურეს და ნაწილიც ტყვედ ჩაიგდეს. როგორც იმ პერიოდეს ქართული პრესა იუწყება: „ორი თვის წინ, ბორჩალოს მაზრაში, საქართველო-სომხეთის ომში განცდილი მარცხის გამო განაწყენებულმა სომხებმა დენიკინებს ქალაქის აღებაში დიდი დახმარება გაუწიეს.“

ბიზანტიულებთან, ბერძნებთან ერთმორწმუნეობაში ბზარს აჩენდა ისიც, რომ დასავვლეთ საქართველოს ეკლესია IV საუკუნიდან მოყოლებული X საუკუნეში ბერძნული იყო. ბიზანტიულებსა და ქართველებს შორის გაჩაღდა მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა, რომელიც X საუკუნეში დასავლეთ საქართველოს ეკლესიის საბოლოო გაქართველებით დამთავრდა.

აფხაზი სტანისლავ ლაკობა კიდევ უფრო შორს წავიდა, მისი აზრით კაცობრიობა წარსულში აფხაზურ ენაზე ლაპარაკობდა და მომავალშიც აფხაზურ ენაზე ილაპარაკებს. ამ აკვიატებული აზრის დასამტკიცებლად იგი „ასაბუთებს“ აფხაზური ენის ნათესაობას ჩინურ, ტიბეტურ, ხეთურ, ბასკურ, აშშ-სა და კანადის წყნარი ოკეანის სანაპიროებზე გავრცელებულ ციმშიაჩინუკისა და და სხვა ენებთან.

ჩვენი უძველესი წარსულის გასაშუქებლად ფასდაუდებენ მასალას გვაწვდის არქეოლოგიური და წერილობითი წყაროები, ეთნოგრაფია და სხვა. ამ წყაროებზე დაყრდნობით დამტკიცებულია, რომ უძველესი დროიდან თანამედროვე საქართველოს და მის სამხრეთით, განსაკუუთრებით, შავი ზღვისპირეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთით მიმდებარე ტერიტორია ქართველთა ტომებით იყო დასახლებული.¹

არჩილ ჯორჯაძეც ხომ ოპტიმალურ გზებს იკვლევდა საქართველოს უკეთესი მომავლის ძიებაში. მას კარგად ესმოდა ეროვნული იდეოლოგიის მნიშვნელობა, რომელიც ორგანულ კავშირშია საკაცობრიოსთან. ეროვნულობა საკაცობრიო იდეალებს უნდა ემსახურებოდეს. ამის გარეშე ქართველი ერის წინსვლა გამორიცხულად მიაჩნდა. მისი აზრით, დიდი თუ პატარა ერებისგან შედგა კაცობრიობა, ამდენად ეროვნულ სული ორგანულ კავშირშია საკაცობრიოსთან. არჩილ ჯორჯაძის ამ მოასაზრებამა ახალი შინაარსი დღევანდელ პირობებში, როცა ქვეყანა თავისი ისტორიული განვითარების გზაჯვარედნზე დგას და როცა კოსმოპოლიტიზმი და ინტეგრაციული პროცესები ახალ სტადიაში შედის, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძევნს ეროვნულ თავისებურებათა წარმოჩენა და დაცვა.

ჰეგელიც ხომ ამბობდა, რომ მხოლოდ კავკასიის ხალხში აღწევს სული თავის აბსოლუტურ მთლიანობას, ერთიანობას საკუთარ თავთან ასოლუტურ დამოკიდებულებას... აღწევს თვითგამორკვევას, თვითგანვითარებას და ამით წინ მიჰყავს მსოფლიო ისტორია. მსოფლიო ისტორიაში პროგრესო კავკასიის რასის წყალობით ხდებაო.

მსოფლიოს ახალ იდეოლოგიად მიჩნეულია რელიგიური მონდიალიზმი, იგივე ეკუმენიზმი, რომლის მიხედვით მსოფლიოს ყველა რელიგია კარგია, ამიტომ აუცილებელია მათი გაერთიანება საყოველთაო რელიგიად, რომელმაც უნდა აღიაროს მსოფლიოს დიდი არქიტექტორი („ბაფომეტი, სატანა“).

2003 წლის გაზაფხულზე პარლამენტში საანგარიშო სიტყვის სათქმელად მისულ მაშინდელ პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს „აღორძინების“ წევრმა ელიზბარ ჯაველიძემ სახალხოდ მიახალა - მასონი ხარო !

მანამდე, ჯორჯ ბუშთან შეხვედრისას შევარდნაძემ რამდენჯერმე გაუსვა ხაზი, რომ დროა , დაჩქარდეს ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება. ოლეგ პლატონოვის წიგნში „ეკლიანი ვირგვინი“ რუსეთზე წერია - ყოფილ საბჭოთა კავშირში მსონთა პატრიარქები იაკოვლევი, შევარდნაძე და გორბაჩოვი არიანო. მასონი იყო ბორის ელცინი, მათ სიაში იკითხებოდა კახა ბენდუქიძე, რომელიც 1993 წლიდან იყო კლუბ „ურთიერთქმედების წევრი“

¹ ჯავახიშვილი ივ. ტ IX , 2002წ.

სიონისტების მეათე ოქმში არის ასეთი ტერმინი - პანამა, გასვარე და იბატონეს ნიშნავს. შევარდნაძე თავისი საქმიანობისას ამას მოხერხებულად იყენებდა. გაძლიერებულის ჩადენის, მილიონების მითვისების უფლებას, შემდეგ კი პირველი კაცი მისთვის საჭირო დავალებას გაძლიერს, ჭინააღმდეგობის შემთხვევაში თითს დაგინევვენ და შენი წარსული საქმეებით დაგემუუქრებიან. იმავე მათე ოქმში წერია: „ხალხი ბრბოა. იმ ბრბოდან ამოვიყვანთ ერთ პაიკს, გავსვრით, დავამუშავებთ და მას დავსვამთ პრეზიდენტად.“

ხელისუფლებაში უმრავლეს თანამდებობებს იკავებენ ეთნიკურად არაქართველები, რომლებსაც გვარები აქვთ შეცვლილი. გამოცხადებულია ბრძოლა მართლმადიდებლობის წინააღმდეგ. ჩვენთან მოშლილია სოფლის მეურნეობა, სამრეწველო ობიექტები და ა.შ.

ერი და ეროვნული ინტერესები არავის დავიწყებია, თვით „ბებერ ევროპაშიც“ კი, სადაც ინტეგრაციამ წაშალა სახელმწიო საზღვრები და სხვა მნიშვნელოვანი ატრიბუტი და დანარჩენ ვეყნიერებასაც იმას უჩვენებს, რომ კაცობრიობის მშვიდობიანი ცივილიზებული განვითარება ბოლოს და ბოლოს, უსაზღვრო და ინტეგრირებულ მსოფლიომდე მიგვიყვანს ყველას, მაგრამ ხალხთა და ქვეყნათა დაახლოება ინტეგრირების იდეალურ პირობებშიც კი, ეროვნული თვისებურებანი და მათგან გამომდინარე ცხოვრების წესი და ტრადიციები უკვდავნი არიან. შოტლანდიელი ვერასოდეს გახდება იტალიელი, ანდა სომები - არაბი. ე.ი საკაცობრიო იდეალების დიდი გზა „ეროვნულ ნიადაგზეც“ გაივლის.¹

კურიოზია, მაგრამ ფაქტია, რომ სასკოლო ასაკის დადგომიდან აღზრდას ცვლიან განათლებით და არ ითვალისწინებენ იმ უდავო ფაქტს, რომ აღზრდა-განათლება ერთიანი პროცესია: როცა მოსწავლე აკაკის „თორნიკე ერისთავს“ ასწავლი, ამ დროს იგი განათლებას, ანუ ცოდნასასც იძენს და პატრიოტული სულისკვეთებითაც იმსჭვალება (ეს არის სწორედ პატრიოტული აღზრდა),, ანუ როცა ილიას პოემას „მეფე დიმიტრი თავდადებული“ ასწავლი არა მარტო საქართველოს ისტორიის გარკვეულ მონაკვეთზე აწოდებ მოსწავლეს ცოდნას, არამედ ზნეობრივადაც ზრდი , ამაღლებ, სრულყოფ. მსგავსი ფაქტები ჩაენაცვლებიან ერთმანეთს, თუნდაც იმიტომ, რომ თავად განათლება აღზრდის საშუალებით ხორციელდება.

ახლახან იუსტიციის სახლში ვიყავი, უნდა გენახათ რამდენი არაბი, ერაყელი, ირანელი და პაკისტანელი რეგისტრირდებოდა საჯარო და სამოქალაქო რეესტრში. ზოგიერთი იტყვის - რამ შეგამინათ გერმანიასაც ხომ ჰყავს მრავალი მილიონი თურქი ემიგრანტტი, ხომ გაუძლეს გერმანელებმა, ჩვენც გავუძლებთო.

ჯერ ერთი, გერმანიის მოსახლეობა 81 მილიონ ადამიანს შეადგენს, ხოლო საქართველო 3 მილიონიანი მოსახლეობით ვერ გაუძლებს ამხელა ზეწოლას. მიგრაციული პროცესების გამო, ჩვენს ქვეყანაში შეიქმნება მუსლიმანთა თემები, მოითხოვენ სკოლებსა და მეჩეთების აშენებას და ა.შ როგორც ძველ საქართველოში იყო, ახლანდელ საქართველოშიც ქართველობის რჯული უნდა გახდეს ქართველთა ცხოვრების ყველა სფეროს განმსაზღვრელი.²

დიდ ბრიტანეთში მუსლიმი ემიგრანტების ქონებრივი დავის განხილვისას უკვე, 1982 წლიდან, ადგილობრივი სასამართლოები შაიათის ნორმებს ითვალისწინებენ.

დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე მოქმედებს 85 შარიათის სასამართლო, რომლებიც მხარეთა შეთანხმებით მუსლიმანთა ოჯახურ და ფინანსურ დავებს განიხილავს. ჰოლანდიაში მოსამართლეებს უფლება აქვთ, გამოიყენონ შარიათი, თუ ის არ ეწინააღმდეგება ადგილობრივ კანონმდებლობას. გერმანიაში ირანის, ერაყის, ან საუდის არაბეთის მოქალაქეთა ქონებრივი დავების განხილვისას გერმანიის სასამართლო ითვალისწინებს შარიათის კანონებს.

ისლამური სამყაროს დასავლეთის ცივილიზაციას იზიარებს, მაგრამ არ უშვებს დასავლეთის ცხოვრების წესის შეჭრას მუსლიმანის სულიერ ცხოვრებაში.

¹ ტალიაშვილი ა. მუსლიმანური სამართალი, უურნალი „იურისტი“, #1, გვ 37

² ლობჟანიძე გ. „ისტორიული პარალელები“, 1999წ.

ევროპული სასამართლოს გავლენა მუსლიმანურ ქვეყნებში დაკავშირებულია საერთაშორისო ინტეგრაციასა და ეკონომიკურ თანამშრომლობასთან.

დღევანდელი ქართველი ერიც თავის სამშობლოს ვერ პარონობს, პატრონობა იმას ნიშნავს, რომ ერმა უნდა შეძლოს საკუთარი ქვეყნის ბედის პატიოსან, განათლებულ, საქართველოსთვის თავდადებულ ადამიან მიანდოს.

გლობალიზაციის ეპოქაში საქართველოს თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის, უმთავრესია, რომ ჩვენ ტრადიციებზე დაყრდნობით შევქმნათ თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მიღწევებმე დაფუძნებული ქართული შახელმწიფო. ხელისუფალთ, ქვეყნის ტერიტორიული უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან ერთად, მოეთხოვებათ სულიერი და ეროვნული ღირებულებების დაცვა და განვითარება.

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია საქართველოს ისტორია სამართლებრივ-პოლიტიკურ ჭრილში. ნაშრომში მოცემულია შარიათის სასამართლოების არსებობა და საზღვარგარეთის ქვეყნებში, ამ სასამართლოების გამოყენების წესი და თავისებურებანი.

Resume

In this labor we have got the consideration of Georgian history in the legal-political point of view, also the Shavia's courts existence in abroad countries, terms of use and peculiarities of these courts.

2. ცნობიერება და დანაშაული

ნათელა მაისურაძე

პროფესორი

თეა კვაბზირიძე

ასოცირებული პროფესორი

ცნობიერება — როგორც განმარტებით ლექსიკონებში ვკითხულობთ, არის შინაგანი მოვლენებისა და გარემოს პირობების ცნობიერად აღქმის მდგომარეობა. ცნობიერება და ფსიქიკა ყალიბდება ჯერ კიდევ ადამიანის მუცლად ყოფნის დროს. ცნობიერების უმაღლესი დონეა თვითცნობიერება, შემცნება, (გაცნობიერება). იგი მოიცავს აღქმებს, აზრებს, გრძნობებს, წარმოდგენებსა და სურვილებს, ანუ ადამიანის მენტალურ აქტივობას. ცნობიერება ადამიანის განსაკუთრებულობის საფუძველია. ცნობიერებას არ ახასიათებს საგნობრივი არსებობა, იგი თავისი ბუნებით ფარულია, თუმცა იგი სწორედ საგნობრივი სამყაროთია განსაზღვრული. მის გამოსავლენად საჭიროა რაიმე გამღიზიანებელი, ინფორმაციის ნაკადი, რომელიც მას აიძულებს ყურადღება მიაქციოს, შეარჩიოს, დაგეგმოს, შეამციროს, აკონტროლოს, შეაფასოს იგი და განასხვავოს, ერთი მხრივ, საკუთარი აქტიური არსებობისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, საკუთარ თავს უყუროს გარედან როგორც ამ სიტუაციაში მყოფს და მიიღოს გაცნობიერებული, ახლებური გადაწყვეტილება, განსხვავებით ცხოველის ინსტინქტებისა, რომელიც ადამიანს შედარებით ნაკლებად აქვს განვითარებული. ცნობიერებას მოქმედებაში მოჰყავს ყველა რესურსი და ინფორმაცია და მართავს თავის მოქმედებას საკუთარი მიზნების განსახორციელებლად. ცნობიერებით ადამიანს აქვს უნარი იყოს თავისუფალი, განახორციელოს არჩევანი, შეიცნოს საკუთარი თავი და განასხვავოს სხვისაგან, გაუგოს სხვას და იქნეს გაგებული სხვათა მიერ.

ცნობიერება არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი საკუთარი თავის შეფასების თვალსაზრისით, ვინაიდან მისი საშუალებით ადამიანი უყურებს და აფასებს საკუთარ თავს სხვისი თვალით. ცნობიერებით ადამიანს შეუძლია იყოს საკუთარ თავთან გულწრფელიც ან მიაძინოს სინდისის ქენჯნა. დანაშაულის ჩადენისას სწორედ ეს უკანასკნელი მოქმედებს და ანთავისუფლებს მას იმ სულიერი განცდებისაგან, რომლებიც დანაშაულის ჩადენის შემდეგ მთელი სიმწვავით იჩენს თავს. ასეთ ყოფას კი, ისევე როგორც სხვა ყველაფერს, ადამიანი ეჩვევა და მისი ცხოვრების წესად იქცევა და ჩვენ ვხედავთ უკვე საკუთარ – გადაგვარებულ ცნობიერებას შეჩვეულ არსებას, რომელსაც სხვა გზა აღარ დარჩენია იმისათვის, რომ შეცვალოს თავისი ცხოვრება და მექანიკურად მიჰყება დამნაშავეობრივ სამყაროს. მართალია, ზიგმუნდ ფროიდის მიხედვით, ფსიქიკური პროცესები არასასაიამოვნო ცხოვრებისეულ მოგონებებს და ტაბუირებულ სურვილებს პერმანენტულად დევნიან ცნობიერებიდან, მაგრამ, დანაშაული იმდენად ძლიერ ფსიქიკურ პროცესებთან არის დაკავშირებული, რომ მათი სრულად განდევნა, ფაქტიურად, შეუძლებელია. ისინი მუდმივად რჩება ადამიანის ფსიქიკაში და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მას.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში ვკითხულობთ: ცნობიერება შეიძლება სამ დონეზე განისაზღვროს: შინაგანი და გარეგანი სამყაროს გაცნობიერება, იმის გააზრების შესაძლებლობა, რასაც ვაცნობიერებთ (აღვიკვამთ) და საკუთარი თავის, როგორც ცნობიერი, მოაზროვნე არსების განცდა. მრავალი სხეულებრივი პროცესი, როგორიცაა, მაგალითად, სუნთქვა, ჩვეულებრივ, არაცნობიერია. ჩვენ ვფლობთ უზარმაზარ ინფორმაციას, რომელიც ინახება მეხსიერებაში; ეს უკანასკნელი კი წინარეცნობიერს წარმოადგენს, საიდანაც მოთხოვნისთანავე შეიძლება გადავიდეს საჭირო ინფორმაცია ცნობიერში. ყურადღების მიღმა დარჩენილი ინფორმაცია არის გარემოში არსებულ სტიმულთა დიდი რაოდენობა, რომელსაც ცნობიერად არ ვაქცევთ ყურადღებას. თუ ფროიდი არაცნობიერს განდევნილ მოგონებებთან აკავშირებდა, თანამედროვე მკვლევრები აფართოებენ არაცნობიერის ცნებას და მასში ინფორმაციისა და პროცესების მრავალ სახეობას მოიაზრებენ. ფსიქოლოგები ცნობიერების შინაარსის შესასწავლად იყენებენ ისეთ მეთოდებს, როგორიცაა ხმამაღალი ფიქრის ოქმები და გამოცდილებით შერჩევის მეთოდი¹.

ადამიანის ცნობიერება განიცდის განვითარებას და დღეს მისი პროგრესი სახეზეა - ჯოგური ცნობიერებიდან ინდივიდუალურ ცნობიერებამდე. მაგრამ ეს ყოველივე დიდი ბრძოლებისა და

¹ <https://pragenti.wordpress.com/2011/05/26/ცნობიერების-შინაარსი/>.

გამოცდილების შედეგია. ადამიანის ცნობიერების ჩამოყალიბებაზე უდიდესი ზეგავლენა აქვს როგორც ინდივიდუალურ და გენეტიკურ ფაქტორებს, ასევე სოციალურ თუ სხვა პირობებს. ფ.დოსტოევსის აღწერით, რასკოლნიკოვის პიროვნებაში გაერთიანებულია დამნაშავის, ერთი მხრივ, გონიერება, სიამაყე, სერიოზულად და გამორჩეულად მოაზროვნე, მარტოსული, გოლჩათხრობილი, დარწმუნებული თავის გამორჩეულობაში, ჭკვიანი და ლამაზი შავი თვალები და, მეორე მხრივ, გარემო მტვრიანი, ლოთებისა და დამნაშავების ქალაქი, რომელიც სიცოცხლეს გამოსწოვს ადამიანებს, რომლებსაც არ ჰყოფნით ჰაერი. საცხოვრებელი - ვიწრო, როგორც კარადა. საღამოს ჩამავალი მზე და ღამის ჩაბნელებული პეტერბურგი, სარდაფების სუნითა და ნისლით. დამნაშავის სულიერი კოშმარი. ბოდვა და მერყეობა ერთი უკიდურესობიდან მეორეში, რომლებიც ადამიანებთან ხან შეწყალებასა და დახმარებაში იჩენს თავს, ხან კი მათ მიმართ ზიზღში. ასეთი გაორმაგებული ბუნება მუდავნდება მის სიზმრებშიც. და სახეზეა საკუთარი ცხოვრების დამანგრეველი პიროვნება, რომლის ცნობიერება ვერ ეგუება არსებულ ქაოსს მის ირგვლივ, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, გონიერ, ამაყ და გამორჩეულ აზროვნებას, რომელიც სრულ შეუსაბამობაშია გარემოსთან და გაუცხოებულია.

ბუნებრივად ისმის კითხვა: განა მის გვერდით მყოფი ადამიანების გარკვეული ჯგუფი რასკოლნიკოვზე ნაკლებად აზროვნებენ ან არ აწუხებთ იმდროინდელ პეტერბურგში არსებული სოციალური სიმახინჯეები, ან ეკონომიკური სიდუხჭირე და ა.შ.. მაშ რატომ არ ხდებიან ისინი დამნაშავეები?! აქ, ალბათ, მაინც განეტიკურ ფაქტორებზე უნდა გაკეთდეს მინიშნება, რომელსაც ადამიანები, სამწუხაროდ, ვერ შევცვლით. ცნობიერმა, რომელსაც არაერთი მაორგანიზებელი თვისება გააჩნია - უმნიშვნელო ინფორმაციის უგულებელყოფა და მნიშვნელოვანზე ფოკუსირება, ინფორმაციის შერჩევა და შენახვა, მიზნის დასახვა და გეგმის შედგენა, მისი განხორციელება ან შეჩერება შედეგების გაზრების კვალობაზე ან წარსულის გამოცდილების საფუძველზე, გარემოსთან ადაპტაცია და გადარჩენაზე ზრუნვა, მატერიალური სურვილების შეჩერება და ა.შ. ვერ მოახერხა საკუთარი გენეტიკის მოთოვა და შედეგიც სახეზეა.

ასეთივე შედეგი გვაქვს გ. ფანჯიკიძის რომანში „სპირალი“, სადაც ხანდაზმული ფიზიკის დოქტორის გონება გადანერგილი ახალგაზრდა დამნაშავის სხეულში იმდენად ძლიერ იმორჩილებს ცნობიერს, რომ მიუხედავად გონებისა და ცოდნის სიძლიერისა, დამნაშავის გენეტიკა ამ შეჯვარებულ პიროვნებას სასტიკ დამნაშავედ აყალიბებს და მეტიც, გამორჩეული აზროვნება კიდევ უფრო სრულყოფილს ხდის იმ ხერხებსა და საშუალებებს, რაც მისი დანაშაულის ჩადენას ემსახურება. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს დამნაშავის ახალგაზრდობას, ერთი მხრივ, და მეცნიერის ხანდაზმულობას, მეორე მხრივ, რაც ცნობიერის სისუსტეზე მიგვითითებს. რომანში ყურადღება გამახვილებულია იმ საბედისწერო დამთხვევაზე, რომლის ძალითაც ერთმანეთს ხვდება მეცნიერის გონება და მისი შვილის მკვლელი დამნაშავის სხეული. ამ საბედისწერო პრობლემის გაცნობიერებას უკვე ვეღარ უძლებს მისი ცნობიერი და საკუთარ სხეულს თვითონვე ანადგურებს. აქ სახეზეა ცნობიერის შინაგანი ძალის დემონსტრირება, რომელიც გაორმაგებული ძალით ებრძვის მასში არსებულ დამნაშავეს.

ცნობიერების ძალა მის სულიერებაშია. ისინი ერთმანეთს განაპირობებენ, ავსებენ, აძლიერებენ და ინდივიდს ღვთაებრიობასთან აახლოებენ. ამიტომ დახვეწილი სულიერება ცნობიერების ღრმა შინაგანისარსებობისმდგომარეობა სულიერებასთან ერთად მოქმედებს და ვინაიდან დამნაშავე სულიერად ჩამქრალი არსებაა, მისი ცნობიერებაც შეზღუდულია და მხოლოდ საკუთარ სარგებლიანობაზეა ორიენტირებული, რომლის სარეალიზაციოდ ყველა ხერხსა და საშუალებებს იყენებს, მათ შორის აკრძალულსაც.

როგორც არაერთხელ მივუთითეთ, ადამიანი უსასრულოდ მრავალფეროვანი არსებაა. მას აინტერესებს სხვადასხვანაირი, არც თუ იშვიათად ერთმანეთისაგან სრულიად საპირისპირო განცდების შეგრძება და მისი შედეგების გაცნობიერება. მაგალითად, სიმთვრალე, ძლიერი სულიერი ვნებები და ა.შ. ფსიქოლოგები ამ შემთხვევაში ურჩევენ ადამიანებს გავიდნენ ტყეში და იყვირონ მთელი ძალით, რომ გათავისუფლდნენ შეკავებული სურვილებისა და განცდების ტყვეობიდან. მაგრამ ხშირად ეს საკმარისი არ არის და ადამიანებს უშუალოდ სურთ განიცადონ ყველაფერი ის, რაც მორალური კანონებით იკრძალება. ანუ სასურველი ხდება სწორედ ის, რაც იკრძალება. მაგალითად, დიაბეტიკებს, რომელებსაც

შაქარზე დამზადებული ტკბილეული ეკრძალებათ, სწორედ ეს ტკბილეული იზიდავთ და არა მათთვის სპეციალურად არსებული ასევე ტკბილი გემოს მქონე სასუსნავი.

ასეთი სურვილების დაკმაყოფილების სურვილი სხვათა ტკივილს არ იწვევს და ამიტომ მისაღებია. მაგრამ, თუ ეს სხვების თავისუფლებასა და უფლებებს არღვევს, მაშინ ჩვენს წინაშეა მოძალადე, და თუ მის სურვილებს წინ აღუდგებიან, ეს გამოიწვევს მასში არსებული ძლიერი დაუმორჩილებლობის, საკუთარი სიძლიერის დემონსტრირების სურვილის ან ქვეცნობიერში არსებული სამაგიეროს გადახდის განცდის ცნობიერში გადასვლას და შესაძლებელია დანაშაულიც რეალური გახდეს.

აქედან გამომდინარე, ალბათ აუცილებელია შესაძლო მსხვერპლმა ეს გააცნობიეროს და წინააღმდეგობას გონივრული ქმედებით ან კარგად აწონილი და მისი ქმედების შესაჩერებლად გათვლილი სიტყვითა და ჟესტებით უპასუხოს.

უილიამ ჯემსი აღწერდა ინფორმაციის დიდ რაოდენობას, რომელიც შეგრძნების რეცეპტორებს ეჯახება, როგორც ყველა მხრიდან მომდინარე „მოზუზუნე“, მზარდი ქაოსი“, რომელიც დიდ ქალაქებში „მტრის შემოსვის“ ხმაურში გადადის. ამ დაუსრულებელ ხმაურსა და ქაოსში კი რთულია შეინარჩუნო საკუთარი ინდივიდუალობა და მისი მართვა. ადამიანთა გარკვეული ნაწილი ამას ახერხებს, დამნაშავეთა სამყარო კი ამ თვალსაზრისით თავდაპირველად დინებას მიჰვება, შემდეგ კი ეს ჩვევაში გადადის და დიდია ალბათობა, რომ დამნაშავის ჩამოყალიბებულ ფსიქიკურ მივიღოთ, თუ ამის პირობებიც შეიქმნება.

და მაინც, ცნობიერებისა და ცოდნის ერთობლიობის მიუხედავად, სიცოცხლის შენარჩუნებისა და მისი დახვეწა-განვითარების დიდი სურვილის არსებობის მიუხედავად, მაინც არსებობს დანაშაული. მაშ რა განსაზღვრავს დამაშაულის ჩადენას? ცნობილი თვალსაზრისის მიხედვით, დანაშაულის ჩადენის პირველ ფაქტორად ასახელებენ სოციუმს, როდესაც დანაშაულის ჩადენის მიზეზად მიიჩნევენ უაღრესი სიღარიბისა და სიმდიდრისკენ ლტოლვას.

ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან დამნაშავეთა სამყარომ არაერთი შემთხვევა იცის, როდესაც, ერთი მხრივ, დამნაშავე საკმაოდ შეძლებული ოჯახიდან არის, მაგრამ მაინც მიდის დანაშაულზე, ვინაიდან არ ჰყოფნის ის, რაც აქვს. მეორე მხრივ, არაერთი ადამიანი დარიბი ფენებიდან მხოლოდ საკუთარ შესაძლებლობებს იყენებს სიღარიბიდან თავის დასაღწევად და აზრადაც არ მოსდის დანაშაულის ჩადენა.

ამდენად, სიღარიბე და სიმდიდრე არ განსაზღვრავს დანაშაულის ჩადენას.

მეორე ფაქტორია ფსიქოლოგიური მოტივი - ესაა დანაშაულის ჩადენის მიზეზი, გამოწვეული ბავშვობის მძიმე ტრავმებით. ბევზვი, რომელიც ყოველდღე უყურებს მშობლებს შორის ძალადობას (ან თვითონაა ძალადობის მსხვერპლი), უყურებს გალოთებულ მამას, რომლის პირველი და უკანასკნელი საზრუნავი ალკოჰოლის მიღებით საწადელის ასრულებაა. ამის გამო დამნაშავეს ადრეული ასაკიდანვეუ მახინჯდება ფსიქოლოგია და სრულყოფილ პიროვნებადვერყალიბდება. დანაშაულის ჩადენითისთავის დამკვიდრება სცდილობს სასტიკ რეალობაში, რადგანპერნია, რომ სწორად იქცევა, თუმცა ისიც ნელ-ნელაფლობა კრიმინალის მორევში.

ვერც ამ მოსაზრებას დავეთანხმებით, ვინაიდან ძალადობისა და გალოთებული მამის შემყურე მოზარდისთვის არცთუ იშვიათად, ეს ქმედებები უბიძგებს მას – არასოდეს მოხვდეს მსგავს სიტუაციაში, ვინაიდან მას აწუხებს სირცხვილის შეგრძნება, იმის გამო, რაც მის ოჯახში ხდება – ქუჩაში დაგდებული გალოთებული მამის ან მოძალადე მშობლის გამო. ამიტომ იგი საკუთარ შესაძლებლობებში ეძებს გამოსავლის პოვნას, და პოულობს კიდეც, რაც საზოგადოებაში საკუთარი ღირსეული ადგილის პოვნაში ეხმარება, ან სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებს. ამდენად, არც მძიმე ბავშვობა არის დანაშაულის ჩადენის ან დამნაშავედ პიროვნების ჩამოყალიბების უპირობო მიზეზი.

დანაშაულის ჩადენის მესამე ფაქტორად ასახელებენ სურვილს, გამოწვეულს შურისძიების წყურვილითან საკუთარი ღირსების დაცვის გამო.

ამ შემთხვევაში, არსებობენ ადამიანები, რომლებიც, მიუხედავად შურისძიების სურვილისა, კარგად აცნობიერებენ, რომ დანაშაული, რომელიც მათ მიმართ იქნა ჩადენილი დაუსჯელი არ დარჩება სამყაროში არსებული კანონზომიერებით, ან ითვალისწინებენ ბრძენთა შევონებას, რომლის თანახმად: „დაელოდე და მდინარე შენს მტერს შენს თვალწინ ჩამოგიტარებსო“. რაც შეეხება ღირსების დაცვას, აქაც არსებობს უამრავი გონივრული ხერხი, ღირსების დასაცავად. ამიტომ დანაშაულის ჩადენის აღნიშნული ფაქტორები ასევე არ არის ერთადერთი აუცილებლობა დანაშაულის ჩასადენად.

მეოთხე ფაქტორია ის, რომ, როგორც გიორგი კობერიძე მიუთითებს თავის ერთ-ერთ ბლოგში, მოძალად ეყოველთვის ემებს თავისზე სუსტს, რადგან იცის, თავისი „სიძლიერე“ მხოლოდ შედარებითა და ხვდება, თავისზე ძლიერს ვერასდროს შეერკინება, რადგან გარდაუვალი დამარცხება ხვდება წილად. მაგრამ განა ვინ შეიძლება იყოს მანიაკზე, მკვილელზე, მოძალადეზე სუსტი, მხდალი დადაცემული?! ალბათარცარავინ, ან ძალიან ცოტა. მაშ რატომ ხდება დანაშაული?! პასუხი მარტივია: ადამიანი ექსტრა ორდინალურ სიტუაციაში კარგავს მოქმედების უნარს და თავისი დაბნეულობით დამნაშავეს უბიძგებს დანაშაულის ჩადენისავენ, რაც ერთგვარი წაქეზებაც კია.

არაერთხელ დაფიქსირებულა შემთხვევა, როდესაც დამნაშავეს თავი უმართლებია მხოლოდ იმით, რომ აღუნიშნავს, დაზარალებულმა თავისი სისუსტით, თავისი უმწეობით მიმიზიდა და გამიჩინა სურვილი გამენადგურებინა იგიო. რა თქმა უნდა, ასეთი სასაცილოდ უმწეოდა ამასთანავე სატირალი ახსნა აღბათ არც კი გაგონილა, მაგრამ წმინდა ფსიქოლოგიური ხედვა გვასწავლის, რომ დამნაშავე გარკვეული თვალსაზრისით მართალია, როდესაც ამბობს, რომ მისმა სისუსტემ უბიძგა მასავის ქმნისავენ. აბა ადამიანი აჩვენებდეს თავის ძალასიქ, სადაც ამის საჭიროებაა, მდ ანაშაულები აღარ იქნებოდა?! აღბათ იქნებოდა, მაგრა მარა ისეთი საზარელი და მრავალფეროვანი, როგორსაც დღეს ვხედავთ. მაგრამ საზოგადოების პრობლემა სხვარამეშია. ადამიანები თავიანთ ძალას და „რკინის მკვნეტელობას“ აჩვენებენ, სადაცან ამის საჭიროება არ არის, ანმეტიც, უკურეაქციასგამოიწვევს. თუმცადა საკუთარ თავში დარწმუნებულნი არიან, რომ სწორად მოიქცნენ. საბოლოოდ კი, როდესაც საქმე საქმეზე მიღება, რატომღაც ეს ყოვლიმომცველი ბასტიონი, ფიტულად და შიშის ბუკეტად იქცევა და უბრალო გამვლელსაც კი აღუძრავს ეჭვს, ნეტავ რას ჭირს ამადამიანსო?! ჩვენ რომ იდეალურ საზოგადოებაში ვცხოვრობდეთ, ადამიანის სისუსტის ან სიძლიერის პრობლემის დაყენება არ დაგვჭირდებოდა, მაგრამ რადგან ჯერ ასეთი სოციუმი ვერ შედგა, ამიტომ ცხადია, უნდა გვახსოვდეს, დანაშაული იქმნება იქ, სადაც ძლიერი ჩაგრავს სუსტს. ამიტომც ხოვრებისეული პრინციპი უნდა გვახსოვდეს: არ დაუშვათ იყოთ სუსტი იქ, სადაც თქვენ ძალას ელიან (მოძალადეს წორედ სუსტს ეძებს) და არ დაუშვათ იყოთ შეუვალნი სადაც თქვენ მეგობრობას ელიან¹.

ვეთანხმები ამ მოსაზრებას, განსაკუთრებით საბაზრო ეკნომიკის პირობებში მართლაც დამღუპველია სისუსტის გამოჩენა, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებსაც საპირისპირო რეაქცია აქვთ სუსტისა და მიუსაფარის მიმართ და ყველაფერს აკეთებენ მის დასახმარებლად, ვინაიდან მოქმედებენ ჩემს მიერ ჯერ კიდევ ადრეულ ნაშრომებში ჩამოყალიბებული პრინციპით: „სიკეთე ქმენ, ქვაზე და წინ დახვედრას ნუ დაელოდები, გაიარე და წადი შენივე სიკეთის ქმედებით ბედნიერი და თავისუფალი“. ან საპირისპიროდაც ხდება, როდესაც დამნაშავე მასზე უფრო ძლიერს უპირისპირდება და ამით, თითქოს უნდა სწორედ მის სიძლიერეს აჯობოს და ამიტომ მიდის დანაშაულზე. განსაკუთრებით მომწონს დასკნა, რომლის მიხედვით სიძლიერის დამტკიცების ადგილს კარგად გათვლილი სიტუაცია სჭირდება, ისევე როგორც მეგობრობას მეგობრობით უნდა უპასუხო და არა მიუკარებლობით. მაშინ დანდაშაულის ჩადენის სურვიც არ იარსებებს არც ოპონენტის და არც მეგობრის მხრიდან.

დანაშაულის ჩადენის ხერხები და საფუძვლები იხვეწება ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარების, ადამიანთა განვითარების კვალობაზე. ამიტომ რაც უფრო განვითარებული და განათლებულია დამნაშავე, მით უფრო მეტად არის შესაძლებელი დანაშაულის მოხერხებულად და შენიდბულად ჩადენა. ადამიანის ფსიქიკის ცოდნით ჩამოყალიბდა ფსიქოლოგიური დანაშაულის სახეები. ტექნიკის განვითარებამ ჩამოაყალიბა კიბერდანაშაულების სხვადასხვა სახეები და ა.შ.

¹. <http://message.ge/2018/12/22/მსხვერპლის-ფსიქოლოგია/>

რთული ხდება ჩადენილი დანაშაულის გახსნაც. თუმცა, აქაც უამრავი ტექნიკური სიახლე არსებობს დამნაშავეთა გასანეიტრალებლად. ერთ-ერთია ე.წ. „დრონი“ (DRON), რომლის მეშვეობით შესაძლებელია ნებისმიერი ადამიანის დაფიქსირება ნებისმიერ ადგილზე შესაბამისი საფრენი მოწყობილობით.

ადამიანი, როგორც უწყვეტი პროგრესირების მქონე არსება ყველა ცოცხალ არსებაზე მაღლა მდგომია არა მხოლოდ თავისი სულიერი თუ მეცნიერულ-ტექნიკური და ა.შ. თვალსაზრისით, არამედ უპირობო ძალადობისა და აგრესის გამოვლენის ნებითაც, რაც არც ერთ ცხოველს არ ახასიათებს. ამისათვის იგი იყენებს გარეგნულ ეფექტებს, ჟესტიკულაციას, საუბრის მანერასა და ტონს, სადისტურ მეთოდებსა და სისასტიკეს. მათი ქცევა და აზროვნება მოკლებულია უშუალობას, საღ ლოგიკას და მოქმედებას. მათვის მთავარია საკუთარი ნების რეალიზება ნებისმიერი საშუალებებით ანუ თვითნებობა.

როგორც ბიზნესმენი, ფსიქოლოგი და მწერალი რენდი გეიჯი მიუთითებს, სულიერი საკითხები უნდა გამოიკვლიო სულიერებით¹. სულიერებას განსაკუთრებით ესაჭიროება ცირკულაციისკანონი, რომლის მიხედვით, ჩვენ არ შეგვიძლია სამყაროს მივცეთ ძალიან ბევრი რამ. ამასთან, რაც უფრო მეტს გავცემთ, მით უფრო მეტი დაგვიბრუნდება. გაეცით რაც შეგიძლიათ მეტი და თქვენი ცხოვრება უკეთესობისაკენ შეიცვლება და ეს ცვლილება არასოდეს გაჩერდება. საჭიროა თუ არა, გითხრა, რომ ეს უნდა გააკეთო სიყვარულით? გაუშვი სიყვარული და ის აუცილებლად დაგიბრუნდება. სულიერებას განსაკუთრებით ესაჭიროება მიტევების კანონი განსაკუთრებით დამნაშავეების მხრიდან და დამნაშავეთა მიმართ.

თუ არ შემიძლია, მივუტევო ადამიანებს, თუ შენი სული სავსეა ზიზღით, ესე იგი სიყვარული ვერ დაიდებს მასში ბინას. თუ შენ შურისმიერი გრძნობით ხარ სავსე, ამითმ სხვერპლის აზროვნებას ებლაუჭები და ვერაფრით გახდები გამარჯვებული.

დანაშაულის ერთ-ერთი პირობაა **სიღარიბე**. ის რელიგიის მიხედვით განიხილება, როგორც ცოდვა და დანაშაულის პირობა. სიღარიბეა იძულებსდაუბიძებსადამიანებსტყუილისკენ, მოპარვისკენ და მკვლელობისკენ. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, არა ყველა ღარიბი ყალიბდებს დამნაშავედ და თუ იგი ერთხელ მაინც მოიპარავს, შემდგომში იმდენს ინანებს, რომ ამას აღარასოდეს გაბედავს. მაგრამ არსებობის შიში, დამახინჯებული წარმოდგენა საკუთარი თავის შესახებ რომელიც მაინც არსებობს. ამ შემთხვევაში სწორედ საკუთარი შესაძლებლობების რწმენა — ესერთადერთი საშუალებაა, რომელიც ყველაზე მეტად გჭირდება, რათა დავძლიოთ უმოქმედობა, რაც კიდევ უფრო გვითრევს სიღარიბის ჭაობში.

ამასთან, საკუთარი უმოქმედობის შიში ადამიანებს აძულებს საკუთარ არსებობასაც და ვრჩებით სიცოცხლის სიყვარულის შეგრძნების გარეშე. ვერ დავეთანხმები შ. რუსთაველს, რომელიც შიშს სიყვარულის წარმოშობის საფუძვლად მიიჩნევდა. შიში ჩაგრავს და აკნინებს ადამიანს და უფრო დიდ შიშს წარმოშობს, ხოლო სიყვარული ამაღლებს და ათავისუფლებს. მინახავს ქურდის გაფერმკლთალებული სახე და გადმოცვენამდე მისული თვალები, როდესაც ის ცდილობს მოიპაროს რაიმე. აյ არანაირ სულიერებას აღარა აქვს ადგილი, რადგან მას საკუთარი თავიც კი არ უყვარს და სწირავს მას მკაცრი სასჯელისათვის. მას არა აქვს არც საკუთარი თავის ნდობა და პატივისცემა, მას აღარ ემორჩილება არც საკუთარი ხელებიც, რომლებიც გაწაფული სიმარდით იპარავენ, არ აემორჩილება არც აზროვნება და არც ცნობიერება, ვინაიდან ის ვერ აცნობიერებს იმას, რომ მის გარშემო უამრავი ადამიანი ტრიალებს. იგი კარგავს ადამიანურობისათვის აუცილებელი ფაქტორის - ღვთაებრიობასთან წილნაყარობის არსს და ამისათვის მადლიერების უნარს. ყოველივე ამისათვის მას აღარ აწუხებს სინდისის ტკივილი და სურვილი - უმკურნალოს მას და შეცვალოს საკუთარ არსში და ცხოვრების წესში რაიმე. მაგრამ, ცნობილია, რომ ვინცაირჩიახოხვა, ისვერასოდესშეძლებსფრენას!

გამოსავალი თითქოს არ არსებობს. მაგრამ ვფიქრობ ასეთ ადამიანებს საკუთარი არსებობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების განცდა მაინც აწუხებთ და, გამოსავალიც ამ შეგრძნებაში უნდა არსებობდეს, რომელსაც, იმედია დამნაშავე ოდესმე მაინც გააცნობიერებს.

¹<http://master-dela.com/7-zakonov-procvetaniya-ot-rendi-gejdzha/>

ენრიკო ფერი დანაშაულის სამ ძირითად ფაქტორს გამოყოფდა: ანთროპოლოგიურს, ფიზიკურსა და სოციალურს. იგი ასახელებდა ასევე დამნაშავეთა ხუთ ჯგუფს: შეშლილ დამნაშავეებს, თანდაყოლილ და გამოუსწორებელს, პროფესიონალებს, დამნაშავეებს შმაგი ეფექტით და შემთხვევით დამნაშავეებს. მანვე მოგვცა დანაშაულის პრევენციის ეკონომიკური, პოლიტიკური, სამეცნიერო, საკანონმდებლო, რელიგიური, აღმზრდელობით- საოჯახო და სოციალური სისტემა.

დანაშაულის ერთ-ერთი ფაქტორია **ცხოვრებაზე** განაწყენებული ადამიანის ისეთი მძაფრი მეხსიერება, რაც მას მუდმივად ახსენებს თავს და უბიძებს სამაგიეროს გადახდისკენ. ცნობილია ბრძნული გამოთქმა: „თუ სამაგიეროს გადახდას გადაწყვეტ, წინასწარ ორი საფლავი გაუთხარეო საკუთარ თავს“. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ასეთ შემთხვევაში ადამიანი თავის მტრებს გააორმაგებს მხოლოდ და რომ სამაგიეროს გადახდა გამოსავალი ნამდვილად არ არის. პირიქით, ეს განცდა ადამიანს უმახინჯებს სულსაც, ხორცსაც, მოქმედებასაც და ადამიანი თვალს ვერ უსწორებს სხვა ადამიანებს. გამოსავალი ასეთი მდგომარეობიდან არის საკუთარი განწყობის შეცვლა. ეს შედარებით ადვილია არადამნაშავებრივი სულიერების მქონე ადამიანებთან. დამნაშავის ფსიქიკა კი გაცილებით დამძიმებულია. ამიტომ მისი შემსუბუქება საკმაოდ რთულია. მაგრამ აქაც ახლობლის პრობლემის წარმოშობა და მისი გადარჩენისათვის ბრძოლა შეიძლება გახდეს დამნაშავის სულის შემსუბუქების საშუალება. ამ პროცესში ერევა დამნაშავის, როგორც ადამიანის ადამიანურობისა და ღვთაებრიობის ერთობლიობის გააქტიურება¹.

დამნაშავისათვის დამახასიათებელია ასევე გამოუვალი მდგომარეობის შეგრძნება, რომელიც ხოგადად, დამნაშავეთა სამყაროს ახასიათებს. ამის გამო მათ წრეში მოხვედრილი ადამიანი ვეღარ ტოვებს ამ ლაბირინთს და იძულებული ხდება სწორედ აქ მოიპოვოს სათანადო ადგილი და კრიმინალთა პატივისცემა. ეს კი ნამდვილად არის საბოლოო გადაწყვეტილება და ადამიანი ამით ამთავრებს თავის სულიერ განვითარებას, სიყვარულს, რომელიც ძალას აძლევსა დამიანებს -არ ჩაიძირონ ბრძა ეგოიზმში. სიყვარული არის ღმერთი, დაღმერთი არის სიყვარული, ე.ი. მას არ გააჩნია საზღვრები. ეს ძალა ყველაფრის ახსნას იძლევადა და ცხოვრების აზრს გვაძლევს.

მხოლოდ სიყვარულით შეგვიძლია ვიპოვოთ ცხოვრების აზრი, შევინარჩუნოთ მსოფლიო და ყოველი მოაზროვნე დამგრძნობიარე არსება. დავეხმაროთ ჩვენს ცივილიზაციას გადარჩენაში².

ამდენად, პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ჩემს მიერ შემოთავაზებული სიცოცხლის სიყვარული - ადამიანური არსებობის, მოღვაწეობისა და პროგრესის უწყვეტი საფუძველი, რომელიც ადგილს არ გვიტოვებს შურის, ზიზღის, ბოროტების და ამგვარი ფიქრისათვისაც კი.³

რეზიუმე

ნაშრომი ეძღვნება დანაშაულის ცნობიერი და პრაქტიკული ფაქტორების გავლენას დანაშაულის წარმოშობისა და მისი პრევენციისათვის. ავტორი განიხილავს ცნობიერებას, როგორც შინაგანი მოვლენებისა და გარემო პირობების ცნობიერად აღქმის მდგომარეობას, რომელიც უმნიშვნელოვანების ფაქტორია საკუთარი თავის გარედან ყურებისა და თვითშეფასების თვალსაზრისით. ცნობიერებით ადამიანს შეუძლია იყოს საკუთარ თავთან გულწრფელიც ან მიაძინოს სინდისის ქენჯნა. დანაშაულის ჩადენისას სწორედ ეს უკანასკნელი მოქმედებს და ანთავისუფლებს მას იმ სულიერი განცდებისაგან, რომლებიც დანაშაულის ჩადენის შემდეგ მთელი სიმწვავით იჩენს თავს. ნაშრომში განხილულია დანაშაულის წარმოშობის ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: პოროვნებისა და სოციუმის ურთიერთობა, გენეტიკა, სხეულებრივისა და სულიერის დაპირისპირება, საკუთარი სურვილების დაკამაყოფილება ყველა ხერხსა და საშუალებების, მათ შორის აკრძალულის გამოყენებით, გაუცხოება საკუთარ თავთან, სიღარიბე, მძიმე ბავშვობა, შურისძიების წყურვილს, მსხვერპლის სისუსტეს, უანგარო სიკეთის არარსებობა, არსებობის დაკარგვის შიში, გამოუვალი მდგომარეობის შეგრძნება და ა.შ. ამ

¹. <http://church.ge/index.php?showtopi>.

². A. Einstein. *The Love Letters-N-Y, 1992*.

³. მაისურაძე ნ. Основы непрерывности прогресса. Философия любви к жизни (Филоменология), Тбилиси, 2007.

მდგომარეობიდან გამოსავალი არის სიცოცხლის სიყვარული, ადამიანური არსებობის, მოღვაწეობისა და პროგრესის უწყვეტი საფუძველი, რომელიც ადგილს არ გვიტოვებს შურის, ზიზღის, ბოროტების და ფიქრისთვისაც კი.

Summary

The work is devoted to the influence of conscious and practical factors of crime on the origin and prevention of crime. The author considers consciousness as a means of awareness of internal phenomena and environmental conditions, which are the most important factor in the eyes of the criminal and self-esteem from the outside. In the mind of a person can be sincere or strew his own conscience. In the course of the crime, the latter acts and frees him from spiritual ideas, which with great severity reveal themselves. The work examines such factors as the origin of the crime, the relationship between the individual and society, genetics, juxtaposition of body and spirit, satisfaction of their desires, using all means, including prohibitions, alienation, poverty, difficult childhood, thirst for revenge, weakness of the victim, lack of disinterested good , fear of losing life, feeling of hopelessness, etc.

The result of this situation is the continuity of the love of life, the existence of human existence, activity and progress, which leaves no room for envy, hatred, evil, and even such thinking.

ავტორთა საყურადღებოდ!

„იურისტი“ არის საერთაშორისო, რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, რომელიც მიეწოდება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, მწერალთა კავშირის, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ბიბლიოთეკებს.

გამოსაქვეყნებელი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

–სტატია შეიძლება დაწერილი იყოს ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენაზე;

–ნაშრომს სათაურის წინ უნდა მიეთითოს ავტორის სახელი და გვარი და აკადემიური თანამდებობა;

–ნაშრომს თან უნდა დაერთოს რეზიუმე (10–12 სტრიქონი) ორ ენაზე (ქართული და ინგლისური). სამივე ენაზე უნდა ითარგმნოს ნაშრომის სათაური, ავტორის სრული სახელი და გვარი;

–ქართულ ენაზე ნაშრომი იწყობა Sylfaen შრიფტით. რუსულ და ინგლისურ ენებზე Time New Roman შრიფტით, (ასევე ამ ენებზე წარმოდგენილი რეზიუმეები). შრიფტის ზომა 11, სათაურებისათვის–12, სტრიქონებს შორის 1,5 ინტერვალი : მარცხნივ და ზევიდან 2 სმ, მარჯვნივ და ქვევიდან 2,5 სმ;

ნაშრომის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს A4 ზომის 7-9 ნაბეჭდ გვერდს, გამოყენებული ლიტერატურის (არაუმეტეს 8–10 დასახელებისა) და რეზიუმეების ჩათვლით;

ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იქნეს ელექტრონულ ვერსიასთან ერთად ამობეჭდილი A4 ზომის ქაღალდზე ორ ეგზემპლარად, მას თავფურცელზე უნდა დაერთოს ავტორის საკონტაქტო რეკვიზიტები: სახელი, გვარი, აკადემიური თანამდებობა, მისამართი (ბინის, სამსახურის, ტელეფონის ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართი);

სტატიის ჟურნალში დაბეჭდვის ან დაბეჭდვაზე უარის თქმის შეტყობინება ხდება წარდგენიდან 3 თვის ვადაში;

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი, №75

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:

ტელეფონი 599 94 01 14

ელ-ფოსტა law.academy@mail.ru



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჭოლიძე ქვეშავას №4. ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com